

პაატა გუბუშვილის
ეკონომიკის ინსტიტუტის

სამეცნიერო
შრომების კრებული

II

პაატა გუბუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის
გამომცემლობა

კაატა გუგუშვილის
ეკონომიკის ინსტიტუტის
სამეცნიერო
შრომების კრებული
II

mTavari redaqtori

ramaz abesaZe

saredaqcio kolegia

n. arevaZe, g. berulava, n. bibilaSvili (pasuxismgebeli mdivani), v. burduli, l. daTunaSvili, l. ToTlaZe, e. kakulia, m. kvaracxelia, a. kurataSvili, T. lazaraSvili, i. naTelauri, g. papava, vl. papava, r. sarCimelia, T. CxeiZe, n. xaduri, m. xuskivaZe, r. javaxiSvili

კაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა
თბილისი 2009

პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებულში ქვეყნდება ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელთა და საქართველოს მეცნიერ-ეკონომისტთა ნაშრომები, რომლებიც ეძღვნება აქტუალურ სამეცნიერო და ქვეყნის საჭირობორტო ეკონომიკურ პრობლემებს.

krebuli gankuTvnilia mkiTxvelTa farTo wrisaTvis da daxmarebas gauwevs ara mxolod specialistebs, aramed ekonomikis sakiTxebiT dainteresebul nebismier pirs.

ISSN 1987 – 6904

Strixkodi 9771987690003

**COLLECTION OF SCIENTIFIC WORKS
OF
PAATA GUGUSHVILI INSTITUTE OF
ECONOMICS**

II

Editor-in-chief

Ramaz Abesadze

Editorial Board

N. Arevadze, G. Berulava, N. Bibilashvili (executive secretary), V. Burduli, T. Chkheidze, L. Datunashvili, R. Javakhishvili, E. Kakulia, N. Khaduri, M. Khuskivadze, A. Kuratashvili, M. Kvaratskhelia, T. Lazarashvili, I. Natelauri, G. Papava, V. Papava, R. Sarchimelia, L. Totladze

Publishing House of Paata Gugushvili Institute of Economics

TBILISI 2009

UDC (uak) 061.62: 33(479.22)(045)

p – 121

The collection of scientific works of Paata Gugushvili Institute of Economics publishes the works of Institute researchers and scientists-economists of Georgia dedicated to actual scientific problems and the problems vital for country economy.

The collection is intended for a wide range of readers and will assist not only professionals but those concerned with issues of economy.

© *Publishing House of Paata Gugushvili Institute of Economics*

2009

ISSN 1987 - 6904

**უმუშევრობასთან დაკავშირებული ზოგიერთი
განმარტების შესახებ**

უმუშევრობა უდიდესი ნეგატიური ეკონომიკური და სოცი-
ალური მოვლენაა, რომელთანაც, დროგამოშვებით, მსოფლიოს
ყველა ქვეყანას უხდება ბრძოლა. ამიტომ, მასთან დაკავშირებუ-
ლი განმარტებების სწორად ფორმირებას უმუშევრობის ზუსტი
სურათის დახატვისა და ქმედითი პრაქტიკული ღონისძიებების
განხორციელებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს. ჩვენი აზრით,
თეორიასა და პრაქტიკაში წლების განმავლობაში დამკვიდრებუ-
ლი უმუშევრობასთან დაკავშირებული განსაზღვრებების ნაწილი,
მათი პრაქტიკული გამოყენების გაუმჯობესების მიმართულებით,
ახლებურ გააზრებასა და გარკვეულ დაზუსტებას მოითხოვს. გან-
ვიხილოთ ზოგიერთი მათგანი.

***უმუშევარი.** შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მკაცრი
კრიტერიუმის მიხედვით, უმუშევრად ითვლება 15 და მეტი წლის
ასაკის პირი, რომელიც გამოსაკვლევი კვირის განმავლობაში არ
ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას, მზად არის დაიწყოს მუშაობა და
ეძებს სამუშაოს [1, გვ. 41].*

ამ განმარტებაში, რომელიც პრაქტიკაში გამოიყენება, ძირი-
თადი აქცენტი გადაიტანება ადამიანის გადაწყვეტილებაზე –
სურს თუ არა მას მუშაობა. უფრო ზუსტად, უმუშევრად არ ითვ-
ლება პირი, რომელსაც შეუსრულდა სამუშაო ასაკი, არ ეწევა
რაიმე სასარგებლო საქმიანობას და არ აქვს სურვილი იმუშაოს.
მართალია, კანონმდებლობის მიხედვით, ადამიანს აქვს შრომის
თავისუფლება, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ფიზიკურად და გო-
ნებრივად ჯანსაღი ადამიანი, რომელსაც სურვილი არ აქვს იმუ-
შაოს, არ აზარალებს საზოგადოებას. ასეთ პირთა გაუთვალისწი-
ნებლობა ხელოწნურად ამცირებს უმუშევართა რაოდენობას.

განმარტებიდან გამომდინარე, ასევე უმუშევრად ითვლება პი-
რი, რომელსაც აქვს სურვილი იმუშაოს, მაგრამ არის საპენსიო
ასაკის (ან პენსიონერი, რომელსაც სურს იმუშაოს) ან ინვალიდი,

ანუ, მორალური თვალსაზრისით, მისგან მუშაობა არ მოითხოვება. ასეთი პირები უმუშევრად არ უნდა ითვლებოდნენ, ვინაიდან, ხშირ შემთხვევაში, ისინი სწორედ იმიტომ ვერ შოულობენ სამუშაოს, რომ არაშრომისუნარიანნი არიან. ასეთი პირების შეყვანა უმუშევართა რიგებში მხოლოდ იმიტომ, რომ მათ სურთ იმუშაონ, ხელოვნურად ზრდის უმუშევართა რაოდენობას. ზემოთ აღნიშნულის გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში გამოთვლილი უმუშევრობის დონის მაჩვენებელი ვერ უპასუხებს მის ეკონომიკურ დანიშნულებას, თუ რა ხარისხითაა ათვისებული ქვეყნის ყველაზე უმნიშვნელოვანესი რესურსი – შრომითი რესურსი.

ზემოთ მოყვანილი განმარტების მიხედვით, ასევე უმუშევრად ითვლება პირი, რომელიც იმყოფება სპეციალიზებულ დაწესებულებაში ან სწავლობს.

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის შერბილებული კრიტერიუმის მიხედვით, უმუშევრად ითვლება 15 და მეტი წლის ასაკის მქონე პირი, რომელიც გამოსაკვლევი კვირის განმავლობაში არ ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას, არ ეძებს სამუშაოს, რადგან გადაეწურა მისი შოვნის იმედი, მაგრამ შოვნის შემთხვევაში მზად არის შეუდგეს მუშაობას [1, გვ. 41].

ჯერ ერთი, სამუშაოს პოვნის იმედის გადაწურვა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც ადამიანს ჰყავს მარჩენალი და მეორეც, სამუშაოს თუ არ ეძებს, როგორ იშოვის მას.

ჩვენი აზრით, უმუშევრად უნდა ითვლებოდეს პირი, რომელსაც შეუძრულდა სამუშაო ასაკი, არ ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას, არ იმყოფება სპეციალიზებულ დაწესებულებებში, არ სწავლობს და არ არის ინვალიდი ან საპენსიო ასაკის. ეს განმარტება ეფუძნება სამართლებრივ, ეკონომიკურ და მორალურ ნორმებს და არა ცალკეული პიროვნების სურვილს, იმუშაოს თუ არა. რასაკვირველია, ეს არ ნიშნავს, რომ პიროვნებას არ შეუძლია არ იმუშაოს, თუ მას მუშაობის სურვილი არ გააჩნია.

თუ ჩვენს განმარტებას მხედველობაში მივიღებთ, მაშინ, იმისდა მიხედვით აქვს თუ არა სურვილი უმუშევარს იმუშაოს, ერთმანეთისაგან უნდა განვასხვაოთ აქტიური (რომელიც დაეძებს

სამუშაოს) და **პასიური** (რომელიც არ დაეძებს სამუშაოს) უმუშევარი. ინვალიდები და საპენსიო ასაკის პირები, ბუნებრივია, არც ერთ ამ კატეგორიას არ უნდა მიეკუთვნებოდნენ.

არსებული განმარტების თანახმად, ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა მოიცავს 15 და მეტი წლის ასაკის მქონე პირებს, რომლებიც დასაქმებულნი არიან ეკონომიკური საქმიანობით, და უმუშევრებს [1, გვ. 41].

თუ უმუშევრების შესახებ ჩვენ მიერ ზემოთ მოყვანილ განმარტებას გავითვალისწინებთ, მაშინ ეს განმარტება შემდეგნაირად დაზუსტდება: **ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა მოიცავს სამუშაო ასაკისა და მასზე მეტი ასაკის მქონე პირებს, რომლებიც დასაქმებულნი არიან ეკონომიკური საქმიანობით, და აქტიურ უმუშევრებს.**

მაშასადამე, მოსახლეობა ეკონომიკური საქმიანობის მიხედვით შეიძლება დავეყოს **არაეკონომიკურ და ეკონომიკურ მოსახლეობად**. პირველში შევა სამუშაო ასაკის არმქონე და სპეციალიზებულ დაწესებულებებში მყოფი პირები, ასევე ინვალიდები და საპენსიო ასაკის პირები (მათ შორის პენსიონერები, რომლებიც არ მუშაობენ), ხოლო მეორეში – ყველა სხვა პირი. ეკონომიკური მოსახლეობა თავისთავად დაიყოფა **ეკონომიკურად აქტიურ და ეკონომიკურად პასიურ მოსახლეობად**. ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობაზე უკვე ვისაუბრეთ. ეკონომიკურად პასიურ მოსახლეობაში გაერთიანდებიან: პასიური უმუშევრები, სავალდებულო სამხედრო სამსახურში მყოფი პირები, მოსწავლეები (საჯარო სკოლისა და სხვა საგანმანათლებლო სასწავლებლების), რომლებიც არ მუშაობენ და არ ეძებენ სამუშაოს.

რაც შეეხება ტერმინს – **”სამუშაო ძალა”**, ალბათ, თანამედროვე ეტაპზე საერთოდ უმჯობესია თავი შევიკავოთ მისი ხმარებისაგან, ვინაიდან პრაქტიკაში თითქმის არ გამოიყენება, ხოლო ეკონომიკურ ლიტერატურაში მისი გაგება არაერთგვაროვანია. ზოგს მიაჩნია, რომ იგი არის განსაკუთრებული საქონელი (მაგ., მარქსი და მისი მიმდევრები), ზოგის აზრით, იგი არის საზოგადოების ის ნაწილი, რომლებიც მუშაობენ ან ეძებენ სამუშაოს

(მაგ., რ. მაკონელი, ლ. ბრიუ), ე.ი. ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა.

უმუშევრობის დონე განიმარტება, როგორც უმუშევართა რაოდენობის ფარდობა ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის რაოდენობასთან, გამოსახული პროცენტობით.

ჩვენ მიერ შემოთავაზებული შესწორებების თანახმად, უმუშევრობის დონე განისაზღვრება უმუშევართა (აქტიურ და პასიურ) რიცხოვნობის ფარდობით მომუშავეთა და უმუშევართა (აქტიურ და პასიურ) საერთო რაოდენობასთან, გამოსახული პროცენტობით.

უმუშევრობის დონის ამგვარი გაანგარიშება გამოიწვევს პრაქტიკაში დღეისათვის არსებული წესის მიხედვით გაანგარიშებული უმუშევრობის დონის სიდიდის ცვლილებას, მაგრამ, მიგვაჩნია, რომ იგი უფრო რეალურად ასახავს შრომითი რესურსების გამოყენების ხარისხს ქვეყანაში.

ინტერესს მოკლებული არ იქნება, თუ ჩვენ გამოვითვლით უმუშევრობასთან დაკავშირებულ სხვა მაჩვენებლებსაც. მაგალითად, პასიური უმუშევრების რაოდენობის თანაფარდობას აქტიური უმუშევრების ან საერთოდ უმუშევრების რაოდენობასთან, ეკონომიკურად პასიური მოსახლეობის რაოდენობის ფარდობას ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის ან საერთოდ ეკონომიკური მოსახლეობის რაოდენობასთან და ა. შ.

უმუშევრობის ბუნებრივი დონე ლიტერატურაში გაიგივებულია სტრუქტურული და ფრიქციული უმუშევრობის დონესთან [2, გვ. 260; 3, გვ. 558]. ჩვენ მიგვაჩნია, რომ უმუშევრობის ბუნებრივი დონე არის უმუშევრობის ის დონე, როდესაც ეკონომიკა იმყოფება ბუნებრივ მდგომარეობაში და მისი სახელმწიფო რეგულირების გაძლიერების შემთხვევაშიც კი უმუშევრობის დონის უფრო ნაკლები მნიშვნელობის მიღწევა შეუძლებელია. მართალია, ბუნებრივი უმუშევრობის მიზეზი სტრუქტურული და ფრიქციული უმუშევრობაა, მაგრამ, ხშირად, შესაძლოა სტრუქტურული და ფრიქციული უმუშევრობის დონე არ ემთხვეოდეს უმუშევრობის ბუნებრივ დონეს (ანუ უმუშევრობის

მაქსიმალურად შესაძლო დაბალ დონეს), ანუ მეტი იყოს მასზე. უმუშევრობის ბუნებრივი დონის ზუსტი გაზომვა თითქმის შეუძლებელია. ყველაზე მარტივი მეთოდია უმუშევრობის საშუალო დონის დადგენა ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, ვინაიდან დიდი დროის განმავლობაში უმუშევრობის დონე ხშირად უტოლდება ბუნებრივ დონეს [3, გვ. 552]. ბუნებრივი დონიდან გადახრა შეიძლება გამოიწვიოს არა მხოლოდ ციკლურმა უმუშევრობამ, არამედ სტრუქტურულმა უმუშევრობის ზრდამაც თუ არ ტარდება დონისძიებები მის შესამცირებლად. საერთოდ, ბუნებრივ დონეზე არაერთი ფაქტორი მოქმედებს, რომელთა რეგულირების გარეშე შეუძლებელი იქნება სტრუქტურული და რეალური ბუნებრივი დონე ერთმანეთს დაემთხვას. მაგალითად, თუ მოსახლეობის სტრუქტურაში იზრდება იმ ჯგუფის ხვედრითი წილი, რომლის ბუნებრივი უმუშევრობის დონე უფრო დიდია (მაგალითად, ახალგაზრდების), მაშინ ბუნებრივი უმუშევრობის მთლიანი დონეც გაიზრდება. ამიტომ აუცილებელი ხდება ამ ჯგუფის ბუნებრივი უმუშევრობის დონის შემცირება. ბუნებრივი უმუშევრობის დონეზე მოქმედებს ასევე ხელფასის მინიმალური დონის დადგენა, უმუშევრებზე დახმარების დაწესება, საშემოსავლო გადასახადის სიდიდე, პროფკავშირების გავლენა და, რაც მთავარია, სტრუქტურული და ფრიქციული უმუშევრობის დონის შემცირებისაკენ მიმართული სახელმწიფო პოლიტიკა.

უმუშევრობის დანაკარგები. ლიტერატურაში ძირითადად საუბარია მხოლოდ ციკლური უმუშევრობის შედეგად გამოწვეულ დანაკარგებზე, ვინაიდან ბუნებრივი უმუშევრობა გაიგივებულია სტრუქტურულ და ფრიქციულ უმუშევრობასთან. მიგვაჩნია, რომ ერთმანეთისგან უნდა გაირჩეს სტრუქტურული და ციკლური უმუშევრობით გამოწვეული დანაკარგები. ციკლური უმუშევრობის დროს საწარმოო სიმძლავრეები არსებობს, ოღონდ გამოუყენებელია, მაშასადამე, ციკლური უმუშევრობის შესამცირებლად ახალი დაბანდებები საჭირო არ არის, მაშინ, როდესაც სტრუქტურული უმუშევრობის შესამცირებლად აუცილებელია ქვეყნის ახალი ძირითადი კაპიტალის შექმნა. უმუშევრობა მოსახლეობის

სხვადასხვა ფენებს სხვადასხვაგვარად აზარალებს. ზარალს განიცდიან უმუშევრები ხელფასის დაკარგვის გამო; სახელმწიფო ბიუჯეტი – შემოსავლების კლების და უმუშევრებზე დახმარებების გაცემის შედეგად; მეწარმეები კარგავენ მოგებას; მცირდება მთლიანი ეროვნული პროდუქტი და ა.შ. რასაკვირველია, აღნიშნული ზარალების შეკრების შედეგად საერთო ზარალის გამოთვლა შეცდომაა და იგი გამოიწვევს ორმაგ აღრიცხვას, ვინაიდან მშპ წარმოადგენს სიდიდეს, რომელშიც თავს იყრის ყველა დანაკარგი.

ციკლური უმუშევრობის დანაკარგები განისაზღვრება ოუკენის ცნობილი კანონის მიხედვით. მაგრამ ეს კანონი გამოყვანილია ემპირიული დაკვირვების საფუძველზე ამერიკის შეერთებული შტატების მაგალითზე და ის შედარებით მართებული იყო ამ ქვეყნისათვის ან, უკეთეს შემთხვევაში, ანალოგიური ქვეყნებისათვის და არა განსხვავებული ემპირიული მონაცემების მქონე ქვეყნებისთვის (მათ შორის იგულისხმება საქართველოც).

აღსანიშნავია, რომ ოუკენის კანონი არ ითვალისწინებს უმუშევრობის ზოგიერთ დადებით ეფექტს (მაგალითად, თავისუფალი დროის არსებობა, რაციონალური გადაწყვეტილების მიღების მეტი შესაძლებლობა). იგი ასევე არ ითვალისწინებს მშპ-ს დანაკარგებს უმუშევრობით გამოწვეული სოციალურ-პოლიტიკური და კრიმინოგენური სიტუაციის გაუარესების, ადამიანისუფელი კაპიტალის შემცირების შედეგად გამოწვეულ მშპ-ს დანაკარგებს. არადა ეს დანაკარგები, ძირითადად ინვესტიციების შემცირების გამო, საკმაოდ მნიშვნელოვანია. **უმუშევრობა, აძლიერებს რა შემოსავლების უთანაბრობასა და სოციალურ დაძაბულობას, გარდა რესურსების გამოუყენებლობით გამოწვეული დანაკარგებისა, იწვევს დამატებით დანაკარგებს, რომელიც დაკავშირებულია პოლიტიკური და კრიმინოგენური დაძაბულობის ზრდასთან.**

ეკონომიკური ზრდა და უმუშევრობის დონე. ლიტერატურასა და პრაქტიკაში ხშირად შევხვდებით დასკვნას, რომ უმუშევრობის დონის შემცირების ერთადერთი გზაა ეკონომიკური ზრდის ტემ-

პების დაჩქარება, მაგრამ, სინამდვილეში, გარკვეულ პირობებში და ზრდის ტემპების გარკვეულ ინტერვალში უმუშევრობის დონე კი არ მცირდება, არამედ შეიძლება იგივე დარჩეს ან გაიზარდოს კიდევაც. რატომ? – სტრუქტურული უმუშევრობის ზრდის გამო, რაც შრომის ნაყოფიერების ზრდითაა გამოწვეული, ვინაიდან პროდუქციის გაზრდილი რაოდენობა მოითხოვს მუშათა ნაკლებ რაოდენობას. სიმარტივისათვის დაუშვათ, რომ ეკონომიკაში დასაქმებულია 10 მუშა, უმუშევრობის დონე არის 8%, გამოუმუშავებული პროდუქციის მოცულობაა 100 ლარის. მაშინ შრომის ნაყოფიერება შეადგენს 10 ლარს. ვთქვათ, ინოვაციის შედეგად შრომის ნაყოფიერება გაიზარდა 10%-ით, ანუ შეადგინა 11 ლარი. მუშათა რაოდენობის უცვლელობის პირობებში გამომუშავებული პროდუქციის მოცულობა გახდება 110 ლარის, ანუ ისიც გაიზრდება 10%-ით. მაშასადამე, მოცემულ შემთხვევაში პროდუქციის 10%-იანი ზრდაა საჭირო, უმუშევრობის დონე რომ იგივე დარჩეს. თუ ჩვენ წარმოების მოცულობას გავზრდით 10%-ზე ნაკლები სიდიდით, მაშინ ამისათვის დაგვჭირდება არა 10 მუშა, არამედ ნაკლები, რაც უმუშევრობის დონის ზრდას გამოიწვევს. უმუშევრობის დონე რომ შემცირდეს, აუცილებელია გამომუშავება გაიზარდოს 10%-ზე მეტი სიდიდით, ანუ ინოვაციას თან უნდა მოჰყვეს წარმოების გაფართოება. ამიტომაც რომ, ინოვაციურ პროცესებთან ერთად, უმუშევრობის დონის შემცირებას დიდი დრო სჭირდება.

რასაკვირველია, ციკლურ უმუშევრობასთან საქმე სხვაგვარადაა. ამ დროს სამუშაო ადგილები არსებობს და ეკონომიკური აღმავლობის პირობებში რაიმე დამატებითი დაბანდებების გაწევა საჭირო არ არის. უმუშევრობის დონე მცირდება ახალი ინვესტიციების მოზიდვის გარეშე.

ფრიქციული უმუშევრობის დროს ერთმანეთისაგან უნდა განვასხვაოთ **მოსახლეობის ზრდის** შედეგად გამოწვეული უმუშევრობა (როდესაც ახალგაზრდა შრომისუნარიანი ხდება ან სასწავლებელს ამთავრებს და უმუშევარია) და სამუშაოს ნებაყოფილობით ან იძულებით (ოღონდ არა წარმოების დაქვეითების

გამო) დაკარგვის შედეგად გამოწვეული უმუშევრობა. პირველ შემთხვევაში ზედაპირულად საქმე გვაქვს სტრუქტურული უმუშევრობის, ხოლო მეორე შემთხვევაში ციკლური უმუშევრობის ანალოგიურ შემთხვევასთან, ვინაიდან პირველ შემთხვევაში უმუშევრობის შესამცირებლად საჭიროა ახალი დაბანდებების განხორციელება, მეორეში კი არა.

ზემოთ შემოთავაზებული დაზუსტებების შედეგად აღმოიფხვრება უმუშევრობასთან დაკავშირებული აღრიცხვის ზოგიერთი სირთულე, ვინაიდან უმუშევრობასთან დაკავშირებული აღრიცხვის სტატისტიკური მაჩვენებლები და მის საფუძველზე გამოთვლილი სიდიდეები მეტად ალბათურია შემდეგ გარემოებათა გამო:

სტატისტიკური მაჩვენებლები შეიძლება ძალიან სწრაფად შეიცვალოს, ვინაიდან იგი დამოკიდებულია ადამიანის სურვილზე, იმუშაოს თუ არა. ჩვენ მიერ შემოთავაზებული მეთოდის შემთხვევაში ეს ნაკლოვანება აღმოიფხვრება, ვინაიდან უმუშევართა რაოდენობა დამოკიდებული აღარ იქნება ადამიანის სურვილზე და დამოკიდებული იქნება მხოლოდ იმაზე, დაიწყებს თუ არა უმუშევარი მუშაობას.

შესაძლებელია, ყველა ინვალიდსა და საპენსიო ასაკის მქონე პირს ჰქონდეს სამუშაოს დაწყების სურვილი, მაგრამ წლების განმავლობაში ვერ პოულობდნენ მას, იმის გამო, რომ მათი ადამიანისეული კაპიტალის ხარისხი ვეღარ აკმაყოფილებს არსებულ მოთხოვნებს. ახალი სპეციალობის შექმნა და კვალიფიკაციის ამაღლება კი მათ აღარ შეუძლიათ. ამის გამო, უმუშევართა რაოდენობა წლების განმავლობაში დარჩება გაზრდილი, რომლის შემცირებაც ფაქტობრივად შეუძლებელი იქნება. ჩვენ მიერ შემოთავაზებული მეთოდის შემთხვევაში ეს ნაკლოვანებაც აღმოიფხვრება, ვინაიდან უმუშევართა რაოდენობაში ინვალიდები და საპენსიო ასაკის პირები საერთოდ არ შეიტანება, იმისდა მიუხედავად, აქვთ მუშაობის სურვილი თუ არა. ეს კატეგორია მიკუთვნებულია ან არაეკონომიკური მოსახლეობის ჯგუფს (უმუ-

შევრობის შემთხვევაში), ან აქტიური ეკონომიკური მოსახლეობის ჯგუფს (დასაქმების შემთხვევაში).

სწორ შემთხვევაში, როგორც მომუშავეები, ისე უმუშევრები ვერ ხვდებიან სტატისტიკურ მონაცემებში. მაგალითად, ადამიანთა დიდი ჯგუფი მუშაობს სამუშაო ასაკის შესრულებამდე ან დაკავებულნი არიან საოჯახო საქმეებით. აგრეთვე ჩრდილოვან ეკონომიკაში დასაქმებული ადამიანები. უმუშევრები, რომლებიც არ გაივლიან რეგისტრაციას, უმუშევართა რიგებში ვერ მოხვდებიან და ა.შ. ამ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად აუცილებელია უმუშევართა და მომუშავეთა აღრიცხვის სისტემის სრულყოფა და გამკაცრება. სახელმწიფო უნდა აწარმოებდეს უმუშევართა სავალდებულო აღწერას. უმუშევარმა უნდა გაიაროს აღრიცხვა და დააფიქსიროს თავისი დამოკიდებულება უმუშევრობასთან დაკავშირებით (ეძებს თუ არა სამუშაოს). რასაკვირველია, ეს არ ნიშნავს, რომ პიროვნება ვაიძულოთ იმუშაოს თუ არ სურს. მაგრამ, სახელმწიფოს უნდა გააჩნდეს მონაცემები იმ შრომითი პოტენციალის შესახებ, რომელსაც ქვეყანა ფლობს.

ბამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული. 2008.
2. **Гайгер Линвуд Т.** Макроэкономическая теория и переходная экономика. М., “ИНФРА-М”, 1996, с. 260.
3. **Дженифер Д. Сакс, Фелипе Ларрен Б.** Макроэкономика. М., “ДЕЛО”, 1996.

Abesadze Ramaz

ON SOME DEFINITIONS CONNECTED WITH UNEMPLOYMENT

SUMMARY

Some parts of definitions connected with unemployment been current for years in theory and practice, require new understanding and certain precise definition in the direction of improvement of their practical use. It is very important to form correctly the definitions as to depict accurate picture of unemployment and realize effective practical measures.

The article offers new definitions of such terms as: unemployed; economic and noneconomic population; economically passive and economically active population; unemployment level and natural level of unemployment; unemployment losses.

The article specifies the connection between economic growth and unemployment level and gives some considerations to overcome difficulties connected with unemployment.

გლადიმერ პაპავა

**ფინანსური კრიზისი და ეკონომიკის ზომბირების
პრობლემა**

თანამედროვე გლობალური ფინანსური კრიზისით წარმოქმნილ უამრავ პრობლემას შორის დღის წესრიგში დგება მსოფლიო მასშტაბით ეკონომიკაზე ზომბი-ფირმების შეტყვის თემა [1-2], რის გამოც განჩნდა პუბლიკაციები ე.წ. ეკონომიკის “ახალი” სფეროს – “ზომბი-ნომიკის” (“zombie-nomics”) [3] შესახებ.

**რას გვასწავლის ეკონომიკის ზომბირების
იაპონური გამოცდილება?**

ზომბი-ეკონომიკის ფენომენი, უწინარეს ყოვლისა, უკავშირდება იაპონიას, სადაც გასული საუკუნის 90-იან წლებში “ჩაისახა” (მაგალითად, [4]). ზომბი-ეკონომიკის საფუძველს წარმოადგენს არა-გადახდისუნარიანი, ფაქტობრივად გაკოტრებული ფირმები, რომლებიც, ამავდროულად, განაგრძობენ ფუნქციონირებას, რის გამოც მათ “ზომბებს” უწოდებენ.

ზომბი-ფირმების ფუნქციონირების ძირითადი ფინანსური წყაროა დაკრედიტების სისტემა [5, 6]. კერძოდ, ასეთი ფირმების დაკრედიტებას ახდენენ ე.წ. ზომბი-ბანკები, რომლებიც ამ ფირმებს შეღავათიანი პირობებით აძლევენ კრედიტებს (კერძოდ, კრედიტებს აძლევენ საშუალო საბაზროზე დაბალი საპროცენტო განაკ-

ვეთებით) [6, 7]. ასეთი წინასწარვე გაუმართლებელი კრედიტები ამ ბანკების აშკარა დანაკარგებს იწვევს [8, გვ. 368].

ზომბი-ფირმების ფუნქციონირების მოცემულ სქემასთან დაკავშირებით ბუნებრივად ჩნდება კითხვა, თუ როგორ ასერხებენ ზომბი-ბანკები არსებობის გაგრძელებას. ასეთი ბანკების უკან, როგორც წესი, დგას მთავრობა [9, გვ. 301], რომელიც გასცემს სამთავრობო გარანტიებს, ახორციელებს დეპოზიტების დაკრედიტებას, რაც, საბოლოო ანგარიშით, იწვევს იმას, რომ ზომბი-ბანკები გადასახადების გადამხდელთა ხარჯზე არსებობენ [10, გვ. 164]. ამგვარი ფინანსური სტრუქტურა ერთგვარად სტიმულს აძლევს „ჯანსაღი“ ფირმების ზომბებად გადაქცევას [4, გვ. 40].

სწორედ ზომბი-ფირმების, ზომბი-ბანკებისა და მთავრობის ურთიერთობის შედეგად წარმოიქმნება ზომბი-ეკონომიკა, რომელიც მძიმე ტვირთად აწვება ეკონომიკის ჯანსაღ ნაწილს. კერძოდ, ზომბი-ბანკების მხრიდან შეღავათიანი დაკრედიტების სისტემით უზრუნველყოფილი ზომბი-ფირმების არსებობა ზღუდავს ბაზარზე ჯანსაღი ფირმების გაჩენისა და არსებობის შესაძლებლობას [4, გვ. 33], რომლებსაც უფრო მაღალი საპროცენტო განაკვეთებით უწევთ კრედიტების აღება [11]. ამასთან, შეღავათიანი დაკრედიტების გამო, ზომბი-ფირმებს კონკურენციულ ბრძოლაში უფრო ადვილად შეუძლიათ ფასების შემცირება [6, გვ. 288] და იქ მომუშავე ადამიანებისათვის ხელფასის გაზრდა [4, გვ. 33]. ხოლო ბაზარზე ჯანსაღი ფირმების, ანუ ეფექტიანად ფუნქციონირებადი ფირმების დაშვების დაბრკოლება, საბოლოო ანგარიშით, მთელი ეკონომიკის ეფექტიანობას ამცირებს [8, გვ. 364].

ზომბი-ეკონომიკა, როგორც ასეთი, ფინანსურ კრიზისში იღებს სათავეს [8, 12]. როგორც ცნობილია, სტაგნაციის პირობებში ეკონომიკას შედარებით ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში წარმოებისა და ვაჭრობის უძრაობა ახასიათებს, რასაც თან სდევს უმუშევართა რიცხვის ზრდა, ხელფასისა და მოსახლეობის ცხოვრების დონის შემცირება. ასეთ პირობებში მთავრობისაგან, როგორც წესი, მოითხოვენ ეკონომიკის ამგვარი მდგომარეობიდან გამოყვანას, და იგი საბანკო სისტემის (საბანკო კრიზისის თავიდან

ასაცილებლად) და მთელი ეკონომიკის ფუნქციონირების შენარჩუნებას საბიუჯეტო დაფინანსების გზით ცდილობს.

ფინანსური კრიზისის დასრულების შემდეგ ეკონომიკა მემკვიდრეობად იღებს მის არასიცოცხლისუნარიან ნაწილს, რომელიც ცდილობს, სახელმწიფოს მხრიდან შეინარჩუნოს იმ ფინანსური მხარდაჭერის სისტემა, რომლითაც იგი სტაგნაციის პირობებში სარგებლობდა. შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ზომბი-ეკონომიკა ფინანსური კრიზისის მემკვიდრეობას წარმოადგენს.

უნდა აღინიშნოს რომ, საერთაშორისო გამოცდილების თანახმად, ზომბი-ეკონომიკის ფენომენი დამახასიათებელია არა მხოლოდ იაპონიის ან განვითარებული საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნისათვის (მაგალითად, [13]), არამედ განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისთვისაც (მაგალითად, [10]).

რატომ ინარჩუნებს „სიცოცხლისუნარიანობას“ ზომბი-ეკონომიკა და როგორ დავაღწიოთ მას თავი?

ზომბი-ეკონომიკის მიმართ მთავარი კითხვა შემდეგში მდგომარეობს: რა განაპირობებს მის შედარებით სტაბილურ არსებობას?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემა შესაძლებელია ეკონომიკური ცვლილებების ევოლუციური თეორიიდან გამომდინარე [14]. ამ თეორიის ძირითადი “ინსტრუმენტი” “რუტინის” ცნება, რომელშიც იგულისხმება ფირმების ქცევის ჩამოყალიბებული წესები და საშუალებები, რომლებიც არეგულირებს მათ (ქცევის) აღწარმოებას.

ზომბი-ეკონომიკის რუტინა ყალიბდება ფინანსური კრიზისების პირობებში, როცა მთავრობასა და ბანკებს შორის მყარდება ურთიერთობა არამომგებიანი ფირმების მხარდასაჭერად იმ მიზნით, რომ თავიდან იქნეს აცილებული ეკონომიკის მნიშვნელოვანი დაქვეითება და უმუშევრობის ზრდა. შედარებით ხანგრძლივი სტაგნაციის შემთხვევაში ეს ურთიერთობა გადაიზრდება

იმ ფორმების ქცევის ჩამოყალიბებულ წესებად და საშუალებებად, რომლებიც არეგულირებს ამ ქცევის აღწარმოებას, ანუ შესაბამის რუტინად. აქ მეტად მნიშვნელოვანია აღინიშნოს სტაგნაციის ხანგრძლივობა, რაც აუცილებელი პირობაა იმისათვის, რომ შესაბამისმა რუტინამ ჩამოყალიბება მოასწოროს.

ფინანსური კრიზისის დასრულების შემდეგ სწორედ ეს რუტინა უზრუნველყოფს ზომბი-ეკონომიკის არსებობას, რადგან, სხვა თანაბარ პირობებში, და კრიზისის მიუხედავად, არც ერთი მთავრობა არ მოისურვებს, როგორც მინიმუმ, უმუშევრობის გაზრდას, რომელიც აშკარად მოიმატებს ზომბი-ფორმების დახურვის შემთხვევაში, რადგან ჯანსაღი ფორმები ვერ მოახდენენ მომენტალურ რეაგირებას ზომბი-ფორმების არსებობის შეწყვეტაზე და ოპერატიული წესით ახალი სამუშაო ადგილების შექმნას [11, 15].

შესაბამისი ქვეყნების განვითარებაზე ზომბი-ეკონომიკის უარყოფითი გავლენა აშკარაა. შესაბამისად, უნდა გამოვავლინოთ და ავამოქმედოთ ის მექანიზმი, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი იქნება მისგან თავის დაღწევა.

თეორიულად ცხადია, რომ ზომბი-ეკონომიკის მოსპობის ქმედითი მექანიზმი უშუალოდ დააკავშირებული გაკოტრების შესახებ კანონმდებლობასთან.

გაკოტრების შესახებ კანონმდებლობა ქმედითი ინსტრუმენტია ზომბი-ფორმების და ზომბი-ბანკების წინააღმდეგ ბრძოლაში. სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ განვითარებულ ქვეყნებში აშკარად შეინიშნება გაკოტრების ფაქტობრივი მდგომარეობის იურიდიული გაფორმების გართულების ტენდენცია (მაგალითად, [16]).

ზომბი-ეკონომიკის რუტინის მატარებლების შესახებ

ზომბი-ეკონომიკის რუტინის გაგების გასაღებს იძლევა ჯეიმს ბიუკენენის საზოგადოებრივი არჩევანის თეორია, რომლის თანახმადაც, პოლიტიკა განმარტებულია, როგორც ბაზრის განსაკუთრებული ნაირსახეობა [17]. ფინანსური კრიზისების პირო-

ბებში ყალიბდება სწორედ ისეთი ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც, ერთი მხრივ, მთავრობის უმაღლეს მიზნად აცხადებს ეკონომიკაში ჩარევას მისი კრიზისული სიტუაციიდან გამოყვანის მიზნით, ხოლო მეორე მხრივ, ხელს უწყობს იმ ეკონომიკური სუბიექტების კერძო ინტერესების რეალიზაციას, რომლებიც კრიზისის გამო გაკოტრების ზღვარზე აღმოჩნდნენ.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ზომბი-ეკონომიკის რუტინა ფინანსური კრიზისის პირობებში საბაზრო ეკონომიკის პროლექტია. შესაბამისად, ამ რუტინის მატარებელია არა უბრალოდ *homo economicus*-ი, არამედ მისი ისეთი მუტანტი, რომელიც ფინანსური კრიზისის გამო დეფორმირებული საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირების პირობებთან შეგუების, ადაპტირების პროცესში ჩამოყალიბდა. პირობითად *homo economicus*-ის ასეთ მუტანტს, ჩვენ აზრით, ყველაზე ზუსტად ახასიათებს ტერმინი *zombie economicus*-ი [18], რომელიც სწორედ ზომბი-ეკონომიკის რუტინის მატარებელია.

არსებობს თუ არა დღეს ეკონომიკის ზომბირების საფრთხე?

თანამედროვე გლობალური ფინანსური კრიზისის პირობებში მრავალი ქვეყანა მიმართავს კერძო ფინანსური ინსტიტუტების, ზოგჯერ კი რეალური სექტორის ზოგიერთი ფირმისადმი ფინანსური დახმარების სპეციალურ სამთავრობო პროგრამებს [19, გვ. 22-23], რაც აშკარად ქმნის ზომბი-ეკონომიკის რუტინის ჩამოყალიბების საფრთხეს. ეს საფრთხე შეიძლება სავესებით რეალური გახდეს, თუ ფინანსური კრიზისი დროში ისე გაჭიანურდება, რომ ამ ხნის განმავლობაში, აღნიშნული დახმარების განხორციელების გამო, ზომბი-ეკონომიკის რუტინა ჩამოყალიბებას მოასწოებს.

რამდენიმე წლის წინ ამერიკის შეერთებულ შტატებში ზომბი-ეკონომიკის ფენომენის არსებობას გადაჭრით უარყოფდნენ [20, გვ. 120], თუმცა, ბოლო ხანს, ფინანსური კრიზისის გამო, სულ უფრო ხშირად ხაზგასმით აღინიშნება ზომბი-ფირმების გაჩენის საშიშ-

როება [21, 22], და, მაინც, დღესაც შეინიშნება ამ პრობლემის უგულვებელყოფის ფაქტები [23]. ასეა თუ ისე, ფინანსური მხარდაჭერის სამთავრობო პროგრამას სავსებით სამართლიანად ეძლევა ზომბი-პროგრამის კვალიფიკაცია, ხოლო შეერთებული შტატების ხაზინას ზომბი ეკონომიკის “დედის” სტატუსი ენიჭება [24]. სამართლიანობა მოითხოვს ხაზი გავუსვათ, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში საბანკო სექტორის ზომბირების მიმართულებით მოძრაობის პირველი ნიშნები ჯერ კიდევ თანამედროვე ფინანსური კრიზისის დაწყებამდე დიდი ხნით ადრე გამოვლინდა, როცა მთავრობამ სუბსიდირების გზით მოახდინა ბანკების მიერ გასაცემი იპოთეკური კრედიტების დაზღვევის სტიმულირება მოსახლეობის დაბალშემოსავლიანი ფენებისათვის, რომლებიც ვერ აკმაყოფილებდნენ საყოველთაოდ მიღებულ საბანკო მოთხოვნებს [25]. ამასთან, მეტად მნიშვნელოვანია იმ გარემოების გათვალისწინება, რომ თანამედროვე ფინანსურ კრიზისს საფუძვლად უდევს ამერიკელთა ფსიქოლოგიური სტიმულები, აიღონ ვალი, თუნდაც არ იყვნენ დარწმუნებული, რომ შეძლებენ მის დაფარვას [26, გვ. 44].

ზომბი-ეკონომიკის ჩამოყალიბების საშიშროება ასევე რეალური გახდა კანადის [27] და ევროკავშირის ზოგიერთი ქვეყნისთვისაც [28, 29].

პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის ქვეყნებში თანამედროვე ფინანსური კრიზისი ასევე ხელს უწყობს ისეთი სამთავრობო პროგრამების შემუშავებას, რომლებიც ემყარება გაკოტრების პირას მისული ბანკებისა და ფირმების ფინანსურ მხარდაჭერას (მაგალითად, [30]).

გრძელვადიანი შეღავათიანი დაკრედიტებისა და ინვესტირების განხორციელების მიზნით გააქტიურდა სპეციალური სახელმწიფო ინსტიტუტების (ბანკების) შექმნის პროექტები (მაგალითად, [31]).

მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკის თეორიით კარგა ხანია დამტკიცებულია და მსოფლიო გამოცდილებითაც დადასტურებულია ეკონომიკის სახელმწიფო შეღავათიანი დაკრედიტების დამღუპველი ხასიათი (მაგალითად, [32, გვ. 22-28]), განვითარებული

ქვეყნებიც (რის შესახებაც ზემოთ ითქვა) და პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის ქვეყნებიც ისევ და ისევ მიმართავენ ფინანსურ კრიზისთან დაპირისპირების ამ ინსტრუმენტს. ეს კი, საბოლოო ანგარიშით, ხელს უწყობს ზომბი-ეკონომიკის რუტინის ჩამოყალიბებას.

თანამედროვე ფინანსურმა კრიზისმა განსაკუთრებით აქტუალური გახადა “მოგების პრივატიზაციისა და ზარალის ნაციონალიზაციის” დამღუპველი პრინციპი [19, გვ. 10].

უნდა აღინიშნოს, რომ ეკონომიკის ზომბირების პირველი სიმპტომები პოსტკომუნისტურ სივრცეში პირველად რუსეთში 1998 წლის აგვისტოს კრიზისის დროიდან გამოვლინდა [15, გვ. 210] და სწორედ ამან მისცა საბაზი პოსტკომუნისტური ზომბი-ეკონომიკის ფენომენის გაჩენას [15, გვ. 211]. თანამედროვე ფინანსურ კრიზისს კი, რომელსაც, გარდა იმისა, რომ ფესვები თავად რუსეთში აქვს გადგმული და აგრეთვე გლობალური ფინანსური კრიზისითაა განმტკიცებული, შეიძლება უფრო გაჭიანურებული ხასიათი ჰქონდეს, რასაც ბევრად უფრო სერიოზული შედეგები მოჰყვება.

დასკვნა

ეკონომიკის მკვდარი ნაწილის ფენომენი უცხო არ არის განვითარებული ეკონომიკის მქონე ზოგიერთი ქვეყნისთვის: ფინანსურმა კრიზისებმა ხელი შეუწყო რუტინის წარმოქმნას, რომელიც საბანკო სისტემის მეშვეობით უზრუნველყოფს ფაქტობრივად გაკოტრებული ფირმებისადმი სამთავრობო მხარდაჭერის სტაბილურობას. შედეგად იქმნება ზომბი-ბანკების და ზომბი-ფირმების ქსელი, რომელიც წარმოქმნის სწორედ ზომბი-ეკონომიკის სისტემას.

ზომბი-ეკონომიკის რუტინის მატარებელი “ცოცხალი” ადამიანი კი აღარ არის, არამედ ზომბია – *zombie economicus*-ია.

თანამედროვე ფინანსური კრიზისის პირობებში ზომბი-ეკონომიკის საფრთხე სულ უფრო ძლიერად “უკაკუნებს კარზე” გან-

ვითარებული ეკონომიკის იმ ქვეყნებსაც, რომლებიც ბოლო დრომდე ახერხებდნენ ეკონომიკის ზომბირების თავიდან აცილებას.

ზომბი-ეკონომიკისგან თავის დაღწევის ერთადერთი ქმედითი მექანიზმია გაკოტრების შესახებ კანონმდებლობის ამოქმედება, რისთვისაც აუცილებელია მმართველი ელიტის შესაბამისი პოლიტიკური ნების არსებობა. არ უნდა ველოდოთ, რომ ფინანსური კრიზისის პირობებში ამ ელიტას, მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში, ეყოფა პოლიტიკური გამბედაობა, აამოქმედოს გაკოტრების მექანიზმი, მაგრამ მეტად მნიშვნელოვანია, რომ ეს მექანიზმი გადაუდებლად ამოქმედდეს პოსტკრიზისულ პერიოდში. და ის ქვეყანა, რომლის ხელმძღვანელობასაც ეყოფა პოლიტიკური ნება, თავი დააღწიოს ზომბი-ეკონომიკას, ეკონომიკური აღმავლობისათვის მძლავრ სტიმულს შეიძენს.

ბამოყენებული ლიტერატურა

1. **Stepek J.** “How Zombie Companies Suck the Life from an Economy”, *Money Week*, November 18, 2008; <http://www.moneyweek.com/news-and-charts/economics/how-zombie-companies-suck-the-life-from-an-economy-14089.aspx>.
2. **Willie CB J.** “Gold, Zombie Banking System, Lightning, Earthquakes and Hurricanes”, *The Market Oracle*, January 20, 2009; <http://www.marketoracle.co.uk/Article8346.html>.
3. **LeLaulu L.** “Zombie Economics?”, *The Development Executive Group*, January 13, 2009; <http://www.devex.com/articles/zombie-economics>.
4. **Hoshi T.** “Economics of the Living Dead”, *The Japanese Economic Review*, Vol. 57, No. 1, 2006.
5. **Caballero R.J., Hoshi T., Kashyap A.K.** “Zombie Lending and Depressed Restructuring in Japan”, *NBER Working Paper 12129*, 2006.
6. **Smith D.C.** “Loans to Japanese Borrowers”, *Japanese International Economies*, Vol. 17. No. 3, 2003.
7. **Hoshi T., Kashyap A.** “Solutions to Japan’s Banking Problems: What Might Work and What Definitely will Fail”, in Ito T., Patrick H.,

- Weinstein D.E. (eds.), *Reviving Japan's Economy: Problems and Prescriptions*. Cambridge: The MIT Press, 2005.
8. **Ahearn A.G., Shinada N.** “Zombie Firms and Economic Stagnation in Japan”, *International Economics and Economic Policy*, Vol. 2, No. 4., 2005.
 9. **Kane E.J.** “The Dialectical Role of Information and Disinformation in Regulation-Induced Banking Crises”, *Pacific-Basin Finance Journal*, Vol. 8. Issue 3-4, 2000.
 10. **Kane E.J.** “Capital Movements, Banking Insolvency, and Silent Runs in the Asian Financial Crisis”, *Pacific-Basin Finance Journal*, Vol. 8. Issue 2, 2000.
 11. **Caballero R., Kashyap A.K.** “Japan's Indian Summer”, *The Wall Street Journal*, July 18, 2002; <http://faculty.chicagogsb.edu/anil.kashyap/research/awsj.pdf>.
 12. **Hoshi T., Kashyap A.K.** “Japan's Economic and Financial Crisis: An Overview”, *The Journal of Economic Perspectives*, Winter, 2004; <http://faculty.chicagogsb.edu/anil.kashyap/research/japancrisis.pdf>.
 13. **Holle P.**, “The Evolution of a Zombie Economy”, *The Frontier Centre For Public Policy*, March 15, 2005; http://www.fcpp.org/main/publication_detail.php?PubID=979.
 14. **Нельсон Р.Р., Уинтер С. Дж.** *Эволюционная теория экономических изменений*. Москва: ЗАО «Финстатинформ», 2000.
 15. **Lindsey B.** *Against the Dead Hand: The Uncertain Struggle for Global Capitalism*. New York: John Wiley & Sons, Inc., 2002.
 16. **Cussen M.P.** “Changing The Face Of Bankruptcy”, *Investopedia*, 2009; <http://www.investopedia.com/articles/pf/08/bankruptcy-act.asp?partner=NTU>.
 17. **Бюкенен Дж.** «Конституция экономической политики», в кн.: Бюкенен Дж. *Сочинения*. Москва: Таурис Альфа, 1997.
 18. **Papava V.** “Is Zombie Economicus Coming?”, *The Market Oracle*, February 7, 2009; <http://www.marketoracle.co.uk/Article8736.html>.
 19. **May B.** “Драма 2008 года: от экономического чуда к экономическому кризису”, *Вопросы экономики*, № 2, 2009.

20. **Bonner W., Wiggin A.** *Financial Reckoning Day: Surviving the Soft Depression of the 21st Century*, New Jersey: John Wiley & Sons, Inc., 2003.
21. **Coy P.** “A New Menace to the Economy: 'Zombie' Debtors”, *BusinessWeek*, January 15, 2009; http://www.businessweek.com/magazine/content/09_04/b4117024316675.htm.
22. **Krugman P.** “Wall Street Voodoo”, *The New York Times*, January 18, 2009. http://www.nytimes.com/2009/01/19/opinion/19krugman.html?_r=2&partner=rssnyt&emc=rss.
23. **Krugman P.** “The Big Dither”, *The New York Times*, March 5, 2009; <http://www.nytimes.com/2009/03/06/opinion/06krugman.html>.
24. **Kunstler J.H.** “The Inevitable Fate Of Our ‘Zombie’ Economy”, *Contrarian Stock Market Investing News*, November 28, 2008; <http://www.contrarianprofits.com/articles/the-inevitable-fate-of-our-zombie-economy/9233>.
25. **Holmes S.A.** “Fannie Mae Eases Credit To Aid Mortgage Lending”, *The New York Times*, September 30, 1999; <http://query.nytimes.com/gst/fullpage.html?res=9c0de7db153ef933a0575ac0a96f958260&sec=&spon=&pagewanted=all>.
26. **Ольсевич Ю.**, «Психологические аспекты современного экономического кризиса», *Вопросы экономики*, № 26 2009.
27. **Poschmann F.** “Beware of Zombies”, *Financial Post*, January 26, 2009; <http://network.nationalpost.com/np/blogs/fpcomment/archive/2009/01/26/beware-of-zombies.aspx>.
28. **Kelly M.** “Our Zombie Nation and Zombie Banks”, *Machine Nation*, October 28, 2008; <http://machination.forumakers.com/economy-business-and-finance-f8/morgan-kelly-our-zombie-nation-and-zombie-banks-t1496.htm#43586>.
29. **Schnittger F.** “Ireland's Zombie Economy”, *European Tribune*, January 14, 2009; <http://www.eurotrib.com/?op=displaystory;sid=2009/1/14/113437/798>.

30. **Илларионов А.** «Природа российского кризиса», *Институт экономического анализа*, 2 октября, 2008; <http://www.iea.ru/macroeconom.php?id=8>.
31. **Данилишин Б.** «Экономика Украины: жизнь после кризиса?», *Зеркало недели*, № 1 (729), 17 – 23 января, 2009; <http://www.zn.ua/2000/2020/65131/>.
32. **Хэзлитт Г.** *Типичные ошибки государственного регулирования экономики*. Москва: Серебряные нити, 2000.

Papava Vladimer

FINANCIAL CRISIS AND THE PROBLEM OF ZOMBIEING OF THE ECONOMY

SUMMARY

As international experience shows, dead firms do exist and “successfully” function in the most developed economies as well with Japan being the most obvious example. These insolvent and, in fact, bankrupt firms which continue to operate despite their “mortality” are commonly referred to as “zombie-firms.” It must be emphasized that a zombie-economy is a phenomenon peculiar not only to Japan and other developed market economies but also to those countries with developing economies as international experience has shown. A zombie-economy’s routine is carried by the “gone and departed” man, the so-called *zombie economicus*. The only effective mechanism to get rid of a zombie-economy is to adopt a sound bankruptcy law which, in turn, requires the strong political will of the ruling elite.

ვახტანგ ბურდული

**საქართველოში მენარჩენების განვითარების გზები
უმუშევრობის დონის შემცირებასთან კონტაქტში**

უმუშევრობის შემცირება ბევრად დაბოკიდებული მეწარმეობის განვითარებაზე. სამეწარმეო სექტორის განვითარების სხვადასხვანაირმა პირობებმა შეიძლება შეამციროს ან გაზარდოს უმუშევრობა. ბოლო წლებში (2001 – 2007) უმუშევრობის დონე საქართველოში ნელ-ნელა იზრდებოდა. 2001 წელს უმუშევართა წილი ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის რაოდენობაში შეადგენდა 11,1%-ს, 2006 წელს – 13,6%-ს, შემდეგ ოდნავ შემცირდა და 2007 წელს შეადგინა ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის 13,3%. ამასთან, ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის რიცხოვნობა თანდათანობით მცირდებოდა: 2001 წელს ის

მოიცავდა 2113,3 ათას ადამიანს, 2007 წელს კი – 1905,3 ათას ადამიანს. შემცირების მიუხედავად ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის რიცხოვნობის აბსოლუტურ გამოსახულებაში უმუშევრების რაოდენობა ოდნავ გაიზარდა: 235,6 ათასი 2001 წელს, მაქსიმუმი – 279,3 ათასი ადამიანი 2005 წელს და 261 ათასი ადამიანი 2007 წელს. დასაქმებულების რაოდენობა (მათ შორის შინამეურნეობებში) შემცირდა 1877,7 ათასი ადამიანიდან 2001 წელს 1704,3 ათას ადამიანამდე 2007 წელს. ამასთან, დაქირავებულების ოდენობა, რომელშიც შედის სამეწარმეო სექტორში დასაქმებულების ძირითადი ნაწილი, ამავე წლებში მერყეობდა 29,4%-დან 2004 წელს 31,8%-მდე 2007 წელს (ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის მთელ რიცხოვნობაში) [2, გვ. 43]. საკმაოდ ფართოა ცნება “თვითდასაქმებულები”. იგი მოიცავს მესაკუთრებს, რომელთა საქმიანობის მიზანს წარმოადგენს მოგების ან ოჯახური შემოსავლის (ფულით ან ნატურით) მიღება [2, გვ. 41]; ოჯახურ საწარმოში უსასყიდლოდ მომუშავე პირებს. თვითდასაქმებულების წილი ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის რიცხოვნობაში მერყეობდა 53,8%-დან 2001 წელს 58,3%-მდე 2003 წელს (მაქსიმუმი), 54,3% – 2007 წელს [2, გვ. 43].

მეწარმეობის განვითარების გავლენა უმუშევრების რაოდენობაზე ბევრად დამოკიდებულია მეწარმეობის განვითარების კოორდინაციის ხარისხზე. ამასთან, ქვეყანაში “სუსტად” ხდება ზოგიერთი ისეთი სამეწარმეო საქმიანობის სახეების სტიმულირება, რომლებსაც შეუძლია არსებითად შეამციროს უმუშევრობის დონე. ამის შედეგად სახეზეა არასაკმარისად დაბალანსებული ეკონომიკა. ეკონომიკის დისბალანსი ვლინდება შემდეგში: რთული სამომხმარებლო და ფონდების შემქმნელი ტექნოლოგიების (ავტომობილები, კომპიუტერები, მაცივრები, ტელერადიო-აპარატურა და ა.შ.) იმპორტი განაპირობებს მათი მომსახურების (სერვისის) და რეაბილიტაციის (რემონტის) დარგების მნიშვნელოვანი ხვედრი წილის არსებობას, რაც საერთოდ კი შეესაბამება საქმიანობის სახეების ჭრილში მეურნეობის სტრუქტურის სრულყოფის თანამედროვე ტენდენციებს, მაგრამ, ამასთან ერთად,

საქართველოში სუსტია ძალისხმევა მეწარმეობის განვითარების მიმართ აღნიშნული და ზოგიერთი სხვა საბოლოო პროდუქტის წარმოების სფეროში, რამაც უმნიშვნელო გახადა მეწარმეობის განვითარების დონე საქმიანობის რიგ აქტუალურ დარგში. აღნიშნული განაპირობებს ქვეყანაში სტრუქტურული უმუშევრობის მაღალი დონის არსებობას.

პატარა ქვეყანაში საჭიროა რამდენიმე საკვანძო (leading edge) და მაღალტექნოლოგიური (high level) [1, გვ. 40] დარგის არჩევა მასობრივი წარმოებისათვის (თუმცა თანამედროვე პირობებში აქტუალურია დივერსიფიკაციის პრობლემაც); საერთაშორისო საქონელგაცვლა კი უნდა წარმოებდეს სხვა ქვეყნებთან მჭიდრო კოოპერაციის საფუძველზე, განსაკუთრებით ურთიერთშევსების პრინციპის გამოყენებით, რითაც უზრუნველყოფილი იქნება ასეთი დარგების ექსპორტი (ამასთან, უნდა ითქვას, რომ ბოლო პერიოდში ქვეყანაში გაიხსნა რამდენიმე ცალკეული “აქტუალური” წარმოება: მაგალითად, მეტალოპლასტიკატების ქარხანა, მთელი რიგი ტექნიკურად რთული ნაკეთობების ამწყოები ქარხანა ქ. ქუთაისში, რომელიც მომავალში დაიწყებს კოოპერირებას ქვეყნის შიგნით განლაგებულ ისეთ საწარმოებთან, რომლებიც დაამზადებენ ამ ქარხნისათვის საკომლექტო ნაწილებს).

შემდეგ, ქვეყანაში სულ უფრო ნაკლები ყურადღება ეთმობა მეცნიერულ-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო შემუშავებების სფეროს, ამ მიმართულებით პრაქტიკულად არ არსებობს საერთაშორისო კოოპერაცია. ამ სფეროს გარეშე კი, ჯერ ერთი, შეუძლებელია ქვეყნის ნორმალური ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფა და “თანამედროვე ტექნოლოგიურ წყობაზე” [3] გადასვლა, მეორე, შეუძლებელია ეკონომიკის დაბალანსებული განვითარების უზრუნველყოფა უმუშევართა პროცენტის მკვეთრი შემცირების გათვალისწინებით. ე. ი. მეცნიერულ-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო შემუშავებების სექტორის შემცირება ასევე განაპირობებს ქვეყანაში უმუშევრობის მაღალი დონის არსებობას.

ეკონომიკური დისბალანსის კიდევ ერთი მიზეზია უწყურად-
ლებობა ეკონომიკის ტრადიციული დარგების უმეტესობის (ღვინის
წარმოებისა და სამშენებლო მასალების მრეწველობის წარმო-
ებების გარდა) და, აგრეთვე, ზოგიერთი სხვა იმპორტჩანაცუ-
ლებითი საწარმოს მიმართ. მაგალითად, 80-იან წლებში ზუგ-
დიღში დაიწყო ფაიფურის ქარხნის ფუნქციონირება. მართალია
ეს ქარხანა ძირითადად შედარებით დაბალი ხარისხის პრო-
დუქციას (ფაიფურის წარმოების ზოგიერთი ხერხი ამჟამადაც
გასაიდუმლოებულია) უშვებდა, მაგრამ ტრანსფორმაციულ პერი-
ოდში საჭირო იყო ამ ქარხნის პოტენციური შესაძლებლობების
გათვალისწინება და მის ბაზაზე კონკურენტუნარიანი საწარმოს
შექმნა.

ეკონომიკის სტრუქტურაში ისეთი დისბალანსების თავიდან
ასაცილებლად, რომლებიც ქვეყანაში უმუშევრობის მაღალი დო-
ნის არსებობის ერთ-ერთ ძირითად მიზეზს წარმოადგენს, საჭი-
როა სისტემური მარეგულირებელი სტრატეგიის განხორციელება
მეწარმეობის განვითარების სტიმულირების სფეროში.

საჭიროა მეწარმეობის დაბალანსებული განვითარების უზ-
რუნველყოფა საქმიანობის სახეების მიხედვით როგორც ქვეყა-
ნაში საერთოდ, ასევე მის რეგიონებში. ამასთან, მეწარმეობის
სისტემების დაბალანსება მნიშვნელოვანია არა მარტო საქმიანო-
ბის სახეების ჭრილში, არამედ ასევე, სამეწარმეო საქმიანობის
ობიექტთა ზომების მიხედვით და მათი ინსტიტუციური სახეების
ჭრილში.

ჯერჯერობით გარკვეულწილად შეიმჩნევა მსხვილი საწარ-
მოების, განსაკუთრებით მათი სათავო ოფისების, კონცენტრირება
თბილისში. რეგიონების ინტერესების იგნორირება კი იწვევს მათი
სოციალური და ეკონომიკური განვითარების ჩამორჩენას და,
კერძოდ, უმუშევრობის დონის ზრდას.

მსხვილი საწარმოები ხშირად, ამასთან, თითქმის ყოველ
დარგსა და დარგთაშორის ასპექტში ახდენენ კოოპერირებას სა-
შუალო და მცირე საწარმოებთან, რაც, მსხვილი საწარმოს გახს-
ნის შემდეგ, უზრუნველყოფს მასთან კოოპერირებადი მრავალი

საშუალო და მცირე საწარმოს გაჩენას და, მაშასადამე, უმუშევრობის შემცირებას ახალი სამუშაო ადგილების შექმნის ხარჯზე. დიდი მნიშვნელობა აქვს საერთაშორისო კოოპერაციას, როდესაც ქვეყნის საშუალო და მცირე საწარმოები (რომ არაფერი ვთქვათ მსხვილებზე) ასრულებენ მსხვილი ტრანსეროვნული კორპორაციების შეკვეთებს. ასევე, დიდი მნიშვნელობა აქვს საერთაშორისო კოოპერაციას ფრანჩაიზინგის სახით, როდესაც ადგილობრივი ფრანჩაიზი (აგენტი) თვითონ გადის მომხმარებელზე, ამასთან, იყენებს ფრანჩაიზორის (პრინციპალის) მარკას (ბრენდს) და ტექნოლოგიას (რაზეც უხდის მას მოგების წილს).

მაგრამ თვით რეგიონებში მსხვილი საწარმოს (ადგილობრივი მესაკუთრეების ან ტრანსეროვნული კორპორაციის საწარმოს) არსებობა უზრუნველყოფს რეგიონების განვითარების დინამიკის მდგრადობას და წარმოადგენს უმუშევრობის შემცირების გარანტს, მათ შორის მსხვილი ქარხნების ირგვლივ მრავალი საშუალო და, განსაკუთრებით, მცირე საწარმოების გაჩენის ხარჯზე.

ბოლო პერიოდში საერთაშორისო კოოპერაციის შესაძლებლობები, წარმოებაში მცირე და საშუალო ბიზნესის ჩართვით, გაიზარდა განვითარებულ ქვეყნებში აუტსორტინგის (როგორც ქვეყნების შიგნით, ასევე ქვეყნების გარეთ) გავრცელების ხარჯზე. ამიტომ ფრანჩაიზინგის და, განსაზღვრულ შემთხვევებში, აუტსორტინგის პროცესები უნდა გახდეს მეწარმეობის სახელმწიფო და საბაზრო კოორდინაციის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მიმართულება.

ინსტიტუციურ ასპექტში, ლიბერალური ეკონომიკური პოლიტიკის ბატონობის უკანასკნელ პერიოდში, ბევრ განვითარებულ ქვეყანაში იზრდებოდა პრივატიზაციის მოცულობა და, აგრეთვე, ძლიერდებოდა ზოგიერთი საწარმოს (კერძოდ, მსხვილი კომპანიების) სათავო ოფისების გადატანის პროცესი ოფშორულ ზონებში, თუმცა ზოგიერთ ქვეყანაში (მაგალითად, სამხრეთ კორეაში) მეორე პროცესს ადგილი არ ჰქონია. მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა შეაჩერა ეს ტენდენციები, თვით მთავრობებმა

კი კერძო სექტორის გაცილებით უფრო სერიოზული რეგულირება და მხარდაჭერა დაიწყეს. სხვა ღონისძიებებთან ერთად ხდებოდა კერძო საწარმოების აქტივების ნაწილის შესყიდვა, ამიტომ შერეული საწარმოების წილი ბევრ ქვეყანაში გარკვეული ზომით გაიზარდა. ეს ნიშნავს, რომ ხელახლა მოხდა სახელმწიფოს და კერძო სექტორს შორის პარტნიორობის მნიშვნელოვანი აქტუალიზაცია. ყველაზე შორსმჭვრეტელი ეკონომისტები წინასწარმეტყველებდნენ ამ თემის აქტუალიზაციის შესაძლებლობას, რასაც მოწმობს შესაბამისი პუბლიცაციები. სახელმწიფოს და კერძო სექტორს შორის პარტნიორობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტიტუციური მექანიზმია, რომელიც ისეთი წარმოებების მხარდაჭერის შესაძლებლობას იძლევა, რომლებიც აქტუალურია როგორც ექსპორტის და შიდა მოხმარების ზრდის, ასევე უმუშევრობის შემცირების პოზიციებიდან.

ამჟამად განვითარებულია სახელმწიფოს და კერძო სექტორს შორის პარტნიორობის შემდეგი სახეები: კონტრაქტები (სახელმწიფო საჭიროებებზე საქონლის და მომსახურების მიწოდების, ტექნიკური დახმარების გაწევისა და მართვის შესახებ); შეთანხმებები (ლიზინგური, იჯარული, პროდუქციის გაყოფის შესახებ); განსაკუთრებული ეკონომიკური ზონები; კონცესიები; ერთობლივი საწარმოები [5, გვ. 64; 6, გვ. 79] (ინსტიტუციური თეორიის თვალსაზრისით პარტნიორობის ყველა ეს სახე წარმოადგენს საკონტრაქტო ურთიერთობებს [7, გვ. 109]). სახელმწიფოს და კერძო სექტორს შორის პარტნიორობის პროექტები აადვილებს კაპიტალის გადინებას მსოფლიო ბაზრებზე, ასტიმულირებს უცხოური ინვესტიციების მოდინებას ეკონომიკის რეალურ სექტორში. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სახელმწიფოს და კერძო სექტორს შორის პარტნიორობას რეგიონების ეკონომიკისათვის, რომელშიც მის საფუძველზე ვითარდება კაპიტალის, საქონლის და მომსახურების [5, გვ. 65], ასევე შრომის ადგილობრივი ბაზრები.

როგორც ჩანს, სახელმწიფოს და კერძო სექტორს შორის პარტნიორობის ხერხების განვითარება ასევე ექვემდებარება სტი-

მულირებას სახელმწიფოს მხრიდან. ამასთან, სტიმულირების ზოგიერთ სახეს აქვს შერჩევითი ხასიათი: სახელმწიფო შესყიდვები, თავისუფალი ეკონომიკური ზონების განვითარების კოორდინაცია (თუ ასეთები არსებობს სახელმწიფოში).

მიზანშეწონილია აღვნიშნოთ, რომ საბაზრო ეკონომიკაში ყველა საწარმო, მიუხედავად ქონებრივი სტატუსისა, როგორც კერძო, ასევე სახელმწიფო და შერეული (ასევე ადგილობრივი და უცხოური), მუშაობს რეგულირებადი საბაზრო ეკონომიკის რეჟიმში (თუკი კეთდება გამონაკლისი, მაგალითად, თავისუფალ ეკონომიკურ ზონაში მონაწილეობის უფლების მოპოვება – კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს ყოველ მსურველ საწარმოს; საგადასახადო შეღავათების მინიჭების შემთხვევაში, შეღავათი ვრცელდება ყოველ საწარმოზე, რომელიც იღებს შესაბამის ვალდებულებას და ა.შ.), ე.ი. წარმოადგენს სამეწარმეო საქმიანობის სუბიექტს და მათ მიმართ გამოიყენება საქმიანობის კოორდინაციის ერთნაირი მეთოდი, მიუხედავად იმისა, საკუთრების რა სტატუსი აქვს თითოეულს.

თუ განვიხილავთ ინსტიტუციურ ასპექტს ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიხედვით, მაშინ, უმუშევრობის შემცირების ასპექტის თვალსაზრისით, მსხვილი საწარმოების განვითარება მიზანშეწონილია სააქციო საზოგადოების ან კოოპერატივის (სოფლად) სახით, რაც მოსახლეობის ფართო ფენებს საკუთრებაში მონაწილეობის შესაძლებლობას მისცემს და დამატებით აქტივებს მოიზიდავს რეალური ინვესტიციების განსახორციელებლად. საშუალო და, განსაკუთრებით, მცირე საწარმოებისათვის აქტუალურია სხვა ინსტიტუციური (ორგანიზაციულ-სამართლებრივი) ფორმები. მაგრამ, ყველა შემთხვევაში, უმუშევრობის შემცირების საკითხების გადასაწყვეტად, საჭიროა პატრონატის, პროფკავშირების და სახელმწიფო ხელისუფლების (მათ შორის ტერიტორიულის) ორგანოების ურთიერთქმედების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების არსებობა.

მაშასადამე, მეწარმეობის განვითარება მჭიდროდაა დაკავშირებული სახელმწიფოს სტრუქტურის შემქმნელ პოლიტიკასთან.

ამასთან, საქმიანობის სახეების ჭრილში სტრუქტურის ცვლილებას შეუძლია გამოიწვიოს როგორც უმუშევრობის დონის გაზრდა, ასევე მისი შემცირება. საბაზრო სისტემების უმრავლესობისათვის დამახასიათებელი სახელმწიფოს მაკოორდინებელი ფუნქციის უკმარისობის პირობებში, ხშირად, განსაკუთრებით ტრანსფორმაციულ პირობებში ან ახალ ტექნოლოგიურ წყობაზე გადასვლის საჭიროების შემთხვევაში (საქართველოში ამჟამად ორივე გარემოება არსებობს), ეკონომიკის სტრუქტურაში არასასურველი გადახრები ჩნდება. ეკონომიკის კოორდინაციის მექანიზმების (როგორც სახელმწიფო, ასევე საბაზრო) ამოცანაა ნეგატიური ტენდენციების თავისდროული შემჩნევა-გამოვლინება (განსაკუთრებით, ახალ ტექნოლოგიურ წყობაზე გადასვლის დროს) და მეწარმეობის განვითარებისათვის ისეთი ხელსაყრელი ინსტიტუციურ-ეკონომიკური გარემოს შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს იმ გადახრების აღმოფხვრას, რომელიც შექმნილია არასაკმარისად კონტროლირებადი საბაზრო ძალებით. ამასთან, საჭიროა როგორც სახელმწიფო კოორდინაციის მექანიზმის, ასევე საბაზრო კოორდინაციის მექანიზმის გამოყენება (უკანასკნელში ვგულისხმობთ კოორდინაციას მეწარმეთა გაერთიანებების მხრიდან, არსებული კანონმდებლობის ჩარჩოებში და შეთანხმებულს სახელმწიფოს მაკოორდინებელ ორგანოებთან).

თანამედროვე პირობები მოითხოვს ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო და საბაზრო კოორდინაციის ჩარჩოებში მათი რეგიონული შემადგენლის არსებობას. გლობალიზაციის პირობებში რეგიონი ხდება საკვანძო ერთეულად, რადგან ზუსტად ლოკალიზებულ ტერიტორიაზე წარმოებს ყველა ქვეყნის დამატებული ღირებულების შექმნა და ამიტომ რეგიონული პირობები ბევრად განსაზღვრავს წარმოებული პროდუქციის კონკურენტუნარიანობას [8]. განვითარებულ ქვეყნებში ეს მრავალ პროგრამასა და კვლევაში აისახება, რომელიც ცალკეული ტერიტორიების კონკურენტუნარიანობის ანალიზს ეძღვნება [4, გვ. 86].

კერძოდ, თანამედროვე პირობებში გადაისინჯება სპეციალური ინტერესების ჯგუფების რეგიონული როლი; მათი შესაბამის სახელისუფლებო ორგანოებსა და პროფკავშირებთან დიალოგის საფუძველზე ირკვევა რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის შესახებ მათ მიერ შემოთავაზებული წინადადების ეფექტიანობის ხარისხი და რეალიზაციის შესაძლებლობანი. “ევროკავშირის სტრუქტურული პოლიტიკის მნიშვნელოვანი ელემენტია რეგიონის განვითარების ტენდენციების დაწვრილებითი ანალიზი, სპეციალური ინტერესების ადგილობრივ ჯგუფებთან კონსულტაციები და ამის საფუძველზე განვითარების იმ ელემენტების ხელშეწყობის დახვეწილი მექანიზმების აწყობა, რომლებიც უკვე არსებობს მოცემულ ტერიტორიაზე. როგორც წესი, საფინანსო მხარდაჭერა – ასეთი პროექტების მხოლოდ მცირე ნაწილია და სახსრები მიიმართება განათლებაზე, გადამზადებასა და ინფრასტრუქტურის განვითარებაზე” [4, გვ. 89].

კიდევ უფრო მეტი ყურადღება უნდა მიექცეს რეგიონული განვითარების კოორდინაციის საკითხებს იმ ქვეყანაში, რომელიც იმყოფება ტრანსფორმაციულ პერიოდში (განსაკუთრებით, ამასთან ერთად, მსოფლიო საფინანსო-ეკონომიკური კრიზისის ზეგავლენის ქვეშ). ამასთან, საჭიროა რეგიონული განვითარების ბუნებრივი და ინსტიტუციური ფაქტორების რაციონალური ურთიერთქმედების შესაძლებლობების გათვალისწინება. ბუნებრივ ფაქტორებს მიეკუთვნება: ბუნებრივი რესურსების არსებობა; გეოგრაფიული მდებარეობა; არსებული ინფრასტრუქტურა და მრეწველობა; ადამიანური და სოციალური კაპიტალის სტრუქტურა. ინსტიტუციურ ფაქტორებს მიეკუთვნება: რეგიონის ტერიტორიაზე საკუთრების სტრუქტურა და კონცენტრაცია; ცენტრთან არსებული ურთიერთობები; ურთიერთობები რეგიონულ და ადგილობრივ ადმინისტრაციასა და ბიზნესს შორის და ა.შ. [4, გვ. 89].

ზემომოყვანილიდან ცხადია, რომ ეკონომიკური და სოციალური განვითარების რეგიონული სახელისუფლებო და საბაზრო კოორდინაცია საერთო სახელმწიფოებრივი კოორდინაციის მნი-

შენელოვანი შემადგენელი ნაწილია. მისმა სახელისუფლებო და საბაზრო შემადგენლებმა ხელი უნდა შეუწყონ ქვეყნის დაბალანსებულ ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებას უმუშევრობის დონის მინიმიზაციის პირობებში.

ბამოყენებული ლიტერატურა

1. **აბესაძე რ., ბურდული ვ.** ინოვაციური განვითარების გზები გლობალიზაციის პირობებში. პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული. ტ. I, თბილისი, 2008.
2. **საქართველოს სტატისტიკური წელიწადეული.** თბილისი, 2008.
3. **Глазьев С.** Мировой экономический кризис как процесс смены технологических укладов. Вопросы экономики, №3, 2009.
4. **Григорьев Л., Зубаревич Н., Урожаева Ю.** Сцилла и Харибда региональной экономики. Вопросы экономики, №2, 2008.
5. **Дерябина М.** Государственно-частное партнерство: теория и практика. – Вопросы экономики, №8, 2008.
6. **Клинова М.** Глобализация и инфраструктура: новые тенденции во взаимоотношениях государства и бизнеса. Вопросы экономики, №8, 2008.
7. **Смотрницкая И., Черных С.** Институт контрактных отношений на рынке государственных заказов. Вопросы экономики, №8, 2008.
8. **Porter M. E.** Regions, Globalization, Development – Regional Studies, Vol. 57, №6-7, 2003.

Burduli Vakhtang

THE WAYS OF DEVELOPMENT BUSINESS UNDERTAKINGS IN GEORGIA IN THE CONTEXT OF REDUCTION OF UNEMPLOYMENT LEVEL

SUMMARY

In the article is shown necessity of active stimulation of some kinds of business activities, which may significantly decrease level of unemployment. First of all are considered productions based on high level and leading edge technologies, also some other traditional for Georgia productions, which were closed down after postsoviet economic collapse owing to noncompetitiveness of produced output. In the article is also shown scale and institutional (organizational-legal) aspect of development business undertakings promoting reduction of unemployment level. It is shown that with the transition on contemporary technological structure importance of regional regulation of the economy is increasing and in connection with it are designated directions of perfection of business undertakings' regional coordination.

გიორგი ბერულავა
საქართველოს შრომითი რესურსების
კონკურენტუნარიანობის შესახებ

კონკურენტული უპირატესობის ზრდა ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა საქართველოს ეკონომიკური განვითარების გზაზე. კონკურენტუნარიანობა არის სახელმწიფოს უნარი, მიაღწიოს მწარმოებლურობის უფრო მაღალ დონეებს და მოიპოვოს როგორც საექსპორტო, ასევე შიდა ბაზრების დიდი წილი. მსოფლიო გამოცდილება გვთავაზობს, რომ სახელმწიფოების – განსაკუთრებით განვითარებადი ეკონომიკის მქონე პატარა სახელმწიფოების – კეთილდღეობა და განვითარება იმდენად არ არის დამოკიდებული მათ ბუნებრივ სიმდიდრეებზე, როგორც მათ უნარზე – მოიპოვონ კონკურენტული უპირატესობა უწყვეტი განახლებით და ადგილობრივი მრეწველობის სხვადასხვა დარგების გაუმჯობესებით. ეს უნარი დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად შეძლებს სახელმწიფო, უზრუნველყოს “ძირითადი ბაზა” იმ საქმიანობებისათვის, რომელიც “...იქნება ყველაზე პროდუქტიული სამუშაოების, ძირითადი ტექნოლოგიების და ყველაზე თანამედროვე კვალიფიკაციების ადგილი” [1, გვ.19]. შრომითი რესურსები წარმოდგენილია იმ ძირითად ფაქტორებს შორის, რომელიც მოიცავს ამგვარ “ძირითად ბაზას” და აქედან გამომდინარე განსაზღვრავს ქვეყნის კონკურენტუნარიანობას.

ქვეყნის შრომითი რესურსების კონკურენტუნარიანობა განისაზღვრება არა მხოლოდ პერსონალის რაოდენობით, არამედ იმ რთული უნარ-ჩვევებით, რომელსაც იძენენ უმაღლესი განათლების, სამსახურებრივი გამოცდილების მიღების გზით, ასევე მენეჯერების კრეატიულობით და უნარით, გარდაქმნას ადამიანური კაპიტალი უმაღლესი ხარისხის ფართო სამომხმარებლო საქონლად და მიაღწიოს მომხმარებლის მოთხოვნების დაკმაყოფილებას. ფაქტორების მრავალფეროვნება განსაზღვრავს ქვეყნის შრომითი რესურსების კონკურენტუნარიანობას. ესენია: საერთო სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები, როგორიცაა: მაკროეკონომიკური მდგომარეობა, ეკონომიკის განვითარების პოლიტიკა, სიღარიბე და თანასწორობა, ჯანდაცვისა და საგანმანათლებლო სისტემის საიმედოობა და ინდივიდუალური კომპანიების მიერ დაქირავებული შრომითი რესურსების სტრატეგიების ეფექტი-

ანობა. სხვადასხვა შემსრულებლები და დაინტერესებული მხარეები პასუხისმგებელნი არიან აღნიშნული ფაქტორების უზრუნველყოფაზე. აქედან გამომდინარე, კონკურენტუნარიანობა შრომითი რესურსების სფეროში მოითხოვს მჭიდრო თანამშრომლობას მთავარ დაინტერესებულ მხარეებს, ე.ი. მთავრობას, კერძო სექტორსა და სამუშაო ძალას შორის.

საქართველომ განახორციელა ძირითადი რეფორმები, რომლის მიზანია ბიზნესპირობების გაუმჯობესება და მიაღწია ზრდის მაღალ ტემპებს. თუმცა, ეკონომიკური ზრდის ხარისხი კვლავ დაბალი რჩება ეკონომიკურ და სოციალურ მდგრადობასთან დაკავშირებით. კერძოდ, აღნიშნული ზრდა არ უკავშირდება არც ინოვაციებს და ინვესტიციებს მაღალი ტექნოლოგიების სამრეწველო დარგებში და არც მცირე და საშუალო მეწარმეების საქმიანობის გაფართოებას, არც სამუშაო ადგილების რაოდენობის ზრდას და თანაბრობას შემოსავლების განაწილებაში, არც სიღარიბის შემცირებას, არც პროდუქტიულობის მნიშვნელოვან ზრდას [1].

განათლება გადამწყვეტ როლს თამაშობს შრომითი რესურსების უნარ-ჩვევებითა და ცოდნით და იმ ფაქტორებით უზრუნველყოფაში, რომლებიც მნიშვნელოვანია კონკურენტუნარიანობის ხელშეწყობისა და ქვეყნის მყარი ეკონომიკური ზრდის მიღწევაში. საქართველოში განათლება და ცოდნა მისი ისტორიის მანძილზე ყოველთვის იმსახურებდა მაღალ შეფასებას. თუმცა, სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნის პროცესმა, რომელიც 1990-იანი წლების დასაწყისში დაიწყო, ღრმა კრიზისში ჩააგდო საქართველოს განათლების სისტემა. ეკონომიკურმა სირთულეებმა გამოიწვია განათლების დაფინანსების არსებითი შემცირება, რომელმაც მეტად უარყოფითი გავლენა მოახდინა განათლების მთელ სისტემაზე, როგორცაა განათლების ინფრასტრუქტურის გაუარესება, მასწავლებლების და სხვა პერსონალის დაბალი მოტივაცია, კორუფცია, სასწავლო მასალის და მოწყობილობის არასაკმარისობა და მოძველებული სასწავლო პროგრამა. განათლების სისტემის სოციალური არაეფექტიანობის რეალიზების

გათვალისწინებით, საქართველოს მთავრობამ, მსოფლიო ბანკის ხელშეწყობით, დაიწყო ამბიციური რეფორმის პროგრამა მიმდინარე დეკადის დასაწყისში. ამ რეფორმის მიზანი იყო განათლების დონეების დადგენა საქართველოში მართვის, დაფინანსების და ხარისხის კონტროლის ახალი მეთოდების გამოყენებით [5]. განათლების სისტემამ, მიუხედავად ამბიციური რეფორმის მცდელობისა, კვლავ ვერ უზრუნველყო განათლებული და კვალიფიციური შრომითი რესურსების აღზრდა, რომელთაც სწრაფი ადაპტირების უნარი ექნებათ გარემოებების შეცვლის შემთხვევაში.

მიმდინარე სიტუაციის ანალიზი შესაძლებლობას გვაძლევს განვსაზღვროთ ფაქტორების ორი დიდი ჯგუფი, რომელიც კონკურენტულ შრომით რესურსებს აფერხებს საქართველოში, ესენია: “მოთხოვნის” და “მიწოდების” ფაქტორები. მთავარი ნაკლოვანება მოთხოვნის მხარეზე დაკავშირებულია მთავრობის უუნარობასთან, უზრუნველყოს მყარი ეკონომიკური განვითარების გარემო, სადაც ყურადღება ექცევა ბიზნესის აყვავებას, ინოვაციებზე დაფუძნებულ ინვესტიციებს და მოწინავე ტექნოლოგიების გადაცემას, სადაც შექმნილია სამუშაო ადგილები და არსებობს კვალიფიციური და კონკურენტუნარიანი შრომითი რესურსების მოთხოვნა. ამ მედლის მეორე მხარე ის არის, რომ ეკონომიკამ ვერ უზრუნველყო კვალიფიციური შრომითი რესურსების მიწოდება იმ შემთხვევებშიც კი, როდესაც ამგვარი მოთხოვნა არსებობს.

მსოფლიო გამოცდილების შეთავაზების შესაბამისად, სახელმწიფოს კონკურენტული შრომითი რესურსების წარმატებით განათლების მიზნით საჭიროა თანამშრომლობა მთავარ დაინტერესებულ მხარეებს, ე.ი. კერძო სექტორს, მთავრობას და სამუშაო ძალას შორის. ბიზნესის პირობების ანალიზი საქართველოში გვთავაზობს, რომ ურთიერთკავშირი მთავარ დაინტერესებულ მხარეებს შორის რეგულირდება უნდობლობით და არა ერთობლივი ფასეულობებით. თითოეული მონაწილე ცდილობს, მაქსიმალურად გაზარდოს საკუთარი სარგებელი (მაგ., მთავრობა

ცდილობს გაზარდოს შემოსავლები გადასახადებისგან, მომუშავეები ცდილობენ გაეზარდოთ ხელფასები, კერძო ბიზნესი – მოკლევადიან მოგებას) მთელი სისტემის ღირებულების მაქსიმალურად გაზრდის ხარჯზე [2]. აქედან გამომდინარე, თანამშრომლობის ხელშეწყობა მთავარ დაინტერესებულ მხარეებს შორის ერთობლივი ღირებულებების, ღონისძიებების და პოლიტიკის შექმნაში, რომელიც ორიენტირებულია გრძელვადიანი კონკურენტუნარიანობის მიღწევაზე, არის კიდევ ერთი შესაძლებლობა შრომითი რესურსების განვითარებისთვის. მთავარობამ უნდა შეასრულოს მნიშვნელოვანი როლი საერთო სისტემის ხელშეწყობაში, რომლის მიზანია კონკურენტული შრომითი რესურსების წახალისება, რომელიც გავლენას ახდენს როგორც “მოთხოვნის”, ასევე “მიწოდების” მხარეზე. კერძო ბიზნესს და სამუშაო ძალას შეუძლია ასევე მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს შრომითი რესურსების კონკურენტუნარიანობის განვითარებაში თანამედროვე უნარ-ჩვევებში ინვესტირების გზით.

ზემოაღნიშნული ანალიზის საფუძველზე ჩვენ დავამუშავეთ რეკომენდაციების ორი დიდი პაკეტი, შრომითი რესურსების კონკურენტუნარიანობის პრობლემის ორი ასპექტის შესაბამისად. რეკომენდაციების პირველი პაკეტი ორიენტირებულია “მოთხოვნის მხარის” ფაქტორებზე და მისი მიზანია ეკონომიკური განვითარების პროცესის შემდგომი ზრდა საქართველოში დაბრკოლებების გადალახვის გზით, რომელიც შეიქმნა როგორც “საბაზრო ნაკლოვანებების”, ასევე “სახელმწიფო ნაკლოვანებების” შედეგად [1, 4]. კერძოდ:

- საქართველოს მთავრობამ თავი უნდა აარიდოს “ჩაურევლობის” პრინციპს და აწარმოოს ეკონომიკური განვითარების აქტიური პოლიტიკა, რომელიც ორიენტირებულია საწარმოო სტრუქტურების დინამიურ გარდაქმნაზე.

- მთავრობამ უნდა შექმნას ბიზნესგარემო, რომელიც ხელს შეუწყობს ეფექტიანი ბაზრის მექანიზმების გამოვლენას კონკურენციის პროცესის და ახალი საწარმოების შექმნის პროცესების სტიმულირების მეშვეობით, რომელიც უზრუნველყოფს

თავისუფალ შეღწევას ბაზარზე; გამორიცხავს ნებისმიერ შესაძლებლობას მთავრობისთვის, მონაწილეობა მიიღოს საკუთრების გადაანაწილების პროცესში.

- დღესდღეობით საქართველოსთვის მნიშვნელოვანია სამართლის ნორმის გაუმჯობესება სამართლებრივი და სასამართლო სისტემის ფუნქციონირების გაუმჯობესებით, თუ უნდა მიაღწიოს გრძელვადიანი ეკონომიკური განვითარების მიზნებს.

რეკომენდაციების მეორე პაკეტი ორიენტირებულია ქართული ეკონომიკის შესაძლებლობაზე, უზრუნველყოს შრომითი რესურსები, რომელიც აღჭურვილია თანამედროვე და საჭირო კვალიფიკაციებით და ცოდნით. კერძოდ:

- მთავრობამ მნიშვნელოვნად უნდა გაზარდოს ინვესტიციები განათლებაში, უპირველესად, ყველასათვის უნდა უზრუნველყოს საბაზო განათლების ხელმისაწვდომობა.

- მთავრობამ უნდა განახორციელოს სპეციალური მასტიმულირებელი ღონისძიებები კერძო სექტორისთვის, რათა გააფართოოს მისი მონაწილეობა განათლებასა და შრომითი რესურსების განვითარებაში.

- სასწავლო დაწესებულებებში უნდა დაინერგოს სამეწარმეო კულტურა, რაც საჭიროებს ამ დაწესებულებების ხელმძღვანელობის მეთოდების მნიშვნელოვან ცვლილებებს.

- სასწავლო დაწესებულებებში სწავლების მეთოდები და სასწავლო გეგმა მნიშვნელოვნად უნდა შეიცვალოს შემდეგნაირად: სასწავლო პროგრამაში გადაცემადი უნარ-ჩვევების შეტანა სწავლების ყველა დონეზე; გამოცდის და ხარისხის კონტროლის გაუმჯობესებული მეთოდები; სწავლების და კვლევის მეტი ინტერდისციპლინურობა; სასწავლო პროგრამების სოციალური და ეკონომიკური რელევანტობა და პროგრამების ხარისხის გაუმჯობესება, განსაკუთრებით სამაგისტრო და სადოქტორო განათლების დონეზე.

- ხელი უნდა შეეწყოს მჭიდრო თანამშრომლობის დამყარებას კერძო ბიზნესსა და სასწავლო დაწესებულებებს შორის, შეთავაზებულ კვალიფიკაციებსა და კომპეტენციას და მოთხოვნებს.

ნილ კვალიფიკაციებსა და კომპეტენციას შორის შეუსაბამობის გამორიცხვის მიზნით.

- განათლების სისტემამ უნდა უზრუნველყოს უწყვეტი განათლების შესაძლებლობები სამართლებრივ და მარეგულირებელ სტრუქტურაში არსებული დაბრკოლებების გამორიცხვით, მაგალითად, საშუალო განათლებას, პროფესიულ განათლებას და უმაღლეს განათლებას შორის გაუმჯობესებული გადასვლის უზრუნველყოფით.

- კერძო საწარმოებმა უნდა გამოიყენონ თანამედროვე შრომითი რესურსების მართვის მეთოდები, რომელიც ორიენტირებულია მართვის უნარ-ჩვევების გაუმჯობესებასა და სამუშაო ადგილზე მომზადების და განვითარების შესაძლებლობების გაუმჯობესებაზე.

ბამოყვებუი ლიტერატურა

1. ბერულავა გ., მელიქაძე ნ. საქართველოს მთავრობის ეკონომიკური განვითარების პოლიტიკის უსაფრთხოების ასპექტის გაძლიერება. მონოგრაფია, “გრიფონი”, თბილისი, 2007.
2. **Duffey Joseph.** “Competitiveness and Human Resources.” California Management Review, Spring, 30, 3, 1988.
3. **Porter M. E.** The Competitive Advantage of Nations, The Free Press, New York, NY, 1990.
4. **Rodrik D.** *Growth Strategies.* In: Aghion Ph., Durlauf St. (eds.). Handbook of Economic Growth. North Holland, 2004.
5. UNDP *Georgia Human Development Report 2008: The Reforms and Beyond*, UNDP, Tbilisi, Georgia, 2008.

**ON THE COMPETITIVENESS OF GEORGIA'S
HUMAN RESOURCES**

SUMMARY

The goal of this paper is to provide insight into how Georgia can increase its productivity and give its human resources and companies specialized advantages. In this study the current situation and reforms in relevant areas such as economic development and the secondary, vocational and higher education systems are described. The existing problems and opportunities in these spheres as well as the role of each stakeholder and their potential to contribute to the enhancement of Georgia's human resource competitiveness are identified. On the basis of above analysis some policy recommendations for both government and private sector are elaborated.

**უცხოური ინვესტიციები – საქართველოს ეკონომიკის
განვითარების მნიშვნელოვანი ფაქტორი**


თანამედროვე ეტაპზე მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება და ინოვაციური საქმიანობის გაფართოება დღის წესრიგში აყენებს უცხოური ინვესტიციების როლისა და მნიშვნელობის კიდევ უფრო გაძლიერებას. ამაზე ნათლად მეტყველებს შემდეგი გარემოება. თუ პირველი მსოფლიო ომის დროს უცხოური ინვესტიციები მთელი კაპიტალდაბანდებების მხოლოდ 10%-ს შეადგენდა, გასული საუკუნის დამლევეს მათი წილი 3-ჯერ გადიდდა [9].

გლობალიზაციის თანამედროვე ეტაპზე როგორც განვითარებული, ისე განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნები სისხლხორცეულად არიან დაინტერესებული უცხოური ინვესტიციების გაფართოებით. აღსანიშნავია, რომ საფინანსო რესურსების დიდი ნაწილი ძირითადად განვითარებულ ქვეყნებშია თავმოყრილი. ამ ქვეყნების კომპანიები და ორგანიზაციები ფლობენ მსოფლიო საფინანსო რესურსების უმეტეს ნაწილს, რომელთა მოძრაობა ინვესტირების გზით ხორციელდება. ამასთან, მსოფლიოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ძალზე სწრაფი ტემპით იზრდება. გასული საუკუნის ბოლო 30 წლის განმავლობაში იგი 100 მლრდ დოლარიდან 6,8 ტრილიონ დოლარამდე გაიზარდა, რაც მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის გაღრმავებაზე მიუთითებს [6, გვ. 300].

საქართველოში უცხოური ინვესტიციების მოზიდვის გაფართოების აუცილებლობა ნაკარნახევია ქვეყანაში შექმნილი არასახარბიელო ეკონომიკური მდგომარეობით: ეკონომიკური ზრდის დაბალი ტემპებით, უმუშევრობის მაღალი და ხალხის ცხოვრების დაბალი

დონით, ეკონომიკის ცალკეული დარგების ასამოქმედებლად, საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურის შესაქმნელად საჭირო სახსრების უქონლობით.

ეკონომიკის რეფორმირების განვლილ პერიოდში საქართველოში მნიშვნელოვანი ღონისძიებები გატარდა უცხოური ინვესტიციების მოზიდვის, მათი წახალისებისა და დაცვისათვის საჭირო საკანონმდებლო-ნორმატიული ბაზის შესაქმნელად. ქვეყანაში განხორციელებული საკანონმდებლო-ნორმატიული ბაზისა და საინვესტიციო გარემოს სრულყოფის კვალდაკვალ, უცხოური ინვესტიციების შემოდინება მატების ტენდენციით ხასიათდება, რაც ნათლად ჩანს ქვემოთ მოყვანილი გრაფიკიდან (იხ. ნახ. 1).



ნახ. 1. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში 2000–2008 წწ. (ათას. აშშ \$) [4].

საქართველოში უცხოური ინვესტიციების შემოსვლა პირდაპირ კავშირშია ქვეყნის ეკონომიკის რეფორმირებასთან. სახელმწიფო ქონების პრივატიზების საწყის ეტაპზე (1995–1996) საქართველოში უცხოური ინვესტიციები ფაქტობრივად არ შემოსულა (გარდა 3753 ათასი დოლარი უკრაინული ინვესტიციისა). 1997–1998 წწ. ქვეყანაში

უცხოური ინვესტიციების შემოდინება თანდათან მატულობდა, მაგრამ მომდევნო პერიოდში (2002 წლამდე) აღნიშნული მაჩვენებელი კლების ტენდენციით ხასიათდება, რაც ინვესტიციების მოზიდვის საკანონმდებლო ბაზის არასრულყოფილებით, კორუფციის მაღალი დონით, ქვეყნის არასტაბილური მდგომარეობითა და ინვესტირების სხვა არახელსაყრელი გარემოებებით იყო განპირობებული.

2003 წლიდან საქართველოში უცხოური ინვესტიციების შემოსვლა საგრძნობი მატების ტენდენციით ხასიათდება და მან 2007 წელს 2 მლრდ დოლარს გადააჭარბა. რაც შეეხება მომდევნო 2008 წელს, საქართველოში უცხოური ინვესტიციების შემოსვლა, წინა წელთან შედარებით, თითქმის ნახევარი მლრდ დოლარით, ანუ 23%-ით შემცირდა, რაც განპირობებული იყო 2008 წლის აგვისტოს საყოველთაოდ ცნობილი მოვლენებით – საქართველოში რუსეთის მიერ განხორციელებული აგრესიით, რამაც საგრძნობლად გააუარესა ქვეყნის საინვესტიციო იმიჯი და, შესაბამისად, შეამცირა ინვესტიციების შემოსვლის მოცულობა. კერძოდ, 2008 წლის მე-3 კვარტალში, წინა კვარტალთან შედარებით, უცხოური ინვესტიციების მოზიდვა 605,4 მლნ დოლარიდან 134,7 მლნ დოლარამდე, ანუ 77,8%-ით შემცირდა.

საერთაშორისო თანამეგობრობის ძალისხმევითა და ქვეყნის ხელისუფლების მიერ განხორციელებული ღონისძიებების შედეგად, გასული წლის მე-4 კვარტალში უცხოური ინვესტიციების გარკვეული ზრდის მიუხედავად, მიმდინარე წელსაც ეს მაჩვენებელი კვლავ შემცირების ტენდენციით ხასიათდება. კერძოდ, 2009 წლის I კვარტალში ქვეყანაში შემოვიდა 134 მლნ, ხოლო მე-2 კვარტალში – მხოლოდ 92,2 მლნ უცხოური ინვესტიცია. მთლიანად კი 2009 წლის პირველ ნახევარში შემოსულმა ინვესტიციებმა შეადგინა 2008 წლის პირველი ნახევრის ანალოგიური მაჩვენებლის მხოლოდ 36,8%, ანუ 2,7-ჯერ და უფრო მეტად შემცირდა [4].

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდასთან ერთად, საქართველოში ყოველწლიურად იზრდება ინვესტორი ქვეყნების

რაოდენობა. გასულ 2008 წელს საქართველოში ყველაზე დიდი ინვესტორი ქვეყნები იყო არაბეთის გაერთიანებული ემირატები (306,6 მლნ დოლარი), აშშ (167,9), თურქეთი (164,5), ვირჯინიის კუნძულები (156,8), დიდი ბრიტანეთი (148,9), ნიდერლანდები (135,8), შვეიცარია (89,9), ყაზახეთი (65,9) და ა. შ.

2000–2008 წწ. საქართველოში შემოსულმა უცხოური ინვესტიციების ჯამურმა მაჩვენებელმა 6 467 მლნ დოლარს გადააჭარბა, რამაც ეკონომიკის სამინისტროს გათვლებით (1 მლნ ინვესტიცია ნიშნავს 50 სამუშაო ადგილს) ქვეყანაში შექმნა 323 ათასზე მეტი სამუშაო ადგილი [3, გვ. 9].

განვითარების თანამედროვე ეტაპზე საქართველოში ინვესტიციების მოზიდვა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური აღორძინებისა და მისი შემდგომი განვითარების სასიცოცხლოდ აუცილებელი პირობაა. ამ საქმეში გადამწყვეტი როლი ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოს შექმნამ და სწორი საინვესტიციო პოლიტიკის განხორციელებამ უნდა შეასრულოს. ქვეყანაში ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოს ფორმირებას თავისი ხელშემწყობი და ხელშემშლელი ფაქტორები გააჩნია. ხელშემწყობი ფაქტორებიდან აღსანიშნავია ის გარემოება, რომ, მიუხედავად ქვეყნის ბაზრის ტევადობის სიმცირისა, უცხოელი ინვესტორი მაინც დაინტერესებულია საქართველოში ინვესტიციების განხორციელებით, ვინაიდან აქ წარმოება მას გარკვეულ უპირატესობას აძლევს დანახარჯების შემცირების თვალსაზრისით.

ქვეყანაში ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოს განმსაზღვრელია ისიც, რომ მას გააჩნია საუცხოო გეოგრაფიული მდებარეობა, არის ევროპისა და აზიის დამაკავშირებელი დერეფანი, აქვს მსოფლიო ბაზრებზე გასასვლელი საზღვაო, საჰაერო, სარკინიგზო, მილსადენი და სხვა სატრანსპორტო-საკომუნიკაციო საშუალებები. გარდა ამისა, ამ საქმეში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეყანაში არსებული დაბალკონკურენტუნარიანი გარემო, საწარმოო სექტორის

განვითარების დაბალი დონე, რაც ვერ უზრუნველყოფს საჭირო საქონლითა და მომსახურებით ქვეყნის შიდა ბაზრის გაჯერებას, მაღალხარისხოვანი პროდუქციითა და მისაღები ფასებით მოსახლეობის მოთხოვნის დაკმაყოფილებას. ცხადია, ასეთ პირობებში უცხოური ინვესტიციების შემოსვლა სასარგებლოა როგორც ინვესტორის, ისე ადგილობრივი მომხმარებლისა და ქვეყნის კონკურენტუნარიანობის დონის ამაღლებისათვის.

განხორციელებული ღონისძიების მიუხედავად, რის შედეგადაც ბიზნესის წარმართვისათვის საჭირო პირობების არსებობის მიხედვით საქართველო ამჟამად მსოფლიოში მე-11 ადგილზე იმყოფება (თუმცა, ასეთი რეიტინგის რეალობა გარკვეულ ეჭვს იწვევს), ქვეყნის საინვესტიციო გარემოს ფორმირების საქმეში ჯერ კიდევ ბევრი პრობლემა და ნაკლოვანებაა. როგორც უკვე აღინიშნა, ეს, პირველ რიგში, შეეხება სტაბილურ მაკროეკონომიკურ გარემოს. მიუხედავად გარკვეული გაუმჯობესებისა, ქვეყანაში ჯერ კიდევ დაბალია მთლიანი შიდა პროდუქტისა და მოსახლეობის ერთ სულზე მისი ზრდის მაჩვენებლები და იგი ამ მხრივ საგრძნობლად ჩამორჩება დსთ-ს ბევრი ქვეყნის ანალოგიურ მაჩვენებლებს. ასე მაგალითად, 1967 წლის მონაცემებით, მოსახლეობის 1 სულზე მშპ აზერბაიჯანში უდრიდა 1252 დოლარს, ბელორუსიაში – 2029, რუსეთში – 3944, უკრაინაში – 1385, საქართველოში კი მხოლოდ 1102 დოლარს [8, გვ. 178]. სამწუხაროდ, ბევრი სხვა მაკროეკონომიკური მაჩვენებლის მიხედვითაც, საქართველო პოსტკომუნისტური სივრცის ქვეყნებს შორის ერთ-ერთ ბოლო ადგილზე იმყოფება.

საქართველო ინვესტიციების მოზიდვის მხრივ უცხოელ ინვესტორთა თვალში მაინც მაღალრისკიან ქვეყანათა რიცხვს მიეკუთვნება. ასეთი იმიჯი ქვეყანას წლების განმავლობაში ჩამოუყალიბდა. სწორედ ამიტომ, ქვეყნის საინვესტიციო იმიჯის აღდგენა ქართული სახელმწიფოს ერთ-ერთი გადაუდებელი ამოცანაა.

საინვესტიციო გარემოზე მოქმედ ფაქტორთა შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საბანკო სისტემის განვითარების დონესა და კრედიტისადმი ხელმისაწვდომობას. მიუხედავად ამ მიმართულებით განხორციელებული ღონისძიებებისა, ამ საქმეში ჯერ კიდევ ბევრი გადაუჭრელი პრობლემაა, რომელთაგან აღსანიშნავია საკრედიტო რესურსების დიდი დეფიციტი, მაღალი საპროცენტო განაკვეთები, შეღავათიანი კრედიტების სიმცირე და მათი ხელმიუწვდომლობა. ამასთან, განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს უცხოური კრედიტების მიღებისა და განაწილების წესის სრულყოფა. ჩვენ სავსებით ვიზიარებთ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ გრძელვადიანი საკრედიტო დახმარება, პირველ რიგში, ისეთ საინვესტიციო პროექტებს უნდა გაეწიოს, რომელთაც ძალუმთ სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური სტრატეგიით განსაზღვრული ამოცანების გადაჭრა [7, გვ. 8].

საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესებისა და ინვესტიციების მოზიდვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს ქვეყანაში დაბეგვრის სისტემის სრულყოფა წარმოადგენს. მიუხედავად არაერთგზის გადასინჯვისა, ამჟამად საქართველოში საგადასახადო განაკვეთები მაინც მაღალია, რაც მეწარმეთა სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს. ამას თუ დავუმატებთ იმას, რომ ძალზე ხშირია გადასახადების ამკრეფი და მაკონტროლებელი სახელმწიფო ორგანოების მხრიდან დაუსრულებელი შემოწმებები, ეს გარემოება ამ პრობლემას უფრო ამწვავებს. დაბეგვრის სისტემაში არსებული ნაკლოვანებები სერიოზულ დამაბრკოლებელ ფაქტორს წარმოადგენს როგორც ქვეყანაში მეწარმეობის განვითარების, ისე ინვესტიციების მოზიდვის საქმეში.

საინვესტიციო გარემოს ფორმირების ერთ-ერთი ხელშემშლელი ფაქტორია ქვეყანაში არსებული კორუფციის მაღალი დონე, რომელიც დიდ დაბრკოლებას წარმოადგენს როგორც ადგილობრივი მეწარმეების, ისე უცხოელი ინვესტორებისათვის თავიანთი რესურსების ეფექტიანად გამოყენებაში. კორუფციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი

წყაროა ჩრდილოვანი ეკონომიკა. საქართველოში იგი სულ მცირე 45–55%-ის ფარგლებში მერყეობს. ექსპერტების შეფასებით, იგი გაცილებით მეტია. ეს მაშინ, როდესაც განვითარებულ ქვეყნებში მისი წილი 10–30%-ის ფარგლებშია მოქცეული.

ინვესტიციების მოზიდვისა და ბიზნესის შეუფერხებლად განვითარებისათვის სერიოზულ ყურადღებას მოითხოვს ქვეყანაში საკანონმდებლო-ნორმატიული ბაზისა და სასამართლო სისტემის სრულყოფა, რაც საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია. ამ საქმეში არსებული სერიოზული ხარვეზების გამო იშვიათი როდია, როცა ინვესტორებს უხდებათ სხვადასხვა სახელმწიფო ინსტანციებისათვის მიმართვა და დამატებითი ხარჯების გაღება. მიუხედავად მათი სამართლიანი მოთხოვნებისა, ისინი ხშირ შემთხვევაში არ კმაყოფილდება და ამგვარი საქმეების განხილვა-გადაწყვეტა სასამართლო დარბაზებიდან სამთავრობო სტრუქტურებში გადადის, რაც ცივილიზებულ სამყაროში ყოვლად მიუღებელია.

ქვეყნის საინვესტიციო გარემოს სრულყოფაში ინვესტიციების მოცულობის ზრდასა და მათ ეფექტიან გამოყენებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სახელმწიფოს აქტიურ ჩარევას, სწორი საინვესტიციო სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებას და მის შეუფერხებელ რეალიზაციას. ასეთი პოლიტიკა უნდა ეფუძნებოდეს ორგანიზაციული ღონისძიებების სისტემას, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ქვეყნის გრძელვადიანი სოციალურ-ეკონომიკური მიზნებისა და ამოცანების გადაწყვეტა, მისი შეუფერხებელი ეკონომიკური ზრდა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ჟურნ. „სოციალური ეკონომიკა“, №2, 2009.

2. ჟურნ. „საქართველოს ეკონომიკა“, №5, 2008.
3. ჟურნ. „საქართველოს ეკონომიკა“, №2, 2009.
4. საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემები.
5. **Берзон И.** Формирование инвестиционного климата в экономике. «Вопросы экономики», №7, 2001.
6. **Гриффин Р., Пастей М.** Международный бизнес. М., 2006.
7. **Петраков Н. и др.** Об инвестиционной политике и становлении рыночной экономики, «Финансы», №12, 2002.
8. Статистический ежедневник СНГ в 2007 году, М., 2008.
9. www.geoeconomics.ge

Javakhishvili Revaz

FOREIGN INVESTMENT – A SIGNIFICANT FACTOR OF DEVELOPMENT OF GEORGIAN ECONOMY

SUMMARY

The growth of foreign investments in Georgia is dictated by low rate of economic development, high level of unemployment and low level of living, the absence of necessary means in the country for the development of economy.

In the transition to market economy were created legal bases of realization of investments and guarantees of their protection, as a result of which were significantly increased the attraction of foreign investments in the country. Though in august 2008 owing to Russian aggression investment image of Georgia was greatly damaged and income of foreign investment was considerably decreased.

To improve investment situation it is necessary to provide macroeconomic and political stability; improv of banking and credit and payments systems; decrease corruption level and scales of shade economy; improve

legal-normative basis of the guarantees of their protection; work out right investment state policy and realize it practically.

კლიმენტი აჩელაშვილი

**ეკონომიკური ზრდის რეგიონული რეგულირება
პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პირობებში**

ეკონომიკური ზრდის რეგიონული რეგულირების პრობლემა მაკროეკონომიკური მეცნიერებისა და პრაქტიკის ცენტრალურ პრობლემას წარმოადგენს, განსაკუთრებით კი პოსტკომუნისტური საბაზრო ტრანსფორმაციის ქვეყნებისათვის. რეგულირების მიზანია ეკონომიკური ზრდის უფრო მაღალი ტემპების მიღწევა. თუმცა, სახელმწიფოს ყველა მცდელობის მიუხედავად, ეკონომიკური განვითარების მაკროეკონომიკური რეგულირების მიზნით გატარებული ღონისძიებები ყოველთვის არ იძლევა სასურველ შედეგებს. ჩვენი აზრით, ამ მოვლენის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია რეგიონული ფაქტორების არასაკმარისი გათვალისწინება, თუმცა ისინი მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ქვეყნების ეროვნული ეკონომიკის განვითარებაში, განსაკუთრებით კი მნიშვნელოვანი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური გარდაქმნების ეტაპებზე. რეგიონული განვითარების ამოცანები, საბოლოო ჯამში, გამოხატავს კომპრომისს პოლიტიკურ მიზანშეწონილობას, ეკონომიკურ ეფექტიანობასა და სოციალურ სამართლიანობას შორის, ბოლო დროს კი ეკოლოგიურ უსაფრთხოებას შორისაც. ისინი შეიძლება იყვნენ თავსებადი, მაგრამ ყველაზე უფრო ხშირად ერთმანეთს ეწინააღმდეგებიან. რეგიონული განვითარების ამოცანების გადაწყვეტის მეთოდებს შორის თანაფარდობა და მათი შეთანხმების შესაძლებლობები დამოკიდებულია კონკრეტულ გარემოებებზე [1].

რეგიონული ეკონომიკის კლასიკური თეორია რეგიონს განიხილავდა, როგორც ერთიანი ეკონომიკური სივრცის ნაწილს და გაცილებით ნაკლებად – როგორც ქვესისტემას, რომელსაც აქვს საკუთარი ეკონომიკური ინტერესები. თანამედროვე საბაზრო კონცეფციებში რეგიონი წარმოადგენს შედარებით დამოუკიდებელ მრავალფუნქციურ ქვესისტემას, რომლის ფუნქციონირება და განვითარება ვერ განხორციელდება მხოლოდ საბაზრო თვითრეგულირების საფუძველზე. ცალკეულ რეგიონს გააჩნია სპეციფიკური ეკონომიკური პრობლემები, რომლებიც ყოველთვის ვერ გადაწყდება სახელმწიფოს აქტიური ჩარევის გარეშე. მაგრამ ახალ პირობებში რეგიონს, როგორც ქვესისტემას, უკვე გააჩნია ხარისხობრივად სხვა ეკონომიკური კავშირები ცენტრთან, სხვა რეგიონებსა და მსოფლიო ბაზრებთან. სახელმწიფო იძულებულია, რეგიონებთან ურთიერთობები დაამყაროს, როგორც დამოუკიდებელ ეკონომიკურ სუბიექტებთან, ამასთან, ამ ურთიერთობათა რეგულირება ძირითადად ეკონომიკური მეთოდებით უნდა ხორციელდებოდეს. რეგიონთაშორისი გაცვლა და მსოფლიო ეკონომიკასთან კავშირები ხორციელდება საბაზრო საფუძველზე, რის გამოც რეგიონული ბაზარი განიცდის გარე კონკურენტული ბაზრების გავლენას [2].

ეკონომიკური განვითარების რეგიონული რეგულირება მოიცავს ორ ძირითად ამოცანას: რეგიონთაშორისი განვითარების დონეებში განსხვავებების შემცირებასა და ეკონომიკური ზრდის რეგიონულ რეგულირებას.

პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის ქვეყნების პრინციპულად ახალ პოლიტიკურ და ეკონომიკურ სისტემაზე გადასვლა გულისხმობს ეკონომიკური განვითარების რეგიონული რეგულირების შესაბამისი მიდგომების ძიებას. მისი რეფორმირების არსი განისაზღვრება გარდამავალი პერიოდის ისეთი პროცესებით, როგორცაა უნიტარული სახელმწიფოს ფედერალურში ტრანსფორმაცია, მართვის მბრძანებლურ-ადმინისტრაციული სისტემის შეცვლა საბაზრო მექანიზმით, საკუთრების სტრუქტურის რადიკალური ცვლილება და, შესაბამისად, შემოსავლების განაწილება,

რეგიონების ეკონომიკური დამოუკიდებლობის გაფართოება და ა.შ.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში ეკონომიკური ზრდის რეგიონული რეგულირება დაიფუძნება, ჯერ ერთი, რეგიონებში კონკრეტული ეკონომიკური სიტუაციის ანალიზამდე და ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაში მათი წვლილის განსაზღვრამდე; მეორე, ისეთი პირობების შექმნამდე, როდესაც რეგიონები იფუნქციონირებდნენ ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე. რეგიონული ეკონომიკისადმი მიძღვნილ სამეცნიერო ნაშრომებში განხილულია რეგიონების განვითარების “ოპტიმიზაციაზე” ზემოქმედების (ეკონომიკური ინსტრუმენტების გამოყენებით) ისეთი ხერხები, რომლებიც იძლევიან მთელი ეროვნული ეკონომიკის ეფექტიანობის ამაღლების საშუალებას [3]. მაგრამ ეს ნაშრომები შეიცავს არა იმდენად ვრცელ გამოკვლევებს ეკონომიკური ზრდის რეგიონული რეგულირების შესახებ, არამედ, უკეთეს შემთხვევაში, მათში მოცემულია პრობლემის მხოლოდ დასმა. კერძოდ, არასაკმარისი ყურადღება ექცევა ეკონომიკური ზრდის რეგიონული რეგულირების მეთოდოლოგიურ პრინციპებს, რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის შინაარსს, მისი ფორმირების პროცესს და რეალიზაციის მექანიზმს და ა. შ.

პოსტკომუნისტური საბაზრო ტრანსფორმაციის პირობებში ეკონომიკური ზრდის რეგიონულმა რეგულირებამ უნდა გადაწყვიტოს შემდეგი ამოცანები:

- შესაბამისი მაკროეკონომიკური პირობების შექმნა ქვეყნის რეგიონების ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის. კერძოდ, მათ მიეკუთვნება ეკონომიკის დაბალანსებულობის ხარისხის გაზრდა, ეკონომიკური კრიზისების შედეგების ლიკვიდაცია, სტრუქტურული (დარგობრივი და რეგიონული) და ინსტიტუციური გარდაქმნები და ა. შ.

- რეგიონული საბაზრო კონკურენციის დაცვა, რომელიც, მთლიანობაში, ეკონომიკის განვითარების ძირითად მამოძრავებელ მექანიზმს წარმოადგენს. სახელმწიფომ უნდა დაარეგულიროს საბაზრო კონკურენციის რაციონალური მასშტაბები როგორც ცალ-

კეულ რეგიონებში, ასევე მათ შორის და არ დაუშვას მონოპოლიზაცია, ე.ი. საკმარისი ეკონომიკური თავისუფლებისათვის საფუძვლების უზრუნველყოფა.

- შესაბამისი საკანონმდებლო და ნორმატიული აქტების შემუშავება, რომლებიც ეხება ეკონომიკური ზრდის რეგიონულ რეგულირებას და რეგლამენტს უწესებს რეგიონების ერთმანეთთან და მართვის სახელმწიფო სტრუქტურებთან ურთიერთქმედებას.

- ეფექტიანი რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის საფუძვლის ფორმირება, რომელიც ითვალისწინებს რეგიონული განვითარების ფაქტორების მთელ სპექტრს და მიმართულია ეკონომიკური ზრდის სტიმულირებაზე. ამ პოლიტიკის რეალიზაციის შესაბამისი იმ ეკონომიკური ინსტრუმენტთა კომპლექსის ჩამოყალიბება, რომელიც შეიძლება იყოს საკმაოდ მრავალფეროვანი და კონკრეტული, მაგრამ აუცილებლად ბაზარზე ორიენტირებული. ამავე დროს, მიზანშეწონილია მათი გამოყენების ექსკლუზიური პრაქტიკა, რომელიც საშუალებას მოგვცემს, გავითვალისწინოთ ცალკეული რეგიონების ეკონომიკური თავისებურებები.

პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის ქვეყნების ეკონომიკური სივრცე, როგორც წესი, მნიშვნელოვანწილად არაერთგვაროვანი და დიფერენცირებულია, რაც ართულებს რეგიონული ეკონომიკური განვითარების რეგულირებას. ამასთან, ტრანსფორმაციული საბაზრო პროცესების მიმდინარეობასთან ერთად, ეკონომიკური სივრცის არაერთგვაროვნება და დიფერენციაცია მნიშვნელოვნად იზრდება. ეს აიხსნება ძირითადად სამი მიზეზით. ჯერ ერთი, კონკურენციის ზეგავლენით, რომლის დროსაც რეგიონები ეკონომიკის განსხვავებული სტრუქტურითა და განვითარების განსხვავებული მენტალიტეტით სხვადასხვანაირად ადაპტირდებიან მეურნეობრიობის საბაზრო პირობებზე. მეორე, სახელმწიფოს მარეგულირებელი ფუნქციის მნიშვნელოვანი შესუსტებითა და, როგორც ამის შედეგი, რეგიონების ეკონომიკური უთანასწორობის გაძლიერებით. მესამე, მბრძანებლურ-ადმინისტრაციული სისტემისაგან დარჩენილი რეგიონული ეკონომიკური

განვითარების ბევრი გადაუჭრელი სპეციფიკური პრობლემის არსებობით. ამასთან, უახლოეს ათწლეულებში პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის ქვეყნები წააწყდებიან რიგ ახალ მოვლენებს, რომელთა შედეგები ეროვნული ეკონომიკებისათვის ერთმნიშვნელოვანი არ იქნება. რამდენადაც გარდამავალი პერიოდის ერთ-ერთ სპეციფიკურ თვისებას წარმოადგენს ეკონომიკის დარგობრივი და რეგიონული სტრუქტურის დაბალი საბაზრო ეფექტიანობა, გაჩნდება მისი გარდაქმნისა და პროგრესულ ტექნოლოგიებზე გადასვლის აუცილებლობა. ეკონომიკის მზარდ ეკოლოგიზაციასთან დაკავშირებით გამკაცრდება რეგიონებში წარმოებისადმი ეკოლოგიური მოთხოვნები. გარდა ამისა, რეგიონულ ეკონომიკურ განვითარებაზე გავლენა ექნებათ მსოფლიო ეკონომიკაში მიმდინარე ინტეგრაციულ პროცესებს. გლობალიზაციის პერსპექტივების გათვალისწინებით, პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის ქვეყნებში წამოიჭრება კითხვა იმის შესახებ, შეძლებენ თუ არა ისინი ეფექტიანად დაიცვან თავიანთი ეკონომიკური სუვერენიტეტი [4].

ზემოთქმულთან დაკავშირებით ეროვნული ეკონომიკის ეფექტიანი განვითარების გზების ძიება რეგიონულ დონეზე უფრო აქტუალური გახდება. სულ უფრო მზარდი გლობალიზაციის პირობებში პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის ქვეყნებში რეგიონების ეკონომიკური განვითარება ორიენტირდება რეგიონული კონკურენტული და შედარებითი უპირატესობების გამოვლენაზე, რეგიონული მრავალფეროვნებისა და ცალკეული რეგიონების განვითარების ყველაზე ხელსაყრელი ეკონომიკური ფაქტორების მაქსიმალურ გამოყენებაზე. ეკონომიკური განვითარების რეგიონული რეგულირების ამ სპეციალურ ამოცანასთან ერთად, რჩება დივერგენციის ტენდენციის გადალახვა, ე.ი. ეკონომიკური სივრცის არაერთგვაროვნებისა და დიფერენციაციის გაძლიერება. საქმე ისაა, რომ ეკონომიკური ზრდა, როგორც ეროვნულ, ისე რეგიონულ დონეზე, ავტომატურად ვერ შეცვლის რეგიონთაშორის დიფერენციაციის ნეგატიურ ტენდენციას დივერგენციიდან კონვერგენციაზე. იმ რეგიონების მზარდმა მიმზიდველობამ,

რომლებიც, შრომისა და კაპიტალის მობილურობასთან ერთად, მაღალი კონკურენტუნარიანობითა და ხელსაყრელი სამეწარმეო კლიმატით ხასიათდებიან, შეიძლება მიგვიყვანოს ეკონომიკური განვითარების მიხედვით კიდევ უფრო დიდ არაერთგვაროვნებასა და რეგიონების დიფერენციაციასთან. ამიტომ ეკონომიკური მხარდაჭერის პრობლემა სხვა რეგიონებთან მიმართებაში არ დაკარგავს თავის აქტუალობას ნებისმიერ შემთხვევაში. ამასთან, მოთხოვნა იქნება ეკონომიკური განვითარების რეგიონული რეგულირების უფრო რეალურ და ექსკლუზიურ მიდგომებზე [5].

ცხადია, ეკონომიკური აღმავლობა ყველა რეგიონში ერთდროულად ვერ დაიწყება. საერთო ეკონომიკური დაცემიდან საერთო ეკონომიკურ აღმავლობამდე გადასვლა დროში გაიწელება. ეროვნულ დონეზე ეკონომიკური ზრდა შესაძლებელი გახდება მაშინ, როცა წარმოების ზრდას ადგილი ექნება ყველა რეგიონში თუ არა, რეგიონების მნიშვნელოვან ნაწილში მაინც. ე.ი. ეროვნულ დონეზე საწყისი ეკონომიკური ზრდის დაწყების ხარისხი დახასიათდება არა იმდენად რეგიონების დაახლოებით ეკონომიკური განვითარების მიხედვით, არამედ წარმოების დადებითი ზრდის ტემპების მქონე რეგიონთა რაოდენობის ზრდით. ამასთან, ბუნებრივია, რომ რაც უფრო მაღალია ეკონომიკური ზრდის ტემპი მთელ ეროვნულ ეკონომიკაში, მით უფრო ფართო იქნება ფინანსური საშუალებების რეგიონთაშორისი გადანაწილების შესაძლებლობები, რომლის მიზანია რეგიონების მოსახლეობის ცხოვრების დონეების დაახლოება.

პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პირობებში რეგიონულ ეკონომიკურ განვითარებაზე ასევე უარყოფით გავლენას ახდენს ინსტიტუციური გარდაქმნების დაუმთავრებლობა. ამიტომ, შემდგომ, ეკონომიკური ზრდის რეგიონული რეგულირების ეფექტიანობა ბევრად იქნება დამოკიდებული ცენტრსა და რეგიონებს შორის ურთიერთობების ხასიათზე (ფედერალურ და რეგიონულ ხელისუფლებებს შორის ფუნქციების განაწილებაზე); ეკონომიკური ზრდის რეგიონული რეგულირების მექანიზმისა და შესაბამისი ეკონომიკური ინსტრუმენტების შექმნაზე და ა.შ. თავდაპირველად

ამ პროცესში ამა თუ იმ დონით მონაწილეობა უნდა მიიღოს მართვის ყველა სახელმწიფო სტრუქტურამ, რომელთა მოღვაწეობა დაკავშირებულია რეგიონულ განვითარებასთან. შემდგომ კი მიზანშეწონილია გამოიყოს სპეციალიზებული საქმიანობები, რომელიც ორიენტირებული იქნება უშუალოდ ეკონომიკური ზრდის რეგიონულ რეგულირებაზე. გარდა ეკონომიკური პრობლემისა, ეს ხელს შეუწყობს რეგიონული პოლიტიკური და სოციალური პრობლემების გადაჭრას. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ აღმოიფხვრება თვით რადიკალური რეგიონალიზმის, ეთნორეგიონული სეპარატიზმისა და, შესაბამისად, ცენტრის საპასუხო რეაქციის პერიოდული გამწვავების შესაძლებლობა. ამიტომ აუცილებელია პოლიტიკური და სოციალური სიტუაციის ცვლილებების შესაბამისი ეკონომიკური განვითარების რეგიონული რეგულირების პროცესის ადეკვატური კორექტირების პრაქტიკის გათვალისწინება.

ამრიგად, ტრანსფორმაციული საბაზრო პროცესების დასრულების შემდგომ აუცილებელია, საჭირო ყურადღება მიექცეს ინსტიტუციური რეფორმების განხორციელებას, რომელთა მიმდინარეობის დროსაც მიზანშეწონილია, ჩამოყალიბდეს ეროვნული ბაზარზე ორიენტირებული ეკონომიკური განვითარების რეგულირების მექანიზმი. ამ საერთო პრობლემის გადაწყვეტის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი უნდა გახდეს ეკონომიკური ზრდის რეგიონული რეგულირება. ეკონომიკური ზრდის რეგიონული რეგულირების მეთოდოლოგიური ასპექტების გამოკვლევამ, საბაზრო ეკონომიკის პრინციპების ადეკვატური ინსტიტუციური რეფორმების გაღრმავებასთან ერთად, უნდა უზრუნველყოს ისეთი ეფექტიანი რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის ჩამოყალიბების პრაქტიკული ბაზა, რომელიც მიმართული იქნება მყარი ეკონომიკური ზრდის სტიმულირებისაკენ. გარდა ამისა, ამ გამოკვლევების შედეგების გამოყენება შეიძლება რეგიონების შესახებ კანონის, ეროვნული ინტერესებისათვის ხელსაყრელი, რეგიონული განვითარების შესაბამისი საკანონმდებლო და ნორმატიული აქტების შესაქმნელად, რომლებიც დაარეგულირებს რეგიონულ

განვითარებას, ასევე, ინდიკატური რეგიონული დაგეგმვის საფუძვლების, შესაბამისი კომპლექსური სტრატეგიული, პროგრამული და კონცეპტუალური დოკუმენტებისა და ა. შ. შემუშავების დროს.

ბამოყენებული ლიტერატურა

1. **Гранберг А. Г.** Основы региональной экономики. Москва, 2001.
2. **Шнипер Р. И.** Регион: экономические методы управления. Новосибирск. Наука, 1991.
3. **Изард У.** Методы регионального анализа: введение в науку о регионах. Москва, Прогресс, 1966.
4. **Гладкий Ю. Н., Чистобаев А. И.** Регионоведение. Москва, Гардарики, 2000.
5. **Михеева Н. Н.** Региональная экономика и управление. Хабаровск, 2000.

Achelashvili Klimenti

REGIONAL REGULATION OF ECONOMIC GROWTH IN THE CONDITIONS OF POSTCOMMUNIST TRANSFORMATION

SUMMARY

Problem of regulation of economic growth is a central problem in macroeconomic science and practice, especially for counties with post-communist marketing transformation. However, only macroeconomic regulation not always gives desired results. Microeconomic regulation is also necessary that takes into account more concrete factors, particularly, regional factors of development of national economy.

Classical theory of regional economy considered a region as a part of whole economic space and less likely – as a subsystem, i.e. as a system with its own economic interests. In modern economic conceptions region is a relatively independent multifunctional subsystem. Regional regulation of economic development supposes to solve two basic tasks: reduction of

interregional differences regarding levels of economic development of regions and regional regulation of economic growth.

In the process of regional regulation of economic growth in the conditions of post-communist transformation there is supposed to be solved the following tasks: formation of macroeconomic conditions for effective functioning of country's regions; protection of market competition in each region and also among them; elaboration of legislative and normative acts which regulate regional development according to national interests; formation of effective regional economic policy; determination of economic instruments' complex for its realization; exclusive inculcation of them by taking into consideration peculiarities of regional development. Investigation in accordance with profound institutional reforms would conduce to effectiveness of transformation of market processes. Besides, results of these investigations can be applied at the time of elaboration of the law about regions; principles of indicative regional planning; corresponded with complex strategic, programmed and conceptual documents, etc.

Альфред Кураташвили

СТРАТЕГИЧЕСКИЕ НАПРАВЛЕНИЯ СОЗДАНИЯ НАУЧНЫХ ОСНОВ СОЦИАЛЬНО-ЭКОНОМИЧЕСКОГО ПРОГРЕССА

Создание научных основ эффективного функционирования общественно-государственной системы, а, следовательно, создание интеллектуальных основ социально-экономического прогресса в международном масштабе имеет принципиальное значение, ибо без творческого развития науки эффективное функционирование общества, государства и человечества в целом не представляется возможным.

Считаю необходимым также отметить, что стратегические направления преодоления проблем научного творчества были разработаны мной еще тогда, когда науку – научную деятельность – фактически не относили к сфере творческой деятельности [1; и др.].

Доказательством этому может служить то, что под творчеством обычно подразумевалась деятельность лишь в сфере художественной

культуры, т.е. под творчеством фактически понималось лишь художественное творчество.

Вместе с тем, истинная наука реально всегда была проявлением высочайшего уровня творчества, «ибо, – как я отмечал еще в 1984 году, – нетворческая наука уже не наука. Истинная наука – высшее проявление творчества» [1,с.4].

В.Г. Белинский писал: «Нет идей, нет и науки! Знание фактов только потому драгоценно, что в фактах скрываются идеи; факты без идей – сор для голов и памяти» [1,с.5; 2,с.94].

«Конечно, – отмечал в связи с проблемой научного творчества Альберт Эйнштейн, – для меня человеком науки является не всякий, кто научился пользоваться средствами и методами, выглядящими прямо или косвенно как «научные». Я имею в виду только тех, в ком по-настоящему живо научное мышление» [1,с.5; 2,с.64].

Каковы же предлагаемые мной стратегические направления преодоления проблем научного творчества, а, следовательно, создания научных основ социально-экономического прогресса?!

Разработанные мной основные стратегические направления преодоления проблем научного творчества можно концентрированно сформулировать в следующем виде:

1. Реальное признание истинной науки высшим проявлением творчества и, соответственно, внедрение требований к научной деятельности как к истинному творчеству.

В качестве механизма оценки творческой деятельности ученого считаю необходимым, как я писал об этом в научном труде, опубликованном мной еще в 1984 году, чтобы каждый, кто претендует называться ученым, публично доказал, что он действительно является ученым – творцом принципиально новых идей в науке [1].

Притом, давать оценку научной деятельности не должны иметь право те представители сферы науки, независимо от занимаемых ими должностей и имеющихся у них ученых степеней и званий, которые сами не являются истинными учеными – творцами принципиально новых идей в науке, имеющих международное значение.

Ведь наличие высоких должностей в науке, наличие ученых степеней, званий, орденов, медалей и даже государственных премий и т.д. еще не означает, что владелец всех этих регалий и наград действительно является ученым.

2. Внедрение разработанной мной Классификации представителей науки, а точнее, классификации лиц, официально считающихся (по имеющимся у них документам) учеными.

Притом необходимо особо отметить, что данная классификация разработана с учетом того, что истинные ученые – это не обученные чему-то и ограниченные лишь этим, и это даже не добросовестные работники научных и высших образовательных учреждений, которые не способны творить новое, а лишь творцы новых прогрессивных идей в сфере науки.

Следовательно, в соответствии с разработанной мной Классификацией представителей сферы науки необходимо отличать:

2.1. Истинных ученых – творцов новых научных направлений, новых научных теорий и т.д. в науке, т.е. истинно научных деятелей.

2.2. Научных работников, занятых подсобной работой в науке, которые своим трудом помогают истинным ученым и тем самым способствуют развитию науки, общества и государства, хотя тем самым они не становятся учеными.

2.3. Вредителей в науке, т.е. таких «деятелей» в науке, которые сами не способны создать новое и даже не помогают своим подсобным трудом другим в развитии науки, а наоборот, создают искусственные преграды на пути научного творчества.

3. Материальное и моральное стимулирование истинного творчества – как одно из важнейших направлений творческого развития науки, а следовательно, эффективного функционирования общества, государства и человечества в целом.

В качестве механизмов материального и морального стимулирования научного творчества я предлагаю:

3.1. Решить вопрос соответствующей оплаты труда истинных ученых на государственном – на законодательном – уровне.

В частности, минимальный уровень заработной платы истинным ученым – творцам новых международно значимых научных концепций, новых научных теорий и т.д. (но не пересказчикам чужих идей, тем самым фактически исполняющим роли попугаев в сфере науки) в государственных учреждениях должен быть установлен не ниже уровня заработной платы, законодательно установленной, например, судьям Верховного суда и Конституционного суда, уровень заработной платы которых, обычно, выше уровня заработной платы докторов наук, профессоров в 10-15 раз(?!).

3.2. Внедрить механизм пенсионного обеспечения истинных ученых на уровне 100% их заработной платы по последнему месту работы, но не ниже уровня пенсионного обеспечения членов парламента и судей Верховного и Конституционного судов, с постепенным и постоянным увеличением пенсий ученым по мере роста заработной платы на соответствующих должностях.

Вышеотмеченное предложение и вообще все изложенное выше вызвано не просто моим субъективным личным интересом – как ученого, а прежде всего, является объективным требованием жизни, ибо именно ученые – истинные ученые – создают идейно-теоретические основы эффективного функционирования общества и государства.

3.3. В качестве принципиально нового метода стимулирования всемирно значимых новаторских идей ученого внедрить механизм, предусматривающий солидное материальное поощрение ученых (видимо, желательное не ниже уровня Нобелевской премии), если, к примеру, ученый создал и предложил качественно новую теорию и, соответственно, принципиально новое научно-политическое направление ориентации общества и государства и т.д., практическая реализация которых приведет к неопределимым результатам в мировом масштабе.

Неужели, например, победа теннисиста на кортах, где спортсмен получает миллионы долларов США, значимее, чем создание ученым теоретических основ эффективного функционирования общества, государства и человечества в целом?!

Проблема стимулирования творческих идей ставится мной не впервые: в частности, еще в 1990 году я писал: «Автор новой

прогрессивной идеи должен получать за практическое применение этой идеи определенный гонорар за свою интеллектуальную собственность» [3, с.37-38].

В связи с этим важно обратить внимание на то, что, «например, композитор, – как я отмечал там же, – получает гонорары за исполнение его произведений» [3,с.38], а после его смерти гонорары получают его наследники.

Возникает вопрос: почему же нельзя внедрить аналогичный механизм по отношению к ученым, идеи которых внедряются в практику эффективного управления обществом и государством?! Думается, что настало время сделать это!

Необходимо особо учесть, что мировой экономический кризис начала XXI века, по моему глубокому убеждению, является результатом кризиса в сознании тех ученых, на результаты исследований которых в преддверии этого кризиса опирались лидеры ведущих капиталистических стран мира.

Поэтому проблема стимулирования научного творчества – как теоретической основы социально-экономического прогресса, приобретает особое значение в современном мире.

ИСПОЛЬЗОВАННАЯ ЛИТЕРАТУРА

1. **Кураташвили Альфред А.** Проблемы научного творчества (Размышления по кардинальным проблемам творческого развития общественных наук). Материалы научной конференции: «Наука и общество» (13-14 декабря 1984 г.). Тбилиси: «Мецниереба», 1984.
2. **Слово о науке:** Афоризмы. Изречения. Литературные цитаты. Книга вторая. Сост., автор предисловия и введений к главам Е.С. Лихтенштейн. М.: «Знание», 1981.
3. **Кураташвили Альфред А.** Права человека и теории экономического выживания народа. *Экономический и морально-психологический геноцид: политико-правовые и социально-экономические пути и механизмы его искоренения* (монография на грузинском, русском и

английском языке). Тбилиси: Международное издательство "Прогресс", 2003.

Kuratahvili Alfred

STRATEGIC DIRECTIONS OF CREATION OF SCIENTIFIC BASES OF SOCIAL-ECONOMIC PROGRESS

SUMMARY

In scientific work there are considered the strategic directions of creation of scientific bases of social-economic progress developed by the author.

In particular, is offered: to recognize a true science as a higher display of creativity; to introduce the classification of representatives of a science developed by the author; and also to introduce the mechanisms, material and moral incentives of true creativity offered by the author – as necessary basis of social and economic progress.

მურმან კვარაცხელია

მსოფლიო ფინანსური კრიზისი და საქართველოს ეკონომიკის ზოგიერთი თავისებურება

თანამედროვე პირობებში მსოფლიოში მიმდინარე პროცესებმა უამრავი პრობლემის წინაშე დააყენა კაცობრიობა. ეკონომიკური აზრის ისტორიული გამოცდილება ადასტურებს, რომ პრობლემათა მთელ კასკადს ერთი ძლიერი და ზომიერ მეტად დამანგრეველი წყარო ასახედოებს, რომელიც ცნობილია ეკონომიკური კრიზისების კატეგორიით. ამ კატეგორიის მრავალმხრივმა სახესხვაობამ თავისი მასშტაბურობით წინა პლანზე წამოსწია უამრავი “მარად ახალგაზრდა” და საბაზრო ურთი-

ერთობებისათვის ჯერ კიდევ გადაუწყვეტელი პრობლემა. მსოფლიო პრაქტიკამ დაადასტურა, რომ, დედამიწაზე მოსახლეობის რიცხოვნობის საკმაოდ მაღალი ტემპით ზრდასთან ერთად, გრძელდება მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესის დაჩქარება, რაც კიდევ უფრო მეტად აფერხებს სოციალური საკითხების ზოგადი პრობლემების მოგვარებას. ყოველივე ეს უფრო შესამჩნევი და მტკივნეული გახდა გლობალიზაციის პირობებში მსოფლიო ფინანსური კრიზისის ფონზე.

მსოფლიო გლობალიზაციის პროცესი უფრო და უფრო ღრმავდება მის მრავალმხრივ განშტოებებში. ამ კუთხით გამოიკვეთა ეკონომიკური გლობალიზაციის რთული და წინააღმდეგობრივი პროცესი. სწორედ ამის შედეგია ის ფინანსური კრიზისი, რომელმაც მოიცვა მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნის ეკონომიკები და ჯერჯერობით არ დასრულებულა. ამან კიდევ უფრო გააღრმავა საბაზრო ეკონომიკისათვის დამახასიათებელი მრავალი ნეგატიური ტენდენცია, რომელიც აისახა საბაზრო ერთიერთობებზე ახლად გადასულ ქვეყნებზე.

ისტორიული პროცესები ადასტურებს, რომ ეკონომიკურ კრიზისებს თან ახლავს მრავალი უარყოფითი ტენდენცია. ამიტომ, ბუნებრივია, დიდია მსოფლიოში მიმდინარე ფინანსური კრიზისის გავლენა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე. ჩნდება ბუნებრივი კითხვა თუ რამ გამოიწვია გლობალური ფინანსური კრიზისი დღევანდელ მსოფლიოში. მასზე ამომწურავი პასუხი ჯერჯერობით არ არსებობს, თუმცა ამ ეტაპზე შეიძლება ზოგიერთი მოსაზრების გამოთქმა.

მსოფლიო ექსპერტთა გარკვეული ნაწილი თვლის, რომ კრიზისის წარმოშობა კავშირშია დოლარის, როგორც მსოფლიო ვალუტის, პრობლემასთან. უნდა აღინიშნოს, რომ დოლარი უზრუნველყოფილია არა ოქროთი, არამედ მსოფლიოს მთლიანი შიდა პროდუქტით. ჯერ კიდევ 1971 წლამდე დოლარს გააჩნდა ოქროს შემცველობა და ის უზრუნველყოფილი იყო ამერიკის შეერთებული შტატების ოქროსა და ძვირფასი ლითონების მარაგით. მაგრამ აშშ კონგრესმა შეცვალა ეს კანონი და დოლარი

გათავისუფლდა ოქროს შემცველობისაგან. ამ პერიოდიდან იწყება დოლარის დაბეჭდვა განუსაზღვრელი რაოდენობით. მისი რაოდენობა უკვე არ კონტროლდებოდა მყარი და საყოველთაო ვალუტის რაოდენობით. მას თანდათანობით მოჰყვა დოლარის გამოშვებაზე სახელმწიფო შეზღუდვების მოხსნაც. ამის შემდეგ დგება დოლარის უზრუნველყოფის მექანიზმის საკითხის პრობლემა. ასეთ მაჩვენებლად თავიდან გამოიყენეს ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი. მაგრამ, რამდენადაც დოლარი გასული იყო მსოფლიოს უმრავლეს ქვეყნებში, როგორც საყოველთაო ანგარიშსწორების ფუნქციის მატარებელი ფული, მისი ემისიის გაზრდისათვის გამოიყენეს ისეთი ფარდობითი მაჩვენებელი, როგორცაა მსოფლიოს მთლიანი შიდა პროდუქტი. მიუხედავად იმისა, რომ აშშ აწარმოებს მსოფლიოს მთლიანი შიდა პროდუქტის დაახლოებით 20%-ს, იგი მოიხმარს ამ პროდუქტის 40%-ს! ეს ფაქტი თავისთავად მეტყველებს იმაზე, რომ ამ სხვაობის კომპენსაცია რაღაცით უნდა მომხდარიყო და ეს ფუნქცია იკისრა დოლარის ემისიამ. აქედან ცხადია, რომ ის ქვეყნები, რომლებიც მოიხმარენ დოლარს, როგორც მსოფლიო ვალუტას, თავიანთი რეალური ეკონომიკით უზრუნველყოფენ მის მსყიდველობითუნარიანობას.

ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ დოლარის მომხმარებელ ქვეყნებს ამ დოლარის ემისიაზე არავითარი კონტროლის მექანიზმი არ გააჩნიათ. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ დოლარის ემისიაზე რეალური კონტროლის მექანიზმი არც აშშ მთავრობას გააჩნია. მაშინ ჩნდება კითხვა თუ ვინ ფლობს ასეთ რეალურ მექანიზმს. ასეთი ექსკლუზიური უფლებების ფუნქციის მატარებელია აშშ-ს ფედერალური სარეზერვო სისტემა (ფრს), ანუ აშშ ცენტრალური ბანკი. ფედერალური სარეზერვო სისტემა – ეს არის კერძო ორგანიზაცია. იგი ეკუთვნის აშშ-ს 20 კერძო ბანკს, რომელთა ძირითადი საქმიანობა და ბიზნესია დაბეჭდონ დოლარი, ანუ მსოფლიო ვალუტა.

მსოფლიოს ექსპერტთა გათვლებით, 1971 წლიდან დღემდე დოლარის მასის მოცულობა მსოფლიოში გაიზარდა რამდენიმე

ათეულჯერ და ბევრად გადააჭარბა რეალურად არსებული სასაქონლო მასის მოცულობას. ყოველივე ეს გვაფიქრებინებს, რომ მსოფლიო ფინანსური კრიზისი მოსალოდნელი იყო. მის ერთ-ერთ მიზეზად სხვა მრავალ მიზეზთა შორის დოლარის მასის კონტროლის მექანიზმების არქონაცაა. მან გამოიღო თავისი რეალური შედეგი – დოლარის მასა არ შეესაბამება აქტივების იმ რეალურ მოცულობას, რომლებიც უნდა უზრუნველყოფილიყო დოლარებით.

აქ არ შეიძლება ერთ ნიუანსსაც არ გაესვას ხაზი. მსოფლიო ფინანსური კრიზისი დაიწყო მაშინ, როდესაც მსოფლიოს ეკონომიკური განვითარების ტემპები გარკვეული სტაბილურობით ხასიათდებოდა. მაგრამ, ეტყობა, ეს უფრო მოხვეწებითი ხასიათის მატარებელი იყო ვიდრე რეალური სურათის გამომხატველი. აქ ნიშანდობლივია ის გარემოებაც, რომ დოლარის ჭარბწარმოება გამდიდრებისათვის გამოიყენება. ჭარბი ფული კი ვირტუალური ფულის ფორმას იძენს, მაგრამ ვის ხელშიც აღმოჩნდება იგი მას შეუძლია ლიკვიდური საკუთრების შესაძენად გამოიყენოს. ამას მივყავართ რეალური ეკონომიკის გარკვეულწილად გეგმურ მსხვერველამდე მისი ხელში ჩაგდების მიზნით. ამ შემთხვევაში ბუნებრივად წავა რეალური აქტივების გაკოტრების გარდუვალი პროცესი. ამ შემთხვევაში მილიონობით ადამიანი დაკარგავს სამუშაო ადგილებს და გაჩნდება უმუშევრობის სრულიად ახალი ფორმები, რადგანაც რეალური მწარმოებლები გადავლენ გაკოტრების რეჟიმში; ამ შემთხვევაში გაჩნდება ეჭვი, რომ ყოველივე ეს კონტროლირებადია. იგი ხორციელდება მიზანმიმართულად და გეგმაზომიერად, რომელიც რეალურად გათვლილია გარკვეულ საბოლოო მიზნებზე. სამწუხაროდ, ყოველივე ეს რეალობად იქცა.

ჩვენთვის საინტერესოა თუ როგორ იმოქმედა ყოველივე ამან საქართველოს ეკონომიკაზე, რა პრობლემების წინაშე დააყენა იგი და რა პერსპექტივები ჩანს მის გამოსასწორებლად.

თითქმის ათ წელზე მეტია უკვე საქართველოს ეკონომიკის საბაზრო გარემოსთან ადაპტირების პროცესი მტკივნეულად მიმ-

დინარეობს. ეს კიდევ უფრო გახანგრძლივდა მსოფლიო ფინანსური კრიზისის ფონზე. თუმცა ჩვენი ეკონომიკა კრიზისამდეც იმყოფებოდა სისტემური კრიზისის ქრონიკულ ფაზაში. ცხადია, მსოფლიო კრიზისმა კიდევ უფრო დაამძიმა ქვეყნის საერთო ეკონომიკური მდგომარეობა. ასეთ პირობებში ახალი ეკონომიკური სისტემის ჩამოყალიბება ისტორიულად ადაპტირებული მეთოდების ტყვეობაში აღმოჩნდა. ეროვნული ეკონომიკების განვითარებისათვის სხვადასხვა ურთიერთგამომრიცხავი კონცეფციებისა და მეთოდოლოგიების გამოცდის კასკადი დაიწყო. მანამდე არსებული და ათწლეულებში ჩამოყალიბებული ეკონომიკური ღირებულებები იგნორირების ქარცეცხლში გაატარეს. ამასთან, თავისუფლება და დემოკრატია თეორიული გააზრების დონეზე დარჩა და მის პრაქტიკულ მოსალოდნელ შედეგებზე არავინ იზრუნა. მან საზოგადოებრივი სიკეთის როლისა და მნიშვნელობის შეზღუდვა გამოიწვია, სუვერენული სახელმწიფო ილუზორულ კნინობით ფორმაში წარმოჩინდა. ბუნებრივია, ამას მოჰყვა მსოფლიოს წონასწორობის დარღვევა. განვითარებული ქვეყნები ელიტარულ რანგში ავიდნენ მაღალი ტექნოლოგიებისა და განუსაზღვრელი ფინანსური რესურსების წყალობით. ამ ქვეყნებმა “ახალი წესრიგის” დამყარება შესთავაზეს დანარჩენ მსოფლიოს. ამით ისინი ცდილობენ საკუთარი ინტერესების დაცვას, რასაც ახერხებენ კიდევაც, რომ არა მსოფლიო ფინანსური კრიზისი, მსოფლიო განვითარების სხვა ვექტორზე გავიდოდა.

განვითარებადი ქვეყნები, ბუნებრივია, ცდილობენ ეროვნული ეკონომიკების ამა თუ იმ ფორმით შენარჩუნებას და ესწრაფიან საკუთარი ადგილის დამკვიდრებას, მაგრამ, უამრავ გარემოებათა გამო, მთლიანად აღმოჩნდნენ დამოკიდებული გარე პოლიტიკურ და ეკონომიკურ ფაქტორებზე. ამ ქვეყნებს იმდენი ძალა არ გააჩნიათ, თვითონ შექმნან განვითარების საკუთარი სტრატეგია, რომ “მათი თავი მათ ეყუდნოდეს”. სამწუხაროდ, საქართველოც მათ რიცხვში აღმოჩნდა. მიუხედავად საუკუნოვანი სახელმწიფოებრივი გამოცდილებისა და საკუთარი “ეკონომიურის წესწყობის” (ილია) არსებობისა, მისი ფუნქციონირებისა და განვითარების

რების სტრატეგია განვითარებულ ქვეყნებში იქმნება. ამ შემთხვევაში მოხდა ყოველგვარი საკუთარის იგნორირება და სტრატეგიასთან ერთად განისაზღვრა “დახმარების” ის ფორმა, რომელიც ხელს აძლევს განვითარებულ ქვეყნებს. ისინი ითვალისწინებენ საკუთარ ისტორიულ გამოცდილებას და საკუთარი კაპიტალის გავლენის ქვეშ მუდმივად ამყოფებენ პატარა ქვეყნებს. ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ დიდი ქვეყნები საკუთარ კაპიტალს მხოლოდ დახმარების ფორმით არ აბანდებენ. ეს კაპიტალი დროთა ვითარებაში უკან უბრუნდება დამფინანსებელს სათანადო სარგებელთან ერთად. ასეთ პირობებში დამოკიდებულების ხარისხი იმდენად მაღალია, რომ პრესინგი მუდმივად მატულობს. ეს კი ახალ სივრცეში ადაპტირების პროცესს წინააღმდეგობებს უქმნის.

უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო წლებში პოსტსოციალისტური ქვეყნების, კერძოდ უკრაინისა და საქართველოს მიმართ გამოიკვეთა წამყვანი ქვეყნების ინტერესები და დღის წესრიგში დადგა მათი “ნატოსა” და “ვეროკავშირში” გაწევრების საკითხი. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ აქ მოხდა ინტერესთა შეჯახება დიდი რესურსების მქონე მესამე ქვეყანასთან – რუსეთთან, რომელიც ყველა გზებით და საშუალებებით ეწინააღმდეგება ამ ორი ქვეყნის “ხელიდან გაშვებას” და ვერაფრით ეგუება მათზე გავლენის დაკარგვას.

ყოველივე ამან არ შეიძლება უდიდესი ზეგავლენა არ მოახდინოს მსოფლიოს პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ პროცესებზე. ეს დღეს აშკარად გამოიკვეთა. ეს მოვლენები სულ სხვა ფასადურ გარემოს ქმნის. მისი შედეგია პოლარიზაციის ის ფენომენი, რომელიც უკვე ჩამოყალიბდა და არც აპირებს შეჩერებას. ეს არის უთანასწორობის ტენდენცია, რომელიც არასახარბიელო მიმართულებით შეიძლება განვითარდეს. მის ნათელ მაგალითს იძლევა შემდეგი ციფრები: ექსპერტთა გათვლებით, პლანეტის მოსახლეობის უმდიდრესთა 20%-ისა და უღარიბესთა 20%-ის შემოსავლების თანაფარდობა თუ 1960 წელს იყო 30:1-თან, 1991 წელს გახდა 61:1-თან, 1994 წელს – 78:1-თან, ხოლო 2004

წელს – 150:1-თან! თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ასეთ შემთხვევაში კანონზომიერება ფაქტობრივად უცვლელია, 2009 და შემდგომ წლებში ტენდენცია უფრო სავალალო იქნება [6, გვ. 23]. აქედან ცხადია, რომ “მდიდრები მდიდრდებიან, ღარიბები ღარიბდებიან”. სამწუხაროდ, პროცესი შეუქცევადი ხდება.

მსოფლიოში მდიდარმა ფენებმა ასეთი კაპიტალი რომ დააგროვეს, ისინი ვერ “ელევიან” ამ ქონებას და მოსახლეობის დაბალი ფენების მიმართ დიდი მოწყალების გაღებისაგან თავს იკავებენ. სხვადასხვა კუმანიტარული პროგრამები ხშირ შემთხვევაში გაუგებარი მიზნობრიობით გამოირჩევა და საერთო მდგომარეობაზე ზეგავლენას ვერ ახდენს. ამ შემთხვევაში სოციალური სამართლიანობის პრინციპი, სამწუხაროდ, ირღვევა და მისი ფართოდ დამკვიდრება საზოგადოებაში შეუძლებელი ხდება. ერთ უაღრესად ნეგატიურ მომენტთანაც გვაქვს საქმე. შეუძლებელია დადგინდეს რესურსების ის ნაწილი, რომელიც ჩამორჩენილი (ფაქტობრივად მოშიმშილე) ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონის თანდათანობით გათანაბრებას, ეკონომიკური გარემოს გაუმჯობესებას, სიღარიბის დაძლევას მოხმარდება. ყოველივე ამას თავისი ირიბი გამოვლინებებიც აქვს მოსახლეობის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის ასაკის დაწვევის თვალსაზრისით.

დღეს მთელი მსოფლიო დგას ერთი უაღტერნატივო რეალობის წინაშე – წამყვანი ქვეყანა-ლიდერები ამუშავენ უამრავ დოქტრინას თუ როგორ უნდა მართონ დანარჩენი მსოფლიო. ეს პროცესი ჯერჯერობით წარმატებით ხორციელდება. ასეთი იდეოლოგიური დოქტრინის შედეგია სწორედ “შოკური თერაპია”, რომელიც გამოყენებულია უამრავ ქვეყანაში და მისი შედეგი, საუბედუროდ, დამანგრეველი ეფექტით უფრო გამოირჩევა, ვიდრე პროგრესულობით. ეს განვითარებული ქვეყნები დღეს დიდ ზეგავლენას ახდენენ სხვებზე მაღალი ტექნოლოგიური მექანიზმების საშუალებით. ისინი ეფექტურად ერევიან სუვერენული ქვეყნების უფლებებშიც. ნიშანდობლივია, რომ ასეთი ტექნოლოგიების პროდუქტს გამოკიდებული ქვეყნები ივიწყებენ საკუ-

თარ ეროვნულ წარმოებას და თანდათანობით დიდი ქვეყნების ეკონომიკური ნების გამტარებლად გვევლინებიან. ამისი ნათელი მაგალითია ის ფაქტი, რომ საქართველოში იმპორტის რაოდენობა ოთხჯერ ჭარბობს ექსპორტის მოცულობას.

არ შეიძლება ხაზი არ გაესვა ერთ საერთაშორისო სავალალო ტენდენციასაც. გლობალიზაციის მარეგულირებელ ძალად დღეს შექმნილია უამრავი საერთაშორისო ორგანიზაცია და ალიანსი. ისინი ცდილობენ სუვერენული სახელმწიფოების ეკონომიკური როლის დაკნინებას (ამის ნათელი დადასტურებაა „ვაშინგტონის კონსენსუსი“, „სახელმწიფოს მინიმალურიზაციის კურსი“ და სხვ.), საბოლოოდ მათი ტრადიციული ფუნქციები თვითონ რომ მიითვისონ. ამის სანიშნო მაგალითია საქართველო და სხვა ქვეყნები, რომლებიც საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და სხვა სტრუქტურების იდეოლოგიური შეხედულებებით ხელმძღვანელობენ, როგორცაა „შოკური თერაპია“, ეკონომიკური ლიბერალიზმი და სხვა, და მათ საფუძველზე განსაზღვრავენ ტრანსფორმაციული პროცესების იდეოლოგიურ საფუძველს. აქვე უნდა ითქვას, რომ სუვერენული სახელმწიფოები იძულებული არიან, კომპრომისებზე წავიდნენ. ამის მაგალითია ისევ და ისევ საქართველო. ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ გარედან შემოსული კაპიტალი ხელოვნურად ქმნის წინააღმდეგობრივ პროცესებს გარე და შიდა ფაქტორებს შორის. ამ შემთხვევაში ტრივიალურ სიტუაციაში ყოველთვის გარე ფაქტორია წარმატებული. თუმცა ინტერესთა თანადამთხვევაც არაა იშვიათობა. საერთაშორისო საზოგადოებების მთავარი მიზნობრიობა კოსმოპოლიტიზმშია (აღბათ არც ისაა შემთხვევითი, რომ გლობალისტებმა სკოლის სახელმძღვანელოებიდან ვაჟა-ფშაველას „ერი და კოსმოპოლიტიზმი“ ამოიღეს?!), ისინი ეკონომიკური ლიბერალიზაციის ეგიდით ცდილობენ საფუძველი გამოაცალონ სახელმწიფოებრიობას, ხელს უწყობენ ისეთი ეკონომიკური იდეოლოგიის დანერგვას, რომელიც სრულ შესაბამისობაში იქნება წარმოების ინტერესებთან. ამით სუვერენული სახელმწიფო სო-

ციალურ ფუნქციას კარგავს და დაქვეითებული იმუნიტეტი უვითარდება.

საქართველოში ბოლო წლების მანძილზე გამოიკვეთა ტენდენცია, როცა ეროვნული სიმდიდრე ტოტალური პრივატიზაციის გზით იყიდება უცხო კაპიტალზე. ეს მეტად საშიშ ტენდენციად გვეჩვენება იმ მხრივაც, რომ სუვერენული სახელმწიფოს ისტორიული როლი ფაქტობრივად წარსულს ბარდება და სუვერენული საქართველოს დამოუკიდებლობის ფენომენი რაღაც ქიმერას ემსგავსება. ეტყობა, გლობალიზაციის ეპოქაში მცირე ფართობის მქონე სახელმწიფოთა ბედი „ძლიერთა ამა ქვეყნისათა“ ხელშია და, სამწუხაროდ, არც მომავალში ელოდებათ მათ ნათელი პერსპექტივა. ამის თქმის უფლებას გვაძლევს ის ტენდენცია, რომელიც ბოლო პერიოდში გამოიკვეთა მსოფლიო ეკონომიკაში. ის საერთაშორისო სტრუქტურები, რომლებიც განსაზღვრავენ მსოფლიო განვითარების ლოკალურ და სტრატეგიულ ვექტორებს, ეროვნული ეკონომიკის კომპლექსურ განვითარებას ხელს უშლიან. ამის უამრავი მაგალითის მოყვანა შეიძლება. მსოფლიო სავალუტო ფონდის რეკომენდაციისა და თანხმობის გარეშე დასავლეთის ქვეყნების კრედიტორები და ინვესტორები თავიანთ კაპიტალს განვითარებად ქვეყნებში არ აბანდებენ. დაბანდების შემთხვევაშიც ეს თანხები მკაცრი მიზნობრიობით გამოირჩევა. საქართველოში ამის ნათელი მაგალითია ის, რომ რამდენიმე წლის წინ პარლამენტის მიერ მიღებულია კანონი ჯართისა და ხეტყის გატანის შესახებ. ეს ქვეყნის სტრატეგიული ნედლეულია, რომელიც ეროვნული ეკონომიკის ზრდის საფუძველს წარმოადგენს და სახელმწიფო ინტერესებს ემსახურება. აქ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ 2000–2007 წლებში ქვეყნიდან გატანილია 500 მლნ ლირებულების ჯართი. ეს ხომ ეროვნული სიმდიდრის განიავების ტოლფასია. ამას მომავალი თაობები უფრო მწარედ შეიგრძნობენ.

დღევანდელ მსოფლიოში უამრავი პრობლემა იჩენს ყოველდღიურად თავს. ბუნებრივია, ჩვენი ქვეყანაც, შიდა პრობლემებთან ერთად, ბევრადაა დამოკიდებული იმ საერთაშორისო რყე-

ვებზეც, რომლებიც ასე მკაცრად გვახსენებენ მათ არსებობას. ჩვენდა სამწუხაროდ, საქართველო გამოსაცდელი პოლიგონის როლში მოგვევლინა და ის რეფორმები, რომლის გატარებამ ის შედეგები არ მოგვცა, ჯერაც განაგრძობს მოქმედებას სხვადასხვა ფორმით. სწორედ ამიტომ, დასავლეთის ელიტარული ექსპერტები დაგვიანებით, მაგრამ მაინც აღიარებენ იმ შეცდომებს, რის წინაშეც დგანან განვითარებადი ქვეყნები. აქედან ცხადია, რომ დასავლეთმა სწორად ვერ განსაზღვრა პოსტსოციალისტურ სივრცეში საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრების ამოცანა.

როგორც ზემოთ ნათქვამიდან ჩანს, ჩვენი ქვეყანა, როგორც ბევრი სხვა, აღმოჩნდა „უცხო კაპიტალის“ (ილია) საცდელი პოლიგონი. „უცხო ბაძი“ (ილია) ისევ და ისევ ქართული მენტალიტეტის წამყვანი ფენომენი აღმოჩნდა. ჯერ კიდევ საუკუნებახვერის წინ გვმოძღვრავდა დიდი ქართველი მოაზროვნე ილია ჭავჭავაძე, „ხშირად მარცხის მიზეზი თვითონ საქმეშია, რომელიც მარტო ცარიელ სურვილზეა აგებული და მოკლებულია საჭირო ცოდნას ადგილის ვითარებისას, ურომლისოდაც კეთილი სურვილიც კი ფეხს და ხელს ვერ გინძრევს, რომ არ შეცდეს და გზა-კვალი არ აერიოს“. სწორედ ამ ცარიელმა სურვილმა, დაჩქარებული წესით გადავსულიყავით ერთი ეკონომიკური ფორმაციიდან მეორეში, მიგვიყვანა იქამდე, რომ დღეს საქართველოს ეროვნული ეკონომიკა არ ფუნქციონირებს. მარტო „ცარიელ ადგილზე“ აგებული სურვილი კი შედეგზე ნაკლებადაა გათვლილი. ამიტომ უამრავი პრობლემა დაგროვდა ქვეყნის განვითარების პროცესში.

ამის უზოგადეს მიზეზთა შორის შეიძლება დავასახელოთ სხვადასხვა მსოფლმხედველობები, რომლებიც ეტაპობრივად თავს მოახვიეს ქვეყანას, სადაც ეროვნული ეკონომიკის ისტორიული თავისებურებები უგულვებლყოფილია და სუბიექტური ფაქტორების თვალსაზრისია გათვალისწინებული. ალბათ ამაში უნდა ვეძებოთ ეროვნული ეკონომიკის განვითარებაში დიდი საწყისები, რამაც გამოიწვია სისტემური კრიზისის მატერიალური, ორგანიზაციული და ფსიქოლოგიური საფუძვლების მომზადება. აქედან

ნათლად ჩანს, რომ ეროვნული ეკონომიკის ამჟამინდელი კრიზისული მდგომარეობა განვითარების პროცესის ლოგიკური შედეგია.

განხილული საკითხების ანალიზი გვიჩვენებს, რომ საქართველოს ეროვნული ეკონომიკა უამრავი “უცხო ბაძის” ფაქტორების ზეგავლენით ფორმირდებოდა და ფუნქციონირებდა კრიზისულ სიტუაციაში. ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში სხვისი იდეოლოგიის ზეგავლენის შედეგად მოწვევტილი იყო ისტორიულ ეროვნულ ფესვებს, მსოფლიო პროგრესულ სამეურნეო გამოცდილებას. იგი, ეროვნულ ორგანიზმში, სხვადასხვა უცხო სხეულის იდეოლოგიური დივერსიის შედეგად, მსოფლიო ეკონომიკის სფეროში ჩამორჩენილ ეკონომიკად ჩამოყალიბდა მთელი თავისი უამრავი გადაუწყვეტელი და გადასაწყვეტი პრობლემით.

ბამოყენებული ლიტერატურა

1. Eurostat.
2. აშშ-ს ვაჭრობის სამინისტროს მონაცემები.
3. აშშ-ს შრომის სამინისტროს მონაცემები.
4. მსოფლიო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის მონაცემები.
5. საერთაშორისო საფინანსო ფონდის მონაცემები.
6. **ჭითანავა ნ.** საქართველოს ეკონომიკის მეტამორფოზები. ჟურნალი “ბიზნესი და კანონმდებლობა”, №4, 2009.
7. **ჭითანავა ნ.** საქართველოს ეკონომიკის მეტამორფოზები. ჟურნალი “ბიზნესი და კანონმდებლობა”, №5, 2009.
8. ჟურნალი “საქართველოს ეკონომიკა”, №6.

Kvaratskhelia Murman

WORLD FINANCIAL CRISIS AND SOME PECULIARITIES OF GEORGIAN ECONOMY

SUMMARY

World financial crisis is one of the main hampering factors of development of national economics of developing countries. The analysis of current situation of Georgian economy shows that it is necessary to strive for finding its own place among world commonwealth by means of maintaining its own economic peculiarities and national economic ideology. Hence, to carry out economic reforms instead of using „foreign uncle” principle it is necessary to use its own ancient historical experience.

ეკონომიკური პოლიტიკა და მისი
ეპოლუციური თეორია

ეკონომიკური პოლიტიკა, შეიძლება ითქვას, ისეთივე ძველია, როგორც კაცობრიობა და როგორც ცნებები: „პოლიტიკა“ და „ეკონომიკა“. ტერმინი „პოლიტიკა“ პირველმა არისტოტელემ გამოიყენა „სახელმწიფოებრივი, საერთო-საზოგადოებრივი საქმეების გაძღოლის მნიშვნელობით“, „ეკონომიკა“ კი – ქსენოფონტემ, როცა, ძველი წელთაღრიცხვით მე-4 საუკუნეში, ბერძნული სიტყვები „იოკოს“ (სახლი, მეურნეობა) და „ნომოს“ (კანონი) შეაერთა. ნათელია, ამ ტერმინების გაჩენა უძველეს დროში, ეკონომიკისა და სახელმწიფოს წარმოშობას უკავშირდება. თუმცა, გასულ საუკუნეში მან ახალი შინაარსი და მნიშვნელობა შეიძინა, როცა, აშშ-ში მიმდინარე დიდი დეპრესიის პერიოდში (1933), ამერიკამ თავის თავზე აიღო საბანკო დეპოზიტების სამთავრობო დაზღვევის ვალდებულება [1, გვ. 11-14].

ეკონომიკური პოლიტიკის მიზნები, ამოცანები და მის საფუძველზე განხორციელებული ქმედებები სხვადასხვა ეპოქასა თუ პერიოდში ერთმანეთისაგან ძალიან განსხვავდება, გამომდინარე სახელმწიფოს წინაშე მდგარი სხვადასხვა პრობლემის გადაწყვეტის აუცილებლობის თუ გაბატონებული კლასის ან საზოგადოებრივი ფენის ინტერესებიდან. არსებობს ეკონომიკური პოლიტიკის განმსაზღვრელი სხვადასხვა განმარტება, რომელთა საფუძველზე ჩვენც შევეცადეთ ეს განმარტება ძალიან მოკლედ ასე ჩამოგვეყალიბებინა: **ეკონომიკური პოლიტიკა, სახელმწიფოსა თუ საზოგადოებრივი ფენის ეკონომიკურ ინტერესთა შესაბამისად, არის სახელმწიფოს მიერ მთლიანად სახელმწიფოში და მის ცალკეულ დარგებსა თუ სფეროებში, ეკონომიკური პროცესების მიმდინარეობაზე ზემოქმედებისათვის შემუშავებული და განხორციელებული მოქმედებებისა და ღონისძიებების სისტემათა ერთობლიობა.**

როგორც ყოველი პოლიტიკა, ისიც, ეკონომიკის ისტორიულად განსაზღვრული წარმოების წესის კონცენტრირებულ გამოხატულებას წარმოადგენს და მასზე მრავალი ფაქტორი ზემოქმედებს. მაგალითად, კლასობრივი ძალების თანაფარდობა, კლასობრივი ბრძოლის განვითარების ხარისხი ქვეყანასა და მსოფლიოში, ომისა თუ მშვიდობის მდგომარეობა და მრავალი სხვა [2, გვ. 1828].

აღტერნატიული მიდგომები პოლიტეკონომიკური პრობლემების კვლევისადმი საერთოდ და ეკონომიკური პოლიტიკისადმი კერძოდ, შემოთავაზებულია სხვადასხვა ეკონომიკური სკოლის მიერ. ჩვენ აქ განვიხილავთ მათგან ერთ-ერთს, რომელიც დაკავშირებულია ავსტრიულ სკოლასა და ევოლუციურ ეკონომიკასთან. მას სახელად **ეკონომიკური პოლიტიკის ევოლუციური თეორია** ჰქვია.

ევოლუციური მიდგომის არსი ეკონომიკაში, ყველა ეკონომიკურ აგენტთან ინფორმაციის ორგვარი შეზღუდვის არსებობაში მდგომარეობს. ჯერ ერთი, ის ჩნდება მომავლის პრინციპული განუსაზღვრელობის გამო, რომელიც ბოლომდე ცნობილი არასდროს არის (განუსაზღვრელობა შუამპეტერის მიხედვით) და მეორეც, იმის გამო, რომ ინფორმაცია, რომელიც ცალკეულ აგენტებს ეკუთვნით, შეუძლებელია დანაწილდეს (განუსაზღვრელობა ჰეიკენის მიხედვით). ეკონომიკური პოლიტიკისადმი ევოლუციური მიდგომა ვარაუდობს, რომ პოლიტიკის რეალიზაციას ასევე ინდივიდები ახდენენ, რომლებიც განუსაზღვრელობის ორგვარ პრობლემას აწყდებიან (დაქუცმაცებულ ცოდნას და განუსაზღვრელ მომავალს). საბაზისო დაშვება იმაში მდგომარეობს, რომ ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებაში ჩართული ყველა აგენტი დროის ნებისმიერ მომენტში ფლობს მხოლოდ მისთვის ხელმისაწვდომი ინსტრუმენტებისა და ამ ინსტრუმენტების ეკონომიკურ პროცესებზე ზემოქმედების შესაძლო ხასიათის არასრულ ცოდნას, ისინი დარწმუნებულები არ არიან თავიანთ მიზნებსა და ინტერესებში. მაშასადამე, საკითხავი ის არის, პოლიტიკური პროცესის მონაწილეები როგორ გადალ-

ხავენ ორგვარ განუსაზღვრელობას სხვადასხვა პოლიტიკურ სისტემაში, რომელთა წარმატება პირდაპირ არის დაკავშირებული მათ უნარზე – ხელი შეუწყონ ინოვაციების ექსპერიმენტირებასა და დანერგვას, შერჩევასა და გავრცელებას პოლიტიკურ სფეროში [3, გვ. 77-94].

ეკოლუციური ეკონომიკა ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირების პროცესს ისე არ განიხილავს, როგორც ახალი პოლიტიკონომია. თუ ამ უკანასკნელში პოლიტიკური პროცესი განიხილება, როგორც ინდივიდუალური უპირატესობების კოლექტიურში „ტრანსფორმირების“ თავისებური მექანიზმი, ეკოლუციური თეორიისათვის საქმე ეხება უფრო სწავლებისა და უპირატესობების გამოვლინების ინსტიტუციურად გაფორმებულ პროცესს, რომელიც მის დაწყებამდე ან არ არსებობდა, ან პროცესის მონაწილეებისათვის ცნობილი არ იყო. შეიძლება გამოიყოს ასეთი მიდგომის სამი ძირითადი ელემენტი: 1) ისინი თვლიან, რომ პოლიტიკური უპირატესობები და შეხედულებები ეფუძნება თეორიებსა და კონცეფციებს, რომელთა ფალსიფიცირებაც შესაძლებელია; 2) გადაწყვეტილებების ფორმირების დემოკრატიული პროცესი დაკავშირებულია უამრავი მოთამაშის ურთიერთქმედებებთან სწავლებისა და ახალი ცოდნის აღმოჩენების პროცესში; 3) დემოკრატიის ძირითად უპირატესობას მოცემულ პროცესში წარმოადგენს უმრავლესობის შეხედულებების არა დომინირების, არამედ კრიტიკის შესაძლებლობა [4, გვ. 223-246].

ეკოლუციური მიდგომის ჩარჩოებში ეკონომიკური პოლიტიკის მთავარი პრობლემა მისი ინსტრუმენტების გამოყენების შედეგების ზუსტი შეფასების შეუძლებლობაში მდგომარეობს. ამიტომ ბაზრებზე რეალური ინვესტიციები ბევრ პრობლემას აწყდება. განიხილება „ინტერვენციების სპირალის“ პრობლემა. მარტივად რომ ვთქვათ, პოლიტიკოსი ცდილობს, გამოასწოროს რეგულირების წინანდელი ფორმის შეცდომები ახალი შეცდომების ხარჯზე, რომელსაც სიტუაციის მხოლოდ გაუარესება შეუძლია [5, გვ. 35]. საერთოდ, ეკონომიკურ პოლიტიკას, ეკოლუციონისტების შეხედულებით, არ შეუძლია მიზანმიმართულად მოაწეს-

რიგოს ეკონომიკური მოთამაშეების ქმედებები; ერთადერთ ქმედლით და წინასწარგანჭვრეტად მის ინსტრუმენტად შეიძლება გადაიქცეს აგენტების ქმედებების შესაძლებლობების გაფართოება. ეკონომიკური პოლიტიკის ნებისმიერი ღონისძიება ახდენს სწავლების პროცესის ინდუცირებას განუჭვრეტადი შედეგებით. ჩავარდნები ეკონომიკურ პოლიტიკაში იმისი შედეგია, რომ ეკონომიკურ სისტემაში ხორციელდება ძალზე რთული და არასწორ-ხაზოვანი ხასიათის ურთიერთკავშირები [6, გვ. 217-249].

ამასთან დაკავშირებით, ევოლუციური მიდგომის მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს **პოლიტიკური მეწარმის** იდეა. არსებითად, საქმე ეხება მეწარმეობის, როგორც „შემოქმედებითი ნგრევის“ (შუმპეტერის მიხედვით) კონცეფციის პოლიტიკურ სფეროში გადატანას. პოლიტიკოსები, ძალაუფლებისა და რესურსებისათვის ბრძოლაში მეტოქეობისათვის, აყენებენ ჰიპოთეზებს ეკონომიკური პოლიტიკის ამა თუ იმ ღონისძიებასთან დაკავშირებით, რათა გამოავლინონ, ამომრჩეველები და ცალკეული ინტერესთა ჯგუფები რას აძლევენ უპირატესობას. ეკონომიკური პოლიტიკის სფეროში, პოლიტიკური მეწარმეობის მიერ შემოთავაზებული ინოვაციები ამომრჩეველთა მიერ ან „მიიღება“, ან „უკუგდებულ“ იქნება. თუმცა მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მეწარმე მოთხოვნას კი არ მისდევს, არამედ თვითონ ქმნის მას; პოლიტიკურ პროცესში ამა თუ იმ ინოვაციის დანერგვამდე ამომრჩეველებს და ინტერესთა ჯგუფებს შეეძლოთ, არც განეხილათ ასეთი შესაძლებლობა; მოთხოვნილების ფორმირების შესაძლებლობა მხოლოდ ინოვაციების დანერგვის პროცესში ჩნდება. ზოგიერთ შემთხვევაში თვით სახელმწიფოს ევოლუცია ახალ და უახლოეს დროში განიხილება, როგორც პოლიტიკაში „მეწარმეობის“ შედეგი (იმ მნიშვნელობით, როგორც ეს შუმპეტერს ესმოდა) [7, გვ. 497-515].

ინოვაციების გავრცელების სხვა ასპექტი **სივრცობრივ** ხასიათს ატარებს და დაკავშირებულია მყარი ფედერაციული სისტემის ფუნქციონირებასთან. პრინციპში, **„ლაბორატორიული ფედერალიზმის“** იდეა არ წარმოადგენს საკუთრივ ევოლუციური

სისტემის შედეგს და გამომდინარეობს ფედერალიზმის კლასიკოსების ნაშრომებიდან. ფედერაციულ სახელმწიფოში სხვადასხვა რეგიონს სხვადასხვა ტიპის პოლიტიკური ინოვაციების ექსპერიმენტირების შესაძლებლობა აქვს. ინოვაციების გავრცელების საკვანძო მექანიზმს წარმოადგენს იურისდიქციების კონკურენცია, გაგებული როგორც **შეცნობის ევოლუციური პროცედურა**. უნდა ითქვას, რომ ნეოკლასიკოსებისაგან განსხვავებით, ევოლუციონისტები ერთმნიშვნელოვნად პოზიტიურად იურისდიქციების კონკურენციას აფასებენ – როგორც ინსტრუმენტს საზოგადოებრივ სექტორში და როგორც პოლიტიკოსების ეგოიზმის შეკავების საშუალებას [8]. ევოლუციონისტები ხაზს უსვამენ ინსტიტუციური სხვადასხვაობის შენარჩუნების გარდაუვალობას ეკონომიკის გლობალიზაციისა და ინტეგრაციის პროცესში [9]. თუმცა, ფედერალური სისტემის არარსებობისას, „სწავლება“ შეიძლება მიზანმიმართული ექსპერიმენტირების ხარჯზე განხორციელდეს, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში თავისუფალი ეკონომიკური ზონების შექმნის მსგავსად [10, გვ. 5-10], მაგრამ, ამ შემთხვევაში, შეიძლება წარმოიშვას მრავალი პრობლემა, დაკავშირებული ინოვაციების გავრცელებასთან რენტის ძიების გამო.

საზოგადოებრივი არჩევანის ევოლუციური თეორია ხშირად „ორმხრივ ცეცხლში“ ექცევა. ერთი მხრივ, ნეოკლასიკოსები ეჭვის ქვეშ აყენებენ თეორიის საბაზისო დასკვნებს. მაგალითად, ფედერაციული სახელმწიფოებისა და იურისდიქციების კონკურენციების უნარს – ხელი შეუწყონ ინოვაციებსა და სწავლებას; მეორე მხრივ, აღწერილ დასკვნებს არ მიიჩნევენ ერთადერთად, რამდენადაც, ეკონომიკური პოლიტიკის ანალიზის საფუძველზე, **ევოლუციური ეკონომიკის** თვალსაზრისით (პოლიტიკური პროცესების ენდოგენიზაციის გარეშე), შესაძლებელია სხვა შედეგების მიღებაც, მაგალითად, შეიძლება მიზანშეწონილი იყოს საერთო წესებზე უარის თქმა, მუდმივი მოქნილობა და მზადყოფნა პოლიტიკური ადაპტაციისათვის [11].

გამოყენებული ლიტერატურა

1. **გველეხიანი მ.** რა არის ეკონომიკური პოლიტიკა. თბილისი, „კომენტარი“. 2006.
2. ВСЭ, III изд. М., Т. 29, стр. 1828.
3. **Witt U.** Economic Policy Making Evolutionary Perspective. Journal of Evolutionary Economics, Vol 13, 2003.
4. **Wohlgemuth M.** Evolutionary Approaches to Politics. Kyklos, Vol. 55, 2002.
5. **С. Измаилов, К. Сонин, М. Юдневич.** Теория экономических механизмов (Нобелевская премия по экономике 2007 г.). Ж. - «Вопросы экономики», № 1, 2008.
6. **Wrobel R. M.** Die Bedcutang der Komplexitat Okonomischer Strukturen fur die wahl wirtschaftspolitischer Strategien . Zeitschrift fur Wirtschaftspolitik, 2001.
7. **Ebner A.** Institutions, Entrepreneurship, and the Rational for the Government: An Outline of the Schumpeterian Theory of the State. Journal of Economic Behavior and Organization, vol. 59, № 4, 2006.
8. О теории институциональной конкуренции и ее роли в развитии Европы. см. **Vanbel R. A.** History of thought on Institutional.
9. **Herrmann-Pillath C.** The Evolutionary Perspective in Institutional Divergence and Competitive Advantage. Systemic Change in the Japanese and German Economies. N. Pascha (ed.).L.:Routledge, 2004.
10. Yu.F.L.T. China's Economic Transformation in the Evolutionary Perspective: Uncertainty. Learning and Experimentation//International Journal of Economic Policy in Emerging Economies. Vol. 1, №1, p. 5-10, 2004.
11. **Stopler W. F.** The Theoretical Bases of Economic Policy: The Schumpeterian perspective Journal of Evolutionary Economics. Vol. 1, № 3, p. 189-205, 1991.

Arevadze Nanuli

ECONOMIC POLICY AND ITS EVOLUTIONAL THEORY

SUMMARY

The article deals with the author's definition of economic policy. There is analyzed evolutionary theory of economic policy, the origin of which is connected with Austrian school and its representatives Schumpeter and Heinek. There is characterized a significant aspect of evolutionary approach, namely, the idea of political producer, when the evolution of the state itself in new and the newest times is regarded as a political "enterprise result".

იზა ნათელაური

თამარ თავლაძე

**საქართველოს ექსპორტი კონსტრუქციების
კვირეულში და მისი გავლენა ქვეყნის
კონსტრუქციულ-ინჟინერინგზე**

საქართველო მრავალმხრივი საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების ქვეყანაა, თანამშრომლობს პარტნიორთა დივერსიფიცირებულ წრესთან და ავითარებს საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების როგორც ტრადიციულ (საგარეო ვაჭრობა, უცხოური ტურიზმი და სხვ.), ისე ახალ (ერთობლივი საწარმოები, თავისუფალი ეკონომიკური ზონები) ფორმებს [1].

საქართველოში ექსპორტი, ტრადიციულად, სანედლეულოა. საზღვარგარეთ გადის ფეროშენადნობები, შავი ლითონების ნარჩენები და ჯართი, სპილენძის მადნები და კონცენტრატები, ცემენტი, დაუმუშავებელი ან ნახევრად დამუშავებული ოქრო, მინერალური ან ქიმიური აზოტოვანი სასუქები, მსუბუქი ავტომობილები და სხვა [2].

ექსპორტს რაოდენობრივად ბევრად ჭარბობს იმპორტი. დეფიციტი ქრონიკული და წლიდან წლამდე მზარდია. 2007 წლის წმინდა ექსპორტის მაჩვენებელმა შეადგინა – 3983 მლნ აშშ დოლარი, 2006 წ. – 2742 მლნ, 2005 წ. – 1624 მლნ, 2004 წ. – 1197 მლნ, 2003 წ. – 680 მლნ აშშ დოლარი.

ცნობილი ფაქტია, რომ ექსპორტის აუცილებლობა ნაკარნახევია, ერთი მხრივ, მოხმარების მეტობით წარმოებაზე და, მეორე მხრივ, იმპორტის აუცილებლობით, რადგან იმპორტზე გა-

წეული ხარჯები უნდა დაფაროს ექსპორტიდან მიღებულმა შემოსავლებმა. საქართველოში ორივე შემთხვევასთან გვაქვს საქმე. წარმოება ნელი ტემპით ვითარდება, ეს კი განაპირობებს სამომხმარებლო იმპორტის სანედლეულო ექსპორტით ჩანაცვლებას. სანედლეულო ექსპორტი და სამომხმარებლო იმპორტი ყველაზე არასასურველი წყვილია საქართველოსნაირ ქვეყანაში. ისმის კითხვა: როდემდე გაგრძელდება ასე? – ასე გაგრძელდება მანამ, სანამ ქვეყანაში არ შეიცვლება საერთო ეკონომიკური ვითარება. პრობლემა მხოლოდ ქვეყნის შიდა პრობლემაა. საქართველო პატარა ქვეყანაა. მას არ შეუძლია ვაჭრობის პირობის შეცვლა და, ამდენად, სასაქონლო ნაკადების მოძრაობა მასში მობილურია.

საგარეო ვაჭრობის ოპერაციებიდან საქართველოში უმნიშვნელოვანესია რეექსპორტის ოპერაცია. მას განსაკუთრებულ აქტუალობას სძენს სატრანსპორტო დერეფანი. თავისი პერსპექტივითა და მნიშვნელობით აზია-ევროპის დერეფანი საქართველოში ბადებს საგარეო ვაჭრობის თვისებრივი განვითარების პერსპექტივას. კერძოდ, განვითარდება მომსახურებით ვაჭრობა, რაც მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნისთვის სასურველია; გაიზრდება ქვეყნის შემოსავლები, შეიქმნება იმპორტის სტრუქტურის გაუმჯობესების რეალური პერსპექტივა; საქონელის ექსპორტსა და იმპორტს ჩაენაცვლება მომსახურების ექსპორტი და იმპორტი. თუ არ შემცირდება საგარეო სავაჭრო ბალანსის დეფიციტი, მას ექნება გამართლება იმ მხრივ, რომ ქვეყანაში გაუმჯობესდება საინვესტიციო გარემო.

აუცილებელია ითქვას ისიც, რომ საქართველოში ექსპორტი, როგორც რაოდენობრივად, ისე სტრუქტურულად, წარმოადგენს ეკონომიკური განვითარების შედეგსაც და სტაბილურობის დამოუკიდებელ ფაქტორსაც.

განსაკუთრებული განსჯის საგანია პოსტკომუნისტური საქართველოს ექსპორტის გეოგრაფია და პარტნიორთა წრე. 2008 წლის მონაცემებით [3], საქართველო თანამშრომლობს 150-ზე მეტ ქვეყანასთან, მ.შ. 134-ში ახორციელებს ექსპორტს. ჩვენი ქვეყ-

ნის მსხვილი სავაჭრო პარტნიორები არიან: თურქეთი, უკრაინა, რუსეთი, გერმანია, აზერბაიჯანი, აშშ, არაბთა გაერთიანებული ემირატები და სხვა ქვეყნები. აქედან უმსხვილესი პარტნიორი ქვეყანაა თურქეთი. ჩვენი ქვეყნის თანამშრომლობა მეზობელ თურქეთთან დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ გააქტიურდა ვაჭრობის, ერთობლივი საწარმოების შექმნის, რეგიონული და სტრატეგიული თანამშრომლობის სფეროებში. საზღვრების გახსნისთანავე საქონელგაცვლითი ოპერაციები საქართველოს ძირითადად თურქეთთან ჰქონდა [1]. გადიოდა: ლითონები, ხე-ტყე, ჯართი, ელექტროენერჯია და სხვ. სანედლეულო საქონელი. შემოდიოდა ერთჯერადი მოხმარების საქონელი ფართო ასორტიმენტით. თურქი პარტნიორების თანამონაწილეობით საქართველოს ტერიტორიაზე რეგისტრაცია გაიარა უამრავმა ერთობლივმა საწარმომ. საქართველოს თურქეთთან აკავშირებს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენიც.

გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებიდან საქართველოს პარტნიორები არიან აზერბაიჯანი, უკრაინა და სომხეთი. საქართველოსა და აზერბაიჯანის თანამშრომლობა ორი ერთნაირ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ მდგომარეობაში მყოფი ქვეყნის თანამშრომლობაა. მათ ერთნაირად ეხებათ კავკასიის რეგიონული პრობლემები. ორივე გარდამავალი ეკონომიკის, მცირე ღია ეკონომიკაზე ორიენტირებული ქვეყანაა. ტერიტორიული სიახლოვე ამ ქვეყნებს შესაძლებლობას აძლევს, აქტიური მონაწილეობა მიიღონ TRASECA-ს პროექტში. ამ პროექტიდან მოსალოდნელი სოციალურ-ეკონომიკური ეფექტები ორივე ქვეყნისთვის ძალზე მნიშვნელოვანია. ნავთობსადენი ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი და ბაქო-თბილისი-სუფსა საქართველო-აზერბაიჯანის წარმატებული თანამშრომლობის პროექტებია.

განვითარებული ქვეყნებიდან საქართველოს პარტნიორებს შორის განსაკუთრებული ადგილი განეკუთნება აშშ-ს, დიდ ბრიტანეთსა და გერმანიას. კვლავ აქტუალურია TRASECA. აშშ-მა ამ პროგრამის ფარგლებში თავის თავზე აიღო აზია-ევროპის სატრანსპორტო დერეფნის უსაფრთხოების დაცვა. საქართველოს

მხარისთვის მნიშვნელოვანია ამ ქვეყნების ფინანსური დახმარება არსებული მძიმე ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე საგადასახდელ ბალანსის დეფიციტის რეგულირებასა და მაკროეკონომიკური წონასწორობის უზრუნველყოფაში [1].

გარდა ცალკე აღებული ქვეყნებისა, საქართველო აქტიურად თანამშრომლობს ევროკავშირის, შავი ზღვის აუზის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ქვეყნებთან (სავაჭრო კავშირების გაფართოების ხაზით), დსთ-ს ქვეყნებთან (სავაჭრო კავშირების გადახედვის კუთხით საქართველო-რუსეთის გამწვავებული ურთიერთობების გამო).

2003-2007 წლებში საქართველოს ექსპორტის მაჩვენებლები მზარდია ქვეყნების ოთხივე ჯგუფის მიხედვით: ა) ევროკავშირის ქვეყნებთან ექსპორტმა შეადგინა – 2007 წ. – 269 მლნ აშშ დოლარი, 2006 წ. – 158 მლნ, 2005 წ. – 165 მლნ, 2004 წ. – 111 მლნ, 2003 წ. – 81 მლნ აშშ დოლარი; 2007 წელს, 2003 წელთან შედარებით, ექსპორტი გაიზარდა 232%-ით, ბ) შავი ზღვის აუზის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის ქვეყნებთან ექსპორტმა შეადგინა – 2007 წ. – 635 მლნ აშშ დოლარი, 2006 წ. – 499 მლნ, 2005 წ. – 499 მლნ, 2004 წ. – 343 მლნ, 2003 წ. – 250 მლნ, 2007 წელს, 2003 წელთან შედარებით, ექსპორტი გაიზარდა 154%-ით. გ) ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ქვეყნებთან ექსპორტმა შეადგინა – 2007 წ. – 612 მლნ, 2006 წ. – 390 მლნ, 2005 წ. – 360 მლნ, 2004 წ. – 272 მლნ, 2003 წ. – 212 მლნ, 2007 წელს, 2003 წელთან შედარებით, ექსპორტი გაიზარდა 18,9%-ით, იმპორტი 277,8%-ით, დ) დსთ-ს ქვეყნებთან ექსპორტმა შეადგინა – 2007 წ. – 462 მლნ აშშ დოლარი, 2006 წ. – 391 მლნ, 2005 წ. – 407 მლნ, 2004 წ. – 328 მლნ, 2003 წ. – 224 მლნ აშშ დოლარი; 2007 წელს, 2003 წელთან შედარებით, ექსპორტი გაიზარდა 10,6%-ით.

სტატისტიკა მეტყველებს საქართველოს სავაჭრო თანამშრომლობის ევროპულ ორიენტაციაზე. თუმცა, ამ შემთხვევაშიც გადაუჭრელ პრობლემად რჩება ექსპორტისა და იმპორტის სტრუქტურული ოპტიმიზაციის საკითხი.

რაც შეეხება დსთ-ს ქვეყნებს, მათ შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ქართულ-რუსული ურთიერთობები, სავაჭრო ეკონომიკური კავშირების ჩათვლით. 2004 წლამდე, ათეულობით წლის განმავლობაში, საქართველოში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა რუსეთთან თანამშრომლობას. საქართველო-რუსეთის ურთიერთობები – პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული, რელიგიური... ატარებდა ისტორიულ ხასიათს. საქართველო და რუსეთი, როგორც ორი მეზობელი და დამოუკიდებელი სახელმწიფო, წლების მანძილზე ვითარდებოდა ერთიანი, ტერიტორიულად დიდი, პოლიტიკურად და ეკონომიკურად ძლიერი ქვეყნის – სსრკ-ს შემადგენლობაში. ორივე ქვეყანას მინიჭებული აქვს გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნის სტატუსი და მსგავსი სასტარტო პირობებით ორიენტირებული იყო ღია ეკონომიკური სისტემების შექმნაზე, საქართველო – მცირე ღია ეკონომიკური სისტემის, რუსეთი კი – დიდი ღია ეკონომიკური სისტემის შექმნაზე. საქართველოს რუსეთზე ეკონომიკური დამოკიდებულების ხარისხი მაღალი იყო 2004 წლამდე. 1998-2004 წლებში რუსეთზე მოდიოდა საქართველოს სავაჭრო სავაჭრო ბრუნვის 19,46%, ექსპორტის საერთო მოცულობის 22,89% და იმპორტის საერთო მოცულობის 18,08%. ექსპორტ-იმპორტის ოპერაციები ხორციელდებოდა 97 სასაქონლო პოზიციის მიხედვით. ექსპორტში დიდი ხვედრითი წილის მჩვენებლით წარმოდგენილი იყო მინერალური წყლები, ღვინო, სპირტიანი სასმელები, კაკალი, მადნები და კონცენტრატები, ფეროშენადნობები და სხვ. 2002-2004 წლებში რუსეთთან როგორც ექსპორტის, ისე იმპორტის ზრდა აღინიშნებოდა. ექსპორტის ზრდის ტემპმა 2003 წელს, 2002 წელთან შედარებით, შეადგინა 144%, 2004 წელს 138,3% 2003 წელთან შედარებით და 199,2% 2002 წელთან შედარებით. იმპორტის შესაბამისი მჩვენებლები ტოლი იყო: 136%-ის, 172%-ის და 234%-ის. წლიური ზრდის ტემპები მეტყველებს იმაზე, რომ რუსეთიდან იმპორტი საქართველოში იზრდებოდა უფრო სწრაფად ვიდრე საქართველოს ექსპორტი რუსეთში. 2005 წლიდან დაწყებული, რუსეთთან საქართველოს როგორც ექსპორტის, ისე

იმპორტის კლების ტენდენცია გააჩნია. 2007 წელს, საქართველოს უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორთა პირველ ათეულში (თურქეთი, უკრაინა, რუსეთი, აზერბაიჯანი, გერმანია, აშშ, ბულგარეთი, არაბთა გაერთიანებული ემირატები, ჩინეთი და თურქმენეთი) მან მესამე ადგილზე გადაინაცვლა.

2003-2007 წლების სტატისტიკური მონაცემების მიხედვით [3], საქართველოს პროდუქცია ექსპორტირდება ევროპის 41, აზიის 42, აფრიკის 19, ამერიკის 29 და ოკეანეთის 3 ქვეყანაში, სულ მსოფლიოს 134 ქვეყანაში. ქართული პროდუქციის მომხმარებელთა შორის პირველ ათეულში შედის: თურქეთი, აშშ, ავღანეთი, სომხეთი, კანადა, ბულგარეთი, გერმანია, რუსეთი, თურქმენეთი და გაერთიანებული სამეფო. საქართველოს სტაბილურად მზარდი ექსპორტი აქვს, **თურქეთთან**, 2003 წ. – 82,5 მლნ აშშ დოლარი, 2004 წ. – 118,6 მლნ, 2005 წ. – 121,9 მლნ, 2006 წ. – 123,3 მლნ, 2007 წ. – 171,8 მლნ, აშშ დოლარი; **აშშ-სთან**, 2003 წ. – 15,4 მლნ აშშ დოლარი, 2004 წ. – 21,2 მლნ, 2005 წ. – 26,8 მლნ, 2006 წ. – 58,5 მლნ, 2007 წ. – 159 მლნ აშშ დოლარი; **ავღანეთთან**, 2003 წ. – 16,4 მლნ აშშ დოლარი, 2004 წ. – 25,4 მლნ, 2005 წ. – 83,4 მლნ, 2006 წ. – 88,5 მლნ, 2007 წ. – 137,5 მლნ აშშ დოლარი; **კანადასთან**, 2005 წ. – 35,6 მლნ აშშ დოლარი, 2006 წ. – 49,8 მლნ, 2007წ. – 70,6 მლნ; **გერმანიასთან**, 2003 წ. – 9,8 მლნ აშშ დოლარი, 2004 წ. – 15,9 მლნ, 2005 წ. – 28,4 მლნ, 2006 წ. – 39,5 მლნ, 2007 წ. – 56,2 მლნ აშშ დოლარი; ზრდის თვალსაზრისით ყურადღებას იმსახურებს **სომხეთი**, ამ ქვეყანასთან საქართველოს ექსპორტმა 2006 წ. შეადგინა 73,6 მლნ, 2007 წელს კი – 110,8 მლნ აშშ დოლარი. 2005 წლიდან მოყოლებული, წლიდან წლამდე კლებადი სტატისტიკა გვაქვს **რუსეთთან**, ცნობილი პოლიტიკური მიზეზების გამო. 2005 წელს რუსეთში გავიდა 153,7 მლნ აშშ დოლარის ღირებულების ქართული საქონელი, 2006 წ. – 75,6 მლნ, 2007 წ. – 43,6 მლნ აშშ დოლარის. პირველ ათეულში შემავალი ქვეყნების ხვედრითი წილის მაჩვენებელი ექსპორტის საერთო მოცულობაში შეადგენს – 2007 წ. – 68,8 %. 2006 წ. – 70,8%, 2005 წ. – 75,0%, 2004 წ. – 83,4%, 2003 წ. – 70,9%-ს.

საქართველოდან ძირითადად ექსპორტირდება მეორადი და კაპიტალური საქონელი [3, გვ. 291]. მათი წილი ექსპორტის საერთო რაოდენობაში შეადგენს 63,5%-ს, მაშინ, როცა სამომხმარებლო საქონლის ექსპორტის წილი მხოლოდ 36,1%-ია 2007 წლის მონაცემებით; 2006 წელს, შესაბამისად, 69,8% და 38,0%; 2005 წელს – 60,8% და 37,7%; 2004 წელს – 62,4% და 35,6%; ხოლო 2003 წელს – 65,7% და 33,9%.

საქართველო ტერიტორიულად პატარა ქვეყანაა, მაგრამ გააჩნია გეოპოლიტიკური უპირატესობები და გეოეკონომიკური თავისებურებები. მისთვის სატრანსპორტო დერეფანი და მომსახურებით ვაჭრობის გაფართოების პერსპექტივა პრაქტიკული რეალობაა. მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ინფორმაციის თანახმად, იგი ბიზნესის კეთების თავისუფლების მაღალი მაჩვენებლებით გამოირჩევა. ეს კი ქვეყნის საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის ამაღლების ობიექტური საფუძველია და, საბოლოო ჯამში, მოემსახურება ეკონომიკურ ზრდას, ჩვენი თანამოქალაქეების სოციალური პრობლემების მოგვარებასა და მათი ცხოვრების დონის გაუმჯობესებას.

ბამოყენებული ლიტერატურა

1. **ნათელაური ი.** საგარეო ეკონომიკური კომპლექსის ფუნქციონირება და განვითარება გარდამავალ ქვეყანაში მცირე ღია ეკონომიკით (საქართველოს მაგალითზე). თბილისი, "მეცნიერება", 2004.
2. **საქართველოს ეკონომიკური ტენდენციები.** ეკონომიკური პოლიტიკისა და სამართლებრივი საკითხების ქართულ-ევროპული ცენტრი, თბილისი, 2008.
3. **საქართველოს სტატისტიკური წელიწადეული 2007.** საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, სტატისტიკის დეპარტამენტი, თბილისი, 2007.

**GEORGIAN EXPORT IN POSTSOCCOMMUNIST PERIOD AND ITS
INFLUENCE ON COUNTRY COMPETITIVENESS**

SUMMARY

The article analyses quantitative and structural indices of export, of postcommunist Georgia geography and the tendencies of their change; there are researched the possibilities of export optimization in our country and stated the quality of its influence on the increase of country competitiveness.

*თინათინ ჩხეიძე
მამუკა ხუსკივაძე
ქეთევან ქველასძე*

უმუშევრობის ზოგიერთი ასპექტი საქართველოში

შრომისუნარიანი მოსახლეობის დასაქმება და უმუშევრობის დონის შემცირება ეკონომიკური განვითარებისა და სიღარიბის დაძლევის საკვანძო პრობლემაა.

უმუშევრობა არის ისეთი სიტუაცია, როდესაც შრომისუნარიანი მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს არ შეუძლია თავისი უნარის გამოყენება და შრომის სარეზერვო არმიად იქცევა. უმუშევრობა ძლიერდება ეკონომიკური კრიზისისა და დეპრესიის პირობებში, რადგანაც სამუშაო ძალაზე მოთხოვნა მკვეთრად მცირდება.

უმუშევრობის პრობლემა გაცილებით უფრო მტკივნეულია საქართველოს მოსახლეობისათვის ვიდრე ამას ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების ანალიზი გვიჩვენებს. ბოლო წლებში საქართველოში ჩატარებული არაერთი გამოკითხვის მიხედვით, უმუშევრობამ პირველი ადგილი დაიკავა იმ პრობლემებს შორის,

რომელიც საქართველოს მოსახლეობას ყველაზე მეტად აღელვებს [3].

შრომის სფეროში არსებული პრობლემების დაძლევა და ქმედითი ღონისძიებების გატარება შესაძლებელია მხოლოდ შრომის ბაზარზე რეალური მდგომარეობის ანალიზისა და შეფასების საფუძველზე. ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები, რომლებიც ეფუძნება საერთაშორისო ეკონომიკური და სტატისტიკური ინსტიტუტების მიერ რეკომენდებულ მეთოდოლოგიას და კლასიფიკატორებს, ხშირად არ იძლევა ობიექტური დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას.

მოსახლეობის დასაქმების, უმუშევრობის, შემოსავლებისა და სიღარიბის ღონის საკითხებზე მსჯელობისას აუცილებლად გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ შრომის ბაზარი, სადაც, მნიშვნელოვანწილად, ზემოთ ხსენებული პრობლემები უნდა წყდებოდეს, სპეციფიკური ბაზარია.

შრომის ბაზრის სპეციფიკურობა იმაში მდგომარეობს, რომ საქმე გვაქვს სპეციფიკურ რესურსთან – ადამიანთან, რომელიც ხასიათდება ფსიქოლოგიური, სოციალური, კულტურული, რელიგიური და პოლიტიკური თავისებურებებით. ამიტომ სახელმწიფო პოლიტიკა, რომელიც დაეფუძნება შრომის სფეროში განსახორციელებელ ღონისძიებებს და ეკონომიკურ მექანიზმებს, უნდა ითვალისწინებდეს ადამიანის, როგორც ეკონომიკური ზრდის მთავარი ფაქტორის, მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას, როგორც ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემის განვითარების უმთავრეს მიზანს.

სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით, საქართველოში უმუშევრობის ღონე უკანასკნელი 8 წლის მონაცემებით იზრდება. მაგ., 2000 წელს უმუშევართა რაოდენობა იყო 212,3 ათასი კაცი, რაც ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის 10,3%-ს შეადგენს, ხოლო 2007 წელს ანალოგიური მაჩვენებლები, როგორც აბსოლუტურ, ისე პროცენტულ გამოხატულებაში გაიზარდა და შეადგინა 261,0 ათასი კაცი, ანუ ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის 13,3%. ცხადია, უმუშევრობის 3%-იანი ზრდა (48,7 ათასი

კაცი) ისეთი ქვეყნისათვის, რომლის მოსახლეობა 2007 წლისათვის 4394,7 ათასი კაცი იყო – კრიტიკული ციფრია.

უმუშევრობის მსგავსი შემთხვევა, თუნდაც რამდენიმე ათასით უმუშევრობის ზრდა, სხვა ქვეყნებში (მაგ., გერმანია, საფრანგეთი, აშშ და ა.შ.) აღიქმება, როგორც ეკონომიკური ზრდის შემაფერხებელი ინდიკატორი და, შესაბამისად, მთელი ძალისხმევა მიიმართება გამომწვევი მიზეზის აღმოსაფხვრელად. უმუშევრობის ყველაზე მაქსიმალური დონე საქართველოში დაფიქსირდა 2005 წელს (13,8%). 2007 წელს, 2005 წელთან შედარებით, უმუშევრობის დონე (0,5%) და უმუშევართა რიცხვი (18,3 ათასი) რამდენადმე შემცირდა. ამ მაჩვენებლის მიხედვით, ცვლილება დადებითად უნდა შეფასდეს. სტატისტიკური მონაცემების მიხედვით უმუშევრების რიცხოვნობა და დონე იზრდება მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის პარალელურად. 2001-2007 წლებში რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპებმა საშუალოდ 8,4% შეადგინა, ხოლო 2007 წელს, 2001 წელთან შედარებით, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა 3249,1 მილიონი ლარით, ანუ 64,1%-ით გაიზარდა. მთლიანი შიდა პროდუქტის ასეთ მნიშვნელოვან ზრდას უმუშევრობის დონის და უმუშევართა რიცხვის შემცირება უნდა მოჰყოლოდა, თუმცა, სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით, უმუშევრობა არ იზრდება, ან უკეთეს შემთხვევაში, უმნიშვნელოდ მცირდება [3]. შეიძლება ვიფიქროთ, რომ კაპიტალტევადი ტექნოლოგიების დანერგვამ მოკლევადიან პერიოდში სტრუქტურული უმუშევრობა გამოიწვია, თუმცა აშკარაა, რომ საქართველოს ეკონომიკის დარგებში იმ მასშტაბების კაპიტალტევადი ტექნოლოგიები არ დანერგილა, რომ მნიშვნელოვანი სტრუქტურული უმუშევრობა გამოიწვიოს. მით უფრო, რომ ბოლო წლების სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, მოსახლეობის 55,0% ისევ სოფლის მეურნეობაშია დასაქმებული, სადაც, სამწუხაროდ, ჯერჯერობით არსებითი ტექნიკური და ტექნოლოგიური ცვლილებები არ მომხდარა.

უმუშევართა რიცხვი ამავე პერიოდში გაზარდა სახელმწიფო სტრუქტურებიდან გათავისუფლებულმა მოსახლეობამ. სტატის-

ტიკის დეპარტამენტის მონაცემებით, 2000 წელს სახელმწიფო სექტორში დასაქმებულთა რიცხვი 467 ათას კაცს შეადგენდა, ხოლო 2006 წელს მათი რიცხვი 115,7 ათასით, ანუ 24,3%-ით შემცირდა. იმავე პერიოდში არასახელმწიფო სექტორში დასაქმებულთა რიცხვის ზრდას ჰქონდა ადგილი, მაგრამ გაცილებით უფრო ნაკლები მასშტაბით. კერძოდ, არასახელმწიფო სექტორში დასაქმებულთა რიცხვი მხოლოდ 24 ათასით გაიზარდა.

დასაქმების პოლიტიკის შეფასების ერთ-ერთი კრიტერიუმში ქვეყანაში უმუშევრობის დონეა, რომელიც განვითარებულ ქვეყნებში უმუშევრობის ბუნებრივ დონესთან ახლოსაა.

არსებული სოციალური დაცვის სისტემებისა და დასაქმების პოლიტიკის თავისებურების გამო ევროპის რიგი ქვეყნები ე. წ. კეთილდღეობის სახელმწიფოებად მოიხსენიება. დღეისათვის ევროპის კეთილდღეობის სახელმწიფოები მრავალი პრობლემის წინაშე აღმოჩნდნენ. ექსპერტები ფიქრობენ, რომ სოციალური ტრანსფერების ტვირთი, დემოგრაფიული პროცესები, დაბეგვრისა და შენატანების მაღალი დონე და ამით გამოწვეული სტიმულების შემცირება ეკონომიკური ზრდის შემაფერხებელ ფაქტორს წარმოადგენს. უმუშევრობის ზრდის ტენდენციას ხსნიან ევროპის ქვეყნების ეკონომიკური სისტემის უუნარობით, ოპტიმალურად გამოიყენონ თავიანთი ეკონომიკური პოტენციალი [2].

ევროპის კეთილდღეობის სახელმწიფოებში სოციალური დაცვის არსებული დონის შენარჩუნება საკმაოდ რთულია, რადგან ქვეყნის მასშტაბით გაზრდილი სოციალური ხარჯები მოითხოვს დიდი მოცულობით შენატანებს სოციალურ ფონდში და, შესაბამისად, მაღალი საგადასახადო განაკვეთის დაწესებას. სოციალური შენატანების გადიდება განაპირობებს სამუშაო ძალაზე გაწეული დანახარჯების ზრდას, რაც, თავის მხრივ, საერთაშორისო კონკურენციის პირობებში ამცირებს საწარმოთა კონკურენტუნარიანობას და ისინი იძულებულნი არიან, გამოიყენონ კაპიტალტევადი ტექნოლოგიები ან თავიანთი საქმიანობა გააგრძელონ ისეთ ქვეყნებში, სადაც სოციალური დანახარჯები უფრო ნაკლებია. აღნიშნული ნეგატიურად მოქმედებს სამუშაო

ძალის მოთხოვნაზე. დიდი დანახარჯებით გამოწვეული უმუშევრობის ზრდის ტენდენცია მიანიშნებს იმაზე, რომ ეკონომიკა ფუნქციონირებს ისეთ პირობებში, როდესაც არ გამოიყენება, ან არაოპტიმალურად გამოიყენება ეკონომიკაში არსებული სიმძლავრეები. ამას ემატება ისიც, რომ მიკროდონეზე სოციალური დახმარების მიმღებთა ქცევა აღრმავებს ნეგატიურ ეკონომიკურ შედეგებს, ვინაიდან სოციალური დახმარებების მაღალი დონე იწვევს ადამიანთა სტიმულების დამახინჯებას.

თუ დახმარების დონე მაღალია, უმუშევარი ადამიანები ფაქტობრივად წყვეტენ დაბალანაზღაურებადი სამუშაოების მოძიებას, რადგან ასეთ სამუშაოებზე შრომის ანაზღაურება თითქმის უახლოვდება სოციალური დაცვის ფარგლებში გაცემულ დახმარებას. ამის შედეგად იზრდება ეკონომიკური პასიურობის დონე, რაც ფინანსდება სოციალური დაცვის სხვადასხვა ტრანსფერების ხარჯზე. სოციალური ხარჯების ზრდა უარყოფით ზეგავლენას ახდენს მთლიანად ეკონომიკის კონკურენტუნარიანობაზე და, შესაბამისად, აღრმავებს სოციალური დაცვის ეროვნული სისტემების ნეგატიურ მაკროეკონომიკურ შედეგებს [6].

უმუშევრობით გამოწვეული ნეგატიური ეკონომიკური შედეგების შემცირების გზები უნდა ვეძებოთ უმუშევრობისა და მისი დონის შემცირების ღონისძიებების გამონახვით. ასეთად ჩვენ მიგვაჩნია, პირველ რიგში, ქვეყანაში დასაქმების აქტიური პოლიტიკის შემუშავება და მისი პრაქტიკული რეალიზაცია. შრომის ბაზრის ეფექტიანი ფუნქციონირება, სტატისტიკური მონაცემების სანდოობა.

პირველ რიგში ხელი უნდა შეეწეოს არასახელმწიფო სექტორს, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას, რომელსაც შეუძლია სამუშაო ადგილების შექმნა და მოსახლეობის დიდი ნაწილის დასაქმება.

ამ საქმეში სახელმწიფო პოლიტიკის მიზანი უნდა იყოს დასაქმების ღონის გადიდებისა და სამუშაო ადგილების ზრდის სტიმულირების პროგრამების შემუშავება, მუშაკთა მომზადება-გა-

დამზადება, უმუშევართა სოციალური დაცვის რეგულირება და სხვა.

ბამოყენებული ლიტერატურა

1. აბესაძე რ. ეკონომიკური განვითარება, თბილისი, 2006.
2. წერეთელი გ., ბიბილაშვილი ნ. პოსტკომუნისტურ ქვეყნებში უმუშევრობით გამოწვეული ნეგატიური ეკონომიკური შედეგების განსაზღვრისა და შემცირების გზები, თბილისი, 2004.
3. კვიციანი მ. დასაქმების პრობლემის გადაწყვეტის მიმართულეები, საქ. სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი. ბიულეტენი №112, 2009.
4. „ახალი ამბები – საქართველო“, თბილისი, 2007.
5. ანთაძე ც. სიღარიბის დაძლევა და სოციალური სტაბილურობა. ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკა და საქართველო, 2008.
6. Хусманис Р., Мехрам Ф., Верма В. Исследование экономически активного населения. М., "Финстатинформ", 1994.

Chkheidze Tinatin

Khuskivadze Mamuka

Kveladze Ketevan

PROBLEM OF SUSTAINABLE DEVELOPMENT AND UNEMPLOYMENT IN GEORGIA

SUMMARY

The article discusses economic problem connected with unemployment growth in the country. The article shows that unemployment problem is much more morbid for the population of Georgia than it is pointed in the analysis of official statistical data.

For the liquidation of negative economic results caused by unemployment first, it is necessary to work out actual politics of unemployment in the country, efficient functioning of labor market, reliability of statistical data.

ლინა დათუნაშვილი

**საქართველოს სოფლის მეურნეობის ინვესტიციური
უზრუნველყოფა**

საქართველოს ეკონომიკის პრიორიტეტულ დარგებს შორის სოფლის მეურნეობას ერთ-ერთი პირველი ადგილი უჭირავს, მისი როლი დღითი დღე იზრდება, რადგან მეურნეობის ეს სფერო ადამიანის სიცოცხლისათვის აუცილებელ პროდუქტს აწარმოებს. ჩვენს ქვეყანაში უკანასკნელ წლებში მიმდინარე კატაკლიზმების შედეგად ამ დარგის სიცოცხლისუნარიანობა და ფუნქციონირება სხვა დარგებთან შედარებით ნაკლებად დაქვეითდა. მიუხედავად

აღნიშნულისა, სასოფლო წარმოების აღდგენისათვის მაინც განსაკუთრებული ყურადღებაა საჭირო, რაც გამოიხატა სოფლის მეურნეობისა და სახელმწიფო საინვესტიციო ექსპერტების დახმარებით შემუშავებულ სახელმწიფო საინვესტიციო პროგრამებში. მსოფლიო საერთაშორსო და არასამთავრობო ორგანიზაციებმა საქართველოში 1993 წლიდან დაიწყეს პრაქტიკული საქმიანობა. ამ პერიოდიდან იღებს ჩვენი ქვეყნის აგრარული სექტორი ფინანსურ და ტექნიკურ დახმარებას. 1993-1994 წლებში პროგრამებმა მოიცვა: ეთეროვანი და მცენარეული ზეთების, სოიოსა და სასურსათო მარცვლეულის წარმოება. ხეხილის ინტეგრირებული დაცვა, ჩაის დარგის განვითარება, უვირუსო ელიტური სათესლე კარტოფილის წარმოება, საკონსერვო მრეწველობის განვითარება, სანაშენე დეკეულების, კურომწარმოებლების და სანაშენე ღორების შექმნა, მათი სრულფასოვანი კომბინირებული საკვებით უზრუნველყოფა.

ამ პერიოდში საქართველოში საქმიანობა დაიწყო მსოფლიო ბანკის მისიამ, TACIS-ისა და დასავლეთის სხვა კომპეტენტურმა ექსპერტებმა. მათ მიერ წარმოდგენილი დასკვნების შესაბამისად სასოფლო-სამეურნეო რეფორმის განხორციელება, მიწის საკუთრების იურიდიული აღიარება და პირველადი რეგისტრაცია საქართველოსათვის ტექნიკური დახმარების გაწევისა და ინვესტიციების გამოყოფის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად იქნა მიჩნეულ.

ტექნიკური დახმარების ხაზით მეჩაიეობის გამოცოცხლებისა და განვითარებისათვის წარმოდგენილი დასკვნები შეეხებოდა: ჩაის მწვანე ფოთლიდან სწრაფად ხსნადი ჩაის წარმოების განვითარებას. ჩაის ნედლეულიდან სამკურნალო-პროფილაქტიკური, ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერების წარმოების ტექნოლოგიის დამუშავებას, ელიტური მწვანე ჩაის ფოთლისა და შავი ჩაის წარმოებაში ღნობის პროცესის ეფექტიანი ტექნოლოგიის დამუშავებას, სხვადასხვა წონის კოლოფებში ჩაის დაფასოების ტექნიკისა და ტექნოლოგიის ნაკადური სისტემების დამუშავებას.

1994-1995 წლებში, ევროკავშირის სასურსათო დახმარების პროგრამის ფარგლებში, ადგილობრივ ბაზარზე ხორბლისა და ფქვილის რეალიზაციის შედეგად აკუმულირებული სახსრებით შეიქმნა ე.წ. „საპარტნიორო ფონდი“, ხოლო 1995 წლის 6 ოქტომბერს საქართველოს მთავრობასა და ევროკავშირს შორის ხელმოწერილი მემორანდუმით საპარტნიორო ფონდიდან სახსრები აგრარულ სექტორში, კერძოდ, მარცვლეულის წარმოების შესყიდვისა და გადამუშავების ქვედარგებში დაბანდა. 1996 წელსაც გრძელდებოდა „საპარტნიორო ფონდიდან“ თანხების გაცემა ძირითადად მარცვლეულის კერძო ფირმა-კომპანიებსა და კერძო მწარმოებლებზე. გაცემული თანხით დამუშავდა მიწის ფართობი, სადაც მოიყვანეს ხორბალი, სიმინდი, სოიო, ქერი და შვრია. მარცვლეულით მოვაჭრე და გადამამუშავებელი ფირმა-კომპანიებზე გაცემული თანხით შესრულდა 53 პროექტი.

საპარტნიორო ფონდის კრედიტი, მარცვლეულის წარმოებასა და გადამუშავების დარგში ამოღებულ საპროცენტო ამონაგებთან ერთად, 1998 წლის I ნახევარში სახელმწიფო ბიუჯეტში იქნა შეტანილი აგრარული სექტორის ხელშესაწყობად [1].

1996 წლის ბოლოსათვის მსოფლიო ბანკის (IDA) და სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდის (IFAD) ინვესტიცია გაიცა წარმოებისა და სასოფლო-სამეურნეო სერვისის გაფართოებაზე.

1997 წლის დასაწყისში მსოფლიო ბანკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდის მიერ გაცემული სესხით განხორციელებულ პროექტში განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა სოფლად საკრედიტო კავშირების შექმნაზე. პროექტის ეს კომპონენტი გათვალისწინებული იყო მცირე სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის დასაფინანსებლად, რისთვისაც აღნიშნული თანხიდან ყოველ საკრედიტო კავშირზე გაიცა 5 ათასი აშშ დოლარი.

მსოფლიო ბანკმა 1995-2005 წლებში საქართველოში განახორციელა სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტის ინვესტირება. პროექტის თავდაპირველი ამოცანა და მიზანი იყო სა-

ქართველოში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების ამაღლება კერძო სექტორში, ფერმერული საქმიანობის განვითარებისა და აგროგადამუშავების მხარდაჭერით. აქ ყურადღება გამახვილებული იყო სოფლად საკრედიტო სისტემის განვითარებაზე, მიწის ბაზრის განვითარების ხელშეწყობაზე და აგრარულ სექტორში არსებული ძირითადი დაბრკოლებების განსაზღვრისა და მათი დაძლევის ღონისძიებების შემუშავებაზე. პროექტის თავდაპირველი კომპონენტები იყო: I. კრედიტები საწარმოებისთვის, რომლებიც ფუნქციონირებდნენ სოფლად. ძირითადად აგროგადამამუშავებელი საწარმოები. II. საკრედიტო კავშირები ითვალისწინებდა სოფლად საკრედიტო ქსელის განვითარებას, რომელიც დაეხმარებოდა მცირე ფერმერებს, მიკროსაწარმოებსა და, საერთოდ, სოფლის მოსახლეობას სესხებით და გაუწევდა მათ ფინანსურ მომსახურებას. III. მიწის რეგისტრაცია – მიწაზე კერძო საკუთრების შემოღების შემდეგ მიწის ბაზრის განვითარების საჭიროებისათვის პირველ ეტაპზე დაგეგმილი იყო მიწის რეგისტრაციის პროგრამის შემუშავება გარდაბნისა და მცხეთის რაიონებში და აქ მიღებული გამოცდილების გამოყენება ქვეყნის სხვა რაიონებში. IV. სასოფლო-სამეურნეო მომსახურება – პროექტით გათვალისწინებული იყო მთავრობის დახმარება აგრარულ სექტორში საჭირო კვლევების შესამუშავებლად, რომელიც მიზნად ისახავდა პრიორიტეტული სასოფლო-სამეურნეო მომსახურების განსაზღვრას, კერძო და საზოგადოებრივ სექტორებში როლების განაწილებას.

პროექტი მომზადდა IFAD-თან მჭიდრო თანამშრომლობით, რომელმაც დახმარება გაუწია პროექტის შედგენას და უზრუნველყო საკრედიტო კავშირებისა და მიწის რეგისტრაციის კომპონენტების თანადაფინანსება. პროექტი სამჯერ გაგრძელდა 2002 წლის აპრილიდან 2005 წლის ივნისამდე, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს (NAPR) მტკიცე საფუძვლის შესაქმნელად, რომელიც შეცვლიდა გაუქმებული მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტს.

საკითხის შესწავლის შემდეგ აღმოჩნდა, რომ საწარმოთა დაკრედიტების კომპონენტმა შეასრულა განვითარების დასახული ამოცანა და სოფლად კომერციული ბანკების მეშვეობით გაზარდა კრედიტის ნაკადები სასოფლო კომერციული კრედიტების სისტემის შექმნის გზით. სესხები გაიცა აგრობიზნესსაწარმოებზე, რომლებიც ემსახურებოდა სოფელს. უმრავლესობამ წარმატებას მიაღწია სოფლად სამუშაო ადგილების უზრუნველყოფის, საექსპორტო სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების სფეროში და პროექტით გათვალისწინებულზე მაღალი მოგების ნორმა მიიღო.

საკრედიტო კავშირების განვითარების ამოცანა – მცირე კერძო ფერმერებისათვის ფინანსების ხელმისაწვდომობის გაზრდა, საკრედიტო კავშირების სისტემის მეშვეობით იქნა მიღწეული. ამ პერიოდში საქართველოში მიღებულ იქნა კანონი საკრედიტო კავშირების შესახებ და საქართველოს ეროვნულ ბანკში (NBG) შეიქმნა არასაბანკო სადებოზიტო დაწესებულებების სახედამხედველო დეპარტამენტი. ამ კომპონენტის სასესხო ფუნქციები შეიძლება წარმატებულად ჩაითვალოს, დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ პირველად, საკრედიტო კავშირების შემოქმედება სოფელზე ძალზე მნიშვნელოვანი იყო, რითაც სოფლის მოსახლეობისათვის ფინანსური მომსახურება ხელმისაწვდომი გახდა.

მიწის რეგისტრაციის კომპონენტმა შეასრულა მისთვის დასახული ამოცანები, რომლებიც უკავშირდებოდა ინდივიდუალური პირებისა და ფირმებისათვის მიწაზე საკუთრების უფლებების გაცემის შესაძლებლობების განვითარებას. სარეგისტრაციო სისტემა შეიქმნა ორ პილოტურ რაიონში, გარდაბნისა და მცხეთის რეგიონულ ოფისებში და ნაკვეთების უმეტესობის რეგისტრაცია ეფექტიანად დასრულდა. ამის შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა მიწასთან დაკავშირებული ტრანსაქციების რიცხვი ამ რაიონებში. მიწის საკუთრების სერტიფიკატების გაცემა ხდებოდა ძალზე სწრაფად. 2004 წელს, მიღებულ იქნა კანონი სახელმწიფო რეესტრის შესახებ და შეიქმნა NARP.

სასოფლო-სამეურნეო მომსახურების კომპონენტმა შეასრულა მის წინაშე დასმული ამოცანები. კომპონენტის ფარგლებში

ჩატარებული გამოკვლევების შედეგად მომზადდა და განხორციელდა მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებული ორი პროექტი, ირიგაციისა და დრენაჟის მომხმარებელთა ორგანიზაციების განვითარების პროექტი (IDCDP) და სასოფლო-სამეურნეო კვლევების, დანერგვა-გავრცელებისა და სწავლების პროექტი (ARET). IDCDP მიზნად ისახავს წყალმომარაგების პრობლემების შემცირებას საქართველოში საირიგაციო და სადრენაჟო ობიექტების რეაბილიტაციის მეშვეობით, რომლებიც 110000 ჰა ტერიტორიას ემსახურება.

კრედიტები საწარმოებისათვის: ამ კომპონენტის ფარგლებში აგრობიზნესსაწარმოებზე, რომლებიც სოფელს უწევს მომსახურებას, რვა კომერციული ბანკის მეშვეობით გაიცა 48 სესხი, 8,56 მლნ აშშ დოლარის ჯამური ოდენობით. სესხები გამოყენებული იყო კაპიტალდაბანდებისა და საბრუნავი კაპიტალის დასაფინანსებლად – ექვს ხილისა და ბოსტნეულის საკონსერვო საწარმოში, ათ ღვინის საწარმოში, ოთხ წისკვილში, ხუთ მინერალური წყლებისა და უაღკოპოლო სასმელების ქარხანაში, შვიდ თხილის წარმოებისა და გადამამუშავებელ საწარმოში, ორ ჩაის გადამამუშავებელ ფაბრიკაში, რვა მეცხოველეობის ფერმაში, ორ ხორცის გადამამუშავებელ ქარხანაში, ერთ ხის გადამამუშავებელ საწარმოსა და სამ მემცენარეობის ფერმაში. 7,47 მლნ აშშ დოლარი გადაირიცხა IDA-ს ფონდებიდან და 1,09 მლნ აშშ დოლარი – ბრუნვადი ფონდიდან. 48 ქვეპროექტიდან 73% ექსპორტზე იყო ორიენტირებული, ხოლო 27% – საშინაო ბაზარზე. 48 დამტკიცებული ქვესესხიდან ოთხი ვადამდე დაიხურა, რადგანაც ისინი გამოიყენეს განსხვავებული ამოცანებისათვის, ასევე არსებობდა პრობლემები მენეჯმენტში.

საკრედიტო კავშირები – ამ კომპონენტებით შესაძლებელი გახდა სოფლის მოსახლეობის სესხებით უზრუნველყოფა. 2005 წლის ბოლოსათვის საქართველოში საკრედიტო კავშირის 5831 წევრიდან, რომელთაგან სამი მეოთხედი ქალი იყო, სესხი აიღეს მემცენარეობისა და მეცხოველეობის წარმოებისათვის საწყისი მასალების, ვაჭრობის, სასურსათო პროდუქტების გადამამუშავებისა

და ოჯახში გადაუდებელი საჭიროებისათვის. საკრედიტო კავშირის წევრები დიდად აფასებენ ამ კავშირებიდან სესხის აღებისა და ასევე ფულის შენახვის შესაძლებლობას.

საქართველოში მიწის რეგისტრაციისათვის პროექტმა წარმატებით შექმნა სარეგისტრაციო სისტემა ჯერ გარდაბნისა და მცხეთის რაიონულ ოფისებში, შემდეგ კი ამ წარმატებამ განაპირობა პროექტის მხარდაჭერის გაფართოება დამატებით 37 რაიონულ ოფისზე.

ბოლო წლებში საქართველოში ეკონომიკის ზრდა ძირითადად განაპირობა ქვეყანაში კაპიტალის შემოდინებამ. ეს არის უმთავრესად პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და ფულადი გზავნილები.

საქართველოს ეკონომიკის ძირითად კაპიტალში განხორციელებული ინვესტიციების თანაფარდობის ტენდენცია და ინვესტიციების ზრდის საერთო დინამიკა 1996-2007 წლებში ასეთია: აღნიშნულ პერიოდში საქართველოში სულ ინვესტიციები ძირითად კაპიტალში 718,2 მლნ ლარიდან იზრდება – 1537,8 მლნ ლარი 2000 წელს და 4805,6 მლნ ლარამდე 2007 წელს. ინვესტიციების ზრდის დინამიკა შესამჩნევი იყო ქვეყნის მეურნეობის ყველა დარგსა და სფეროში. ჩვენ ყურადღებას ვამახვილებთ სოფლის მეურნეობის, ნადირობა-მეტყვევობისა და თევზჭერის დარგზე. სადაც ინვესტიციები ძირითად კაპიტალში 1996 წელს 36,1 მლნ ლარიდან გაიზარდა – 56,1 მლნ ლარი 2000 წელს და 120,2 მლნ ლარამდე 2007 წელს [3]. ზრდის ტენდენცია შეინიშნებოდა სოფლის მეურნეობის ეკონომიკის ისეთ მახვენებელში, როგორცაა სოფლის მეურნეობაში დამატებული ღირებულება მიმდინარე საბაზისო ფასებში (მლნ ლარი). 2000წ. – 1245,0; 2003წ. – 1653,0; 2005წ. – 1716,4; როგორც ვხედავთ, ზრდის საკმაოდ მაღალი ტემპი გამოიკვეთა აგრარულ სექტორში, რაც ძირითადად ხელსაყრელი ბუნებრივი პირობების, მემცენარეობაში მოსავლიანობის მატების, აგრეთვე, სასოფლო-სამეურნეო მომსახურების და თევზჭერის გაღიდების ხარჯზე იქნა მიღწეული. ამასთან, აღნიშნულ პროცესზე

გავლენა იქონია ხილ-ბოსტნეულისა და მეტყევეობის პროდუქციის წარმოების ზრდამ [2].

საქართველოში 1996 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციები განახორციელა მხოლოდ ერთმა სახელმწიფომ – უკრაინამ; 2000 წელს – 18-მა სახელმწიფომ; 2007 წელს – 57-მა სახელმწიფომ.

2008 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციები შეადგენდა 1564 მლნ აშშ დოლარს; 2009 წლის I კვარტალში – 124.7 მლნ აშშ დოლარს. ამასთან, 2009 წლის I კვარტალში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 413.0 მლნ აშშ დოლარით შემცირდა 2008 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით.

საქართველოსათვის უმსხვილესი ინვესტორი ქვეყანა იყო (მლნ აშშ დოლარი):

- 2007 წელს :
1. ნიდერლანდები – 299.32
 2. ჩეხეთი – 228.0
 3. ვირჯინიის კუნძულები (ბრიტანეთი) – 188.0
 4. დანია – 158.1
 5. კვიპროსი – 14896

- 2008 წელს:
1. არაბთა გაერთიანებული საემიროები – 306.6
 2. აშშ – 167.9
 3. თურქეთი – 165.0
 4. ვირჯინიის კუნძულები – 156.8
 5. გაერთიანებული სამეფო – 149.0
 6. ნიდერლანდები – 135.9

საქართველოს ეკონომიკის შემდგომი განვითარებისათვის ინვესტიციების ეფექტიანი განთავსების სტრატეგიამ უნდა უზრუნველყოს ქვეყანაში მოზიდული ინვესტიციების ჩართვა ეროვნული ამოცანების (პრიორიტეტული დარგების განვითარება) წარმატებით გადაწყვეტაში და ხელი შეუწყოს აგროსამრეწველო კომპლექსის სფეროების შეთანაწყობილ განვითარებას და მრეწველობის სტრუქტურულ გარდაქმნას.

ბამოყენებული ლიტერატურა

1. **დათუნაშვილი ლ.** ინვესტიციების როლი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებაში (საქართველოს სოფლის მეურნეობის მაგალითზე). საბაზრო ეკონომიკის განვითარების პრობლემები საქართველოში. სამეცნიერო შრომების კრებული, ტ.1, თბილისი, “მეცნიერება”, 2000.
2. ეკონომიკური პოლიტიკისა და სამართლებრივი საკითხების ქართულ-ევროპული საკონსტიტუციო ცენტრი. საქართველოს ეკონომიკური ტენდენციები. თბილისი, 2008.
3. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო. სტატისტიკის დეპარტამენტი. საქართველოს სოფლის მეურნეობა. თბილისი, 2007.

Datunashvili Lina

INVESTMENT PROVISIONS OF AGRICULTURE IN GEORGIA

S U M M A R Y

The article studies and analyzes the provision of agriculture in Georgia with investments by World Bank, Euro-Union Provision Aid, International Fund of Agricultural Development and other competent international and nongovernmental organizations (some of them began their practical business in Georgia in 1993).

The article shows that above mentioned organizations consider that the realization of agriculture reform is a main priority in technical aid and investing in agricultural sector of Georgia, legal acknowledgement of land property and primary registration; revival of tea-growing; widening of agricultural service; creation of credit unions in villages; growing of agricultural production and assistance in agro-processing; preparing irrigation and drainage rehabilitation project etc.

Taking into consideration propositions offered in the article will help to improve investment environment in the country.

**სოფლად დასაქმებისა და უმუშევრობის დადგენის
მეთოდოლოგიური საკითხები**

გასული საუკუნის 90-იან წლებში საქართველოში მომხდარმა სისტემურმა ცვლილებებმა, წარმოების კატასტროფულმა დაქვეითებამ, მრეწველობასა და სხვა სექტორებში დასაქმებულთა მკვეთრმა შემცირებამ, ფართომასშტაბიანმა ეკონომიკურმა კრიზისმა, განაპირობა მასიური უმუშევრობა, არასრული დასაქმებისა და ფარული უმუშევრობის ფორმების წარმოქმნა, მოსახლეობის უმეტესი ნაწილის ცხოვრების პირობების მკვეთრი გაუარესება. შედეგად ქვეყნიდან წავიდა შრომისუნარიანი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი. ეს პროცესები, მეტ-ნაკლები სიმწვავეთ, გრძელდება როგორც ქალაქად, ისე სოფლად.

სოფლად დასაქმებისა თუ უმუშევრობის ფორმების, დონის, რეალური მდგომარეობის გასარკვევად და მთლიანად პრობლემის გადაჭრის მეცნიერულად გასააზრებლად, კვლავაც აქტუალურია სწორი მეთოდოლოგიური მიდგომების და კრიტერიუმების განსაზღვრა.

სოფლად დასაქმებისა და უმუშევრობის დადგენის მნიშვნელოვანი წყაროა შინამეურნეობების რესპონდენტების გამოკითხვა. ოფიციალური კრიტერიუმებით (რომლითაც სარგებლობს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სტატისტიკის დეპარტამენტი), დასაქმებულად ან თვითდასაქმებულად ითვლება პირი, რომელიც გამოკითხვის მომენტის წინა 7 დღის განმავლობაში მუშაობდა (სულ მცირე, ერთი საათით მაინც) შემოსავლის მიღების მიზნით, ესმარებოდა უსასყიდლოდ სხვა შინამეურნეობის წევრებს ან რაიმე მიზეზით არ იმყოფებოდა სამუშაოზე, თუმცა ფორმალურად ირიცხებოდა მომუშავედ. დასაქმების დონე იანგარიშება დასაქმებული მოსახლეობის პროცენტული წილით 15 წლის და ზევით ასაკის მოსახლეობაში. მკაცრი კრიტერიუმით, უმუშევრად ითვლება პირი (15 წლის და ზევით ასაკის), რომელიც გამოსაკვლევი პერიოდის განმავლობაში არ არის დასაქმე-

ბული, ბოლო ოთხი კვირის განმავლობაში აქტიურად ეძებს სამუშაოს და პოვნის შემთხვევაში მზად არის შეუდგეს მუშაობას; ხოლო, შერბილებული კრიტერიუმით, ითვლება პირი, რომელიც გამოსაკვლევ კვირიოდის განმავლობაში არ არის დასაქმებული, ბოლო ოთხი კვირის განმავლობაში აქტიურად არ ეძებს სამუშაოს, რადგან გადაეწურა იმედი, მაგრამ, პოვნის შემთხვევაში, მზად არის შეუდგეს მუშაობას. უმუშევრობის დონე იანგარიშება უმუშევართა რიცხოვნობის შეფარდებით ეკონომიურად აქტიურ მოსახლეობასთან. ამრიგად, ოფიციალური კრიტერიუმები ითვალისწინებს მხოლოდ დასაქმების (თვითდასაქმების) თუ შინამეურნეობაში შრომითი მონაწილეობის ფაქტს ან შემთხვევას ბოლო 4 კვირის განმავლობაში.

დასაქმებისა თუ უმუშევრობის პრობლემის დადგენის სწორი მეთოდოლოგიური მიდგომა გულისხმობს იმას, რომ “შრომითი გაჭირვება” შეიძლება ეხებოდეს იმათაც, ვინც ფაქტობრივად მუშაობს ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, მაგრამ გამოიმუშავენს მეტად დაბალ, საარსებო მინიმუმზე ნაკლებ შემოსავალს. არასრული დასაქმება თუ ფარული უმუშევრობა შედგება სხვაგვარი დასაქმების ფორმების ამსახველი მაჩვენებლებისგან. “ღია იძულებითი უმუშევრობის” გარდა, არსებობს უმუშევრობის ისეთი ფორმებიც, როდესაც საქმე გვაქვს “დაუტვირთაობასა” და “ფარულ უმუშევრობასთან”. საჭიროა გავიაზროთ თუ სად გადის უმუშევრობის საზღვრები. იგი შეიძლება იწყებოდეს ერთი უკიდურესი (ექსტრემალური) მდგომარეობიდან, მაგალითად, “ღია უმუშევრობიდან” ურბანულ გარემოში, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს, რომ ნამუშევარი საათებისა და შემოსავლის რაოდენობა არის ნულის ტოლი. ამ ექსტრემალური პირობების გარეთ, უმუშევრობისა თუ დაუტვირთაობის მდგომარეობის განსაზღვრისათვის გამოიყენება ოთხი მნიშვნელოვანი კრიტერიუმი [1, გვ. 475; 2, გვ. 152]. ესენია: 1. დროითი, 2. შემოსავლის, 3. სასურველობის და 4. პროდუქტიულობის (ნაყოფიერების) კრიტერიუმი.

ჩვენ შეგვიძლია ვილაპარაკოთ: უმუშევარ ან დაუტვირთავ ადამიანზე (მუშაკზე, წვერზე) თუ, დროითი კრიტერიუმის თანახ-

მად, არ არის დატვირთული წლის განმავლობაში იმ საათების ან დღეების რაოდენობით, რაც დადგენილია სრული დასაქმებისათვის ნორმალურ თუ ოპტიმალურ საათებად თუ დღეებად (სამუშაო პერიოდად); შემოსავლის კრიტერიუმით, თუ დასაქმებული გამოიძუშავენ წლის განმავლობაში ნაკლებს, ვიდრე ამას საჭიროებს საარსებო მინიმუმი; სასურველობის კრიტერიუმით, როცა ადამიანი თანახმაა, იმუშაოს მეტი, ვიდრე ის ამას აკეთებს; იგი შეძლება იყოს აქტიური მაკებარი მეტი შრომისა (სხვა სამუშაოზე) ან იყოს უნარიანი, შეასრულოს მეტი სამუშაო (მეტი ინტენსიურობით იშრომოს), მოცემული სამუშაოს განსაზღვრულ ვადებში. პროდუქტიულობის (ნაყოფიერების) კრიტერიუმით, ადამიანი (მუშაკი) არის შემძლე (აქვს უნარი), არსებული სამუშაო ადგილიდან გადანაცვლებისა სხვა სამუშაოზე, რადგან მისი პროდუქტიულობა (ნაყოფიერება) არის ნაკლები ნორმალურ პირობებთან შედარებით და, ამასთან, მისი გადანაცვლება (სხვა სამუშაოზე გადასვლა) არ შეამცირებს არსებითად მთლიანი წარმოებული პროდუქციის მოცულობას; მისი წასვლის შემდგომ აქ დარჩენილი მუშების (წევრების) შრომის ნაყოფიერება არ შეიცვლება მნიშვნელოვნად საწარმოს თუ შინამეურნეობის ტექნიკურ და ორგანიზაციულ საკითხებში მცირე ცვლილებების შედეგად.

სასოფლო შინამეურნეობებში, მათი მცირე ზომების შემთხვევისას, დახარჯული შრომის სიდიდე (დასაქმებულთა რაოდენობა) და წარმოებული საარსებო პროდუქტის ოდენობა ყოველთვის არ არის ადეკვატური. დასაქმებულთა ზრდა აქ ყოველთვის არ იწვევს პროდუქტიულობის გადიდებას და, გარკვეულ შემთხვევაში, მარჟინალური, ზღვრული (მინიმალურად ეკონომიკურად ეფექტიანი) პროდუქტიულობა ამგვარ ფერმებში შეიძლება ნულის ტოლი იყოს [2, გვ. 115]. სწორედ ამგვარ მოვლენას უკავშირდება “შენიღბული უმუშევრობა”.

დიაგრამა-1 გვიჩვენებს ურთიერთდამოკიდებულებას შინამეურნეობაში წარმოებულ მთლიან პროდუქციასა და მასში დასაქმებული წევრების რაოდენობას შორის. პროდუქცია, საშუალოდ ერთ სულზე გაანგარიშებით, აღწევს მაქსიმუმს A წერ-


ტილში, სადაც კუთხე AOL არის ყველაზე ფართო. წევრების მატებასთან ერთად ზღვრული (მარჟინალური) პროდუქტი საშუალოდ ერთ წევრზე იკლებს და BOM წერტილში აღწევს საარსებო მინიმუმის ზღვარს, ხოლო თუ წევრების რაოდენობა გადიდება N წერტილამდე, ზღვრული პროდუქცია გადაიქცევა უარყოფითად და საშუალო პროდუქტი აგრძელებს დაცემას. თუ C წარმოადგენს არსებობის ფიზიკური მინიმუმის აბსოლუტურ ზღვარს, ამის შემდგომ წევრების ზრდა N-ის იქით შეუძლებელია. დიაგრამა გვიჩვენებს შინამეურნეობაში წარმოებულ პროდუქციას, მასში მყოფი წევრებისა თუ დასაქმებულთა ოდენობების ოპტიმალურ და ზღვრულ თანაფარდობებს, შინამეურნეობის განვითარების შესაძლებლობას თუ უპერსპექტივობას. მოცემული დიაგრამა ითვალისწინებს წარმოებულ პროდუქციაზე მხოლოდ მეურნეობის წევრების ცვლილების გავლენას, მასში არ არის გათვალისწინებული ტექნოლოგიებისა თუ კაპიტალის ცვლილებები, იგი ამ ფაქტორებს უცვლელად განიხილავს. ფარული უმუშევრობა ხშირად არ არის ხილვადი, იგი შენიღბულ ხასიათს ატარებს, რადგან სახეშეცვლილია მეტი შრომით, მოცემული ტექნიკისა და სხვა რესურსების გავლენით.

პროფ. ნარსკის აზრით [3, გვ. 3-5], ამ შემთხვევაში, “შრომის ზღვრული პროდუქტიულობა, ფართო თვალსაზრისით, არის ნული”. ასეთი შრომა შეიძლება შემცირდეს და ამას წარმოების შედეგებზე არ ექნება გავლენა. თუ გარკვეული წევრები წავლენ მეურნეობიდან, დანარჩენები შეძლებენ აწარმოონ მთლიანი პროდუქციის იგივე რაოდენობა, თუმცა მათ შეიძლება მოუწიოთ უფრო ხანგრძლივი და აქტიური შრომა.


თუ შრომის “ზღვრული პროდუქტიულობა გარკვეულ საზღვრებში არის ნული”, რატომ გამოიყენება ასეთი შრომა ან რატომ არის რაციონალური აზრი ამგვარ ქმედებაში? რეალურად, წარმოების პროცესში მეტი შრომა კი არ იხარჯება, არამედ უფრო მეტი მუშა (წევრი) ხარჯავს იმავე სიდიდის შრომას. ასეთი შენიღბული დასაქმების დროს ერთი დასაქმებული საშუალოდ

შრომობს გაცილებით ნაკლებს, ვიდრე ამას მოითხოვს წლის განმავლობაში ნორმალური საშუალო დასაქმება. მაგალითად,

დიაგრამა 1



დიაგრამა 2



ცხვრის ფარას მხოლოდ ერთი მწვემსი სჭირდება, ფაქტობრივად, მას მწვემსავს სამი ძმა, თითოეულს მწვემსვა უწევს ყოველ მესამე დღეს. ამრიგად, ზღვრული პროდუქტიულობა შეიძლება იყოს გარკვეულ საზღვრებში (ხარჩობებში) ან უდრიდეს ნულს და ის შეიძლება იყოს შრომის ნაკლებად ინტენსიური ფორმა, როდესაც ადამიანები უფრო ნაკლებად შრომობენ. არის გარკვეული წინააღმდეგობა ფარულ უმუშევრობასა და რაციონალურ ქცევას შორის. გლეხური, ოჯახური შინამეურნეობების ნაწილობრივი დასაქმება ბუნებრივად ფარავს, ნიღბავს უმუშევრობას. მიწის ნაკვეთს, რომლის დამუშავებასაც სჭირდება ორი წევრი, ფაქტობრივად შეიძლება უვლიდეს ოთხი წევრი.

დიაგრამა 2-ის ქვედა OC ვექტორი გვიჩვენებს მეურნეობაში დასაქმებულ წევრთა (მუშების) რაოდენობას, OB – შრომის სიდიდეს, ხოლო OA – მთლიან წარმოებულ პროდუქციას. შრომის ზღვრული პროდუქციის წარმოებას სჭირდება გარკვეული საათე-

ბის რაოდენობის OL(1) შრომა და ამ წერტილის გარეთ უფრო მეტი შრომა არ გამოიყენება. თითოეული მომუშავე წევრი OP2-ის წევრთა რაოდენობის შემთხვევაში ხარჯავს 2-ჯერ ნაკლებ შრომას და ამრიგად იგივე სამუშაო შეიძლება შესრულდეს OP1 - ის წევრთა რაოდენობით. ამდენად P1P2 წევრები (მუშები) არიან ზედმეტნი. ამრიგად, იმ დროს, როცა შრომის ზღვრული პროდუქტიულობა L1 წერტილშია მხოლოდ, წევრები (მუშები) P1P2 არიან ზღვრულ ფარგლებში. ეს გვიჩვენებს “ფარული (შენიღბული) უმუშევრობის” სიდიდეს. ამრიგად, ამგვარი შემთხვევებისას თუ სასოფლო ადგილებიდან გადავაადგილებთ, გადავიყვანთ სასოფლო სამუშაო ძალის მნიშვნელოვან ნაწილს, ეს არ იქონიებს გავლენას სოფლის მეურნეობის მთლიან წარმოებულ პროდუქციაზე.

“ფარული უმუშევრობის” კონცეფციის არსებული სირთულე იმაში მდგომარეობს, რომ ნებისმიერი ცვლილება სასოფლო შრომაში იწვევს ასევე წარმოების გარკვეულ ტექნიკურ-ორგანიზაციულ ცვლილებებს. მეტ სირთულესთან გვექნება საქმე თუ აღმოვაჩინოთ, რომ მიწოდებულია კაპიტალი და მიწა, შრომის ზღვრული პროდუქტიულობა არ არის ერთადერთი ფაქტორი. იმ შემთხვევაში, როდესაც სოფლის მცხოვრებნი მიდიან სოფლიდან, გარკვეული რეალური ინვესტიციებია (და არა უბრალოდ მეტი ორგანიზაცია) აუცილებელი წარმოებული პროდუქციის სიდიდის უცვლელად შესანარჩუნებლად.

რიგ ე.წ. “ჭარბი მოსახლეობის” არეალებში კაპიტალის ნაკლებობა იწვევს მისი შრომით ჩანაცვლების საჭიროებას და ამ შემთხვევაში შრომის ზღვრული პროდუქტი არ არის ნულის ტოლი. წარმოების სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა რიგ დაბალგანვითარებულ ქვეყნებში პრიმიტიულია და ის ისეთ მაღალინტენსიურ შრომას მოითხოვს, რომ ამგვარი მოვლენა შეიძლება სავსებით ლოგიკური იყოს. ამასთან, მეტად მცირე ზომის ინვესტიციამ შეიძლება არ იმოქმედოს პროდუქციის ზრდაზე და გამოიწვიოს მხოლოდ ხარჯების გადიდება.

დაბალგანვითარებულ ქვეყნებში სოფლად მოსახლეობის დასაქმების ალტერნატიული შესაძლებლობის შეზღუდულობა, სამრეწველო თუ ინდუსტრიული სფეროების განვითარებლობა, მაღალკონკურენტუნარიანი, იმპორტირებული საქონლის დომინირება შიდა ბაზრებზე, სოფლის მოსახლეობის უმეტესი ნაწილისათვის სათანადო განათლებისა და ცოდნის მიღების შეუძლებლობა განაპირობებს მიწაზე, როგორც დასაქმების ობიექტზე, მოსახლეობის დაწოლის ზრდას. შედეგად, სასოფლო შინამეურნეობების თუ გლეხური მეურნეობების ზომები სულ უფრო მცირდება; უფრო მეტიც, მეურნეობები არიან დაყოფილნი, დანაწევრებულნი უმცირეს ნაკვეთებად [3; გვ. 1, 3-5].

შედეგად, ამგვარ ქვეყნებში, სასოფლო შინამეურნეობების, მათ შორის უპირატესად გლეხური ოჯახური მეურნეობების, დასაქმება მოიცავს ისეთ ფორმებს, როგორცაა: 1. გლეხური მეურნეობების არასრულ დასაქმებას მათი მცირე ზომების გამო და 2. შინამეურნეობების დანაწევრებით (ფრაგმენტაციით) გამოწვეულ შენიღბულ უმუშევრობას [2, გვ. 115]. ამ მეურნეობების დანაწევრების შედეგად, ჭარბი შრომა მათში შთანთქმული და დაფარულია. ამ ჭარბი შრომის გამოყოფა ცალკე შეუძლებელია, ამასთან, ეს შრომა მთლიან წარმოებულ პროდუქციაზე არ ახდენს დადებით ეფექტს გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც შინამეურნეობები ერთიანდებიან გარკვეულ ფარგლებში. თუმცა შრომის ზღვრული პროდუქტიულობა ამგვარი გაერთიანების დროსაც შეიძლება ნულის ტოლი იყოს, თუ წარმოების დანარჩენი ფაქტორები სათანადოდ იქნება რეორგანიზებული, რომლის დროსაც ერთმნიშვნელოვნად განხორციელდება ნაკვეთების კონსოლიდაცია.

ერთი მხრივ ჭარბი მოსახლეობის არსებობა და, მეორე მხრივ, ნაკვეთების დანაწევრება ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, განაპირობებს ჭარბი შრომის შესაძლებლობას სასოფლო შინამეურნეობებში. მოსახლეობა შეიძლება იმდენად ჭარბი იყოს, მიწასა და კაპიტალთან დამოკიდებულებაში, რომ შრომის ზღვრული პროდუქტიულობა შეიძლება ნულამდე შემცირდეს. არის რამდენიმე მიზეზი, რაც ართულებს ამ მოვლენის ნათლად

გააზრებას. ზოგიერთ ეკონომისტს შეუძლია დასვას კითხვა: ვინ დაიქირავებს ამ ხალხს თუ მათი წარმოებული პროდუქტი არის ნული? ან კიდევ იკითხონ: როგორ შეუძლია ამ ჭარბმა მოსახლეობამ იარსებოს, როგორ გამოიკვებებიან თუ რეალურად არაფერს აწარმოებენ?

პასუხი პირველ კითხვაზე არის ის, რომ უმრავლეს ქვეყანაში, სადაც განვითარებულია დაქირავებული შრომის სისტემა, ბუნებრივია, ამგვარი მოვლენა გამორიცხულია. ჭარბი მუშახელის არსებობის შესაძლებლობა იქმნება მხოლოდ გლეხური ოჯახური მეურნეობების პირობებში. პასუხი მეორე კითხვაზე ის არის, რომ ოჯახური შინამეურნეობები საარსებოდ, მეტი ან ნაკლები თანაფარდობით, იყოფენ მთლიანად წარმოებულ პროდუქტს, რომელიც მოიცავს არამარეინალურ შრომას, ცოტაოდენ მიწასა და კაპიტალურ საშუალებებს (წარმოების საშუალებებს, პირუტყვს), რომელიც შეიძლება გლეხებს ეკუთვნოდეთ. ამ ფაქტორების შედეგად წარმოებული პროდუქტი შეიძლება, ხატოვნად, საერთო ჭურჭლად მივიჩნიოთ, რომლიდანაც იკვებებიან ოჯახური შინამეურნეობის წევრები. ამგვარი ორგანიზაცია უცხოა თანამედროვე საწარმოს საქმიანობისათვის. თუ ამგვარ განაწილებას მივიღებთ მხედველობაში, სავსებით ნათელია, რას ემყარება ადამიანთა გამრავლების ზღვრული შესაძლებლობები. თუ მთლიანი პროდუქტი საშუალოდ ერთ სულზე გაანგარიშებით, ეცემა არსებობის ფიზიკურ ზღვარს ქვემოთ, გამოსავალი არის შიმშილობა, რომელიც განაპირობებს მეურნეობის წევრთა რაოდენობის შემცირებას, ან სულ მცირე, მისი შემდგომი მატების შეზღუდვას.

ბამოყენებული ლიტერატურა

1. **Raj Krishna.** "Unemployment in India", Economic and Political Weekly, 3 March, 1973.
2. **Gerald M. Meier.** Leading Issues in Economic Development, Fifth Ed., Oxford Un-ty Press, 1989.

3. **Ragner Nurkse.** “Expres Population and Capital Construction”, Malayan Economic Review, 1957.
4. **Pecora A., Gregoli F.** On some aspects of structural deficiencies of Italian agrigulature: Smal farmers and non-farming labour.-Italian Contributions to the 23rd International Geografiacal Congress 1976. Roma, 1976, p.148.
5. **Edgar O. Edwards.** ed., Employment in Developing Nations, 1974.

Revishvili Zurab

**METHODOLOGICAL ISSUES OF DETERMINATION OF
EMPLOYMENT AND UNEMPLOYMENT
IN RURAL AREA**

SUMMARY

There are examined several forms of partial employment and hidden unemployment in rural area. There are also proposed some ideas about the causes of hidden unemployment in the peasant households and about hiding unemployment, when the marginal productivity of which is zero.

მარინა მუჩიაშვილი

**სახელმწიფო ბიუჯეტიდან სოციალური სფეროს დარბების
დაზონანსების პრობლემები საქართველოში**

2003 წლის შემდგომი პერიოდი სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მაჩვენებლის მნიშვნელოვანი ზრდით ხასიათდება. შედარებისათვის, 1996 წლისათვის ეს მაჩვენებელი 771 მილიონ ლარს შეადგენდა. 1997 წელს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების ზრდამ 5,5 მილიონი ლარი შეადგინა. 1998 წელს – 22,1 მილიონი ლარი,

1999 წელს – 105,9 მილიონი ლარი. რუსეთის საფინანსო კრიზისის და სხვა შიდა ფაქტორების (მ.შ. გვალვით გამოწვეული უარყოფითი შედეგებით სოფლის მეურნეობაში) ზეგავლენის შედეგად აღნიშნული მაჩვენებელი წინა წელთან შედარებით 71 მილიონი ლარით შემცირდა. 2001-2003 წლებში ეკონომიკის განვითარების გარკვეული ზომით სტაბილიზაციის შედეგად ზრდამ შესაბამისად – 73,143 და 158 მილიონი ლარი შეადგინა. ე.წ. ვარდების რევოლუციის შემდეგ – 2004-2008 წლებში ადგილი ჰქონდა სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების უპრეცედენტო ზრდას. კერძოდ: 2004 წელი – სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მოცულობის ზრდა წინა წელთან შედარებით – 723 მილიონი ლარი, 2005 წელი – 688,4 მილიონი ლარი, 2006 წელი – 1203,9 მილიონი ლარი, 2007 წელი – 1 414,6 მილიონი ლარი, 2008 წელი – 1521,7 მილიონი ლარი. 2008 წლის ხარჯები 1996 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 8,8-ჯერ გაიზარდა, რაც ძალიან მნიშვნელოვანი ცვლილებაა დროის ამ შედარებით ხანმოკლე პერიოდისათვის. აღნიშნული ზრდა შესაძლებელი გახდა რიგი ფაქტორების ზემოქმედების შედეგად, რომელთაგან აღსანიშნავია: შემოსულობების მნიშვნელოვანი ზრდა (მ.შ. ფართომასშტაბიანი პრივატიზაციის შედეგად), ჩრდილოვანი ეკონომიკის სფეროს შეზღუდვა, საგადასახადო სისტემის ლიბერალიზაცია, გადასახადების აკრეფის ადმინისტრირების გაუმჯობესება და, ასევე, საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებიდან მიღებული კრედიტებისა და გრანტების ზრდა. 2008 წელს კი შემოსავლებისა და, შესაბამისად, ხარჯების ზრდის მნიშვნელოვანი დამატებითი წყარო გახდა 750 მილიონი ლარის ღირებულების ევროობლიგაციების გამოშვება და მათი რეალიზაციიდან შემოსავლის მიღება. აღნიშნული ტენდენციების გამო მნიშვნელოვნად გაიზარდა სახელმწიფოს როლი ეკონომიკაში. კერძოდ, 1996 წელს დანახარჯების წილი ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტში მხოლოდ 16,6%-ს შეადგენდა და ის დაახლოებით იმავე დონეზე იყო 1999 წლამდე. 2000 წელს აღნიშნული მაჩვენებელი 13,4%-მდე შემცირდა, 2003 წელს – 14,1%-მდე, 2004 წელს

– 19,6%-მდე, 2005 წელს – 22,6%-მდე 2006 წელს – 27,7%-მდე, 2007 წელს – 30,6%-მდე, 2008 წელს კი – 33,8%-მდე გაიზარდა.

2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის გეგმით სახელმწიფო ასიგნებები 7171,1 მილიონი ლარის ოდენობით (რაც მშპ-ის 35,7%-ს შეადგენს), ხოლო 2010 წლის გეგმის პროექტის მიხედვით – 6669,9 მილიონი ლარის ოდენობითაა განსაზღვრული, რაც ამ წლის მშპ-ს პროგნოზირებული მოცულობის – 19046,9 მილიონი ლარის – 35%-ს შეადგენს. 2010 წელს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის მიხედვით გათვალისწინებულია მშპ-ს ზრდა 2009 წლის გეგმით განსაზღვრულ მოცულობასთან შედარებით, რაც საქართველოს ეკონომიკაზე მომავალ წელს მსოფლიო ეკონომიკური კრიზისით გამოწვეული რიგი ფაქტორების უარყოფითი ზეგავლენის გათვალისწინებით (პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინების მოცულობის არასაკმარისი დონის, უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეების მიერ გამოგზავნილი ფულადი გზავნილების მოცულობების კლების, საგადამხდელო ბალანსის პარამეტრების გაუარესებისა და სხვა მაკროეკონომიკური მაჩვენებლების მოსალოდნელი გაუარესების ფონზე) არარეალურად გვესახება. ამდენად, 2010 წლის პროექტით განსაზღვრული ასიგნებების მოცულობის სიდიდის კორექტირების გარეშე – შემცირების მიმართულებით, მოსალოდნელია, რომ მისი რეალური წილი საქართველოს მშპ-ში კიდევ უფრო გაიზარდება.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების ფუნქციონალურ სტრუქტურაში 1997-2008 წლებში არსებითი ხასიათის ცვლილებები განხორციელდა. კერძოდ, აღნიშნულ პერიოდში სოციალური სფეროს დარგების (განათლების, ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის) წილი მთლიან ხარჯებში (2008 წლიდან კი მთლიან ასიგნებებში) 1997 წლის 33,7%-დან 2003 წელს – 28,1%-მდე შემცირდა. 2006 წელს ეს მაჩვენებელი გაიზარდა 30,8%-მდე, 2007 წელს ისევ შემცირდა 26,8%-მდე, 2008 წელს კი 27,4% შეადგინა. 2009 წლის გეგმის მიხედვით, ამ სფე-

როს ხარჯები სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიანი ასიგნებების 30,1%-ს, ხოლო 2010 წლის პროექტის მიხედვით – 32,9% მიაღწევს.

საქართველოში სოციალური სფეროს დარგების დაფინანსების რეალური სურათის შეფასებისათვის საინტერესოა განვიხილოთ ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (OECD) ქვეყნების შემდეგი მონაცემები: ამ ქვეყნებში მსოფლიო ფინანსურ კრიზისამდე ეროვნული შემოსავალი საშუალოდ 24 ათას დოლარს (მიმდინარე ფასებში მსყიდველობითი უნარიანობის პარიტეტის გათვალისწინებით), დასაქმების საშუალო მაჩვენებელი – შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის 67%-ს, უმუშევრობის დონე კი – 7%-ს შეადგენდა. ამ საერთაშორისო ორგანიზაციაში შემავალი ქვეყნების მიხედვით, სოციალურ სფეროზე გაწეული დანახარჯების წილი საშუალოდ ამ ქვეყნების მშპ-ის 21%-ს აღწევდა. მ.შ. ასაკობრივ პენსიაზე სახელმწიფო დანახარჯები მშპ-ის მიმართ დაახლოებით 7%-ს შეადგენდა. ჯანდაცვაზე სახელმწიფო ბიუჯეტიდან საშუალოდ იხარჯებოდა მშპ-ის 6,4%, (ხოლო ამ სფეროზე გაწეული მთლიანი ხარჯების წილი – სახელმწიფო ხარჯებს დამატებული კერძო სექტორის დანახარჯები მშპ-ში 9%-ს აღწევდა).

შედარებისათვის, კრიზისამდე ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, საქართველოს ეროვნული შემოსავალი მოსახლეობის ერთ სულზე 1,7 ათას დოლარს, დასაქმების დონე 53,8%-ს, ხოლო უმუშევრობის დონე კი 13,6% შეადგენდა (თუმცა, ეს უკანასკნელი მაჩვენებელი ექსპერტული შეფასებების მიხედვით კიდევ უფრო მაღალი სიდიდე იყო). ამ მონაცემებიდან ირკვევა, რომ უმუშევრობის დონე, ოფიციალური სტატისტიკის მიხედვითაც კი, საქართველოში დაახლოებით 2-ჯერ აღემატებოდა ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (OECD) ქვეყნების საშუალო მაჩვენებელს. მაგალითისათვის, კრიზისამდე პერიოდში აშშ-ის საბიუჯეტო ხარჯებში მხოლოდ სოციალურ დაცვაზე, მედიქასა და და მედიკეიდზე (ძირითად ჯანდაცვის პროგრამებზე) მთლიანი ხარჯების 41,4% და ქვეყნის მშპ-ის 8,5% მოდიოდა. აშშ-ის კონგრესის საბიუჯეტო ოფისის

მონაცემებით, 2017 წლისათვის გათვალისწინებულია ზემოთ აღნიშნული ხარჯების წილის მთლიან დანახარჯებში დაახლოებით 57%-მდე გაზრდა, რის შედეგად ის მშპ-ს მოცულობაში დაახლოებით 11%-ს მიაღწევს (რაც გათვალისწინებულია ხარჯების სტრუქტურის ოპტიმიზაციით, ძირითადად, თავდაცვის ხარჯების შემცირებით).

2007 წელს საქართველოში პენსიებისა და დახმარებების სახით გაიცა 619 მილიონი ლარი, რაც სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიანი ხარჯების 16%-ს შეადგენდა. 2008 წელს მთლიანად სოციალური სფეროს დაფინანსებას მოხმარდა 1146,1 მილიონი ლარი, ანუ მთლიანი ასიგნებების 17%. 2009 წლის გეგმის მიხედვით, ამ სფეროს დაფინანსებაზე გათვალისწინებულია 1357,9 მილიონი ლარის – მთლიანი ასიგნებების 18,9%, ხოლო 2010 წლის პროექტის მიხედვით – 1257,2 მილიონი ლარის გამოყოფა, რის შედეგადაც ამ მუხლის წილი მთლიან ასიგნებებში 2010 წელსაც 2009 წლის გეგმით გათვალისწინებულ დონეზე დარჩება. აღნიშნული დონის მიღწევის პირობებშიც კი, საქართველოში სოციალური სფეროს დარგების წილი მთლიან ასიგნებებში აშშ-ის შესაბამის მაჩვენებელზე დაახლოებით 2-ჯერ დაბალი რჩება. ამასთან, აქ მხედველობაშია მისაღები ამ ორი ქვეყნისათვის აღნიშნული მაჩვენებლების მკვეთრი განსხვავება აბსოლუტურ სიდიდეებში.

2008 წლის მონაცემებით, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან განათლების სფეროს დაფინანსებისათვის გამოიყოფა 419,2 მილიონი ლარი, რაც მთლიანი ასიგნებების 6,2%-ს და მშპ-ის 2,2%-ს შეადგენდა. 2009 წლის გეგმით გათვალისწინებულია 484 მილიონი ლარის, მშპ-ის 2,6%-ის, ხოლო 2010 წლის პროექტის მიხედვით კი – 524 მილიონი ლარის, ანუ მშპ-ის 2,8%-ის გამოყოფა. აღნიშნული ზრდის მიუხედავად, ეს მაჩვენებელი ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის ქვეყნების საშუალო მაჩვენებელზე ჯერ კიდევ მნიშვნელოვნად დაბალი რჩება.

ანალოგიურად, ეტაპობრივად იზრდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან ჯანდაცვის სფეროზე გამოყოფილი დანახარჯების მოცუ-

ლობები და მისი წილი მთლიან ხარჯებში. კერძოდ, 2008 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან ამ სფეროს დაფინანსების მიზნით გამოიყო 286 მილიონი ლარი, მთლიანი ასიგნებების 4,2%, ანუ მშპ-ის 1,5%. 2009 წლის გეგმით გათვალისწინებულია 372,4 მილიონი ლარის, მთლიანი ასიგნებების 5,2%-ისა და მშპ-ის 2%-ის გამოყოფა, 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებულია ამ სფეროს დაფინანსების გაზრდა 409 მილიონ ლარამდე, რაც მთლიანი ასიგნებების 6,1%-ს და მშპ-ის 2,1%-ს აღწევს.

მაშასადამე, 2010 წლის პროექტით გათვალისწინებულია სოციალური სფეროს დარგების დაფინანსებისათვის სულ 2390,0 მილიონი ლარის, მთლიანი ასიგნებების დაახლოებით 36%-ის და მშპ-ის 11,5%-ის გამოყოფა.

შედარებისათვის, სომხეთში სოციალური სფეროს დარგების დანახარჯების წილი მთლიან ხარჯებში მშპ-ის დაახლოებით 11%-ს შეადგენს. მ.შ. განათლების – 3,3%-ს, ჯანდაცვის – 1,9%-ს, ხოლო სოციალური დაცვის – 5,7%-ს.

მაშასადამე, საქართველოსა და სომხეთისათვის სოციალური სფეროს დარგების წილი ამ ქვეყნების მშპ-ში დაახლოებით თანაბარია.

განსხვავებული სურათია ამ სფეროების დაფინანსების კუთხით ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში. კერძოდ, სოციალური სფეროს ხარჯები სხვადასხვა ქვეყნების მიხედვით ასე გამოიყურება: ავსტრალია – მშპ-ის 20%, ავსტრია – 31%, ბელგია – 31%, კანადა – 25%, დანია – 35%, ფინეთი – 34%, საფრანგეთი – 33%, გერმანია – 31%, საბერძნეთი – 23%, იტალია – 28%, ნიდერლანდები – 30%, შვედეთი – 35%, დიდი ბრიტანეთი – 25%, აშშ – 25% (თუმცა უნდა შევნიშნოთ, რომ ზემოთ ჩამოთვლილ ქვეყნებში ამ მაჩვენებლებში გათვალისწინებულია სოციალური სფეროს დაფინანსებაზე ყველა დონის ბიუჯეტებიდან გაწეული ხარჯები). საქართველოს შესაბამისი მაჩვენებლების კორექტირება სხვა დონის ბიუჯეტებიდან გაწეული თანხების გათვალისწინებით, ქვეყანაში სოციალური სფეროს დაფინანსების ზემოთ აღ-

ნიშნულ მაჩვენებლებს გარკვეული ზომით გაზრდის. თუმცა, საქართველოში სოციალური სფეროს დარგები ბიუჯეტიდან მოითხოვს დაფინანსების დონეების მნიშვნელოვან ზრდას, რადგან ზემოთ აღნიშნული ქვეყნების ბიუჯეტის ხარჯების სტრუქტურების შესწავლიდან ირკვევა, რომ თითქმის ყველა ქვეყანაში სოციალური სფეროს დარგებზე გაწეული ხარჯები მნიშვნელოვნად აღემატება სხვა დანარჩენ სფეროებზე გაწეულ დანახარჯებს. საქართველოში 1996-2008 წლებში სოციალური სფეროს დარგებზე გაწეული დანახარჯები დაახლოებით 3-ჯერ ნაკლები რჩებოდა სხვა დანარჩენი სფეროების დაფინანსებაზე გაწეულ დანახარჯებზე. იმის გათვალისწინებით, რომ სოციალური სფეროს დარგების უპირატესი ზომით დაფინანსება ყველა ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნისა და ასევე, ეკონომიკური რეფორმების თვალსაზრისით წარმატებული შედეგების მქონე განვითარებადი ქვეყნებისათვის საბიუჯეტო ხარჯების სტრუქტურაში მთავარ მიმართულებას წარმოადგენს, ამდენად, საქართველოს ხარჯების არსებული ფუნქციონალური სტრუქტურა მნიშვნელოვანი ხასიათის სტრუქტურულ ცვლილებებს საჭიროებს, რაც შესაძლებელი გახდება სხვადასხვა სფეროებს შორის დანახარჯების გადანაწილების გზით.

დასკვნა: საქართველოში 2003 წლის შემდგომ პერიოდში მნიშვნელოვნად გაიზარდა სახელმწიფოს როლი ეკონომიკაში, რაც აისახა მშპ-ში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებისა და შესაბამისად, ხარჯების წილის მნიშვნელოვან ზრდაში. უკანასკნელ ათწლეულში ფისკალური პოლიტიკის ეფექტიანობის შესწავლის მიზნით ამ სფეროში ჩატარებული სამეცნიერო გამოკვლევების შედეგები მოწმობს, რომ მაღალი ეფექტიანობით ხასიათდება ის სახელმწიფოები, სადაც სახელმწიფოს როლი ეკონომიკაში ზომიერია. უნდა აღინიშნოს, რომ, თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის პირობებში, ეკონომიკური ზრდის წახალისებისათვის ცალკეული ქვეყნის მთავრობები გარკვეულ პოზიტიურ მნიშვნელობას ანიჭებენ სახელმწიფოს მიერ მასტიმულირებელი ფისკალური პოლიტიკის განხორციელებას, რაც უპი-

რატესად გამოიხატება სახელმწიფო შესყიდვების ზრდაში. თუმცა, აქ მხედველობაშია მისაღები ის, რომ სახელმწიფოს ჩარევა ეკონომიკაში გარკვეულწილად ზომიერებას საჭიროებს, ანუ ისეთი გონივრული საზღვრების დადგენას, რომლითაც თავიდან იქნება აცილებული ეკონომიკაში სახელმწიფოს ზედმეტად ჩარევის უარყოფითი შედეგები. ეს ძირითადად გამოიხატება ამ პოლიტიკის გატარების გამო კერძო სექტორიდან სახელმწიფო სექტორში რესურსების გადაჭარბებული ზომით გადანაწილებასა და, შესაბამისად, რესურსების გამოყენების ეფექტიანობის შემცირებაში. აღნიშნული გარემოების გათვალისწინების მცდელობას წარმოადგენდა საქართველოს პრეზიდენტის მიერ მიმდინარე წლის სექტემბერში პარლამენტის სხდომაზე სიტყვიერ გამოსვლისას მოხსენიებული ეკონომიკური თავისუფლების აქტივ, სადაც, რეფორმების კუთხით განსახორციელებელ სხვადასხვა ღონისძიებებთან ერთად, გათვალისწინებული უნდა იქნეს სახელმწიფო როლის მნიშვნელოვანი შეზღუდვის აუცილებლობა, რაც გარკვეულწილად, უახლოეს მომავალში, მთლიან შიდა პროდუქტში სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებების წილის 30 პროცენტამდე შემცირებაში უნდა აისახოს (თუმცა 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვარიანტის მიხედვით მშპ სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებების წილი 35% შეადგენს და, შესაბამისად, მოითხოვს კორექტირებას).

Muchiashvili Marina

PROBLEMS OF FINANCING SOCIAL SPHERE SECTORS BY STATE BUDGET IN GEORGIA

SUMMARY

Analysis of the functional structure of the state budget of Georgia in 1997-2010 years shows the increase of Government role in the economy. The budget expenditure in Georgia in 2008 increased 8, 8 times, compared with

the corresponding data in 1996. Consequently, the share of state budget expenditure in GDP increased in 1997-2008 from 16,6% to 33,8 %. The study of the structure of budget expenditures of OECD countries for the last decade shows that in these countries main part of budget expenditures was channeled to the social sphere. Despite the increase of expenditures in social sectors in 2003-2008, the structure of functional expenditures needs optimization because the share of social sphere expenditures in the total state budget expenditure, compared with other expenditures, still is very low. Also, the goal of effective use of all types of available resources requires restricting the Governments role in the economy.

**უმუშევრობით გამოწვეული ეკონომიკური და სოციალური
შედეგების კლასიფიკაცია საქართველოში**

უმუშევრობის პროცესთან დაკავშირებული შედეგები, ზოგადად, ძალიან მრავალფეროვანი და არაერთმნიშვნელოვანია. საკმაოდ რთულია ამგვარი შედეგების კლასიფიკაციური სტრუქტურა.

უმუშევრობა პოსტკომუნისტურ ქვეყნებში და, მათ შორის, საქართველოში, რამდენადაც სპეციფიკური ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური ბუნების მატარებელი მოვლენაა, იწვევს სხვადასხვა სახეობის ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ შედეგებს.

ამ შედეგების კლასიფიკაცია შესაძლებელია სხვადასხვა ნიშნის მიხედვით.

ისინი, **მათი ბუნებიდან** გამომდინარე, ძირითადად, ოთხ ტიპად უნდა დაიყოს: **ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური და შერეული ტიპის** შედეგები.

ეკონომიკური (სოციალური ან პოლიტიკური) ტიპის არის ისეთი შედეგი, რომელსაც მხოლოდ ეკონომიკური (სოციალური ან პოლიტიკური) ბუნება გააჩნია, ხოლო შერეული ტიპის კი – ისეთი, რომელსაც შერეული სახის ბუნება აქვს.

უმუშევრობით გამოწვეული შედეგები დროის ფაქტორის გათვალისწინებით შეიძლება სამ ნაწილად დავეყოთ: წარსულ, მიმდინარე და პერსპექტიულ (მათ შორის პროგნოზულ) შედეგებად.

წარსულ შედეგში ვგულისხმობთ უმუშევრობის მიზეზით მიღებულ შედეგს, რომელიც უკავშირდება გასულ პერიოდს, მიმდინარეში – ისეთს, რომელიც უკავშირდება ახლანდელ პერიოდს და პერსპექტიულში – ისეთს, რომელიც დაკავშირებული იქნება მომავალ პერიოდთან.

უმუშევრობის მიზეზით მიღებული შედეგები მათი სარგებლიანობის მიხედვით იყოფა ორ ტიპად: პოზიტიური და ნეგატიური შედეგები.

პოზიტიურს მიეკუთვნება უმუშევრობით გამოწვეული ისეთი შედეგები, რომელთა რეალიზაციაც იწვევს დადებით, ხოლო **ნეგატიურს** კი – ისეთი, რომელთა რეალიზაციაც იწვევს უარყოფით ეფექტებს.

უმუშევრობით გამოწვეული შედეგები, მისი მიმღები ობიექტის სახეობის მიხედვით, არის შემდეგი სამი ტიპის: 1. შედეგები, რომლებიც უმუშევრობის მიზეზით მიიღო საზოგადოებამ; 2. შედეგები, რომლებიც იმავე მიზეზით მიიღო კოლექტივმა; 3. შედეგები, რომლებიც იმავე მიზეზით მიიღო პიროვნებამ (ადამიანმა).

აღსანიშნავია, რომ უმუშევრობასთან დაკავშირებული განხილული შედეგებიდან ჩვენი კვლევის ინტერესს იწვევს მხოლოდ ისეთი, რომლებიც ეკონომიკური და სოციალური ბუნებისაა და რომელთაც ნეგატიური საზოგადოებრივი დატვირთვა გააჩნიათ.

აქედან გამომდინარე, პოსტკომუნისტურ ქვეყანაში (კერძოდ, საქართველოში) უმუშევრობით გამოწვეული ნეგატიური ეკონომიკური და სოციალური შედეგების ისეთ სახეობებს გამოვყოფთ, რომლებსაც, საბოლოო ჯამში, ძირითადად მაინც საზოგადოებრივი ზარალის დატვირთვა გააჩნიათ.

ამგვარ სახეობებს უნდა მივაკუთვნოთ: 1. ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის გამოყენების დონის დანაკარგი; 2. სახელმწიფო ბიუჯეტის (ან სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის) შემოსავლების შემცირება; 3. სახელმწიფო ბიუჯეტის (ან სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის) ხარჯების ზრდა; 4. მუშაკთა დისკვალიფიკაცია; 5. ადამიანთა ფსიქიკის შერყევა; 6. კრიმინოგენური სიტუაციის გაუარესება; 7. მიგრაციის დონის ამაღლება; 8. რესურსების მნიშვნელოვანი დანაკარგები.

პირველი სახეობის ნეგატიურ შედეგში ჩვენ ვგულისხმობთ უწარმოებელი პროდუქციის იმ მოცულობას, რომელიც დაკავშირებულია უმუშევრობასთან. პროდუქციის გამოშვების ასეთ დანა-

კარგს მაშინ აქვს ადგილი, როცა ეკონომიკას არ შეუძლია საკმარისი სამუშაო ადგილების შექმნა მუშაობის შესაძლებლობისა და სურვილების მქონე პირებისათვის. მაშასადამე, ცხადია, უმუშევრობა ხელს უშლის ქვეყნის ეკონომიკის პოტენციურ შესაძლებლობათა სრულად გამოყენებას და, შესაბამისად, მისი საზოგადოების წინსვლას. ეკონომიკურ ლიტერატურაში აღნიშნული სახეობის უმუშევრობის მიზეზით უწარმოებელი პროდუქცია გაიგივებულია მთლიანი ეროვნული პროდუქტის დანაკარგთან. ეს უკანასკნელი უწარმოებელი მთლიანი ეროვნული პროდუქტის ისეთ მოცულობას წარმოადგენს, რომლითაც მისი ფაქტობრივი მოცულობა ჩამორჩება პოტენციურს.*

სპეციალისტების მიერ, ემპირიულად განსაზღვრულია, რომ ამა თუ იმ ქვეყანაში რაც უფრო მაღალია უმუშევრობის დონე, მით უფრო მეტია მთლიანი ეროვნული პროდუქტის (ისე, როგორც ეროვნული სიმდიდრის, საბოლოო საზოგადოებრივი პროდუქტის, ეროვნული შემოსავლის და სხვა მაკროეკონომიკური მაჩვენებლების) დანაკარგი.

უმუშევრობის დონესა და მთლიანი ეროვნული პროდუქტის დანაკარგს შორის თანაფარდობის რაოდენობრივი მხარე, თავის დროზე, როგორც ცნობილია, შესწავლილია ა. ოუკენის მიერ და ეს თანაფარდობა სპეციალურ ლიტერატურაში ამჟამად მისი კანონის სახელს ატარებს [ამ კანონის მიხედვით: იმ შემთხვევაში, თუ უმუშევრობის ფაქტობრივი დონე ბუნებრივზე მეტია ერთი პროცენტით, მაშინ ეს იწვევს მთლიანი ეროვნული პროდუქტის დანაკარგს, რომელიც ტოლია 2,5 %-ის. ე.ი. გამოდის, რომ უმუშევრობის ფაქტობრივი დონე ისე შეეფარდება მისი მიზეზით გამოწვეული მთლიანი ეროვნული პროდუქტის დანაკარგს, როგორც (1 : 2,5-ს) 2 : 5 -ს].

* პოტენციური მთლიანი ეროვნული პროდუქტი, როგორც ცნობილია [1;2], განისაზღვრება ეკონომიკური ზრდის ნორმალური ტემპების საფუძველზე, უმუშევრობის ბუნებრივი დონის გათვალისწინებით.

მეორე სახეობის ნეგატიურ შედეგში იგულისხმება სახელმწიფო ბიუჯეტის (ან სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის) შემოსავლების ისეთი დანაკარგი, რომელიც დაკავშირებულია დასაბეგრი ობიექტებისაგან შემოსავლების შემცირებასთან (რადგან უმუშევრის შემოსავალი გაცილებით უფრო ნაკლებია, ვიდრე შრომისუნარიანი მომუშავის). სახელმწიფო ბიუჯეტის (და სოცდაზღვევის ფონდის) შემოსავლების ამგვარი დანაკარგი დაკავშირებულია იმ გარემოებასთან, რომ, რადგან უმუშევრობის პროცესი დიდად ამცირებს უმუშევართა შემოსავლების მთლიან მაჩვენებელს (რადგან უმუშევართა მიერ მიღებული დახმარებების საერთო თანხა გაცილებით ნაკლებია მათი ხელფასების საერთო ჯამის ამსახველ თანხაზე), შესაბამისად ამცირებს სახელმწიფო ბიუჯეტის (და სოცდაზღვევის ფონდის) შემოსავალსაც (რადგან სახელმწიფოს მიერ იბეგრება მომუშავის შემოსავალი და არა უმუშევრის მიერ მიღებული დახმარების მიზერული თანხა. ან კიდევ, ყველაზე უკიდურეს შემთხვევაში დაუბეგრავი დარჩება სხვაობა მომუშავის შემოსავალსა და უმუშევრის მიერ მიღებულ დახმარებას შორის).

მესამე სახეობის ნეგატიურ შედეგში ჩვენ ვგულისხმობთ სახელმწიფო ბიუჯეტის (და სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის) გასავლების (ხარჯების) ნაწილის ისეთ ზრდას, რომელიც დაკავშირებულია: 1. უმუშევრობის ზრდით გამოწვეული შემწეობების თანხების მოცულობის ზრდასთან; 2. უმუშევრობის ზრდით გამოწვეული უმუშევართა გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლებისათვის საჭირო ხარჯების ზრდასთან.

მეოთხე სახეობის ნეგატიურ შედეგში ვგულისხმობთ უმუშევრობით გამოწვეულ მუშაკთა დისკვალიფიკაციას. ცნობილია, რომ უმუშევრობის გამო თავის პროფესიულ საქმიანობას გარკვეული დროით ჩამოშორებულ ადამიანს შესაბამისი დრო სჭირდება ადაპტირებისათვის, რათა მან შეძლოს შრომის მწარმოებლურობის უკვე ტრადიციულად მიღწეული დონის შენარჩუნება. ე.ი. ცხადია, რომ უმუშევრობით გამოწვეული დანაკარგები უნდა გა-

ანგარიშდეს როგორც უმუშევრობის ხანგრძლივობის, ასევე ადაპტირებისათვის საჭირო დროის მიხედვით.

მეხუთე სახეობის ნეგატიურ შედეგში ვგულისხმობთ უმუშევრობის მიზეზითა და ადამიანის შერყეული ფსიქიკით გამოწვეულ ნეგატიურ შედეგებს. უმუშევარი ადამიანი ნერვიულობის გამო ხშირად მძიმე სტრესულ მდგომარეობაში ვარდება და თუ ეს დიდხანს გაგრძელდა, მაშინ იგი შეიძლება სამუდამოდ გამოვიდეს სამუშაო ძალის შემადგენლობიდან.

მეექვსე სახეობის ნეგატიურ შედეგში იგულისხმება უმუშევრობის მიზეზით ქვეყანაში კრიმინოგენური სიტუაციის გაუარესება. უმუშევრობა ხელსაყრელ პირობებს უქმნის ქვეყანაში დამნაშავეობის ზრდას და კრიმინოგენური სიტუაციის გაუარესებას. ცნობილია, რომ საქართველოში დამნაშავეთა უმრავლესობა უმუშევართა რიგებიდან არის გამოსული.

მეშვიდე სახეობის ნეგატიურ შედეგში იგულისხმება ქვეყანაში უმუშევრობით გამოწვეული მიგრაციის დონის ამადლების შედეგად მიღებული ზარალი.

უმუშევრობა იწვევს მიგრაციის დონის ამადლებას. იგი ხშირად ხელს უწყობს მუშახელის სამშობლოდან შორს გადახვეწას და ქვეყნის სამუშაო ძალის შემცირებას.

მერვე სახეობის ნეგატიურ შედეგში ნაგულისხმებია უმუშევრობით გამოწვეული რესურსების დანაკარგები. ცნობილია, რომ უმუშევრობა იწვევს არა მარტო მატერიალური (კაპიტალის), არამედ შრომითი (მაღალკვალიფიციურ სპეციალისტთა კადრების) რესურსების დანაკარგებს (მათი “გადინების” შედეგად). აგრეთვე იწვევს დანაზოგების, მსყიდველობითუნარიანი მოთხოვნების და ინვესტიციური მოთხოვნის შემცირებას, მიწოდების შეკვეცას, წარმოების დაცემას [2] და ა.შ.

უმუშევრობა, გარდა განხილულისა, სხვა სახეობის ნეგატიურ შედეგებსაც იწვევს, მაგრამ ისინი ჯერჯერობით ნაკლებად მისაწვდომია კვლევისათვის და, ამდენად, მათი აქ განხილვა არ მიგვაჩნია მიზანშეწონილად.

ბამოყენებული ლიტერატურა

1. ჩიქავა ლ. ეკონომიკური თეორიის მოკლე კურსი. თბილისი, "სიასლე", 1997, გვ. 371-375.
2. ჩიქავა ლ. უმუშევრობა საქართველოში და მისი სოციალურ-ეკონომიკური შედეგები. - ჟ. "მაკრო-მიკროეკონომიკა", №6, 1998, გვ. 43.
3. წერეთელი გ., ბიბილაშვილი ნ. პოსტკომუნისტურ ქვეყანაში უმუშევრობით გამოწვეული ნეგატიური ეკონომიკური შედეგების განსაზღვრისა და შემცირების გზები (საქართველოს მაგალითზე). თბილისი, "მეცნიერება", 2004.
4. Буланова В. Ц., Волгина Н.А. Рынок труда. Москва, "ЭКЗАМЕН", 2000.
5. Церетели Г., Бибилაშвили Н. Вопросы определения социально-экономических результатов безработицы в посткоммунистических странах. - ж. "Мацне" АН Грузии. Экономическая серия. Т. 9, №3, 2001.

Bibilashvili Nana

CLASSIFICATION OF ECONOMIC AND SOCIAL RESULTS CAUSED BY UNEMPLOYMENT IN GEORGIA

SUMMARY

On modern stage of economic development of Georgia a great consideration should be given to the definition of social-economic results of unemployment. Just to the study of methodological issues of definition of such results is dedicated the given article. There is proposed the version of classification of social-economic results caused by unemployment in a postcommunist country (Georgia) and the criteria of their visual assessment.

თეა ჭაზარაშვილი

**სახელმწიფოს როლი შრომის ბაზრის
რეგულირებაში**

მსოფლიო ეკონომიკურ ლიტერატურაში საბაზრო ურთიერთობების რეგულირების მექანიზმისადმი ორი ძირითადი მიდგომა ჩამოყალიბდა: პირველი – ნეოკლასიკური, რომელიც ამტკიცებს, რომ არსებობს საბაზრო სისტემის თვითრეგულირების ავტომატური პრინციპი; მეორე – კეინზიანური, რომელიც მხარს უჭერს სახელმწიფოს აქტიურ ჩარევას საბაზრო ეკონომიკაში, განსაკუთრებით დეპრესიებისა და მაღალი უმუშევრობის პირობებში.

ნეოკლასიკური მიმართულება ჯერ კიდევ კაპიტალიზმის აყვავების პერიოდში ჩაისახა, როცა მმართველი კლასები იწონებდნენ ეკონომიკური ურთიერთობების ლიბერალიზაციას და სახელმწიფოს ჩაურევლობას ამ სფეროში. ამ მიმართულების მიმდევართა აზრით, ფასების და ხელფასების მოქნილობა ასახავს ასევე მოთხოვნა-მიწოდების ბალანსს. მათი აზრით, საქონელზე ფასების დაწევა იწვევს ხელფასის შემცირებას და სრული დასაქმების შესაძლებლობას. მაგრამ ეს მიდგომა მცდარია თუნდაც იმის გამო, რომ ხელფასის შემცირება ვერანაირად ვერ ამცირებს ადამიანის საარსებო მოთხოვნილებებს. პირიქით, იგი ნეგატიურად მოქმედებს მოსახლეობის გადახდისუნარიანობაზე, ამით კი – საქონლის წარმოების მოცულობაზე. ამრიგად, ნეოკლასიკური თეორიის თანახმად, სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა უნდა ითვალისწინებდეს მხოლოდ ფასების დონეზე ზემოქმედებას და არა წარმოებისა და დასაქმების დონეზე. ამი-

ტომ სახელმწიფოს ჩარევა წარმოების და დასაქმების დონეთა რეგულირებაში მიზანშეწონილი არ არის. ამ კონცეფციის პრაქტიკულ განხორციელებად გვევლინება დასავლეთში საკმაოდ განვითარებული ე.წ. მოქნილი ბაზრის დოქტრინა, რომელმაც შეცვალა ე.წ. ტელიორის დოქტრინა, რომელიც ფართოდ იყო გავრცელებული განსაკუთრებით აშშ-ში 80-იანი წლების დასაწყისამდე.

მეორე მიმართულება კეინზიანური. ნეოკლასიკურისაგან განსხვავებით, ამ სკოლის მიმდევრები თვლიან, რომ სახელმწიფოს შეუძლია არეგულიროს ეკონომიკის განვითარება. ნეოკლასიკოსების ძირითად ნაკლად ჯ. კეინზი ასახელებდა იმას, რომ მათ ვერ შეძლეს ჩამოეყალიბებინათ, თუ რა გზებით უნდა შემცირდეს უმუშევრობა, რომელიც როდესაც მასიური ხდება, მოითხოვს სახელმწიფო დანახარჯების ზრდას და საზოგადოებაში სოციალურ დაძაბულობას იწვევს [1, 2].

კეინზიანელების აზრით, მთავრობას შეუძლია ხელი შეუწყოს ეროვნული პროდუქტის და დასაქმების ზრდას სახელმწიფო მექანიზმისა და პროტექციონისტური პოლიტიკის გამოყენებით. ამასთან, განსაკუთრებული ყურადღებაა აუცილებელი ამ პოლიტიკის განხორციელების მიმართულებებისა და საშუალებების შერჩევისას, რათა, ერთი მხრივ, არ დაიკარგოს საზოგადოების განვითარების ჰუმანურობის პრინციპი, ხოლო, მეორე მხრივ არ შეჩერდეს ეკონომიკური ზრდა.

როგორც ცნობილია, დასაქმების დონეზე სახელმწიფოს ზემოქმედების ორი ტიპი არსებობს: აქტიური და პასიური. აქტიური ტიპი მოიცავს იმ ღონისძიებებს, რომლებიც სტიმულს აძლევს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, ასევე მოქმედ საწარმოებში დასაქმების არსებული დონის შენარჩუნებას და შეძლებისდაგვარად გაზრდას. პასიურ ტიპს მიეკუთვნება ღონისძიებები, მიმართული უმუშევრობისა და მათი ოჯახის წევრების მატერიალური დახმარებისათვის [3].

80–90-იან წლებში განვითარებული ქვეყნების უმეტესობა თავის ძალისხმევას 2 მიმართულებით წარმართავდა: 1. შრომის ბაზრის სტიმულირება და 2. მოსახლეობის სოციალური დაცვა.

ორივე მიმართულება ხორციელდებოდა საზოგადოების მატერიალური რესურსების და ეკონომიკური შესაძლებლობების გათვალისწინებით. დღეისათვის სახელმწიფოს ჩარევის ეფექტურ საშუალებად შეიძლება ჩაითვალოს ისეთი ქმედება, რომელიც არ გამოიწვევს ინფლაციის ზრდას და გათვალისწინებული იქნება უმუშევართა კატეგორიები.

უმუშევართა ყველა კატეგორიისათვის უმნიშვნელოვანესია ინფორმაციის ხელმისაწვდომობა შრომის ბაზრის შესახებ. ამ საქმეში უდიდეს როლს ასრულებს შრომის ბირჟები. შრომითი რესურსების აღრიცხვა, შრომაზე მოთხოვნის შესწავლა დასაქმების სახელმწიფო რეგულირების აუცილებელი წინაპირობებია. რაც შეეხება მოსახლეობის სოციალურ დაცვას, იგი უნდა მოიცავდეს არა მარტო შემოსავლების, სამუშაოს დაკარგვის დაცვას და უმუშევრობის დახმარების გადახდას, არამედ დაცვას უსაფუძვლო შემცირებისაგან [5].

დღეისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია დასაქმების პროგნოზირება; დასაქმების სამსახურების პრესტიჟის ამაღლება; პროფესიული სწავლების და კვალიფიკაციის ამაღლების მიზანმიმართული აქტიური ფინანსირება; დამჭირავებელთა პასუხისმგებლობის გაზრდა დაუსაბუთებელი შემცირებისა და სამუშაოზე უარის თქმის შემთხვევაში.

ყოველივე ამის გათვალისწინებლობა შეიძლება ეკონომიკური ზრდის ტემპების შენელებისა და სერიოზული სოციალური კონფლიქტების მიზეზი გახდეს. ამიტომაცაა მნიშვნელოვანი ბაზრის ფუნქციონირების პროცესში სახელმწიფოს ჩარევის სწორი, მეცნიერულად დასაბუთებული ფორმებისა და სპეციფიკის შერჩევა.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში, განსაკუთრებით ე.წ. გარდამავალ პერიოდში, ინფლაციისა და უმუშევრობის მაღალი დონის შემთხვევაში, ეკონომიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტად შრომის ბაზარი გვევლინება. ეს არის შრომითი რესურსების მოძრაობის საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმა, საწარმოო ურ-

თიერთობების სისტემა სამუშაო ძალის მფლობელსა და მის დამქირავებელს შორის.

ეკონომიკური კრიზისის პერიოდში სხვა ქვეყნების მიერ უმუშევრობასთან ბრძოლის გამოცდილების ყოველმხრივი შესწავლა და გონივრული მისადაგება საკუთარი ქვეყნის ეკონომიკისადმი, ხელს შეუწყობს მოსახლეობის დასაქმების საკუთარი ოპტიმალური მექანიზმის შემუშავებას. დასაქმების პოლიტიკის ორი სახეა ცნობილი – აქტიური და პასიური. აქტიური პოლიტიკა გულისხმობს [4]:

- საკანონმდებლო, ორგანიზაციულ და ეკონომიკურ ღონისძიებებს, რომელსაც ატარებს სახელმწიფო უმუშევრობის დონის შემცირების მიზნით;

- ღონისძიებები, რომლებსაც სახელმწიფო ატარებს სამუშაოს შენარჩუნების პროფილაქტიკის მიზნით;

- ადამიანთა გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება;

- ახალი სამუშაო ადგილების შექმნის დაფინანსება.

პასიური, როგორც წესი, არის ღონისძიებათა სისტემა, რომელიც ოდნავ მაინც არბილებს უმუშევრობით გამოწვეულ უარყოფით შედეგებს:

- სახელმწიფოს მიერ გარკვეული პერიოდით უმუშევართა შემწეობების, ხოლო შემდეგ კი სოციალური გადასახადების გადახდა;

- სამსახურის მოძებნა დასაქმების სახელმწიფო სისტემის დახმარებით;

- დახმარებები შრომისუნარდაკარგულთათვის და სხვა.

უმუშევრობის დონის შემცირების მიზნით, სახელმწიფომ უნდა განახორციელოს შრომის ბაზრის რეგულირების აქტიური პოლიტიკა (დაეხმაროს სამუშაოს მოძებნაში უმუშევრებს, განახორციელოს მათი პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამები, კერძო სექტორის სტიმულირება, სამეწარმეო საქმიანობის სუბსიდირება და ა.შ.).

უცხოური გამოცდილების გაანალიზებამ უმუშევრობის სფეროში გვიჩვენა, რომ ეს პრობლემა საკმაოდ მწვავეა პოსტსოცი-

აღისტურ ქვეყნებში და ამიტომ შრომის ბაზრის რეგულირებაში სახელმწიფოს ჩარევა სავსებით ლოგიკურია. მაგრამ სახელმწიფოს მიერ უშუალო ადმინისტრირებით მისი პირდაპირი რეგულირება, ჩვენი შეხედულებით, მართებული არ არის. პრაქტიკამ გვიჩვენა ასეთი ჩარევის მიზანშეუწონლობა. აუცილებელია, ჩვენს ქვეყანაში პირველ რიგში მოწესრიგდეს საკანონმდებლო-ნორმატიული ბაზა, შეიქმნას საზოგადოებრივი ორგანიზაციები და შრომითი ცენტრები, პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს ბიზნესის განვითარებას (შეღვათიანი კრედიტის მიცემით, საკონსულტაციო ცენტრების შექმნით, რომლებიც ხელს შეუწყობს ბიზნესგეგმების შედგენას, სამეწარმეო საფუძვლების შესწავლას, ასევე ორგანიზაციული სამუშაოების შესრულებას).

ევროკავშირი უმუშევრობის შემცირების უმნიშვნელოვანეს საშუალებად მიიჩნევს უწყვეტი განათლების სისტემის შემოღებას. ამიტომ სახელმწიფომ ორიენტაცია უნდა აიღოს უმუშევართა პროფესიულ მომზადებასა და გადამზადებაზე, კვალიფიკაციის ამაღლებაზე, შრომის ბაზრის კონკურენტუნარიანობის ზრდაზე. იგი სისტემურად უნდა იკვლევდეს შრომის ბაზარს სამუშაო ძალაზე რეალური მოთხოვნის დასადგენად და ა.შ.

სახელმწიფომ უმუშევრობის ფენომენი მეცნიერულად უნდა გაიაზროს. მასობრივი უმუშევრობის გაანალიზების საფუძველზე შეიმუშაოს მეცნიერულად დასაბუთებული ღონისძიებები. მის დასაძლევად აუცილებელია, შრომითი რესურსების რაციონალური განაწილების მიზნით, დასაქმების სახელმწიფო სამსახური და საწარმოები ურთიერთშეთანხმებულად მოქმედებდნენ.

გამოყენებული ლიტერატურა

1. **Архангельский В.** Об условиях экономического развития в 2004-2007 гг. Экономист, №7, 2004.
2. **Виссарионов А., Федорова И.** Государственный сектор: границы, контроль, управление. Экономист, №6, 2003.

3. **Клейнер Г., Петросян Д., Беченев А.** Еще раз о роли государства и государственного сектора в экономике. Вопросы экономики, №4, 2004.
4. **Хубиев К.** Государственная собственность и условия ее эффективности. Экономист, №1, 2003.
5. **Якобсон Я.** Экономика общественного сектора. Основы теории государственных финансов. М., Наука, 1999.
6. www.statistic.ge
7. www.nbg.gov.ge
8. www.mof.ge

Lazarashvili Tea

THE ROLE OF STATE IN LABOR MARKET REGULATION

SUMMARY

The article deals with the essence and significance of state sector, principle aims and problems of state policy. There is emphasized the role of state in economic system, especially in the decrease of unemployment.

There is analyzed two principle approach used in the world economic literature to the mechanism of market economy regulation: neoclassical and Keynesian.

There are underlined two types of state influence on unemployment level: active and passive.

There are discussed main components of labor market and its positive and negative sides.

მამუკა ხუსკივაძე

**ბუნებათსარბებლოვის ეკონომიკური მექანიზმისა და
ეკოლოგიური პოლიტიკის სრულყოფის ასპექტები
საქართველოში**

მსოფლიო ცივილიზაციის ისტორია – ეს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ოპტიმალური გზების ძიებაა. მიუხედავად ამისა, 200-დან მხოლოდ 30-მდე ქვეყანამ მოახერხა თავისი მოსახლეობის კეთილდღეობის ღირსეული დონისა და წარმოების სტაბილურად მაღალი ტემპების უზრუნველყოფა. დანარჩენები – განვითარებადი ქვეყნები და ქვეყნები გარდამავალი ეკონომიკით (მათ შორის საქართველო) აგრძელებენ ასეთ ძიებას. ის მოდელი, რომლის მიხედვითაც ვითარდებოდნენ ქვეყნები მრავალი საუკუნის განმავლობაში, 1992 წელს, რიო-დე-ჟანეიროში ჩატარებულ კონფერენციაზე არამდგრადი განვითარების მოდელად იქნა მიჩნეული, რომელიც დედამიწაზე თვით სიცოცხლის არსებობასაც კი საფრთხის ქვეშ აყენებდა. ამავე კონფერენციაზე იქნა მიღებული პროგრამა – “ღღის წესრიგი XXI საუკუნისათვის”, – სადაც გადმოცემულია მდგრადი განვითარების არსი და ამოცანები. ამჟამად მდგრადი განვითარება წარმოადგენს კაცობრიობის განვითარების უალტერნატივო გზას. მდგრადი განვითარების იმპერატივის (გა-

რემო ბუნების სისუფთავის დაცვა და ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის რაციონალური გამოყენება) შესრულება საჭიროებს ეფექტიანი ეკოლოგიური პოლიტიკის, ასევე ბუნებათსარგებლობის ეკონომიკური მექანიზმის შემუშავებასა და პრაქტიკულ რეალიზაციას, რაც ეფუძნება ქვეყნის განვითარების ეკონომიკური, ეკოლოგიური და სოციალური ასპექტების ინტეგრაციას.

საქართველოს ეკოლოგიური პოლიტიკის ძირითადი პრინციპები და მიმართულებები განსაზღვრულია ქვეყნის კონსტიტუციითა და შესაბამისი საკანონმდებლო აქტებით. შექმნილია გარემო ბუნების დაცვისა და ბუნებათსარგებლობის მართვის სახელმწიფო ორგანოების სისტემა.

ეროვნული სერტიფიკაციის სისტემაში შექმნილია და მოქმედებს ეკოლოგიური სერტიფიკაციის ქვესისტემა. ქვეყნის საწარმოებზე ხორციელდება გარემო ბუნების დაცვის მართვის სისტემის სერტიფიკაცია, საერთაშორისო სტანდარტის UCO სერია 14000-ის შესაბამისად, რაც საერთაშორისო ორგანიზაციის მოთხოვნაა და მნიშვნელოვან ნაბიჯს წარმოადგენს სამამულო პროდუქციის გასაღების საერთაშორისო ბაზრების გაფართოების თვალსაზრისით.

მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში ტარდება ბუნებრივი რესურსების ოპტიმალურ გამოყენებასა და გარემო ბუნების დაცვაზე მიმართული ღონისძიებები, ადგილი აქვს სერიოზულ ეკოლოგიურ პრობლემებს, რომლებიც გამოწვეულია როგორც შიდა, ასევე გარე ფაქტორებით. არასაკმარისად ქმედითია გარემო ბუნების დაცვისა და ბუნებათსარგებლობის ეკონომიკური მექანიზმი.

ეკოლოგიური სიტუაციის გაუარესების აღმოფხვრისა და გარემო ბუნების კომპონენტების ოპტიმალური მდგომარეობის შესანარჩუნებლად, მდგრადი განვითარების მოთხოვნების შესაბამისად, აუცილებელია მიზანმიმართული ეკოლოგიური პოლიტიკის გატარება. ის უნდა იყოს ისეთი ეკონომიკური, ეკოლოგიური, სამართლებრივი და ორგანიზაციული ღონისძიებების ერთობლიობა, რომელთა პრაქტიკული რეალიზაცია ხელს შეუწყობს თანამედროვეთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას და საფრთხის

ქვეშ არ დააყენებს მომავალი თაობების განვითარების შესაძლებლობებს.

საქართველოს ეკოლოგიური პოლიტიკის სტრატეგიული მიზანი უნდა იყოს ხელსაყრელი გარემო პირობების შექმნა და მისი ხარისხის ამაღლება, მოსახლეობის ჯანმრთელობისა და საცხოვრებელი ეკოლოგიური პირობების გაუმჯობესება, ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფა ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესების შესაბამისად.

ამ მიზნების მისაღწევად აუცილებლად გვესახება ამოცანათა კომპლექსის გადაწყვეტა, რომელთაგან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შემდეგი: ხელსაყრელი ეკოლოგიური სიტუაციისა და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროცესში სამეურნეო სუბიექტების ბუნებრივ რესურსებზე თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა; სამეურნეო საქმიანობის დეეკოლოგიზაციის ნეგატიური გამოვლინებების დაძლევა, დაზიანებული ეკოსისტემების აღდგენა; ეფექტიანი ბუნებათსარგებლობის უზრუნველყოფა; ბუნებრივი რესურსების არაეფექტიან, არარაციონალურ და ეკოლოგიურად სახიფათო გამოყენებაზე ადეკვატური ეკონომიკური და სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაწესება; გარემო ბუნების დაცვისა და რაციონალური ბუნებათსარგებლობის სფეროში აუცილებელი საერთაშორისო მოთხოვნების შესრულება; საზოგადოების განვითარების შემდგომი ეკოლოგიური ორიენტაცია, რაც გულისხმობს ქვეყნის მდგრადი განვითარების ეკონომიკური, ეკოლოგიური და სოციალური შემადგენლების განუყრელობას.

აღნიშნული ამოცანების გადაჭრა უნდა დაეფუძნოს შემდეგ ძირითად პრინციპებს: მოქალაქეების, საზოგადოებისა და სახელმწიფოს ეკონომიკური, ეკოლოგიური და სოციალური ინტერესების შეთანაწყოება; ხელსაყრელ გარემო პირობებზე მოქალაქეების უფლების უზრუნველყოფა და დაცვა; ინოვაციურ-საინვესტიციო პროექტებზე ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარება; ეკოლოგიური ინფორმაციის საჯაროობა და საზოგადოების მონაწილეობა გარემო ბუნების დაცვისა და ბუნებრივი რესურსების გამოყენების სფეროში გადაწყვეტილებების მიღებაში; გარემო ბუნებაზე უარ-

ყოფითი ზემოქმედების შედეგად წარმოქმნილი ზარალის ანაზღაურება და ბუნებათსარგებლობის ფასიანობა; პასუხისმგებლობა გარემო ბუნების დაცვისა და ბუნებათსარგებლობის სფეროში საქართველოს კანონმდებლობის დარღვევისათვის.

ეკოლოგიური პოლიტიკის განხორციელების ძირითად მიმართულებებს უნდა წარმოადგენდეს: წარმოების ეკოლოგიზაცია და ეკოლოგიური ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა; გარემო ბუნების დაცვისა და ბუნებათსარგებლობის სფეროში საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა, მათ შორის ეკოლოგიური შეზღუდვების; ეფექტიანი ბუნებათსარგებლობის მექანიზმის შექმნა, ბუნებრივი რესურსების გამოყენებაზე გადასახადების ეკოლოგიურად დასაბუთებულ გაზრდაზე ორიენტირება; ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება, მათი გონივრული ეკონომია, მათ ექსტენსიურ გამოყენებაზე თანდათანობით უარის თქმა და გადასვლა არაადგენადი რესურსების ეკონომიურ ხარჯვაზე; რესურსდამზოგავი და მაღალეფექტიანი ტექნოლოგიების განვითარებისათვის სახელმწიფო მხარდაჭერის აღმოჩენა; ხელსაყრელი ეკონომიკური პირობების შექმნა რესურსდამზოგავი, მცირენარჩენიანი და უნარჩენო ტექნოლოგიების დანერგვისათვის, წარმოების მოდერნიზაციისათვის, ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და კვლავწარმოებისათვის, მეორადი რესურსების გამოყენების წილისა და ნარჩენების უტალიზაციის ხარისხის გაზრდისათვის; წარმოებული პროდუქციისა და ტექნოლოგიური პროცესების საერთაშორისო სტანდარტებზე თანდათანობით გადასვლისათვის; ეკონისტემებზე ანთროპოგენური დატვირთვის შემცირება, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ადგილებში დაზიანებული ეკოსისტემების აღდგენა; განსაკუთრებით დაცული ტერიტორიების ოპტიმალური სისტემის ფორმირება და ბიომრავალფეროვნების დაცვა; ტექნოლოგიური პროცესებისა და მოწყობილობების გამოყენების და ცალკეული საწარმოების განთავსების შედეგად გარემო ბუნებაზე ზემოქმედებისა და ბუნებრივი რესურსების ადეკვატური ეკონომიკური შეფასება; ეკოლოგიური აუდიტისა და დაზღვევის დანერგვა; საქმიანობის სახეების ლიცენზირება, რომლებიც ზე-

მოქმედებს ეკოლოგიურ სიტუაციაზე; ბუნებათსარგებლობის სფეროში ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევების განვითარება; ბუნებათსარგებლობისა და გარემო ბუნების დაცვის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის გაფართოება, საგარეო ეკოლოგიურ-ეკონომიკური პოლიტიკის ორიენტაცია ეროვნული ინტერესების გათვალისწინებაზე; საზოგადოების ყველა ფენის ეკოლოგიური განათლებისა და აღზრდის სისტემის განვითარება, კვალიფიციური ეკოლოგების მომზადება.

საქართველოში სრულყოფას საჭიროებს ბუნებათსარგებლობის რეგულირების ეკონომიკური მექანიზმი, სოციალურ-ეკონომიკურ სფეროში მოსალოდნელი გარდაქმნების გათვალისწინებით. ბუნებათსარგებლობისა და გარემო ბუნების დაცვის სფეროში ეკონომიკური რეგულირება მიმართული უნდა იქნეს ეკოლოგიური ფაქტორებისა და ეკონომიკური სტიმულების ურთიერთქმედებასა და ინტეგრაციაზე, ეკონომიკური ბარიერების დადგენაზე ეკოლოგიური თვალსაზრისით არაეფექტიანი საქმიანობის სახეებისათვის, გარემო ბუნებაზე მავნე ზემოქმედების შემცირებაზე ორიენტირებული ეფექტიანი ღონისძიებების გამოყენების წახალისებაზე, გარემოსდაცვით ღონისძიებებზე ფინანსური რესურსების გენერირებაზე და სხვა.

ბუნებათსარგებლობის ეკონომიკური მექანიზმის სრულყოფისა და რეალიზაციის ძირითად მიმართულებებს, რომლებმაც უნდა უზრუნველყოს გარემო ბუნებასა და სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას შორის ჰარმონიული კავშირი, აგრეთვე „ორმაგი მოგების“ პოლიტიკის რეალიზაცია (რომლის დროსაც სარგებელს იღებს როგორც გარემო ბუნება, ასევე ეკონომიკა), უნდა წარმოადგენდეს: რესურსდაზოგვის სტიმულირება, ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის გადასახადებში რენტული ურთიერთობების გათვალისწინება, ხოლო გარემო ბუნების დეგრადაციისა და გაჭუჭყიანებისათვის გადასახადებში – რეალურად მიყენებული ეკონომიკური ზარალის, ეკოლოგიურად ორიენტირებული ეროვნული ანგარიშების (ე.წ. „მწვანე“ ანგარიშების) სისტემის შემუშავება და რეალიზაცია; ნარჩენების გამოყენებაზე, გარე-

მოსდაცვითი ღონისძიებების განხორციელებასა და მცირენარჩენიანი და რესურსდამზოგავი ტექნოლოგიების, აგრეთვე სპეციალური მოწყობილობების (რომლებიც ამცირებენ გარემო ბუნებაზე მავნე ზემოქმედებას) დანერგვაზე საგადასახადო შეღავათების დაწესება; ბუნებრივი რესურსების რაციონალურ გამოყენებასა და გარემო ბუნების დაცვაზე მიმართული ღონისძიებების დაკრედიტებაზე შეღავათების დადგენა, გარემოსდაცვითი საქმიანობის სუბსიდირება; ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის გამოყენებისათვის გადასახადებიდან აკუმულირებული ფულადი სახსრების გამოყენების მექანიზმის სრულყოფა; ეკოლოგიურად სახიფათო პროდუქციის წარმოებისათვის ფინანსური სანქციების მექანიზმის, ხოლო ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის მწარმოებლებისათვის შეღავათებისა და სუბსიდირების სისტემის შექმნა; ეკოლოგიური მომსახურების ბაზრის (მათ შორის გარემო ბუნების გაჭუჭყიანების უფლებათა ბაზრის) ფორმირება და ამ საქმიანობისათვის სპეციალიზებული ფირმებისა და ცენტრების შექმნა, აგრეთვე ეკოლოგიის სფეროში ექსპერტული მომსახურების ბაზრის ჩამოყალიბება; ეკოლოგიური მოთხოვნების გათვალისწინება პრივატიზაციის პროცესში; გარემო ბუნების დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების მიზნით სახელმწიფოს მიერ მიღებული პროგრამებისა და ღონისძიებების პრიორიტეტული დაფინანსების უზრუნველყოფა; გარემოსდაცვითი და რესურსდამზოგველი საქმიანობის ინოვაციური მექანიზმის რეალიზაცია.

პოსტკომუნისტურ საქართველოში ბუნებათსარგებლობის ეკონომიკური მექანიზმისა და ეკოლოგიური პოლიტიკის სრულყოფით შესაძლებელი იქნება ახლანდელი თაობების მოთხოვნების დაკმაყოფილება ისე, რომ საფრთხე არ შეექმნას მომავალი თაობების განვითარების შესაძლებლობებსა და ქვეყნის ეკონომიკურ-ეკოლოგიურ უსაფრთხოებას.

ბამოყენებული ლიტერატურა

1. აბესაძე რ. ეკონომიკური განვითარება. თბ., 2006.

2. **წერეთელი გ.** გარემო ბუნების დაცვის პროცესთა ეკონომიკური რეგულირების საკითხები საბაზრო ურთიერთობების პირობებში. თბ., 2003.
3. Экономика природопользования. Под. ред. **Э. В. Гирусова.** М., 2003.

Khuskivadze Mamuka

ASPECTS OF IMPROVEMENT OF ECONOMIC MECHANISM OF ECOLOGICAL POLICY AND NATURE USE

SUMMARY

Principle imperative of sustainable economic development – protection of environmental and optimal use – fulfilment of natural resource potential in any country including Georgia needs the working out and practical realization of efficient ecological policy and economic mechanism of rational nature use. Just to the mentioned issues is dedicated the given article, where there is analyzed the aims of ecological policy, are mapped out objectives to achieve these aims and are determined main trends of realization of economic mechanism of nature use and ecological policy.

თენგიზ ქავთარაძე

წარმოების ოპტიმიზაციისა და დასაქმების ღონის ზრდის საკითხები შიდა ქართლის მეხილეობის ზონის საწარმოებში

შიდა ქართლის მეხილეობის ზონაში შემავალი რაიონების სოფლის მეურნეობის საწარმოო სპეციალიზაციას მეხილეობა განსაზღვრავს. მისი ხვედრითი წილი საშუალოდ 33%-ის ტოლია, მეცხოველეობის პროდუქციისა – 29,3%, მარცვლეულისა – 17%, ყურძნის – 7%, ბოსტნეულის – 4% და ა.შ. ფულად შემოსავალში ხილზე მოდის 39,9%, მეცხოველეობის პროდუქციაზე – 25,8%, მარცვლეულზე – 15,4%, ყურძენზე – 13,1%, ბოსტნეულზე – 5,8%.

ხეხილის ბაღების ხვედრითი წონა სასოფლო-სამეურნეო სავარგულთა მთელ ფართობში 29,9 პროცენტით არის შემცირებული (დაახლოებით 15 ათასი ჰექტარი) და ტრანსფორმირებულია

სახნავში, რის გამოც შესაბამისად გაიზარდა თავთავიანი მარცვლეულის ნათესების ფართობები, რადგან მარცვლეულის წარმოების გადიდებას, ქვეყნის მოსახლეობის საკუთარი წარმოების ხორბლით დაკმაყოფილებას დღეისათვის ყველაზე პრიორიტეტულ ამოცანად მიიჩნევენ სახელმწიფო.

დღეისათვის ზონის სოფლის მოსახლეობა ძირითადად შემდეგი სახის წარმოების ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმებშია წარმოდგენილი: გლეხური, ოჯახური მეურნეობის, მოყვარულ მოქალაქეთა ხეხილის ნარგაობა; სამომხმარებლო დანიშნულების ნარგაობა სხვადასხვა წვრილ სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში; სამრეწველო დანიშნულების ბაღები მსხვილ სახაზინო საწარმოებში, შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმოებში, კოოპერატივებში, სააქციონერო საზოგადოებებში, მეხილეობის აგროფორმებში.

კვლევის შედეგად ირკვევა, რომ საქართველოში მთლიანად წარმოებული ხილის (ციტრუსების გამოკლებით) 16,8% იწარმოება შიდა ქართლის ზონაში, მათ შორის ვაშლის – 38,6%, ქლიავის – 27,7%, ბლის და ალუბლის – 15,8 და ა.შ.

ამ მონაცემებით დასტურდება დარგის სპეციალიზაციის ძირითადი მიმართულებაც – თესლოვანი ხილის წარმოება კურკოვანებთან შეთანაწყოებაში, თუმცა, გარკვეული მონაცემებით, კვლავ იწარმოება ატამი და მსხალიც, ამ უკანასკნელთა წარმოების შემცირება დაკავშირებულია საკონსერვო ქარხნების გაჩერებასთან, ისინი არატრანსპორტირებად პროდუქციათა კატეგორიას განეკუთვნებიან და საჭიროებენ სასწრაფო გადამუშავებას.

ხილის წარმოების ეფექტიანობაზე სპეციალიზაციის და ინტენსიფიკაციის დონის გავლენა კვლავ ძალაში რჩება. სპეციალიზაციის გაღრმავებას თან სდევს ხილის მოსავლიანობის გადიდება, იზრდება ერთ ჰექტარზე გაწეული დანახარჯებიც, მაგრამ მცირდება პროდუქციის თვითღირებულება, რაც დადებით გავლენას ახდენს მოგების ზრდაზე. ეს უკანასკნელი საანგარიშო წლისათვის ძალზე მცირეა, მაგრამ მაინც ახასიათებს ზემოთ აღნიშნულ კანონზომიერებას.

ამ მხრივ ყურადღებას იმსახურებს კვლევები, რომლებიც შესრულებულია მეზღვაობა-მევენახეობის და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მიერ, მათი შედეგების ანალიზი შემდეგი განსჯის საშუალებას იძლევა: მეხილეობაში ჩვენს პირობებში ოპტიმალურ მეურნეობად შეიძლება ჩაითვალოს ისეთი სპეციალიზებული მეურნეობა, რომელშიც მსხმოიარე ხეხილის ბაღები იქნება არანაკლებ 400 და არაუმეტეს 600 ჰექტარი, წარმოების ინტენსიფიკაციის მაღალი დონით. ასეთი სპეციალიზებული მეურნეობა სამრეწველო ტიპის საწარმოს უნდა წარმოადგენდეს. დანარჩენი დარგები მასში მხოლოდ დამხმარე ხასიათს უნდა ატარებდნენ, რომლებიც, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, ხელს უნდა უწყობდნენ ძირითადი დარგის განვითარებას.

დღეისათვის რეგიონში გეხვდება სხვადასხვა ორგანიზაციული ფორმის ისეთი სასოფლო-სამეურნეო საწარმოები, რომელთა ფულად შემოსავლებში მეხილეობას მნიშვნელოვანი ხვედრითი წონა უკავია, მაგრამ მათი საწარმოო მიმართულება, სტრუქტურა და განვითარების სხვა მაჩვენებლები ჯერ ფორმირების პროცესშია. გორის რაიონში ასეთ საწარმოებს განეკუთვნება: შპს „ახრისი“, მებოსტნეობის სათბური, ნაწრეთის მეთესლეობის ექსპერიმენტული საწარმო, შპს „ყელქვეული“ და სხვ. ქარელში: ქარელის ფერმერული მეურნეობა, ქვენატკოცის სახელმწიფო საწარმო „ქარელი“, ფცის სახაზინო საწარმო, ხვედურეთის მეცხოველეობის კომპლექსი და სხვა. კასპის რაიონში ზემო ხანდაკის კოოპერატივი, შპს „გიორგი სააკაძე“, შპს „ტიფონა“, შრომის ს/ს კოოპერატივი, ბჩის სახაზინო ს/ს საწარმო და სხვა.

ასეთ საწარმოებში მეხილეობა წარმოდგენილია 10-დან 100-ჰა-მდე ხეხილის ბაღებით და ძალზე დაბალეფექტიანია, ამიტომ ზონაში კვლავ უნდა დაიწყოს ასეთი წერილი სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა და განსაკუთრებით გლეხურ (ოჯახურ) მეურნეობათა აგროსამრეწველო ინტეგრაციის პროცესი ხილ-ბოსტნეულის საკონსერვო ქარხნებთან კონტრაქტაციის და ნებაყოფლობითი სახელშეკრულებო პრინციპებით. პროდუქციის შესყიდ-

ვის ფასები დიფერენცირებული უნდა იყოს ზონალური, სეზონური, სიმწიფის პერიოდების, ჯიშების და ხარისხების მიხედვით, ისე, რომ ის არავითარ შემთხვევაში საბაზრო ფასზე ნაკლები არ იყოს.

ზონაში ამჟამად შექმნილია 67 ათასი წვრილი გლეხური (ოჯახური) მეურნეობა. ასეთი მეურნეობის მიწის ფართობი არ აღემატება 1,15 ჰა-ს. მათში მრავალწლიანი ნარგავების ხვედრითი წონა კიდევ უფრო მცირეა (0,6 ჰა). მართალია, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რეალიზაციიდან მიღწეული გლეხის შემოსავლის ხვედრითი წონა 1990 წელთან შედარებით 2007 წლისათვის, მიწის პრივატიზაციის განხორციელების მერე, 9,5%-დან 38,3%-მდე გაიზარდა, ის მაინც არ გამხდარა მათი შემოსავლის ძირითადი წყარო, ამიტომ გლეხები კვლავ უნდა დასაქმდნენ მსხვილ სპეციალიზებულ მეურნეობებში (ცხადია, ნებაყოფლობითი პრინციპის დაცვით).

საკვლევ ზონაში 1988 წლისათვის იწარმოვა 204 ათასი ტონა ხილი, რაც ქვეყანაში წარმოებული ხილის 41 %-ს შეადგენდა, საანგარიშგებო 2007 წელს წარმოებულ იქნა სულ 64 191 ტონა, ანუ რესპუბლიკაში მოკრეფილი ხილის 23,4%.

დარგის შემდგომი თვისებრივი გაჯანსაღებისა და აღდგენისათვის, სოფლად მცხოვრები მოსახლეობის დასაქმების დონის ამაღლების მიზნით დიდი მნიშვნელობა ენიჭება მის სამრეწველო საფუძველზე გადაყვანას და ინტენსიური ნარგავების ზრდას. ექსტენსიური ტიპის ნარგაობის ხვედრითი წონა ამჟამად 80%-ს აღემატება, ინტენსიური ტიპის ბაღები 15 ათას ჰა-მდეა, ანუ მთელი ნარგაობის მხოლოდ 16-18%. ასეთი ბაღები ბოლო 15 წლის განმავლობაში საერთოდ არ გაშენებულა, კერძო სექტორში ამჟამად იწარმოება ზონაში მოკრეფილი ხილის 90%, ამიტომ მნიშვნელოვანი კერძო სექტორის აგროსამრეწველო ინტეგრაციის პროცესში ჩართვა, გაერთიანება უზრუნველყოფს მათი პროდუქციის გადამუშავებას და რეალიზაციას. ერთობლიობაში გლეხური მეურნეობები და საკონსერვო ქარხნები მიზნობრივი პრინციპებით წარმოქმნიან ხილისა და ბოსტნეულის წარმოების,

გადამუშავების და რეალიზაციის ქვეკომპლექსს, რომლის გამოცალკევება შრომითი რესურსების გამოყენების გადიდების საშუალებას მოგვცემს.

ყურადსაღებია შემდეგი გარემოება. 1990 წლის მერე ზონაში შეწყდა ბაღების რეკონსტრუქციის პროცესი, მათი მნიშვნელოვანი ნაწილი – 32% აღარ იძლეოდა მოსავალს და ამოიძირკვა, იმ დროს, როცა მარტივი რითმული კელავწარმოებისათვის ის 15-20 პროცენტს არ უნდა აღემატებოდეს. ამიტომ ახლა მაინც უნდა დაჩქარდეს ბაღების რეკონსტრუქცია ნარგაობათა სასურველი ასაკობრივი სტრუქტურის გასაახლებლად, რადგან ამჟამად დაბერებული ხეხილის ნარგავებს ბაღებში 68,6% უკავია, რაც სრულიად დაუშვებელია; მსხმიოიარე ბაღებში ზამთრის ჯიშებზე 82%-მდე მოდის, იმ დროს, როცა, კომერციული თვალსაზრისიდან გამომდინარე, მათი მრავალფეროვნებით უნდა გახდეს შესაძლებელი მომხმარებლის მოთხოვნილების დაკმაყოფილება. მიწოდების პერიოდის გახანგრძლივებისათვის საჭიროა დაჩქარდეს ხილის შესანახი თანამედროვე ტექნიკით და კლიმატის დაცვის ავტომატიზებული სისტემებით აღჭურვილი საცავების მშენებლობა, რომელშიც უნდა ჩაერთვნენ კერძო სავაჭრო ფირმები.

სოფლად, მოსახლეობის დასაქმების დონის ამაღლების თვალსაზრისით, ხილის წარმოების, გადამამუშავების და რეალიზაციის დარეგულირებაში საბაზრო ეკონომიკის პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მარკეტინგს, ანუ პროდუქციის გასაღების მართვას. ამ დროს გათვალისწინებული უნდა იქნეს მარკეტინგის რიგი თავისებურებები, რომელთაგან ძირითადია ნიადაგობრივ-კლიმატური და ბიოლოგიური ფაქტორები; ხეხილის ბაღების სტრუქტურა; მეწლეულობა; მეურნეობის გეოგრაფიული ადგილმდებარეობა; ამ პროდუქციაზე მოთხოვნილების, ფასის და მისგან მიღებული შემოსავლის დაბალი ელასტიკურობა; მოსავლის დანაკარგების მაღალი დონე კრეფის, შენახვის გადამამუშავებისა და ტრანსპორტირების დროს; ხოლო მალფუჭებადობა განაპირობებს მის მაქსიმალურად შემჭიდროებულ ვადებში რეალიზაციას და დიდი ნაწილის სამრეწველო გადამამუშავებაზე

გაშვებას; მუშაკთა შედარებით დიდი რაოდენობის დასაქმებას მთელ სამარკეტინგო ჯაჭვში და სხვ. ყველაფერი ეს მოითხოვს მარკეტინგის სპეციალური სტრატეგიის დამუშავებას, პროდუქციის მოთხოვნილების და გასაღების პროგნოზს, წარმოების ზრდის ზღვარის დადგენას.

კვლევის შედეგად შეიძლება დავასკვნათ: მეხილეობის პროდუქციის ბაზარზე ზონაში მოთხოვნა დაბალია, თუ არ შეიცვალა მარკეტინგის შიდა და გარე ფაქტორები (პირობები), მაშინ რეალიზაციის დაცემის ტემპები უახლოესი მომავლისათვის შენარჩუნდება. სასწრაფოდ საჭიროა მისი რეალიზაციის სფეროს გაფართოება ექსპორტით.

სოფლად დასაქმების ღონის ზრდის რეგულირების მიზნით სახელმწიფომ თითოეული რეგიონის ხელმძღვანელობას უნდა მისცეს შენობები სასოფლო-სამეურნეო და ტექნიკური კოლექტივების ქსელის შესაქმნელად. ისინი გადამწყვეტ როლს შეასრულებენ ზონის სოფლის მეურნეობის დარგში კვლევითი მუშაობისა და ფერმერთა შემდგომი თაობების მომზადების საქმეში.

ზონის სოფლის მეურნეობის მოწინავე მუშაკებს აწუხებთ, რომ სახელმწიფოს მეცნიერული კვლევის შედეგების შესახებ მონაცემებს ფერმერები ვერ იგებენ. სახელმწიფო, ახალი ტექნოლოგიების დანერგვის გარდა, ფერმერებს უნდა დაეხმაროს რამდენიმე „საჩვენებელი“ ფერმის შექმნით, რომელიც ჩაებმებოდა ადგილობრივ ბიზნესში, დაუკავშირდებოდა ფერმერთა ჯგუფებს და დაიჭირავებდა რეკლამის აგენტებს. ამ იდეას უნდა მიეცეს ეროვნული მასშტაბი „სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურების“ შექმნით. ეს სამსახური, რომელსაც დააფინანსებდა როგორც სახელმწიფო, ისევე კოლექტივი, დაიჭირავებდა აგენტებს და შექმნიდა ოფისებს, რომლებიც რჩევებს მისცემდნენ ფერმერებს და მათ ოჯახებს.

ბამოყენებული ლიტერატურა

1. **აბესაძე რ.** „სრულყოფილი საბაზრო ეკონომიკა ჯერჯერობით არ გვაქვს“ “სახელმწიფოს დახმარების გარეშე მცირე მეწარმეობა ვერ განვითარდება“, გაზ. „ბანკები და ფინანსები“, 12 აგვისტო, 2003.
2. **კოლუაშვილი პ.** აგრარული რეფორმა: შედეგები და პერსპექტივები, თბილისი, 1998.
3. **ქავთარაძე თ.** აგრარული რეფორმა საბაზრო ეკონომიკის პირობებში და საქართველო. თბილისი, „მეცნიერება“, 2003.
4. **ჩხეიძე თ.** სოფლის მეურნეობის ეკონომიკა. თბილისი, „მეცნიერება“, 2000.

Kavtaradze Tengiz

**THE ISSUES OF PRODUCTION OPTIMIZATION AND GROWTH
OF EMPLOYMENT LEVEL IN THE ENTERPRISES OF
GARDENING ZONE OF SHIDA KARTLI**

SUMMARY

Gardening defines industrial specialization of agriculture of regions forming a part of gardening zone of Shida Kartli. To increase the employment level of rural population it is very important to move it to industrial basis and to increase intensive plantation. 90% of fruit gathered in the zone is produced in private sector. Hence, it is important to involve private sector in the process of agro industrial process; association provides the processing and realization of their products. In total, farms and tinned food factories according to their purposeful principles sub complex for production, processing and realization of fruit and vegetable, the separation of which enables us to increase the employment of labor resources.

ღია თოთლაძე

სახელმწიფო სექტორის როლისა და მნიშვნელობის შესახებ

სახელმწიფო, ეკონომიკაში მარეგულირებელი ძალის გარდა, მოქმედებს დამოუკიდებელი სამეურნეო სუბიექტის სახით – ესაა ე.წ. სახელმწიფო სექტორი.

სახელმწიფო სექტორი სამეურნეო სუბიექტების კომპლექსია, რომელიც მთლიანად ან ნაწილობრივ ეკუთვნის ცენტრალურ ან ადგილობრივ სახელმწიფო ორგანოებს. სახელმწიფო სექტორის საფუძველია სახელმწიფო საწარმოთა ერთობლიობა, რომელიც,

მოღვაწეობის სფეროსა და ეროვნული ინტერესების მიუხედავად, შეიძლება დაიყოს სამ დიდ ჯგუფად:

- არადამოუკიდებელი საჯარო სამართლის საწარმოები (როგორცაა ზარაფხანა, ციხეები, საბავშვო ბაღები, სახელმწიფო და მუნიციპალური სკოლები და ა.შ.);

- დამოუკიდებელი საწარმოები, რომლებიც მოქმედებენ საჯარო სამართლის ჩარჩოებში (ფოსტა, რეინიგზა, სახელმწიფო ჰოლდინგები და კორპორაციები);

- იურიდიულად დამოუკიდებელი საწარმოები, რომლებიც მოქმედებენ კერძო სამართლის ჩარჩოებში (სააქციონერო საზოგადოებების სახით).

აღსანიშნავია, რომ “ეკონომიკის სახელმწიფო სექტორის” სხვადასხვაგვარი დეფინიცია არსებობს. მისი ყველაზე უფრო სრულყოფილი განმარტების მიხედვით, იგი მოიცავს სახელმწიფო უნიტარულ საწარმოებს, სახელმწიფო დაწესებულებებს, სამეურნეო საზოგადოებებს (ღია სააქციონერო საზოგადოება), რომელშიც საწესდებო კაპიტალის 50%-ზე მეტი სახელმწიფოს ეკუთვნის, ასევე ღია სააქციო საზოგადოებებს, რომლებშიც სახელმწიფო ფლობს “ოქროს აქციას”.

სახელმწიფო (საჯარო) სექტორის შემადგენლების დიაპაზონი ძალიან დიდია: წმინდა სახელმწიფო საწარმოებიდან დაწყებული, შერეული საწარმოებით დამთავრებული, ცენტრალური ხელისუფლების ფინანსებიდან დაწყებული, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ფინანსებით დამთავრებული. აქედან გამომდინარე, ცხადია, რომ სახელმწიფო (საჯარო) ეკონომიკის მასშტაბები ძალზე დიდია, თუმცა რთულია მათი განსაზღვრა მაღალი სიზუსტით.

ეკონომიკის სახელმწიფო სექტორის მართვის საკმაოდ დიდი გამოცდილება გააჩნია განვითარებულ ქვეყნებს.

ამერიკის შეერთებულ შტატებში იდეალური პირობებია როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო სექტორის წარმატებული განვითარებისათვის. ამიტომაც იქ სახელმწიფო და ბაზარი ერთდროულად მომძლავრდა.

ჯერ კიდევ XIX საუკუნეში სახელმწიფოს ეკონომიკური როლი განისაზღვრებოდა ქვეყნის განვითარების საერთო ლოგიკიდან გამომდინარე – მრეწველობის განვითარება, რკინიგზის მშენებლობა, ეკონომიკის სტიმულირება, კერძო სექტორის მიზანმიმართული მხარდაჭერა და ინიციატივების თავისუფლება. თუმცა, XIX საუკუნის ბოლოს საბანკო და სამრეწველო გიგანტების გაძლიერებამ სახელმწიფო აიძულა, ეროვნული ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად შეემუშავებინა და განეხორციელებინა ანტიტრესტული კანონმდებლობა.

ამის ნათელი მაგალითია აგრეთვე შვედეთი. ეკონომიკის შვედური მოდელი წარმოადგენს სრული დასაქმებისა და ფასების სტაბილურობის ერთდროულად განხორციელებას კარგად განვითარებული სახელმწიფო სექტორის ფუნქციონირების ფონზე.

ეკონომიკურად ეფექტიანი სახელმწიფო ნიშნავს სახელმწიფოს, რომელიც იცავს ეროვნულ ინტერესებს და უზრუნველყოფს თავის ეკონომიკურ უსაფრთხოებას შეუზღუდავი საერთაშორისო კონკურენციის პირობებში. სახელმწიფო ეკონომიკურად ეფექტიანად შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ეფექტიანია თავად ეკონომიკა. სახელმწიფოს როლი ეკონომიკაში არ უნდა შემოიფარგლებოდეს მხოლოდ ეკონომიკაში მარეგულირებელი ღონისძიებებით, არამედ თავადაც უნდა მონაწილეობდეს ეროვნული ეკონომიკის ფუნქციონირებაში, ანუ თავადაც უნდა იყოს ეკონომიკური სუბიექტი. სახელმწიფო ეკონომიკურად ეფექტიანია, როდესაც ქვეყანაში შესაძლებელია ნებისმიერი სახის მეწარმეობის ფუნქციონირება ამ ქვეყანაში არსებული კანონმდებლობის შესაბამისად.

თანამედროვე პირობებში ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ტენდენციები ახალ ამოცანებს უყენებს სახელმწიფოს. საერთაშორისო კავშირების ინტენსიური გლობალიზაციის პროცესი, ტრანსნაციონალური კორპორაციების ეკონომიკური ექსპანსია და ა.შ. ამ პირობებში იზრდება სახელმწიფოს როლი და მნიშვნელობა. აუცილებელია, სახელმწიფოს შეეძლოს საკუთარი

პიზიციების დაცვა როგორც საგარეო, ასევე საშინაო ბაზარზე. მეტად მნიშვნელოვანია მისი, როგორც მესაკუთრის პოზიცია.

მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ არც ერთ ქვეყანაში არ შემცირებულა სახელმწიფო სექტორის როლი და მნიშვნელობა (განსაკუთრებით ეს ეხება განვითარებულ ქვეყნებს). სახელმწიფო სექტორის სტრუქტურის ელემენტების არსებული ჩამონათვალიც კი იმაზე მეტყველებს, თუ რამდენად დიდია მისი პოტენციური ეკონომიკური ზრდისათვის. სახელმწიფო სექტორის სტრუქტურისა და მასშტაბების ანალიზი საშუალებას გვაძლევს, შემდეგი დასკვნები გავაკეთოთ:

- სახელმწიფო სექტორის მთავარი მახასიათებელი არა მხოლოდ მისი მასშტაბებია, არამედ სტრუქტურა და ხარისხი, რომელიც თავის თავში მოიცავს ეკონომიკური ზრდის ელემენტებს;

- სახელმწიფო სექტორი გამოირჩევა ეკონომიკური ზრდის ყველაზე უფრო პერსპექტიული ფაქტორების კონცენტრაციის მაღალი დონით, ისეთების, როგორცაა ფინანსური რესურსები, სამეცნიერო-ტექნოლოგიური პოტენციალი, ბუნებრივი რესურსები.

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალის ამოქმედება მაღალტექნოლოგიური დარგების ამუშავების წინაპირობა შეიძლება გახდეს.

სახელმწიფო მხოლოდ პასიური მფლობელის როლით კი არ უნდა შემოიფარგლებოდეს, არამედ მის ხელთ არსებული საკუთრების რეალურად ეფექტური და ქმედითი მმართველი უნდა გახდეს. სწორი და მიზანმიმართული პოლიტიკის რეალიზაციამ სახელმწიფო სექტორის მართვის სფეროში, შეუძლებელია გავლენა არ მოახდინოს მთლიანად ეკონომიკასა და უმუშევრობის დონეზე ქვეყანაში.

ადმინისტრაციულ-მბრძანებლური ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისას სტრუქტურული გარდაქმნებისა და პრივატიზაციის გარდაუვალ შედეგად იქცა სახელმწიფო საწარმოებში დასაქმებულთა შემცირება და უმუშევრობის მაღალი დონე, რომელიც, პრაქტიკულად, რამდენიმე წელიწადში ერთ-ერთ

მწვავე პრობლემად იქცა გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისათვის. გარდა ამისა, სახელმწიფო სექტორში კიდევ ერთი ტენდენცია გამოიკვეთა – საკუთარი სურვილით სამსახურიდან გათავისუფლებულთა მნიშვნელოვანი ზრდა. ეს უმთავრესად გამოწვეული იყო სახელმწიფო საწარმოებში შემოსავლების სიმცირითა და არასტაბილურობით. იძულებითი არასრული დასაქმება, მუდმივი ადმინისტრაციული შევებულებები (ხშირად ხელფასების შენარჩუნების გარეშე) უბიძგებდა ადამიანებს, სტაბილური სამუშაო ადგილები და ნორმალური შემოსავლები ეძებნათ.

დასაქმების სფეროში ტრანსფორმირებადი ეკონომიკის ქვეყნების ერთ-ერთ თავისებურებად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ მოხდა მუშაკთა გადაადინება სახელმწიფო სექტორიდან კერძო სექტორში. ეს პროცესი როგორც კერძო, ასევე სახელმწიფო სექტორში მასიური შემცირებების ფონზე მიმდინარეობდა.

ამასთან, თავისებურება, რომელიც გარდამავალ ეკონომიკას ახასიათებს, იმაში მდგომარეობდა, რომ გაიზარდა უმუშევრობის ხანგრძლივობა (ანუ უმუშევრად ყოფნის პერიოდი), რაც, თავის მხრივ, იწვევს შემდეგს: რაც უფრო მეტია უმუშევრად ყოფნის ხანგრძლივობა, მით მცირეა დასაქმებისა და ვაკანსიების მოძებნის შანსი. კიდევ ერთი თავისებურება ისაა, რომ, ერთი მხრივ, დიდია სამუშაო ადგილებისა და ვაკანსიების რიცხვი, მეორე მხრივ კი მნიშვნელოვანია უმუშევართა რიცხვი, რომელთა კვალიფიკაცია და მომზადება არ შეესაბამება დამსაქმებელთა მოთხოვნებს.

გარდამავალ ეკონომიკაში შრომის ბაზარი ფუნქციონირებს განუვითარებელი სოციალური პარტნიორობის ინსტიტუტის ფონზე, ის ჯერ კიდევ ფორმირების პროცესშია, ეს კი ართულებს სოლიდარობის პოლიტიკის შემუშავებას ხელფასების, ფასწარმოქმნის, შემოსავლების სფეროში, შრომის ბაზრის ცალკეულ სუბიექტთა ინტერესების გათვალისწინებით.

სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის ფორმირებისათვის აუცილებელია, სახელმწიფომ ეფექტიანად გამოიყენოს ქვეყნის შრომითი პოტენციალი, რომელიც, პირველ რიგ-

ში, ითვალისწინებს ცივილიზებული შრომის ბაზრის ჩამოყალიბებას. ეკონომიკური მიზანშეწონილობის გათვალისწინებით, საჭიროა შენარჩუნდეს არსებული სამუშაო ადგილები და შეიქმნას ახალი. უნდა შეიქმნას პროფესიული გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების დაწესებულებათა სახელმწიფო ქსელი. დასაქმების სახელმწიფო პოლიტიკა ქვეყნის უმნიშვნელოვანესი მაკროეკონომიკური მიზნების რანგში უნდა იქნეს აყვანილი.

სახელმწიფომ დასაქმების სფეროში აქტიურად უნდა გამოიყენოს ისეთი ინსტრუმენტი, როგორცაა ფულად-საკრედიტო პოლიტიკა. სახელმწიფოს მიერ გატარებული პოლიტიკა, რომელიც მიმართულია ბიუჯეტის დეფიციტის აღმოფხვრისაკენ სახელმწიფო დანახარჯების შემცირების გზით, აძლიერებს სახელმწიფო სექტორში დასაქმებულთა არასტაბილურობას. ამასთან დაკავშირებით შეიძლება მოვიყვანოთ ამერიკის შეერთებული შტატების XX საუკუნის 30-იანი წლების გამოცდილება, რომლის კონცენტრირებულ გამოხატულებად იქცა თ. რუზველტის მიმართვა ამერიკის კონგრესისადმი 1938 წელს: "დანახარჯები თვითგადარჩენისათვის". აღნიშნული ითვალისწინებდა სამუშაო ადგილების შენარჩუნებას სახელმწიფო საწარმოებში, რაც გარკვეულ დანახარჯებს მოითხოვდა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. **Демидова Л.** Пути повышения эффективности государственного сектора (Опыт стран запада). М., 1998.
2. **Ивашовский Ц. Н.** Макроэкономика. М., «Дело», 2000.
3. **Стиглиц Дж.** Экономика государственного сектора. М., «МГУ», 1997.

Totladze Lia

ON THE ROLE AND SIGNIFICANCE OF STATE SECTOR

SUMMARY

Under current conditions, modern tendencies of economic development have put before the state new tasks. The state must be able to defend its positions in foreign as well as in inner markets. Its position as of a proprietor. is very important. Even the current list of the elements of state sector structure shows obviously how great is its potential for economic growth.

Putting of scientific-technical potential in action existed in state property might become the prerequisite of operating of hightechnological sectors. The state shall not be limited only by the role of passive proprietor, it must become really efficient and active manager of its property. The realization of true and purposeful policy in the management sphere of state sector shall necessarily effect the economy and unemployment level in the country as a whole.

ნაზირა კაკუღია

სახელმწიფოს მაკროეკონომიკური პოლიტიკა ინსტიტუციური
სისტემის სრულყოფისათვის

სახელმწიფომ, მაკროეკონომიკური პოლიტიკის ფორმირებისას, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმოს მაკროეკონომიკური მიზნების სწორად განსაზღვრას და ფორმირებას.

რა თქმა უნდა, ძალიან ძნელია გამოვკვეთოთ რომელიმე ერთი მიზანი, მაგრამ, ვფიქრობთ, ტრანსფორმაციის პროცესში წარმოშობილ პრობლემებს უფრო სრულყოფილად სახელმწიფოს ისეთი მიზანი წარმოაჩენს, როგორცაა ეკონომიკური ზრდა და მის მიღწევასთან დაკავშირებული პრობლემები აღნიშნულ პერიოდში. ფაქტობრივად, დროში გაწედილი პრობლემების არსებობა ხომ ამ პერიოდში განხორციელებული სახელმწიფოს არასწორი პოლიტიკის შედეგია.

ეკონომიკის ერთი სისტემიდან მეორეზე გადასვლა, ბუნებრივია, მოიცავს არსებული ინსტიტუტების ნაწილის რღვევას, ნაწილის ტრანსფორმაციას და, იმავედროულად, ახალი ინსტიტუტების შექმნას [2]. ინსტიტუტები – ეს არის ფორმალური¹ წესების, არაფორმალური² შეხედულებებისა და მათი იძულებითი მექანიზმების ერთობლიობა [2].

ფორმალური ინსტიტუტები ძირითადად წერილობითი სამართლის ფორმით არის წარმოდგენილი. არაფორმალური შეხედულებები მოიცავენ მოქმედების ნორმებს (რომლებიც მიღებულია საზოგადოებაში), ქცევის დაუწერელ კანონებს (მაგალითად, პატიოსნება ბიზნესში). თვით შეთანხმებები უფრო მოიცავს იძულებას. მოქმედების წესები და ნორმები იმ შემთხვევაში ერთვება მოქმედებაში, თუ მეორე მხარე არ შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს. ასეთ სიტუაციაში უნდა არსებობდეს რომელიმე მესამე პირი, რომელიც გამოიყენებს თავის ძალაუფლებას და მიიღებს სოციალური ტიპის სანქციებს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მოქმედების ნორმების ეფექტიანობა დამოკიდებულია

¹ ფორმალური ინსტიტუტები წარმოადგენენ კანონებს, საკანონმდებლო აქტებს.

² არაფორმალური ინსტიტუტები საზოგადოებაში მიღებული სტერეოტიპებისა და მოქმედების ნორმებია, რომელიც გამყარებულია ინდივიდის ცნობიერებაში.

იძულების მექანიზმების ეფექტიანობაზე. ამისათვის, სულ ცოტა, აუცილებელია ეფექტური საკანონმდებლო და სამართლებრივი სისტემა ფორმალური ინსტიტუტების დასაცავად, სოციალური სანქციები მოქმედების ნორმების დასაცავად და ძლიერი ნორმატიული სტანდარტები თვით მოქმედების კოდექსების ხელშეწყობისათვის [4].

პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პირობებში საბაზრო ინსტიტუტების შექმნა უშუალოდ სახელმწიფოს პრეროგატივაა. თუ სახელმწიფო შეაყოვნებს ინსტიტუტების ჩამოყალიბების პროცესს, არსებული ვაკუუმი მაინც შეივსება შესაბამისი ნაკლებად სასურველი სტრუქტურებით. რეფორმების საწყის ეტაპზე სწორედ სახელმწიფოს შესუსტებული როლით იქნა გამოწვეული დაშვებული შეცდომები რესტრუქტურისაციის პროცესის არასწორ პოლიტიკაში [8]. ამის მიზეზები არ არის მხოლოდ სახელმწიფოს შენელებული მოქმედებები, იგი უნდა ვეძებოთ საგვემო პერიოდში ჩამოყალიბებული სტერეოტიპების საფუძვლებში.

არაფორმალური ინსტიტუტები (რომელთა არსებობასაც ხელისუფლება ხელს არ უშლიდა) საგრძნობლად რთულად ექვემდებარებიან ცვალებადობას, ძალიან ნელი ტემპებით ამსხვრევენ ტრადიციებით გამყარებულ წარმოდგენებს. არაფორმალური ინსტიტუტები ეხება არა მხოლოდ პიროვნებას, არამედ იგი არსებობს ფირმების, ორგანიზაციებისა და ხელისუფლების სტრუქტურაშიც. ინსტიტუციურ თეორიაში ამ ინსტიტუტების არსებობას უწოდებენ „რუტინას“.

არსებული სიძნელეების აღმოსაფხვრელად, ტრანსფორმაციის პირობებში, უწინარეს ყოვლისა, უნდა მივადვიოთ ეფექტიანი მესაკუთრეთა ჩამოყალიბებასა და მათი საშუალებით კონკურენციის ხელსაყრელი პირობების უზრუნველყოფას. ეფექტიანი მესაკუთრის შექმნაში, რა თქმა უნდა, იგულისხმება გადასახადების გადახდა, სამუშაო ადგილის შექმნა, საწარმოების რესტრუქტურისაციისა და სანაციის გზით წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისათვის ინვესტიციების მოზიდვა. მაგრამ, ხშირ შემთხვევაში, ჩვენ ვერ მივიღეთ ეფექტიანი მესაკუთრე ძველი მენტალიტეტით

აზროვნებისა და არასაკმარისი ცოდნის არსებობის გამო, ამასთან, სახელმწიფოს სათანადო უმოქმედობის შედეგად ვერ ჩამოყალიბდა დროულად კონკურენტული, ინვესტიციური გარემო [9].

საფინანსო ინსტიტუტები, რომლებიც აუცილებელია საბაზრო სისტემაში ნორმალური ფუნქციონირებისათვის, ყალიბდება დროში. ეკონომიკაში, ისევე, როგორც ნებისმიერ ახალ საწარმოს სჭირდება ადაპტაცია, ასევე ახალი ინსტიტუტების შექმნა საჭიროებს დროს. ინსტიტუტების იმპორტირება დასავლეთის ქვეყნებიდან არანაირ შედეგს არ იძლევა. საზოგადოებამ, მეწარმეებმა თვითონ უნდა გაითავისონ ის აზრი, რომ ინსტიტუტების ადაპტაციის პერიოდი ისეთივე ბუნებრივი და გარდაუვალი პროცესია, როგორც ახალი პროდუქციის ან ახალი ტექნოლოგიების შეგუების პროცესი შესაბამისად წარმოებრივ თუ საბაზრო გარემოსთან. როგორც ნობელის პრემიის ლაურეატი კენეტ ეროუ აღნიშნავს, ტრანსფორმაციის პერიოდის პრობლემები შეიძლება განიხილოს დროის ფაქტორისა და სახელმწიფოს რეგულირებადი როლით [9].

კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბების ერთ-ერთი შემაფერხებელი ფაქტორია იმპლიციური (თვითშესრულებადი) კონტრაქტებისა და ქცევის ნორმების მოქმედების არსებობა, რომელიც ერთმანეთის მიმართ ნდობას გულისხმობს. ჯერ კიდევ XIX საუკუნის ბოლოს, აღფრედ მარშალი წერდა, რომ „ბევრი სხვადასხვა შეთანხმების ნორმალური შესრულება საცალო და საბითუმო ვაჭრობაში, საფონდო და ბამბუელის ბირჟებზე, ეფუძნება მიღებულ დაშვებებს იმის თაობაზე, რომ სიტყვიერი (ზეპირი) კონტრაქტები, რომლებიც დადებულია მოწმეების გარეშე, ძალიან კეთილსინდისიერად სრულდება, მაგრამ იმ ქვეყნებში, სადაც ამ დაშვებებს არანაირი ძალა არ გააჩნია, აუცილებელია სამართლებრივი ფორმალიზმი“ [7].

ნებისმიერი ჩამოყალიბებული ინსტიტუტი ეფუძნება საზოგადოებაში გავრცელებულ ტრადიციებსა და ქცევის არაფორმალურ ნორმებს. ოფიციალური (სახელმწიფო) და არაფორმალური ნორმები, ბუნებრივია, გარდამავალ პერიოდში ცვლი-

ლებას განიცდის, როდესაც ძველი ნორმები უქმდება და იცვლება და მათ ადგილს ახალი იკავებს, ძალიან ძნელია წესრიგის შენარჩუნება და დაცვა, რადგან „ახალი“ ჯერ კიდევ არ არის შექმნილი ან, რაც შექმნილია, არ სრულდება, ვინაიდან არ არის აღქმული და გააზრებული, როგორც აუცილებლად შესასრულებელი ქმედება. სულ უფრო მეტად შეიმჩნევა ძველი ნორმების ახალ სამართლებრივ ნორმებთან შეერთების ტენდენცია. ამიტომაც, შეიძლება ვთქვათ, რომ მხოლოდ კერძო საკუთრების შემოღება ვერ იქნება იმის გარანტი, რომ მბრძანებლური ეკონომიკა საბაზროს დაემსგავსოს, თუკი პარალელურად, ანუ ერთდროულად არ იქმნება სპეციალური ინსტიტუტები საბაზრო ქცევის შესწავლისა და მისთვის შესაბამისი პირობების შექმნის მიმართულებით.

არაფორმალური ნორმების მნიშვნელობა მარტო ის კი არ არის, რომ გააძლიეროს კოოპერაცია მიკროდონეზზე, არამედ ის, რომ რაღაც ნაწილით მყარად შეერიოს ფორმალურ ინსტიტუტებს, რადგან სახელმწიფოს არ გააჩნია შესაბამისი ძალა, დაიცვას კანონები და სხვა საზოგადოებისთვის დაუწერელი ქცევის ნორმები. ფორმალური ინსტიტუტები უფრო ეფექტიანია მაშინ, როდესაც ხდებიან კულტურის ნაწილი, ერთიანდებიან არაფორმალურ ინსტიტუტებთან და მოითხოვენ მინიმალურ იძულებას სახელმწიფოს მხრიდან. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, როდესაც ადამიანები თავისი ნებით ემხრობიან ფორმალურ ნორმებს, ასეთი მდგომარეობა არ მოითხოვს ხანგრძლივ კულტურულ ევოლუციას, მეტად სწრაფი და პროგრესულია.

ვინაიდან ახალი ბაზრების ფორმირება მოითხოვს არაერთი ახალი ნორმის ჩამოყალიბებას, ფაქტობრივად, შეუძლებელი ხდება ყველა ამ ნორმის დაცვა. სავსებით ერთმნიშვნელოვნად შეიძლება ვთქვათ, რომ ტრანსფორმაციის პერიოდის ხანგრძლივობა დადებითად ვერ იმოქმედებს ეკონომიკურ პოლიტიკაზე. საზოგადოებაში არსებული სტერეოტიპების – არაფორმალური ინსტიტუტების სიცოცხლის ხანგრძლივობიდან გამომდინარე, შეიძლება ვთქვათ, რომ დასაშვებია გარდამავალ პერიოდში რაღაც

მიღებული წესების დატოვება, რომელიც ცვალებად, არასტაბილურ ეგზოგენურ გარემოს მეტ-ნაკლებად დააბალანსებს. ასეთი „მეტ-ნაკლებად დაბალანსებული“ ინსტიტუტების გამოკვეთა და დროებით „დატოვება“ თითოეული ქვეყნის სპეციფიკიდან უნდა გამომდინარეობდეს და ამ ქვეყნის ტრანსფორმაციის პერიოდში სტაბილიზატორის როლი უნდა ითამაშოს.

სახელმწიფოს მხრიდან აუცილებელია ისეთი მექანიზმებისა და სტრუქტურის შექმნა, რომელიც აიძულებს ყველა ეკონომიკურ აგენტს (სახელმწიფოს ჩათვლით), უზრუნველყოს მათი აუცილებელი შესრულება და ამით ხელი შეუწყოს ჯანსაღი კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბებას.

ბამოყენებული ლიტერატურა

1. **პაპავა ვ., ხაღური ნ.** პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის ინსტიტუციური ანალიზი. მეცნიერება და ტექნიკა, №1-3, 1998.
2. **პაპავა ვ.** პოსტკომუნისტური გარდამავალი პერიოდის მაკროეკონომიკა, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2005.
3. **კაკულია ნ.** სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის როლი პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პირობებში. ეკონომიკის ინტიტუტის შრომები. ტომი IV, “მეცნიერება”, 2004.
4. **North Douglas C.** Institutions. The Journal of Economic Perspectives, Vol. 5, Issue (winter, 1991).
5. **Норт Д.** Институциональные изменения: рамки анализа. Вopr. экономики, №3, 1997.
6. **Мюррел П.** Эволюция экономической теории и экономических реформ в странах с централизованным плановым хозяйством, М., Фонд «За экономическую грамотность», 1994.
7. **Маршал А.** Принципы политической экономии, вып. 1, Москва, прогресс, 1983.
8. **Нельсон Уинтер.** Эволюционная теория. М. , 2000.

9. Эрроу К. Реформы глазами российских и американских ученых, под редакцией акад. Богомолова, 1996.

Kakulia Nazira

THE MACROECONOMIC POLICY FOR THE IMPROVEMENT OF INSTITUTIONAL SYSTEMS

SUMMARY

Taking into account general purposes of thesis, we consider bases of development and realization of economic policy during the process of postcommunist transformation. Therefore, general attention is paid to macroeconomic stabilization and formation of institutes appropriate to the market economy.

Formal and informal institutes, naturally, change during the transition period, when old norms are changed by new ones. It becomes difficult to keep them in order and protect, because “new” are not created yet, or, are not executed, because of their absence in thoughts. The tendency of junction of old and new legal regulations is necessary. So, it may be said that to change imperative economy by market economy, it is necessary to create institutes of appropriate market conditions.

General problem of postcommunist countries (including Georgia) consists in the following: during the initial stage of reforms programs for formation of enterprises of a new type, which consider specification of transition period, were not finished. The existing manufactures are not enterprises of old or market type. Most of enterprises of such period are directed to survival and prolongation of their business in such unstable situation.

**ინოვაციური განვითარების აუცილებლობა
საქართველოში**

დღევანდელი მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების გამოცდილების თუნდაც მეტად ზედაპირული ანალიზი ნათლად გვიჩვენებს, რომ XXI საუკუნეში საკუთარი ეკონომიკური სუვერენიტეტის შენარჩუნებას და წარმატებით განვითარებას შეძლებენ ის ქვეყნები, რომლებიც ფორსირებული ტემპებით უკვე დიდი ხანია აგროვეტენ მეცნიერებისა და ტექნიკის უკანასკნელი მიღწევების გამოყენებაზე დამყარებულ მოწინავე საინოვაციო და საწარმოო კაპიტალს. თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში განვითარებული ქვეყნების პოზიციები იმისდა მიხედვით იცვლება, თუ როგორია მათი დანახარჯები სამეცნიერო კვლევით საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებზე (სკსსს). ბოლო წლების მონაცემებით, მაგალითად, მთლიან შიდა პროდუქტში სკსსს-თა ხარჯების წილის მიხედვით პირველ ადგილზეა იაპონია – 2.9%, შემდეგ აშშ – 2.8%, გერმანია – 2.7%, საფრანგეთი – 2.4% [3]. მაღალტექნოლოგიური პროდუქციის წილი მთლიანად ექსპორტის მაჩვენებელში უდრის: აშშ-ში – 32%, დიდ ბრიტანეთში – 31%, იაპონიაში – 26%, საფრანგეთში – 23%-ს. მაღალგანვითარებულ ქვეყნებში მეცნიერებატევადი პროდუქციის რეალიზაციის შედეგად მიღებული ყოველწლიური მოგება კოლოსალურია: აშშ-ში – 700 მლრდ, გერმანიაში – 530 მლრდ, იაპონიაში – 420 მლრდ აშშ დოლარი [7].

ბოლო წლებში ბევრი იწერება ინოვაციური პოლიტიკის შესახებ გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში, რომელთა რიგშია საქართველოც. ჩვენმა ქვეყანამ უნდა შექმნას საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ინოვაციური პოლიტიკა. ამ მიზნით უნდა ჩამოყალიბდეს ისეთი სისტემა, რომელიც, ქვეყანაში არსებული ინტელექტუალური საკუთრების, ტექნიკისა და

ტექნოლოგიების უახლესი მიღწევების გამოყენებით, შეძლებს კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოებას.

ინოვაციური სფეროს განვითარება უნდა გახდეს ჩვენი ქვეყნის მთავარი პრიორიტეტი, რადგანაც სწორედ “სამეცნიერო-ტექნიკური და ინოვაციური საქმიანობისადმი არასათანადო დამოკიდებულების შედეგად... დაბალია ქვეყნის კონკურენტუნარიანობა” [1], და საერთოდ ეკონომიკური ზრდის და განვითარების დონე.

ქვეყნის აღმავალი გზით განვითარებისათვის აუცილებელია ორიენტაცია ტექნიკურ-ტექნოლოგიურ სიახლეთა არა მარტო მოხმარებაზე, არამედ მათ წარმოებაზეც, ვინაიდან არსებობს თვალსაზრისი, რომელსაც ჩვენ სრულად ვიზიარებთ, რომ ქვეყანა, სადაც მეცნიერება არ ვითარდება, აუცილებლად გადაიქცევა კოლონიად (ჟოლიო კიური).

სამწუხარო ფაქტია, რომ პოსტკომუნისტურ პერიოდში ქართული მეცნიერება და ტექნიკა სავალალო მდგომარეობაში აღმოჩნდა. კატასტროფულადაა შემცირებული მოთხოვნა მეცნიერულ-ტექნიკურ დამუშავებებზე, მაღალკვალიფიციურ შრომაზე; სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა მკვეთრად ჩამორჩება მსოფლიო დონეს (ბოლო წლებში მეცნიერ მუშაკთა რაოდენობა 1.5-ჯერ შემცირდა; მიმდინარე მეცნიერულ-ტექნოლოგიური სამუშაოები ათჯერაა შემცირებული; თითქმის 20%-ით შემცირდა სამეცნიერო დაწესებულებათა რაოდენობა). მიუხედავად ამ ყველაფრისა, არსებული მდგომარეობის გამოსწორების შანსი ჯერ კიდევ არსებობს. საქართველოში მეცნიერება კვლავაც აგრძელებს განვითარებას. ჯერ კიდევაა შენარჩუნებული მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალი. დღეს ჩვენს ქვეყანას, განსხვავებით ზოგიერთი ქვეყნისაგან, სადაც მხოლოდ გასული წლის 80-იანი წლებიდან დაიწყო მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალის შექმნა და ჩამოყალიბება, ესაჭიროება აღნიშნულის არა შექმნა, არამედ არსებულის განვითარება (მაგალითად, უკანასკნელ პერიოდში ზოგიერთი ახალინდუსტრიული ქვეყანა: ჩინეთი, ჰონ-კონგი, სინგაპური, ტაივანი მთლიან შიდა პროდუქტში ინოვაციებზე დანა-

ხარჯებით მიუახლოვდა დასავლეთ ევროპის ქვეყნების მაჩვენებელს). ჩვენს ქვეყანაში არსებული ინტელექტუალური და მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალი მყარი საფუძველია ცივილიზებული, თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკურ სიახლეთა ბაზრის ჩამოყალიბებისა და განვითარებისათვის. ეს კი, სახელმწიფოს მხრიდან სათანადო მხარდაჭერის პირობებში, სწორი მეცნიერულ-ტექნიკური პოლიტიკის გატარებას მოითხოვს. ინოვაციურ პროცესებში სახელმწიფოს მხარდაჭერის აუცილებლობა ფუნდამენტური კვლევების გრძელვადიანობით აიხსნება. აქ სახელმწიფომ დაფინანსებისა და დაზღვევის სხვადასხვაგვარი მეთოდებით საკუთარ თავზე უნდა აიღოს რისკის განაწილების ვალდებულებები (როგორც ეს განვითარებულ ქვეყნებშია). როგორც ბარაკ ობამამ აღნიშნა თავის გამოსვლაში ამერიკის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სხდომაზე 2009 წლის 27 აპრილს, “თუმცა კი რისკი აქ ძალიან დიდია, მაგრამ ასევე დიდი შეიძლება იყოს მოგებაც მთელი ეკონომიკისათვის” [9]. ზუსტად ამის განჭვრეტა უნდა შეძლოს სახელმწიფომ და სწორი ინოვაციური პროტექციონისტული პოლიტიკის გატარებით დადებით შედეგებს მიაღწიოს. როდესაც ქვეყანა, უკეთეს შემთხვევაში, ახორციელებს მეცნიერულ-ტექნიკური პროდუქციის იმპორტს, ამით საკუთარ მეცნიერებას უმძიმეს მდგომარეობაში აყენებს. აუცილებელია, ხელისუფლებამ გაადიდოს მეცნიერების დაფინანსება, განავითაროს სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების პრიორიტეტული მიმართულებები, სანამ ქართული სამეცნიერო პოტენციალი ჯერ კიდევ არსებობს; აუცილებელია სახელმწიფომ გაზარდოს მეცნიერებაზე ასიგნებები, მოიხიდოს უცხოური ინვესტიციები, სათანადო საინვესტიციო-საინოვაციო კლიმატის შექმნით გააფართოვოს მეცნიერულ-ტექნიკური კავშირები. ჩვენმა მეცნიერულ-ტექნიკურმა პროდუქციამ უნდა შეაღწიოს საზღვარგარეთის ბაზრებზე, გაუწიოს მას კონკურენცია.

სახელმწიფომ უნდა შეიმუშაოს სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარების ახალი მოდელი, სადაც სათანადო ყურადღება უნდა გამახვილდეს ფუნდამენტური მეცნიერების განვითარებაზე.

კადრების მომზადება-გადამზადების მიზნით, მეცნიერებამ მჭიდრო კავშირი უნდა დაამყაროს განათლების სისტემასთან, ასევე საზღვარგარეთის სამეცნიერო-ტექნიკურ ორგანიზაციებთან, გამოყენებული უნდა იქნეს მათი გამოცდილება. სახელმწიფომ, რა თქმა უნდა, ხელი უნდა შეუწყოს სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების საქმიანობას, მაგრამ, ასევე უნდა გაიზარდოს კერძო სექტორის როლი ინოვაციურ დაფინანსებაში. მიზანშეწონილია მეცნიერების განვითარების დაფინანსების შერეული ფორმების გამოყენება სამამულო და უცხოური კაპიტალის მონაწილეობით (ფონდები, სუბსიდირება, კრედიტები და ა.შ.).

აუცილებელია, სახელმწიფომ ხელი შეუწყოს უცხოელ პარტნიორებთან ერთობლივი ინოვაციური ფორმების შექმნას და მეცნიერებატევადი პროდუქციის წარმოებას; განახორციელოს ინფორმაციის მიწოდება უცხოეთში სამამულო ინოვაციების შესახებ. ინოვაციური პროდუქცია გაათავისუფლოს საიმპორტო საბაჟო გადასახადებისაგან; შექმნას მეცნიერულ-ტექნიკურ სფეროში ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზა და სხვა.

მეტად მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, რომ ქვეყნის ინოვაციურ საფუძველზე განვითარება განხორციელდეს სამეწარმეო საქმიანობასთან მჭიდრო კავშირში. მიზანშეწონილია, დაინერგოს “სარისკო ფორმების” შექმნის პრაქტიკა. ასეთი ბიზნესი დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნის საშუალებას იძლევა.

ასევე მნიშვნელოვან მომენტად გვესახება ლიცენზირების სტრატეგიის გამოყენება. ამით სამამულო საწარმოები შეძლებენ სხვა კომპანიათა მეცნიერულ-ტექნიკური შედეგები შეიძინონ. ასევე შესაძლებელია სპეციალისტების მოწვევაც (მაგალითად, თავის დროზე იაპონიაში მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალის განვითარებას დიდად შეუწყო ხელი დასავლეთ ევროპიდან და აშშ-დან პატენტებისა და ლიცენზიების შექმნამ. ამ გზით მოახერხა იაპონიამ საკუთარი ეკონომიკის განვითარებაში სასწაულების მოხდენა და მსოფლიოში მოწინავე პოზიციების დაკავება).

მსოფლიო გამოცდილება ადასტურებს, რომ ამჟამად კონკურენტული ბრძოლა არა მხოლოდ კაპიტალური რესურსებისა და მატერიალური ღირებულების მოსაპოვებლად, არამედ ინოვაციების შემუშავებისა და დანერგვისათვის. დღეს ინტელექტუალური კაპიტალი უფრო მნიშვნელოვანი ხდება, ვიდრე ბუნებრივი რესურსები ან დაგროვილი სიმდიდრე. ინტელექტუალური კაპიტალი თანამედროვე ეკონომიკის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია. თანამედროვე ეტაპზე სწორედ ადამიანური კაპიტალი ხდება ფორმებისა და კორპორაციების კონკურენტუნარიანობის უპირველეს და ძირითად წყაროდ. მსოფლიო ბანკის მონაცემებით [4] მსოფლიო სიმდიდრის დაახლოებით 64% ადამიანურ კაპიტალშია. თანამედროვე მაღალტექნოლოგიურ კომპანიებში ინტელექტუალური კაპიტალის წილი 85%-ს შეადგენს.

საქართველოში ინტელექტუალური კაპიტალის მართვის არავითარი მეთოდოლოგია არ არის შემუშავებული. ჩვენთან ინტელექტუალური კაპიტალის ფორმირება მეტად დაბალ დონეზეა. დახვეწას საჭიროებს საკანონმდებლო ბაზა, მისი საბაზრო რეალიზაციის პროცესი. სწორედ ამ მიზეზით, საქართველო თანდათან კარგავს თავის ინტელექტუალურ პოტენციალს. არადა ეს უკანასკნელი მთავარ ღირსებას და კრიზისიდან სწრაფად გამოსვლის საშუალებას წარმოადგენს. საჭიროა, შემუშავდეს ჩვენი ქვეყნის მეცნიერულ-ტექნიკური ტრანსფორმაციის საერთო ეროვნული პროგრამა. ასევე მიზანშეწონილია ინტელექტუალური პროდუქტების ბირჟის შექმნა. ეს აუცილებელია ინოვაციური ბაზრის ჩამოყალიბებისა და მისი ნორმალური ფუნქციონირებისათვის.

მთავრობამ აუცილებლად უნდა იზრუნოს მეცნიერულ-ტექნიკურ პოტენციალზე, ხელი უნდა შეუწყოს ნიჭიერ და უნარიან ადამიანებს, მოახერხოს მათი სტიმულირება შრომის მწარმოებლურობის ამაღლების მიზნით. ამ აზრით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია საქართველოში სახელმწიფო ინოვაციური ფონდის შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს მეცნიერულ-ტექნიკური, ინოვაციური პროცესების განვითარებას, რისკიანი (მეცნიერულ-ტექ-

ნიკური) პროექტების დაფინანსებას, უახლესი მაღალმწარმოებლური ტექნოლოგიების სწრაფად დანერგვას და ა.შ.

ინოვაციური ფონდი შესაძლოა დაფინანსდეს სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებთან ერთად სამინისტროს, ბანკების, საწარმოების, ორგანიზაციების, საერთაშორისო ორგანიზაციების და კომპანიების შენატანებით, ასევე გრანტებითა და ა.შ.

რადგან დღეს ინტელექტუალური პროდუქტის შექმნა ჩვენს ქვეყანას ნაკლებად შეუძლია, ამიტომ მიზანშეწონილია განხორციელდეს ტექნოლოგიის იმპორტი (ვინაიდან ჩვენი ქვეყნისთვის რთულია მეცნიერებატევადი პროდუქციის დამუშავება და წარმოება, დამუშავებების სიძვირის, მაღალი რისკის, ხანგრძლივობის და ა.შ. გამო). ე.ი. შესაძლოა უახლესი ტექნოლოგიების, ნოუ-ჰაუს, ტექნოლოგიური ლიცენზიების, კონსალტინგური მომსახურების, სპეციალისტების და ა.შ. იმპორტი (მაგალითად, იაპონიაში დანერგილია “იდეის სესხების” პრაქტიკა, აქ ქვეყნის პირობების შესაბამისად ხდება მისი დამუშავება და დანერგვა). ასევე ეფექტიან გზად მიგვაჩნია სხვადასხვა ქვეყნების მეცნიერულ-ტექნიკურ მიღწევათა (პატენტების, ლიცენზიების სახით) გამოყენება სიახლეთა შესაქმნელად. გარდა ამისა, შესაძლოა ჩვენი მეცნიერებისა და ინჟინრების გამოგონებებისა და უცხოური ნოუ-ჰაუს ერთიერთშერწყმა.

გარდა ამისა, მნიშვნელოვან შედეგს გამოიღებს უცხოურ სამეცნიერო ფირმებთან სტრუქტურული ალიანსების, ქსელური ორგანიზაციების თუ ერთობლივი ინოვაციური ფირმების შექმნა. ყოველივე ეს ჩვენს ინოვაციურ ფირმებს ბაზარზე პოზიციების დაკავებაში შეუწყობს ხელს.

ამრიგად, აუცილებელია, ჩვენს ქვეყანაში საკუთარი მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალის საფუძველზე შეიქმნას ინოვაციები და ჩამოყალიბდეს მეცნიერულ-ტექნიკური პროდუქციის ცივილიზებული ბაზარი.

ასევე, სახელმწიფომ, საგადასახადო შეღავათები უნდა დაუწესოს მეცნიერულ-ტექნიკური პროდუქციის მწარმოებელ საწარმოებს, სკსს-ები გაათავისუფლოს დაბეგერისაგან.

აუცილებელია, ინოვაციური ფირმებისათვის სახელმწიფოს მეშვეობით შეიქმნას მეცნიერებატევადი პროდუქციის გამოსაშვებად ბიძგის მიმცემი გარემო: სამეცნიერო და საკონსტრუქტორო ორგანიზაციებს სახელმწიფო ქონება ან მიწა უსასყიდლოდ ან შედავათიანი პირობებით უნდა გადაეცეს, ასევე აუცილებელია რეგიონებში სამეცნიერო ინფრასტრუქტურის შექმნა, მეცნიერებატევადი პროდუქციის უფასო ან შედავათიანი რეკლამირება, ინოვაციური პროდუქციის გამოფენა-ბაზრობების მოწყობა, ხელშეწყობა და სხვა.

ამრიგად, სახელმწიფომ იმგვარი ინოვაციური პოლიტიკა უნდა განახორციელოს, რომელიც უზრუნველყოფს არსებული ინტელექტუალური, საინჟინრო-სამეცნიერო თუ სამრეწველო-ტექნიკური პოტენციალის არა მარტო შენარჩუნებას, არამედ მის მაქსიმალურად ამოქმედებას, გარდაქმნას და სათანადო რეფორმირებას.

ბამოყენებული ლიტერატურა

1. **აბესაძე რ.** სრულყოფილი საბაზრო ეკონომიკა ჯერჯერობით არ გვაქვს. გაზეთი “ბანკები და ფინანსები”, 12 აგვისტო, 2009.
2. **აბრალავა ა. გ.** გზა მაღალტექნოლოგიური ეკონომიკისაკენ. თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2001.
3. **დიხამინჯია ი.** სახელმწიფოს ინოვაციური პოლიტიკის როლი ქვეყნის მსოფლიო ინტეგრაციულ პროცესებში ჩასართავად. ჟ. “სოციალური ეკონომიკა”, მაისი-ივნისი, 2006.
4. **Иноземцев В. А.** За пределами экономического общества. М., Наука, 1998.
5. **Иновационный менеджмент** (Под ред. проф. В.Я. Швандара, проф. В.Я. Горфинкеля), М., Вузовский учебник, 2004.
6. **ნაკაიძე გ.** საინოვაციო მენეჯმენტი. თბილისი, გამომცემლობა ტექნიკური უნივერსიტეტი, 2004.
7. **ჩიქავა ლ.** ინოვაციური ეკონომიკა. თბილისი, “სიახლე”, 2006.

8. **Лимитовский М., Сичинава Ал.** Приоритетные направления инновационной политики Грузии. გლობალური კრიზისი და საქართველოს ეკონომიკა. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები. თბილისი, “ინოვაცია”, 2009.
9. Remarks by the president at the National Academy of Sciences Annual Weeting The white Heuse Office of the Prek Secretary April 27, 2009. [http:// www.scientific. ru/trv/2009/029/obama. html](http://www.scientific.ru/trv/2009/029/obama.html).

*Kistauri Nunu
Melashvili Medea*

THE ROLE OF STATE IN THE DEVELOPMENT OF INNOVATIVE ACTIVITY

SUMMARY

World experience shows that states selecting innovation model of development of economy, efficiently use government innovative policy, which should be directed on the activization of innovative processes in all the spheres of economy; the improvement of investment climate; the creation of favourable conditions to use efficiently market mechanisms of stimulation of scientific-technical skills and innovative activity; the development of innovative infrastructure; the study and efficient use of relevant skills of scientific-technical staff etc. The government has to create favourable environment for the development of innovative sphere: legislative, taxation, credit, patent, exchange, license, export, import etc. It should pursue such policy which will provide not only the maintenance of industrial-technical skills but its maximum action, transformation and adequate reformation.

თინათინ ქურდაძე

**საგადასახადო-საბიუჯეტო პოლიტიკის
შუქ-ჩრდილები**

დღეისათვის, როცა მსოფლიოში ეკონომიკური კრიზისია, წინა პლანზე ინაცვლებს საგადასახადო-საბიუჯეტო პოლიტიკის პრობლემები, რომელიც თანაბრად ეხება და წარმოაჩენს ფულად და შრომით ბაზარზე მიმდინარე პროცესებს, მათ შორის კი ისეთი განსაკუთრებული მანქვენებლების კუთხით, როგორებიცაა – ინფლაცია და უმუშევრობა.

საქართველოში, როგორც მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში, უმთავრესია სრული დასაქმების, სტაბილური ფასების და მთლიანი შიდა პროდუქტის მყარი ტემპებით ზრდის უზრუნველყოფა, მაგრამ, ამისათვის საჭიროა შესაბამისი საგადასახადო-საბიუჯეტო (ფისკალური) პოლიტიკის არსებობა სახელმწიფო სექტორის გაჯანსაღებით, განვითარებითა და ძირეული ეკონომიკური რეფორმების გატარების გზით. სწორედ ასეთი მიდგომა მოგვცემს საფუძველს, საქართველოში საინვესტიციო გარემო გახდეს კონკურენტუნარიანი, განხორციელდეს რეგიონული მმართველობის სერიოზული რეფორმა, გაუქმდეს ზედმეტი ბიუროკრატიული რგოლი და დაიხვეწოს არსებული სტრუქტურების უფლება-მოვალეობანი. ყოველივე ამის დასტური იყო 2008 წელს საგადასახადო კოდექსში საგადასახადო განაკვეთების კორექტირება,

მათ შორის, განსაკუთრებით საშემოსავლო გადასახადის შემცირება 25-დან 20%-მდე. ამასვე ადასტურებს დღეისათვის პრეზიდენტის მიერ შემოთავაზებული თავისუფალი ეკონომიკური აქტივ. ეს აქტი ითვალისწინებს ბიზნესის სტიმულირებას (ლეგალიზაციას), ბიუჯეტის შემოსავლების მოცულობის ზრდას, საგადასახადო კოდექსში რეფერენდუმების ჩატარების გზით ცვლილებების შეტანით. მაგრამ რამდენად რეალური და შესრულებადია ის, ამას დრო და პრაქტიკა გვიჩვენებს. ძალიან ძნელია ჯერჯერობით კონკრეტული დასკვნების გაკეთება ომგამოვლილი და ნაწილობრივ ოკუპირებული ქვეყნისათვის, უამრავი დევნილით, სიღარიბის ზღვარზე მდგარი ადამიანების და უმუშევართა დიდი არმიით. ამას კიდევ ემატება ქვეყანაში მკვეთრად ცვალებადი ეკონომიკური და პოლიტიკური პროცესები.

აქ შეიძლება განვიხილოთ მაგალითი, სადაც პირდაპირ პარალელს გავავლებთ სახელმწიფოსა და ოჯახს შორის. სახელმწიფომ უნდა გააკეთოს სწორი გათვლები არსებული რესურსების ოპტიმალურად განაწილებასა და გამოყენებაში და გადაწყვიტოს ელექტორატის პრობლემები. მაგრამ, თუ იგივე სახელმწიფო არ, ან ვერ ადგენს იმას, თუ რომელია პირველი რიგითობის ან მეორეადი, იზრდება კრიზისის შესაძლებლობები, თუმცა ეს არ არის პატარა ოჯახი და პრობლემებიც უფრო გლობალური ხასიათისაა, რამაც შეიძლება სავალალო შედეგებიც მოგვიტანოს. გარდა იმისა, რომ ოჯახისა და სახელმწიფოს პრობლემათა შორის მოცულობითი და ხარისხობრივი განსხვავებები არსებობს, არც მარტო ესაა საკმარისი, აქ ერთი უმთავრესი მომენტი გასათვალისწინებელი, რაც უკავშირდება დროს. ოჯახურ საჭიროებათა განსაზღვრას არ სჭირდება დიდი დრო, რამდენიც სახელმწიფოს მხრიდან საზოგადოებისათვის მნიშვნელოვან საჭიროებათა განსაზღვრას და მათ დაკმაყოფილებას.

მივედით სახელმწიფოებრივ ამოცანასთან, რომლის თანახმადაც, სახელმწიფოს გააჩნია მრავალი სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურული და სხვა სახის პრობლემა და, ამასთანავე, გააჩნია შეზღუდული შესაძლებლობები ფინანსური რე-

სურსების მხრივ. იქმნება პრობლემა, თუ როგორ უნდა მოიზიდოს საჭირო ოდენობის ფინანსური რესურსები, ამ რესურსებით როგორ უნდა მოახდინოს ბიუჯეტის ფორმირება და რომელი ღონისძიებები უნდა გაატაროს არსებული რესურსებით, ამ მიზნით აუცილებელია ხარჯებისა და შემოსავლების დაჯგუფება სხვადასხვა ნიშნის მიხედვით. მაგალითად, ხარჯების დაჯგუფება ითვალისწინებს პრინციპს, რომელიც უკავშირდება მიზნობრიობას. მართლაც, თუ მიზანი არ დაისახა, მისი განხორციელება შეუძლებელი იქნება. მაგალითად, ასევე ავიღოთ ელემენტარული – ადამიანის ძირითადი მიზანი, რომელიც ემსახურება მის გადარჩენას ან უსაფრთხოებას. ეს დღემდე რჩება კაცობრიობის მნიშვნელოვან პრობლემად. ამიტომ ადამიანს სჭირდება შესაბამისი შესაძლებლობები თავისი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. სწორედ აქედან არის თეორია, რომელიც დამკვიდრებულია ფინანსურ მეცნიერებაში და რომლის თანახმადაც ხარჯი იწვევს შემოსავალს.

განვითარებულ ქვეყნებში, რომელთა შემადგენლობაში შედის აშშ, ევროპის ქვეყნების, ასევე ღსთ-ს შემადგენლობაში მყოფი ქვეყნები, საბიუჯეტო პროცესის წარმართვისათვის იყენებენ ბიუჯეტის შედგენის პროგრამულ-მიზნობრივ მეთოდს (პმმ). რა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ეს მეთოდი მზამზარეულად მოგვცემს შედეგს, მაგრამ, ამასთანავე, ეს მეთოდი, სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილებიდან გამომდინარე, სხვა არსებულ მეთოდებს აღემატება თავისი შესაძლებლობებით, აპრობირებულობით და ეფექტიანობით.

პროგრამულ-მიზნობრივ ბიუჯეტზე გადასვლა, ამასთანავე, ნიშნავს საქართველოს საგადასახადო-საბიუჯეტო სისტემის თანდათანობით ევროპულ სტანდარტებთან მიახლოებას, იმ წესების დანერგვისათვის პირობების შექმნას, რომელიც მიღებულია და მოქმედებს მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში. ამრიგად, პროგრამულ-მიზნობრივი მეთოდის უფრო ეფექტიანად გამოყენებისათვის საქართველოს საბიუჯეტო სისტემის ყველა დონეზე საჭიროა საშუალოვადიანი ბიუჯეტირების დანერგვა. ასეთმა მიდ-

გომამ უნდა შექმნას ზუსტი იერარქია და სახელმწიფო პროგრამებსა და საპროგნოზო დოკუმენტაციას შორის დამოკიდებულების ზუსტი სქემა, რომლითაც გათვალისწინებული იქნება ეკონომიკური (რეგიონული პოლიტიკა და ბიუჯეტთაშორისი ურთიერთობები) და მეთოდოლოგიური (საპროგნოზო პერიოდი, დოკუმენტაციის მომზადების პროცედურები, მათი განხილვა, დამტკიცება, აღსრულება, ანგარიშგება და კონტროლი) ასპექტები;

სავადასახადო-საბიუჯეტო (ფისკალურ) პოლიტიკაში იგულისხმება სახელმწიფოს მიერ ბიუჯეტის საშემოსავლო ხარჯვით ნაწილში პრიორიტეტული მიმართულებების, ბიუჯეტის დაუბალანსებლობის ზღვრული ოდენობის, საბიუჯეტო დეფიციტის დაფინანსების წყაროების, ბიუჯეტის ცალკეულ რგოლებს შორის ურთიერთობების პრინციპების განსაზღვრის ღონისძიებათა ჩამოყალიბება. აქვე უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ კვლავ უცვლელ პრობლემად რჩება დეფიციტი. ეს პრობლემა აწუხებს ყველა ქვეყანას, მაგრამ ბიუჯეტის დეფიციტი ყოველთვის არ მიუთითებს ქვეყანაში სავალალო მდგომარეობას, ზოგჯერ იგი მასტიმულირებელ როლსაც კი ასრულებს. როცა დეფიციტი მშპ-თან მიმართებაში უმნიშვნელო ხვედრით წილს შეადგენს, იგი საშიშროებას არ წარმოადგენს. თუ დიდა, მაშინ ეს საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი ზარალის მომტანია და საბიუჯეტო-სავადასახადო პოლიტიკაში რადიკალური ცვლილებების შეტანას განაპირობებს.

როგორც ვიცით, 2002 წლიდან 2003 წლამდე დეფიციტის ღონე მშპ-ში იყო ზრდადი. თანაც წინამორბედი ხელისუფლება ხშირად მიმართავდა ბიუჯეტის სეკვესტრირებას, რომელიც ამცირებდა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილს. ხარჯების ასეთი ნომინალური შემცირებით, ბიუჯეტი ნომინალურად, მაგრამ მაინც დეფიციტურად სრულდებოდა. 2003 წელი არის ახალი ათვლის წერტილი, რომლიდანაც ბიუჯეტის შემოსავლები, ზედიზედ ოთხჯერ, გადაჭრებით შესრულდა. როგორც ვხედავთ, ყველაზე მაღალი გადაჭარბება მოხდა 2003 წელს, რაც განპირობებული იყო მკაცრი რეპრესიული პოლიტიკით და შემოსავლების ფორმირება,

ძირითადად, ჯარიმებისა და კონფისკაციების სახით მიღებული არასაგადასახადო შემოსავლებით ხდებოდა. 2004-2005 წლებში ხდება გადაჭარბების დონის კლება, რაც განპირობებული იყო პოსტრევოლუციური რეაქციის პერიოდით და, შესაბამისად, დაბალი საინვესტიციო აქტივობით. 2005-2008 წწ. ხდება საინვესტიციო აქტივობის ზრდა და გადაჭარბების დონე შესაბამისად იმატებს. იგი მკვეთრად დაეცა აგვისტოს საომარი მოქმედებებისა და ასევე მსოფლიოში მიმდინარე ეკონომიკური კრიზისის გამო. დღეისათვის კი მეტ-ნაკლებად მიუახლოვდა ომამდელ პერიოდს, თუმცა ნდობის ფაქტორი მაინც დაბალია. ამიტომ ეკონომიკური ცვალებადობის პერიოდი ამ კუთხით შეიძლება დაეყოს „ომამდელ“ და „ომის შემდგომ“ პერიოდებად.

სახელმწიფო ფინანსების საერთაშორისო სტატისტიკის მიხედვით, დეფიციტის დაფინანსების წყაროების შემადგენლობა ძირეულად განსხვავდება პოსტრევოლუციური ტრანსფორმაციის თანამედროვე ეტაპზე საქართველოში მოქმედი საბიუჯეტო კლასიფიკაციისაგან. კერძოდ, საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, პრივატიზაციიდან მიღებული შემოსავლები მიეკუთვნება დეფიციტის დაფინანსების წყაროებს, ხოლო საქართველოში მოქმედი აღრიცხვის სისტემით იგი აღირიცხება ბიუჯეტის შემოსავლებში კაპიტალური შემოსავლების სახით. განსხვავებული მეთოდიკა ასევე დეფიციტის დაფინანსების საგარეო წყაროების მიმართაც.

აქვე მინდა ზოგადად შევეხო ასევე უდიდეს პრობლემას, როგორცაა საგადასახადო ტვირთი (საგადასახადო სიმძიმე) [2], იგი არის განზოგადებული მანკვნებელი, რომელიც ახასიათებს გადასახადების როლს საზოგადოების ცხოვრებაში და განისაზღვრება, როგორც საგადასახადო შემოსავლების საერთო ჯამის შეფარდება მთლიან შიდა პროდუქტთან.

საგადასახადო ტვირთი უცხოეთის ქვეყნებში მერყეობს 40-45%-ის ფარგლებში და შეიმჩნევა მისი ზრდის ტენდენცია. მაღალი საგადასახადო ტვირთი შესაბამისად მაღალი ფისკალური ეფექტის ნიშანია. საქართველოში საგადასახადო ტვირთი ბოლო

პერიოდში საკმაოდ ზრდადია, რაზედაც მიუთითებს ამ პერიოდის დინამიკა. საგადასახადო ტვირთის არსებული დინამიკა მეტ იმედს ბადებს, თუმცა ეს ტენდენცია განპირობებულია იმ რადიკალური რეფორმებით, რომელსაც ატარებს სახელმწიფო, თანაც ყველაზე სწრაფი ზრდა დაფიქსირებულია 2003-2004 წწ-ში, რომელიც რეკორდუციის შემდგომი პერიოდიდან უახლესია. ლოგიკურია, რომ ეს ტენდენცია იკლებს. უნდა შევნიშნოთ, რომ 2004 წელს, 2003 წელთან შედარებით, საგადასახადო ტვირთი გაიზარდა 48,8%-ით, 2005 წელს, 2004 წელთან შედარებით – 16%-ით. ხოლო ბოლო წლების ზრდის ნიშნული 2006 წლიდან დღემდე სამჯერ ჩამორჩება წინა წლებისას. აქვე უნდა აღვნიშნოთ ის პრობლემა, რომ ამით არ გამოიხატება საგადასახადო ტვირთის რეალური მაჩვენებლები, რადგანაც ადგილი აქვს ჩრდილოვან ეკონომიკას, რომელსაც სტატისტიკოსები მოიხსენებენ „დაუკვირვებად ეკონომიკად“. ამიტომ საჭიროა რეალური სექტორის გაფართოება. ამის გასაკონტროლებლად ხელისუფლებამ მნიშვნელოვანი რეფორმა გაატარა საადრიცხვო პოლიტიკაში, რაც აისახა სალარო-აპარატების შემოღებაში. მიუხედავად ამისა, იგი ჩატარდა ისე და ისევე ავტომატურად და სტიქიურად. საჭიროა მისი დახვეწა და უფრო ცივილიზებული სახის მიცემა. აი კიდევ ერთი მიმბაძველობა და უცხოეთის გამოცდილების პირდაპირი გადმოტანა, რაც ასე დამახასიათებელია გარდამავალი პერიოდისათვის, საკუთარი ინფრასტრუქტურის თავისებურებათა გათვალისწინების უგულებელყოფის ხარჯზე.

როგორც ცნობილია, ხელისუფლებამ გაამარტივა დაბეგვრის რეჟიმი, შეამცირა რა გადასახადების როგორც რაოდენობა, ისე ოდენობაც, ასევე გააუქმა ვითომდა არაეფექტიანი საგადასახადო შეღავათები. არაეფექტიანი საგადასახადო შეღავათების გაუქმებას უნდა გაემკვიდრებინა სამართლიანი კონკურენცია ბიზნესში, მაგრამ მოხდა პირიქით. ამიტომ სასურველი იქნება ამ შეღავათების აღდგენა უფრო დახვეწილი და ცივილიზებული ფორმით, როგორც ეს მიღებულია ევროკავშირის ქვეყნებში, ჩვენ ხომ სწორედ აქეთკენ მივდივართ. ხელისუფლება ჯერ კიდევ 2007

წლისათვის გეგმავდა საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის საგადასახადო კანონმდებლობის, ევროკავშირის კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანას. 2008 წლიდან მთავრობამ აამოქმედა მნიშვნელოვანი ინიციატივა საგადასახადო განაკვეთების შემდგომი შემცირების მიმართულებით, რაც პირველ რიგში – ქვეყანაში საშემოსავლო გადასახადის 25%-იანი დაბეგერის რეჟიმის შემოღებას ეხება (ნაცვლად მანამდე არსებული 20%-იანი სოციალური და 12%-იანი საშემოსავლო გადასახადისა), მთავრობა ისევ ცვლის საშემოსავლო გადასახადის განაკვეთს 20%-მდე, ასევე ცვლილებები დღგ-სა და სხვა გადასახადების კუთხით. ეს პროცესები 2009 წლიდან ახალ ფაზაში შევა და შემდგომშიც გაგრძელდება. ყოველივე ეს მნიშვნელოვანი შედეგათია ჩვენი თანამოქალაქეებისათვის, რომლებიც დასაქმებულები არიან როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სექტორში. მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილება მათთვის საგადასახადო ტვირთის შემსუბუქების შესაბამისად, მათი ოჯახების შემოსავლების გაზრდის მთავარი წინაპირობაა, რადგან ხელისუფლების მთავარი მიზანია დაბალი გადასახადების ხარჯზე გადასახადის გადამხდელს, ყოველ რიგით ადამიანს, დაბეგერის პირობებში ხელზე ასაღებად დარჩეს უფრო მეტი თანხა, ანუ მათი შემოსავლებიდან (მაგალითად, ხელფასებიდან) სახელმწიფომ სულ უფრო მცირე თანხა დაბეგროს. ყოველივე ეს კი დასაქმების დონის ამღლების საწინდარია როგორც კერძო სტრუქტურებში, ისე საჯარო სექტორში, მეორე მხრივ, სახელმწიფოს მიერ დაბეგერის ასეთი პირობების შემოთავაზების მიზანი ეკონომიკური ზრდისა და ბიზნესის ხელშეწყობაცაა. ცვლილებების ძირითად მიზანს სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესება და ინვესტიციების ზრდის ხელის შეწყობა წარმოადგენს.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ხელისუფლების სოციალური და ეკონომიკური პოლიტიკის მიმართულებები, პრაქტიკულ ასპექტში, უმთავრესად საგადასახადო-საბიუჯეტო პოლიტიკაში უნდა აისახოს. სწორედ ფისკალური პოლიტიკა წარმოადგენს იმ უმთავრეს მექანიზმს, რომლითაც ხელისუფლება პრაქტიკულად

შედის თითოეული მოქალაქის საქმიანობის არეალში და როგორც საგადასახადო, ასევე საბიუჯეტო ხარჯების (მათ შორის სოციალური ტრანსფერტების) მეშვეობით მონაწილეობს მოქალაქეთა კანონიერი შემოსავლების ფორმირების პროცესში. ამდენად, შეუძლებელია ქვეყნის მოქალაქეები გულგრილნი იყვნენ ხელისუფლების მიერ განხორციელებული საგადასახადო-საბიუჯეტო პოლიტიკის მიმართ. საქართველოში კი საბიუჯეტო პრობლემები გაცილებით აქტუალურია, ვიდრე განვითარებული საბაზრო ეკონომიკის მქონე სახელმწიფოებში, რადგან ჩვენს ქვეყანაში ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული საზოგადოების ფინანსური და სოციალური სტაბილურობის განმსაზღვრელი საშუალო ფენა, ასევე საკმაოდ დიდია დაბალშემოსავლიანი კატეგორიის ადამიანთა რაოდენობა, რომლებიც უფრო უმუშევართა კატეგორიაში გადიან. ასე რომ, უმუშევართა რაოდენობა, რომელიც ოფიციალურად ცხადდება, საკმაოდ შორსაა რეალობისაგან.

საქართველოში დღესდღეობით ხორციელდება ავტომატური საგადასახადო-საბიუჯეტო პოლიტიკა, რომლის დროსაც სახელმწიფო დაკვეთების დონე შეიძლება შეიცვალოს მათი მარეგულირებელი კანონების ცვლილებებისგან დამოუკიდებლად. ეს გამომდინარეობს იქიდან, რომ ბევრი კანონი, რომელიც დაბეგვრისა და დანახარჯების მექანიზმების სტრუქტურას ეხება, იმგვარად არის შედგენილი, რომ ფისკალური პოლიტიკის პარამეტრები ავტომატურად იცვლება ეკონომიკური პირობების ცვლილებასთან ერთად. ავტომატური საგადასახადო-საბიუჯეტო პოლიტიკა მჭიდრო კავშირშია ფასების დონის, საპროცენტო განაკვეთებისა და წარმოების რეალური დონის ცვალებადობასთან.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია, ასევე განვიხილოთ ავტომატური საგადასახადო-საბიუჯეტო პოლიტიკისა და საბაზისო ეკონომიკური პარამეტრების მიზეზშედევობრივი კავშირი. წარმოების რეალური მოცულობა ზემოქმედებს ბიუჯეტის როგორც ხარჯვით, ასევე საშემოსავლო ნაწილზე. მისი გაზრდით იზრდება რეალური შემოსავალი, განსაკუთრებით საგადასახადო შემოსავლები. ამავე დროს, წარმოების რეალური

მოცულობის გაზრდა იწვევს სახელმწიფო ხარჯების შემცირებას ტრანსფერტების მიხედვით, მცირდება უმუშევრობის დონე. ამიტომაც, ბიუჯეტის დეფიციტის დაფინანსების რეალური წყარო უნდა იყოს წარმოების რეალური მოცულობის ზრდა და არა უცხოეთიდან მისაღები და მიღებული დახმარებები.

სპეციფიკური პრობლემები, რომლებიც, პოსტრეკოლუციური ტრანსფორმაციის თანამედროვე ეტაპზე, საქართველოში შეინიშნება, დაკავშირებულია საბაზრო ეკონომიკის კანონზომიერებათა სუსტ გამოვლინებასთან და სახელმწიფოებრივი რეგულირების ზედმეტად პასიურ როლთან, ზოგჯერ კი პირიქითაც, ზედმეტად აქტიურთან. გამოკვლევებმა გვიჩვენა, რომ სახელმწიფოს ფისკალურ პოლიტიკასა და ქვეყანაში საბაზრო განვითარების დონეს შორის არსებობს პირდაპირი კავშირი. როგორც ვხედავთ, ძალზე აქტუალურია პრობლემები, რომელიც კომპლექსურად არის თავმოყრილი საგადასახადო-საბიუჯეტო სისტემის გარშემო როგორც შრომით, ისე ფულად ბაზარზე. ასევე საინტერესოა და აუცილებელი, ამ პრობლემებისათვის მეცნიერული სახის მიცემა როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით. ქვეყნის ხელისუფლებამ ისეთი საგადასახადო-საბიუჯეტო პოლიტიკა უნდა გაატაროს, რომ ამ პრობლემების ხარისხის გასაზომად შექმნას გარკვეული საზომები და სათანადო ინსტრუმენტები, რომელიც აღნიშნულ პოლიტიკას უფრო მოქნილსა და მობილურს გახდის.

ბამოყენებული ლიტერატურა

1. **გამსახურდია თ.** საქართველოს საგადასახადო-საბიუჯეტო სისტემის ფუნქციონირების პრობლემები თანამედროვე ეტაპზე. თბილისი, 2003.
2. **როგავა ზ.** გადასახადები. საგადასახადო სისტემა და საგადასახადო სამართალი. თბილისი, 2002.
3. **პაპავა ვ.** პოსტკომუნისტური გარდამავალი პერიოდის მაკროეკონომიკა (თეორია და პოლიტიკა). თბილისი, 2005.

4. **Щербина И.Ф., Степанова Т.С.** Возможности повышения эффективности реализации бюджетной политики Украины путем использования программно-целевого метода бюджетирования. Ж. «Бюджет», №1, январь, 2007.
5. **Мертон З. Боди.** Финансы, М., С.П., К., 2005.
6. **Фетисов В. Д., Фетисова Т. В.** Финансы и Кредит. М., 2006.

Kurdadze Tinatin

SHADY SIDES OF TAX-BADGETARY POLICY

SUMMARY

The article discusses tax-budget policy, the tendencies of its improvement and main theoretical problems connected with the safety of tax-budget system's principals, the structure of budget deficit in GDP, the shortcomings in budget planning, tax burden etc. The major point is transition to program-goal method of planning in budgeting process.

There is given conclusion that the main problem should be budget income.

Давлашеридзе Ната

РОБЕРТ ЛУКАС О ПРОБЛЕМАХ БЕЗРАБОТИЦЫ И ЗАНЯТОСТИ

Роберт Лукас (Lucas Robert) был удостоен нобелевской премии по экономике в 1995 году «за развитие и изменение гипотезы рациональных ожиданий, изменение основ микроэкономического анализа и точки зрения на экономический анализ». Работы Лукаса посвящены теории несовершенной информации, инфляции и занятости, экономическому росту и экономической политике. Он является автором концепции "рациональных ожиданий", а также главой "новой школы". Его взгляды изложены в таких трудах, как «Рациональные ожидания и эконометрическая практика» (Rational expectations and econometric practice, 1981, совместно с Т.Сарджентом); «Исследования по теории делового

цикла» (Studies in business-cycle theory, 1981); «Модели циклов деловой активности» (Models of business cycles, 1985); «Рекурсивные методы в исследовании экономической динамики» (Recursive methods in economic dynamics, 1989) и др.

В сборнике научных статей “Рациональные ожидания и эконометрическая практика” Роберт Лукас отметил, что кейнсианские меры ориентированы на достижение неверно определяемого уровня безработицы, трактуемого как “уровень полной занятости”, и вызывают ускорение инфляции, но не снижают уровень безработицы. Как нам известно, борьбу с инфляцией считают одной из основных задач современной государственной экономической политики. У нее есть два аспекта: правительство должно выбрать, какими методами надо бороться с инфляцией и в какой мере вообще надо с ней бороться. Это выбор между борьбой с инфляцией и борьбой с безработицей. Другая проблема антиинфляционной политики, обратная зависимость между инфляцией и безработицей, иллюстрируется моделью, которую называют кривой Филлипса.

Данная кривая была эмпирически открыта в конце 1950-х, когда английский экономист А.Филлипс, изучая экономическую статистику цен и занятости в Великобритании, предложил модель взаимосвязи этих показателей в виде нисходящей кривой (Рис. 2а). Согласно первоначальной модели кривой Филлипса, политика снижения безработицы неизбежно вызывает рост цен, а гашение инфляции, наоборот, – увеличение безработицы. Эту модель можно было рассматривать как оправдание кейнсианской модели государственного регулирования, в которой сознательно использовался вызывающий инфляцию дефицит госбюджета как метод снижения безработицы.

К 1970–1980-м стало очевидно, что если откладывать в координатах кривой Филлипса траекторию экономического развития за длительные отрезки времени, то эта траектория выглядит как зигзагообразная спираль, не сводящаяся к первоначальной кривой Филлипса (Рис. 2б). Стремясь объяснить эти зигзаги, исследователи стали предлагать новые модели взаимосвязи инфляции и безработицы. Экономисты кейнсианского направления предположили, что существует

не одна кривая Филлипса, а целое их «семейство» (Рис. 2в): в своем развитии национальная экономика может «перепрыгивать» с одних кривых Филлипса на другие. Экономисты-неоклассики вообще усомнились, что между безработицей и инфляцией есть существенная взаимосвязь. В долгосрочном периоде, по их мнению, кривая Филлипса принимает форму вертикальной прямой (Рис. 2г): при одном и том же уровне безработицы инфляция может быть сколь угодно высокой.




Рис. 2.

Различные интерпретации взаимосвязи инфляции и безработицы.

Синтез кейнсианских и неоклассических подходов к модели кривой Филлипса как раз и осуществил осуществил Роберт Лукас, обративший внимание на роль инфляционных ожиданий (Рис. 3а).

По мнению Лукаса, когда для хозяйствующих субъектов постоянный рост цен кажется чем-то новым, то их реакции описываются первоначальной кривой Филлипса. Если правительство и Центральный банк, стремясь увеличить занятость, стимулируют совокупный спрос (увеличиваются государственные расходы и предложение денег в банках, снижаются налоги), то фирмы расширяют производство и увеличивают найм работников. Но вскоре работники замечают, что их реальная зарплата из-за инфляции снизилась, профсоюзы добиваются роста зарплат, что сокращает занятость практически до исходного уровня.

Повторные действия правительства и ЦБ по стимулированию спроса будут вновь и вновь запускать весь этот цикл изменений. На этом этапе экономика развивается «елочкой» – происходит переход на все более и более высокие кривые Филлипса.

Однако постепенно, как указывает Лукас, люди привыкают к росту цен и начинают заранее учитывать ожидаемую инфляцию. Когда зарплата жестко «привязана» к росту цен, то никакого расширения производства вообще не будет, стимулирующие действия правительства и ЦБ приведут только к росту цен без снижения безработицы. В результате при высоких темпах роста цен кривая Филлипса приближается к вертикальной прямой.

Из модели Лукаса следует, что использовать инфляцию в борьбе с безработицей можно лишь в качестве кратковременной тактики, но не как постоянную стратегию. Эта же модель позволяет выбрать наиболее эффективную методику борьбы с инфляцией (Рис. 3б): чтобы погасить рост цен, следует смириться с временным повышением безработицы – происходит движение по нисходящей траектории «елочки». Если правительство пользуется доверием, то уже начальные мероприятия по борьбе с инфляцией изменят инфляционные ожидания граждан, которые перестанут закладывать в свои долгосрочные планы рост цен. В результате инфляцию удастся уменьшить почти без снижения занятости.




Рис. 3.

Взаимосвязь между безработицей и инфляцией в интерпретации Р. Лукаса.

Работы Лукаса легли в основу теории Д.Стиглица, которому удалось объяснить феномен долгой безработицы (нобелевский лауреат по экономике за 2001 г.). С другой стороны, Дж. Акерлоф (нобелевский лауреат по экономике за 2001 г.) показал, что "новая классическая макроэкономика", или "общеравновесная модель", как она представлена в трудах Фридмена, Лукаса и их единомышленников, «сталкивалась с большими трудностями» и выдвинул свою «частичную альтернативу» - теорию поощрительной заработной платы и вынужденной безработицы. Наконец, развитием неоклассики Лукаса стали работы американца Эдмунда Фелпса (нобелевская премия по экономике в 2006 году), в которых он сделал вывод один из самых интуитивно понятных – существование **равновесного уровня безработицы** – что стало одной из самых заметных экономических идей второй половины XX века и лег в основу денежной политики всех развитых стран. Данные концепции в полной мере применимы для разработки современной экономической политики Грузии.

ИСПОЛЬЗОВАННАЯ ЛИТЕРАТУРА

1. <http://ru.wikipedia.org>
2. http://nobelprize.org/nobel_prizes/economics/laureates/1995/lucas-autobio.html

Davlasheridze Nata

ROBERT LUCAS ON THE PROBLEMS OF UNEMPLOYMENT AND EMPLOYMENT

SUMMARY

As the unemployment and inflation problems are the central points of economic theory and their indices are used as key indices of macroeconomics, these problems became the subjects of research of many economists. This article describes Robert Lucas' (Nobel prize winner on economy 1995)

approach to this problem. This approach lies in the synthesis of Keynes and neoclassic approaches to the Philips' curve and enables to find the most efficient method of struggling the inflation. Lucas' neoclassic was proceeded with other economists' papers including E. Phelps, J. Stiglitz, G. Akerlof and others.

გიგა მაისურაძე

**ფერმერული მემურობები და მათი განვითარების
თავისებურებანი**

საბაზრო ეკონომიკის პირობებში, სოფლის მეურნეობის განვითარების თანამედროვე ეტაპზე, მნიშვნელოვანია ფერმერული მეურნეობის დაჩქარებული განვითარება და ორგანიზაციული ფორმების სრულყოფა. მისი მნიშვნელოვანი თავისებურებანა საკუთრება მიწაზე, როგორც წარმოების ძირითად და შეუცვლელ

საშუალებებზე, აგრეთვე, სრული საწარმოო-სამეურნეო დამოუკიდებლობა.

სოფლის მეურნეობის თვისებრივი აღორძინების ერთ-ერთი მიმართულება უნდა გახდეს ტრადიციული დარგების გამოცოცხლება, რაშიც ფერმერული მეურნეობის როლი განუზომელია. საჭიროა ამ საკითხს განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს, რაც სახელმწიფოს მხრიდან, სუბსიდიებითა და უპირატესი ხელშემწყობი კანონმდებლობით იქნება გამოხატული. ამ პრობლემას ჩვენთან ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა, მაშინ, როცა მსოფლიოს ყველა ქვეყანაში სასურსათო-სამომხმარებლო ბაზარზე პროდუქციის სიუხვის წყარო სწორედ ფერმერული მეურნეობებია.

ჯერ კიდევ დიმიტრი ყიფიანი ქართულ საზოგადოებას მრავალგზის აფრთხილებდა: ჩვენ გვიახლოვდება ისეთი დრო, რომ ურიგო არ იქნება ვიცოდეთ რას ნიშნავს ფერმერობა. მე-19 საუკუნის 60-იანი წლებიდან კი საბაზრო ეკონომიკისადმი ინტერესი მეტად გაძლიერდა. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა საქართველოს სახალხო მეურნეობის ტრადიციული დარგების ანალიზს. სოფლის დახმარება, წვრილი და საშუალო მეწარმეობა, ეროვნული კომერციული საქმიანობა და სხვ. იყო იმხანად ქართველ მოღვაწეთა ზრუნვის საგანი. საბოლოოდ, უცხო ქვეყნებთან აქტიური ურთიერთობა წინსვლის მნიშვნელოვანი პირობა გახდა, კერძო საკუთრება ქვეყნის ეკონომიური განვითარების საძირკვლად იქნა მიჩნეულ, ხოლო საბაზრო ეკონომიკა – მოქმედების ბუნებრივ ისტორიულ ფორმად.

ფერმერული მეურნეობების კლასიფიკაცია და ზომები ქვეყნების მიხედვით სხვადასხვაა, რაც ადგილობრივი ბუნებრივი და კლიმატური, ეკონომიკური და სხვა გარემოებებითაა განპირობებული. ძირითადად ფერმერული მეურნეობები შეიძლება იყოს საოჯახო ან ინდივიდუალური, ერთობლივი, სასოფლო-სამეურნეო კორპორაცია, საიჯარო და სხვა. მაგ., აშშ-ში, როგორც ფერმერული მეურნეობების კლასიკურ ქვეყანაში, თითქმის ყველა ფორმას ვხვდებით. მათ განვითარებაში დიდ როლს ასრულებს სახელმწიფო. იგი აფინანსებს და ეწევა დიდ მშენებლობებს, გააჭ-

ყავს გზები, ელექტრიფიკაციის და კავშირგაბმულობის კომუნიკაციები; ატარებს ნიადაგდამცავ ღონისძიებებს, ხელს უწყობს სოფლის მეურნეობის მეცნიერების აღმავლობას და მიღებული შედეგების პრაქტიკაში დანერგვას, მოქმედებს ფინანსური მხარდაჭერის მრავალმხრივი ფორმა და სრული მოქნილი სისტემა. განსაკუთრებით გამოირჩევა ერთობლივი ფერმები (ფერმების რიცხვის 40-55%), მათ შემადგენლობაშია დაახლოებით 300 ათასი ერთეული, ფლობენ 70 მლნ ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგულს, მათი საშუალო ზომა არის 200-250 ჰა მიწის ფართობი. ბოლო წლების მონაცემებით, ბაზარზე მათ მიერ რეალიზებული პროდუქციის მოცულობა მერყეობს 20-30 მლრდ დოლარის ფარგლებში.

საფრანგეთის სოფლის მეურნეობაში არენდული ურთიერთობები დომინირებს. სასოფლო-სამეურნეო არენდის წესდება ითვალისწინებს ორი სახის ხელშეკრულებას:

1. ფერმის არენდა წინასწარ დადგენილი მტკიცე საჯარო გადასახადით.

2. მონახევრობა არენდით გამცემსა და მონახევრეს შორის, არენდული პროდუქციის გაყოფით მათი წვლილის პროპორციულად (როგორც წესი, მონახევრე იღებს მოსავლის ორ მესამედს).

კანადაში ფერმერები გაერთიანებული არიან კოოპერატივებში. კანადის სასოფლო-სამეურნეო ზრდის ერთ-ერთი ყველაზე დამახასიათებელი ტენდენციაა წარმოების კონცენტრაცია, რაც გამოიხატება ფერმერულ მეურნეობათა საშუალო ზომის ზრდაში. ეს კი მათ საშუალებას აძლევს, ყოველწლიურად გააუმჯობესონ შედეგები. სახელმწიფოს მხრიდან ყოველწლიურად იზრდება კაპიტალდაბანდება – საშუალოდ 20-25%, ინვესტიციები ძირითადი კაპიტალის აქტიურ ნაწილში (მანქანები, დანადგარები, ახალი ტექნოლოგიები) ბოლო ხუთი წლის განმავლობაში თითქმის 5-ჯერ გაიზარდა. კანადა ყოველწლიურად აწარმოებს საშუალოდ 50-60 მლნ ტონა მარცვალს, 2,5-3,5 მლნ ტონა ხორცს და აქ ფერ-

მერულ ორგანიზაციებზე მოდის თითქმის 70-80%. სოფლის მეურნეობაში დასაქმებულია 500 ათასი კაცი.

საქართველოში უკვე ფორმირებული ფერმერული მეურნეობები, მათ სარგებლობაში არსებული სავარგულების ზომის, საკუთრების, სარგებლობის ფორმების მიხედვით შეიძლება პირობითად სამ ტიპად დაიყოს:

1. მიწის მესაკუთრე კომლთა მეურნეობები, რომელთაც საკუთრებაში აქვთ საშუალოდ 0,75 ჰა მიწა. ასეთი ოჯახური მეურნეობების საერთო რაოდენობამ 1 მლნ-ს გადააჭარბა.

2. მოიჯარე ფიზიკური პირების მეურნეობები 5 ჰა-მდე მიწის ფართობით, მათი საერთო რაოდენობა 40-45 ათასამდე მერყეობს.

3. მოიჯარე იურიდიული პირები. ასეთი მეურნეობების მიწის ფართობი საშუალოდ შეადგენს 100 ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგულს. მათი საერთო რიცხვი 7 ათასამდე აღწევს.

პირველი ორი ტიპის მეურნეობებს დაკავებული აქვს ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო სავარგულების 50% და იწარმოება პროდუქციის 70-80%. დასაქმებულია სამუშაო ძალის 40% და შექმნილი პროდუქციის ხვედრითი წილი ქვეყნის მშპ-ში მერყეობს 20-25%-ის ფარგლებში.

აღნიშნულიდან ჩანს, რომ რაოდენ დიდი პოტენციალი არ არის გამოყენებული და რა დიდი მნიშვნელობა აქვს ფერმერული მეურნეობის რაოდენობის ზრდასა და ორგანიზაციული ფორმების განვითარებას.

დღეს უკვე ნათელია, რომ მცირემიწიანობამ და მოსახლეობისათვის პატარ-პატარა ნაკვეთების დარიგებამ სასურველი შედეგი ვერ გამოიღო და გარკვეულწილად შეაფერხა კიდევ ფერმერული მეურნეობების განვითარება. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების პრივატიზაციის დროს კერძო საკუთრებაში გადასაცემი მიწის მაქსიმალური ზღვარი იყო 1,25 ჰა, ხოლო მინიმალური კი – 0,5 ჰა. სხვადასხვა ტიპის ფერმერული მეურნეობების ურთიერთთანამშრომლობა მსოფლიოში ნაცადი აპრობირებული ფორმაა. მისი გამოყენება ჩვენს ქვეყანაში ხელს შეუწყობს მეწარმეობის სხვადასხვა ორგანიზაციული ფორმების (კო-

პერატივები, კოოპორაციები და სხვა) შექმნას, რომელიც თავის თავში მოიცავს სოფლად ფერმერთა ფართოპროფილიან მომსახურებასა და სერვისცენტრების შექმნას. მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ჩვენს ქვეყანაში დაგროვილი და ასევე უცხოური გამოცდილება გონივრულად გამოვიყენოთ და აგროსექტორში მოხდეს როგორც ფერმერული ორგანიზაციების კოპერირება, ისე სამუშაო ძალის რაციონალური გამოყენება. ანუ საწყის ეტაპზე ფერმერულ მეურნეობებში საკმარისია დასაქმდეს სამუშაო ძალის 20-30%, ხოლო სამუშაო ძალის დანარჩენი აქტიური ნაწილი გადანაწილდეს გადამამუშავებელ მრეწველობაში, სადისტრიბუციო ქსელში, საკონსულტაციო-საინფორმაციო და მარკეტინგული კვლევის სფეროებში. შრომის დანაწილების ასეთი გააზრებული სისტემა, ჩვენი აზრით, შესაძლებელს გახდის ქვეყნის აგრარული პოლიტიკის სირთულეების გარეშე გატარებას, ადვილი იქნება სტიმულირების პროგრესული სისტემის შემუშავება და ფინანსური ოპერაციების განხორციელება.

ფერმერულ მეურნეობებს განსაკუთრებული როლი აქვთ აგროსამრეწველო კომპლექსის რეაბლიტაციაში. ამ მიზნით დროული იქნება შეიქმნას დაფინანსების მძლავრი სისტემა, მისი ყველა ფორმის (სუბსიდიები, შეღავათიანი კრედიტები, ერთდროული დახმარებები და სხვა) გამოყენებით. სპეციალურმა საფინანსო-საკრედიტო დაწესებულებებმა სასოფლო-სამეურნეო წარმოების პირველადი ორგანიზებული ფორმებიდან აგრობიზნესის განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე გადაყვანა უნდა უზრუნველყონ. დღეს ქვეყანაში რამდენიმე საერთაშორისო სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაცია, ფონდი, პროექტი, პროგრამა, საფინანსო დაწესებულება მუშაობს ასკ-ის განვითარებისა და ხელშეწყობის მიზნით. ამასთან, ქვეყნის ბიუჯეტმაც შეიძინა საინვესტიციო ფუნქცია და, მაინც, ფერმერული მეურნეობის განვითარების ტემპი დაბალია, ხოლო გადამამუშავებელი სექტორი რამდენიმე ერთეულ საწარმოს თუ ითვლის. მიზანშეწონილი იქნება თუ ამ მხრივ საერთაშორისო დახმარება ტექნიკურიდან უფრო შეღავათიან ფინანსურ დახმარებაზე გადავა.

საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა და ბუნებრივი პირობების მრავალფეროვნება ნებისმიერი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მოყვანის შესაძლებლობას იძლევა, ხშირ შემთხვევაში წელიწადში რამდენიმე ეკოლოგიურად სუფთა მოსავლისასაც კი. ამისათვის კი საჭიროა ფერმერული მეურნეობების შექმნის სწორი ორგანიზაციული ფორმების შერჩევა. ფერმები შეძლებენ, დიდი რაოდენობით აწარმოონ როგორც მემცენარეობის, ისე მეცხოველეობის დარგის პროდუქცია. ამ საქმეში მონაწილეობა უნდა მიიღოს ყველა პროფესიონალმა და დაინტერესებულმა ადამიანმა, მეცნიერებით დაწყებული, პრაქტიკოსი მუშაკებით დამთავრებული.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია გატარდეს შემდეგი ღონისძიებები:

1. საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა (მუშაობა უკვე დაწყებულია).
2. მიწის მფლობელობისა და სარგებლობის საკითხის სრული მოგვარება.
3. ფერმერული მეურნეობის ჩამოყალიბების პირობების უზრუნველყოფა და მისი ორგანიზაციული ფორმების სრულყოფა.
4. მართვის, სტიმულირების, მარტივი სახელშეკრულებო ფორმების შერჩევა-დამუშავება და პროდუქციის რეალიზაციის პირობების შექმნა.
5. მიზნობრივი და გამარტივებული საფინანსო პოლიტიკის უზრუნველყოფა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. **ყამარაული ს.** წარმოების ორგანიზაცია და მართვა ფერმერულ მეურნეობებში. თბილისი, 2000.
2. **ჰეჯერი ტ.** ფერმერული მეურნეობების ორგანიზაცია. თბილისი, 1997.
3. **Вольфганг Хойр.** Как делать бизнес в Европе. М., 1991.
4. **Ronaed d. Kay, William M.** Firm`s managment - 3rd ed. w-1996.

5. **Reu A. N.** Agricultural management economics. CAD- int. w-1998.

Maisuradze Giga

FARMS AND PECULIARITIES OF THEIR DEVELOPMENT

SUMMARY

The article deals with the development tendencies of farm in Georgia. Great attention is paid to the fact, that during the reconstruction of the agriculture the role of property in establishment of optimal form of the farm has main importance. Considerations about elaboration of proper agrarian policy and the ways to solve problems are given.

ანზორ კურატაშვილი

აღმნიანის უფლებების დაცვის აუცილებლობა,
სამართლებრივი ფაქტორი და სოციალურად

ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკა

ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა ნებისმიერი განვითარებული თუ განვითარებადი სახელმწიფოს კონსტიტუციური მოთხოვნაა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ადამიანის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა ნებისმიერი სახელმწიფო ხელისუფლების უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს.

მიუხედავად ამისა, საბაზრო ეკონომიკის პირობებში, როდესაც ეკონომიკური ურთიერთობების რეგულირება ხდება ძირითადად საბაზრო მექანიზმების საშუალებით, ადამიანის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური უფლებებისა და თავისუფლებების რეალური დაცვა საბაზრო ეკონომიკის სოციალური ორიენტაციის გარეშე წარმოუდგენელია.

ამასთან, სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირება, ანუ საბაზრო ეკონომიკის სოციალური ორიენტაციის პრაქტიკული რეალიზაცია, შეუძლებელია სამართლებრივი ფაქტორის ეფექტიანი გამოყენების გარეშე.

სწორედ ადამიანის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის აუცილებლობა განაპირობებს სოციალურად ორიენტირებული საბაზრო-ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირებას.

სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკა, თავის მხრივ, სახელმწიფოს მიერ სამართლებრივი ფაქტორის გამოყენებას მოითხოვს, რადგან ამ საბაზრო-ეკონომიკური სისტემის არსიდან და სპეციფიკური ნიშნებიდან გამომდინარე, შეუძლებელია, მას არ ახასიათებდეს შინაგანი, ობიექტური წინააღმდეგობები, რაც სამართლებრივი ფაქტორის აქტიურ ჩარევას მოითხოვს.

კერძოდ, სოციალურად ორიენტირებულ საბაზრო ეკონომიკას ჩვენ განვიხილავთ, როგორც საბაზრო ეკონომიკას, რომელსაც ერთდროულად ახასიათებს, ერთი მხრივ, წმინდა ეკონომიკური

ნომიკური მიმართულება, ანუ მაქსიმალური მოგების მიღებისაკენ სწრაფვა, ხოლო, მეორე მხრივ, სოციალური ორიენტაცია, ანუ ორიენტაცია ხალხის ინტერესების რეალიზაციაზე [1].

ამრიგად, სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის ეკონომიკური მიმართულება, ანუ ეკონომიკური მიზანი, და, ამავე დროს, ეკონომიკის სოციალური ორიენტაცია წარმოადგენს სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის არსს და მის სპეციფიკურ ნიშნებს, რომლებიც (სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის არსი და მისი სპეციფიკური ნიშნები) განაპირობებს სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის წინააღმდეგობებს.

ამასთან დაკავშირებით ყურადღებას იმსახურებს ის გარემოება, რომ სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის არსი და სპეციფიკური ნიშნები ემთხვევა ერთმანეთს, რაც გამოწვეულია იმით, რომ ამ საბაზრო ეკონომიკური სისტემის არსში გამოხატულია აგრეთვე მისი სპეციფიკური ნიშნები, ხოლო მის სპეციფიკურ ნიშნებში გამოხატულია, ასევე, სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის არსი.

ამრიგად, როგორც უკვე აღინიშნა, სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის არსი და სპეციფიკური ნიშნები, ანუ ამ საბაზრო-ეკონომიკური სისტემის ეკონომიკური მიზანი და, ამავე დროს, მისი სოციალური ორიენტაცია განაპირობებს სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის წინააღმდეგობებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის ძირითად წინააღმდეგობას, ჩვენი აზრით, წარმოადგენს წინააღმდეგობა სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის ეკონომიკურ მიზანსა და მის სოციალურ ორიენტაციას შორის [1; 2].

სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის ძირითადი წინააღმდეგობიდან გამომდინარეობს აგრეთვე სხვა წინააღმდეგობები, რომლებიც ამ საბაზრო-ეკონომიკურ სისტემას ახასიათებს.

კერძოდ, სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის ძირითადი წინააღმდეგობიდან გამომდინარეობს შემდეგი წინააღმდეგობები: წინააღმდეგობა სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის თავისუფლად ფუნქციონირების აუცილებლობასა და ამ საბაზრო-ეკონომიკური სისტემის სოციალური ორიენტაციის პრაქტიკული რეალიზაციისათვის მისი სახელმწიფოებრივი რეგულირების აუცილებლობას შორის; წინააღმდეგობა სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის პირობებში საწარმოთა ეკონომიკურ მიზანსა და ამ საბაზრო-ეკონომიკური სისტემის სოციალურ ორიენტაციას შორის; წინააღმდეგობა მეწარმეთა კერძომესაკუთრულ ეკონომიკურ მიზანსა და საბაზრო ეკონომიკის სოციალურ ორიენტაციას შორის; წინააღმდეგობა უკანონო შემოსავლების მიღების მსურველთა – კორუფციონერთა – წმინდა ეკონომიკურ მიზანსა და სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის სოციალურ ორიენტაციას შორის და ა. შ.

საბაზრო ეკონომიკის სოციალური წინააღმდეგობების პრობლემაზე საინტერესო და საფუძვლიანი მეცნიერული გამოკვლევა აქვს ჩატარებული საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, პროფესორ ლეო ჩიქავას.

მეცნიერულ ნაშრომში: „საბაზრო ეკონომიკა: სოციალური წინააღმდეგობების პრობლემა“, პროფესორი ლ. ჩიქავა აღნიშნავს, რომ „ქვეყნები, რომლებსაც გააჩნიათ თანამედროვე განვითარებული საბაზრო ეკონომიკა, მუდმივად გრძნობენ ობიექტურ წინააღმდეგობას: საბაზრო ეკონომიკა დამყარებულია, უპირველეს ყოვლისა, პირადი ინტერესის „პროვოცირებასა“ და დაკმაყოფილებაზე, ხოლო საზოგადოებას, მოსახლეობას გააჩნია სასიცოცხლო მნიშვნელობის საერთო ინტერესები, ეკონომიკური და სოციალური საზოგადოებრივი მოთხოვნილებები“ [3, გვ. 60-61].

თუმცა ზემოაღნიშნული ნაშრომი ეძღვნება არა უშუალოდ სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის წინააღმდეგობებს, არამედ საბაზრო ეკონომიკის სოციალური წინააღმდეგობების პრობლემის კვლევას, მაგრამ თანამედროვე განვითარ-

რებული საბაზრო ეკონომიკისათვის, როგორც ცნობილია, დამახასიათებელია სოციალური ორიენტაცია, რაც, ამავე დროს, არ გამორიცხავს როგორც საერთოდ საბაზრო ეკონომიკისათვის დამახასიათებელი, ისე სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკისათვის დამახასიათებელი წინააღმდეგობების არსებობას.

ამრიგად, ზემოთ მოყვანილი ციტატა პროფესორ ლ. ჩიქავას ნაშრომიდან და მასში ასახული წინააღმდეგობა პირად ინტერესსა და საზოგადოების საერთო ინტერესებს შორის, პირად მოთხოვნილებებსა და საზოგადოებრივ მოთხოვნილებებს შორის, რაც ნამდვილად დამახასიათებელია თანამედროვე განვითარებული საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნებისათვის, ჩვენი აზრით, შეიძლება განხილულ იქნეს, აგრეთვე, როგორც სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკისათვის დამახასიათებელი წინააღმდეგობა, რაც დაკავშირებულია სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის ძირითად წინააღმდეგობასთან – წინააღმდეგობასთან სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის ეკონომიკურ მიზანსა და მის სოციალურ ორიენტაციას შორის.

სწორედ სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის ძირითადი წინააღმდეგობიდან გამომდინარეობს ამ საბაზრო-ეკონომიკური სისტემის ყველა სხვა წინააღმდეგობა, რომელთა დაძლევის გარეშე შეუძლებელია ადამიანის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. **კურატშვილი ა.** სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკა და სამართლებრივი ფაქტორის გავლენა მის ეფექტურ ფუნქციონირებაზე (მონოგრაფია). თბილისი, საერთაშორისო გამომცემლობა “პროგრესი”, 2008.
2. **Кураташвили Анзор А.** Рыночная экономика и правовой фактор. BULLETIN "Medicine, Science, Innovation and Business New"

("Новости медицины, науки, инновации и бизнеса – голос профессионалов и бизнесменов США, СНГ и других стран мира"). Volume 6, Number 7 (57), July, New York, USA, 1999.

3. **Чикава Л.** Рыночная экономика: проблема социальных противоречий. Ж. "Общество и экономика", № 1, 1998.

Kuratahvili Anzor

NECESSITY OF PROTECTION OF HUMAN RIGHTS, THE LEGAL FACTOR AND SOCIALLY ORIENTED MARKET ECONOMY

SUMMARY

In scientific work there are considered problems of protection of constitutional laws and freedom of the person in the conditions of socially focused market economy.

The special attention is given to research of contradictions of socially oriented market economy and a substantiation of the necessity of an effective utilization of the legal factor for their overcoming.

ცუცქირიძე მარინე

**ბიზნესგარემოს განვითარების და უმუშევრობაზე
მისი გავლენის საკითხებისათვის**

საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლა საქართველოში ძირითადად უკავშირდება ბიზნესის განვითარების აუცილებლობას და ბიზნესგარემოს წარმომქმენელი წარმოებისა და მომსახურების სისტემის გაუმჯობესებას.

ბიზნესის განვითარების საფუძველი ისეთი საწარმოთა შექმნაა, რომლებითაც, ძირითადად, სამეურნეო საქმიანობა ხორციელდება და მისი წარმმართველი მესაკუთრეების ფინანსური რესურსები მათი შემოსავლების გაზრდისა და სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკის მიზნების შესასრულებლად გამოიყენება. ბიზნესის განვითარება მიზანშეწონილია წარმოების ისეთი ორგანიზაციული მეთოდების გამოყენებით, რომელიც საფუძველად უდევს მცირე, საშუალო და მსხვილი ფირმების, კორპორაციებისა და კომპანიების ჩამოყალიბებას. ამით ბიზნესის სისტემაში არსებითი და განმსაზღვრელი როლი მიეკუთვნება მცირე ფირმათა ორგანიზაციული სტრუქტურის იმ ელემენტებს, რომლებიც ერთმანეთთან აკავშირებენ მეწარმეების, მენეჯერებისა და დასაქმებულთა ეკონომიკურ ინტერესებს. ამ ინტერესების გადრმავება ხორციელდება წარმოების ზრდის, მართვის ეფექტიანობის, დასაქმების დონის ამაღლების, უმუშევრობის შემცირების მიმართულებით.

ამასთან ერთად, მცირე ბიზნესის განვითარების პრობლემათა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მისი მართვის ფუნქციონალური ქვესისტემების გაუმჯობესებას, კადრების, მარკეტინგის, პროდუქციისა და მომსახურების, ფინანსური რესურსების გამოყენების პროცესებში ორგანიზებულობას, კონკურენტუნარიანი საქონლის წარმოებაზე სპეციალიზებულ საწარმოთა ტერიტორიული და დარგობრივი ორგანიზაციის სრულყოფას.

ბიზნესის განვითარების პროცესზე უდიდესი გავლენით გამოირჩევა ისეთი პროდუქციის მწარმოებელ-მიმწოდებელი და

მომსახურების სისტემაში მომუშავე ფირმები, რომლებიც, მთლიანობაში, შეადგენს ბიზნესგარემოს. მისი ფუნქციონირება მნიშვნელოვანია იმითაც, რომ იგი, ძირითადად, ბიზნესის მომსახურებისათვის აუცილებელი ეკონომიკური და სოციალური ობიექტების ერთობლიობას წარმოადგენს. ბიზნესგარემოს ობიექტების ორგანიზაციის მიზანია მცირე ბიზნესის საწარმოებისა და კომპანიებისათვის ინფრასისტემური, საწარმოო და საბაზრო მომსახურებათა გაწევა, მათი დროულად წარმართვა და ეფექტიანად მართვა.

ბიზნესგარემო წარმოადგენს საბაზრო ურთიერთობების შედეგად ჩამოყალიბებულ მნიშვნელოვან სამეურნეო სისტემას, რომელიც შედგება მმართველობითი ქვესისტემებისა და საწარმოო ელემენტებისაგან, აქედან ძირითადია:

1. საწარმოო გარემო, რომელიც აუცილებელია ბიზნესის განვითარებისათვის და მოიცავს სამეწარმეო ობიექტებს და მცირე ფირმებს;
2. საბაზრო გარემო პროდუქციის რეალიზაციისა და მომსახურებისათვის, როგორცაა პროდუქციისა და შრომის ბაზარი, სავაჭრო ფართობები, თანამედროვე სავაჭრო ცენტრები;
3. საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურის ობიექტები, რომელიც საჭიროა ბიზნესის ტერიტორიული ორგანიზაციისათვის.

საწარმოო გარემოს ბიზნესისათვის ის მნიშვნელობა ენიჭება, რომ მისი გაუმჯობესება სამრეწველო და აგრარული ბიზნესის განვითარებისა და ამისათვის შექმნილი ფირმებისა და კომპანიების ეფექტიანად ფუნქციონირებისათვის აუცილებელ საფუძველს წარმოადგენს. სამრეწველო ბიზნესის განვითარება განუხრელად უკავშირდება სატრანსპორტო, ტურისტული და ინფორმაციული მომსახურების სისტემაში მომუშავე ფირმების ეფექტიანობის ამაღლებას. ეს ბიზნესგარემოს გაუმჯობესების აუცილებლობასა და საჭიროებაზე მიანიშნებს.

საბაზრო გარემოს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ფირმებში მიწოდების პროცესში წარმოების ფაქტორების გათვალის-

წინებას. მათ შორის მთავარია ბიზნესის მართვის ფუნქციონალური ელემენტების, კერძოდ კადრებითა და დასაქმებით დაინტერესებული ფირმების საბაზრო მომსახურების გაუმჯობესება. საბაზრო გარემოს მეშვეობით შეიძლება დასაქმების ზრდის სტიმულირების გაძლიერება და მასთან დაკავშირებული შრომის ბაზრის როლის გააქტიურება.

ბიზნესგარემოს სისტემისათვის ძირითადი ეკონომიკური ელემენტებია საწარმოო, სავაჭრო, მცირე ბიზნესის მომსახურებისა და მისი ტერიტორიულ-სივრცობრივი ორგანიზაციისათვის საჭირო სამეურნეო ობიექტები. მათი გაუმჯობესება საქართველოსა და მისი რეგიონების ეკონომიკის დარგებში, უმუშევართა დასაქმების საფუძველს წარმოადგენს.

ამრიგად ბიზნესგარემოს გასაუმჯობესებლად მიზანშეწონილი და აუცილებელია:

- წარმოების ოპტიმალური ტერიტორიულ-სივრცობრივი ორგანიზაციის მიღწევა, ბიზნესის მომსახურების სისტემის შექმნა მცირე ფირმების საფუძველზე, რათა მათ უზრუნველყონ კონკურენტუნარიანი პროდუქციის მიწოდება და მომსახურების გაწევა, ასევე უმუშევართა დასაქმება, ბიზნესის საწარმოთა მართვის რაციონალური მეთოდების გამოყენება;

- საწარმოებში თანამედროვე ტექნიკისა და ტექნოლოგიური პროცესების ათვისება, ამისათვის მაღალი კვალიფიკაციის მქონე უმუშევართა შორის კადრების შერჩევა და დასაქმება;

- უმუშევართა დასაქმებაში საბაზრო პროცესების გააქტიურება და ბიზნესგარემოს ფუნქციონირების გაუმჯობესებაში შრომის ბაზრის როლის ამაღლება;

- პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციისათვის აუცილებელ საბაზრო პროცესთა შორის სისტემური კავშირების უზრუნველყოფა სხვადასხვა დარგის ბიზნესსისტემის საშუალებით;

- უმუშევრობისა და მისი სოციალური შედეგების დაძლევა მცირე ბიზნესის განვითარებით უმუშევრობის სოციალური დატვივის სახელმწიფო პოლიტიკის საფუძველზე.

უმუშევრობის დონის შემცირება საქართველოში მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ბიზნესგარემოს გამაუმჯობესებელ აღნიშნულ ღონისძიებათა გატარებაზე. იგი დაკავშირებულია, აგრეთვე, ბიზნესგარემოს მართვის სისტემის სრულყოფასთან, სადაც ძირითად როლს სახელმწიფოს პოლიტიკა ასრულებს. ამავე დროს, მთავარია განისაზღვროს ბიზნესის განვითარებისათვის იდეალური, ანუ მაქსიმალური გარემოს მასშტაბები და წარმოების ფაქტორების გამოყენებისათვის აუცილებელი მინიმალური გარემო, რომელიც რესურსების, ინოვაციებისა და საბაზრო ობიექტების მოქმედებაში მოყვანის მიზნებს ემსახურება.

ეკონომიკური განვითარების აუცილებლობამ, აღნიშნულთან ერთად, წინ წამოსწია ინფლაციის ზრდის შემცირების, დასაქმების სტიმულირების, უმუშევართა სოციალური დაცვის, მათი კვალიფიკაციის ამაღლების, შრომის ეკონომიკური და სოციალური გარემოს გაუმჯობესების ღონისძიებები. აქედან ერთ-ერთი ძირითადია ბიზნესგარემოსა და მისი საბაზრო, დარგობრივი, საწარმოო და მომსახურების სისტემათა გაუმჯობესების მიზნით ფირმების ჩამოყალიბება. მათი შექმნით ბიზნესგარემოში შესაძლებლობა იქმნება, განხორციელდეს ინფლაციის შეზღუდვისა და უმუშევართა დასაქმების ღონისძიებანი.

ბიზნესგარემოს გაუმჯობესება წარმოადგენს მცირე ბიზნესის განვითარებისათვის აუცილებელ პირობას, ეს უკანასკნელი განუხრელად უკავშირდება:

1. ფირმათა საწარმოო ხელმძღვანელობის სრულყოფას და მენეჯერების როლის გაძლიერებას, ის ფირმის ძირითადი საქმიანობის წარმმართველი და, ამავე დროს, პრაქტიკული მრჩეველია დასაქმების დონის ზრდის მართვის პროცესის განხორციელებაში;
2. ფირმათა მართვის პროცესის ფუნქციონალურ ორგანიზაციას, იგი მიმართულია კადრებისა და პროდუქციის ბაზრების შერჩევის, მარკეტინგის ფუნქციის გაძლიერების, წარმოების განვითარებისათვის საჭირო ფინანსური კრიტერიუმების და ბიზნესის მიზნების ეკონომიკაში რეალიზაციის პროცესების განხორციელებაზე;
3. კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოებასა და

მომსახურებაზე ორგანიზებულ წარმოებათა გაფართოებას, რომელიც, მიზანშეწონილია, წარმოების სპეციალიზაციისა და დროში ეფექტიანი ორგანიზაციის საფუძველზე განხორციელდეს; 4. ბიზნესის წარმოებათა დარგობრივი, საბაზრო ორგანიზაციის გადრმავებას, რომელიც უკავშირდება ბიზნესგარემოს სივრცობრივ არეებში იმ დარგის მცირე ფირმების შექმნას, რომელიც მოემსახურება რესურსების მიმწოდებელ, გადაამამუშავებელ და პროდუქციის მწარმოებელ საწარმოებს, ასევე ინფორმაციული მომსახურების სისტემაში არსებულ ობიექტებს.

აღნიშნული მიმართულებით ბიზნესგარემოს ორგანიზაციული სისტემის გაუმჯობესება საქართველოში მიმდინარე რეფორმის ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს. ეს განპირობებულია იმით, რომ ბიზნესის განვითარების და ბიზნესგარემოს გაუმჯობესების ფაქტორთა შორის აუცილებელია სისტემური ურთიერთკავშირის მიღწევა, რაც სხვადასხვა დარგის ფირმებს შორის საბაზრო ურთიერთობების დამყარების მნიშვნელოვანი საფუძველია. მისი აუცილებლობა გამომდინარეობს საგარეო საბაზრო ურთიერთობების გაფართოებისა და გლობალიზაციის პროცესის მოთხოვნებიდან და დასაქმების პროცესის საერთაშორისო ასპექტების მართვის საშუალებას იძლევა.

დასაქმების საბაზრო პროცესის მართვის სისტემის ერთ-ერთი ძირითადი მიზანია უმუშევრობის დონის შემცირება საქართველოში, რაც თანამედროვე სახელმწიფო პოლიტიკის მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს. უმუშევრობის დონის შემცირება სხვადასხვა ფაქტორების და პროცესების ზემოქმედების შედეგად ხორციელდება. აქედან მნიშვნელოვანია:

- დასაქმების საბაზრო პოზიციათა გარდაქმნა ეკონომიკური განვითარების პროცესებთან მიმართებაში;
- უმუშევრობის დონის ზრდა და მისი მოსალოდნელი ცვლილება შრომისუნარიანთა საერთო რაოდენობაში;
- დასაქმების დონის ზრდა საბაზრო სტიმულების გამოყენებით, რომელიც სახელმწიფოს მონეტარული ან ფისკალური

პოლიტიკის გავლენით ცდილობს უმუშევრობის დონის შემცირებას;

– ფირმათა საბაზრო სტრატეგია, შემუშავებული დასაქმების ზრდის მიმართულებით, როდესაც წარმოების საბოლოო შედეგების შემცირებაა მოსალოდნელი;

– ბიზნესის განვითარების მიზნით ბიზნესგარემოს გაუმჯობესება. იგი, ბიზნესის მომსახურებისათვის საჭირო ფირმების რაოდენობის ზრდისა და არსებულ წარმოებათა გაფართოების დროს ახალი სამუშაო ადგილების წარმოქმნის შესაძლებლობას იძლევა. ამით ის უმუშევართა დასაქმების რეალური საფუძველი ხდება.

ეკონომიკური განვითარებისა და გლობალიზაციის პროცესის განხორციელებისათვის საჭიროა წარმოებათა შორის საბაზრო და დარგობრივი ურთიერთობების განმტკიცება, ამისათვის დასაქმების დონის ზრდის მართვის სისტემის სრულყოფაა მიზანშეწონილი. მისი მიზანია ბიზნესით დაინტერესებული მცირე და საშუალო ფირმების ჩამოყალიბება და ახალი სამუშაო ადგილების შექმნა. ამ მიზნის განხორციელება დაკავშირებულია ფირმათა შორის პარტნიორულ და კომერციულ ურთიერთობათა განვითარებასთან, ფინანსური და საკრედიტო პროცედურების საიმედოობასთან, საქართველოს საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურის გაფართოების შესაძლებლობასთან. იგი დამოკიდებულია ეროვნულ და ხალხურ წარმოებათა ათვისების დონეზე, სამამულო რესურსების რაციონალურად გამოყენებასა და ფირმათა შემოსავლების ზრდის სიდიდეზე.

ბიზნესგარემოს გაუმჯობესება საქართველოში ბიზნესის ფუნქციონირების ერთ-ერთ მთავარ საფუძველს წარმოადგენს. იგი ეკონომიკური ზრდის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მნიშვნელოვან ფაქტორად გვესახება საბაზრო ურთიერთობების დამყარებისა და პოსტსაბჭოთა გარდაქმნების ვითარებაში.

ბამოყენებული ლიტერატურა

1. **ბერულავა გ.** საქართველოს ეკონომიკაში ამჟამად არსებული პრობლემები და მათი გადაჭრის ზოგიერთი მიმართულება. „საბაზრო ეკონომიკის განვითარების პრობლემები საქართველოში“ (სამეცნ. შრომების კრებული) ტ. IV, თბილისი, „მეცნიერება“, 2004, გვ. 110-121.
2. **წერეთელი გ., ბიბილაშვილი ნ.** უმუშევრობისა და მისი დონის შემცირების ძირითადი გზები პოსტკომუნისტურ საქართველოში, „საბაზრო ეკონომიკის განვითარების პრობლემები საქართველოში“ (სამეცნ. შრომების კრებული). ტ. IV, თბილისი, „მეცნიერება“, 2004, გვ. 147-163.
3. **პაპავა გ.** სამრეწველო ფირმის ორგანიზაცია და მართვა. ტ. I, II, თბილისი, „სამშობლო“, 1998.
4. **ცუცქირიძე მ.** მაკროეკონომიკური მანქვნებლების პროგნოზირება საბაზრო ურთიერთობების პირობებში. თბილისი, „მეცნიერება“, 2004.
5. **Charles L. Martin.** Ph. D., Your New Business: A Personal Plan for success, Copiright, CRISP Publications, 1993.

Tsutskiridze Marina

THE ISSUES OF DEVELOPMENT OF BUSINESS ENVIRONMENT AND INFLUENCE ON UNEMPLOYMENT

SUMMARY

The article discusses the principles of improvement of business environment, is analyzed its influence on the decrease of unemployment level, is stated the factors influencing on unemployment level and given their characteristic, is determined the measures to improve business environment for the economy of postsoviet Georgia.

ღია დეალიშვილი

**საქართველოს ეკონომიკის განვითარების პრიორიტეტული
მიმართულებები**

ხელისუფლებამ შეიძლება მიიღოს ზომები უმუშევრობის დასაძლევად, სწორი მაკროეკონომიკური პოლიტიკით მიადწიოს მშპ-ს ზრდას და უმუშევრობის ბუნებრივ დონეს, რითაც ცხოვრების პირობები უდავოდ გაუმჯობესდება, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ ჩვენი ქვეყანა მდიდარი და მაღალგანვითარებული გახდება. შეიძლება ქვეყნის წარმოებაში დასაქმებული იყოს მთელი შრომისუნარიანი მოსახლეობა, მაგრამ მაინც ვერ იქნეს მიღწეული ცხოვრების მაღალი დონე. თუ ხელისუფლება მოსახლეობას დაასაქმებს დაბალრენტაბელურ საწარმოებში ან დაბალი შრომისმწარმოებლურობის მქონე დარგებში, მაშინ მივიღებთ ხელფასების და, შედეგად, ცხოვრების დაბალ დონეს, მიუხედავად იმისა, რომ მიღწეული იქნება დასაქმების ბუნებრივი დონე. ასეთი პერსპექტივის თავიდან ასაცილებლად, აუცილებელია, ხელისუფლებამ მოახერხოს სწორად შეარჩიოს და ხელი შეუწყოს იმ დარგების განვითარებას, რომლებიც ქვეყანას მაქსიმალურ მოგებასა და შემოსავალს მოუტანს.

განვითარებული საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნების გამოცდილებით დამტკიცებულია, რომ ეკონომიკური და სოციალური, აგრეთვე, პოლიტიკური ამოცანების წარმატებით განხორციელება შეუძლებელია ქვეყნისათვის სასიცოცხლო მნიშვნე-

ლობის წარმოებების აღორძინებისა და შემდგომი განვითარების დაუქარებლად, რაზედაც პირდაპირ არის დამოკიდებული ქვეყანაში რესტრუქტურისაციის წარმატებით განხორციელება. ეროვნულ პრიორიტეტებს მიეკუთვნება დარგები და საწარმოები, რომლებიც შეძლებენ სანედლეულო რესურსების, ტექნოლოგიების დიდი ოდენობით შემოტანას, სამუშაო ადგილების შექმნას, წარმოებული პროდუქციის შრომატევადობისა და ენერგოტევადობის შემცირებას, მაქსიმალური საარსებო მინიმუმის მიღწევას, ეკოლოგიური პრობლემების გადაწყვეტას და სხვ.

ქვეყნის საშინაო რესურსების მობილიზაციისა და რაციონალურად გამოყენებასთან ერთად, საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ ეტაპზე ამა თუ იმ დარგში არსებული მწვავე პრობლემების გადაწყვეტის რეალურ საშუალებად უცხოეთის ინვესტიციების მოზიდვა უნდა მივიჩნიოთ. საქართველოში დღეისათვის ცოტაა ისეთი საწარმოები, რომლებიც ინვესტიციების გარეშე აღორძინებას შეძლებენ.

საქართველოს ბუნებრივ-საწარმოო პირობები, გადარჩენილი სამეცნიერო, საკადრო, ტექნიკურ-ტექნოლოგიური პოტენციალი, მათი ამოქმედების შესაძლებლობა, შიდა სამომხმარებლო ბაზრის მოსალოდნელი გაფართოება, საქსპორტო პროდუქციის წარმოების გადიდების რეზერვები, იაფი შრომითი რესურსები, ქვეყნის გეოპოლიტიკური მდგომარეობით შექმნილი უნიკალური შესაძლებლობანი ახლაც და მომავალშიც უცხოეთის კაპიტალის მოზიდვის დიდმნიშვნელოვანი პირობა-ფაქტორია.

უცხოური კაპიტალის შემოსვლის პროცესმა შეიძლება ქვეყნის დარგობრივი სტრუქტურის შეცვლა და არასასურველი ტენდენციები გამოიწვიოს. ამ დროს არ არის გამორიცხული, რომ კაპიტალის შემოტანმა ქვეყნებმა მოინდომონ საქართველოს მხოლოდ სანედლეულო პოტენციალის გამოყენება ისე, რომ ქვეყანაში შექმნან მხოლოდ ნედლეულის წარმოების ან კიდევ მისი პროდუქციად გადაამუშავების დაბალი დონის ბაზა. ამგვარად, შეიძლება მივიღოთ საქართველოს ეკონომიკის არსებული სტრუქტურების კონსერვაცია. ასეთი ნეგატიური პროცესები, რა თქმა უნდა,

სახელმწიფომ უნდა დაარეგულიროს მუდმივი კონტროლისა და მისდამი სერიოზული მიდგომის საფუძველზე.

ინვესტიცია, ანუ საქმეში ჩადებული აქტივი, თუ ის მუშაობს, აუცილებლად უნდა ჩანდეს. საქართველოში კი უმუშევრობა კვლავ კატასტროფულ მასშტაბებს აღწევს. პროდუქცია ქვეყანაში ფაქტობრივად არ იქმნება, იმპორტმა მთლიანად წააფარა ექსპორტი; მაღაზიები და ბაზრები სავსეა უცხოური პროდუქციით, მათ შორის სოფლის მეურნეობის პროდუქტებით.

დამოუკიდებელი ექსპერტები ხელისუფლებას სტატისტიკაში ედავებიან და აღნიშნავენ, რომ რაღაც ობიექტის უცხოელისთვის მიყიდვა ჯერ კიდევ არ ნიშნავს ინვესტიციას. საჭიროა ის გარკვეულ ბიზნესში იყოს ჩადებული და სამუშაო ადგილებს ქმნიდეს. ისინი საშიშად მიიჩნევენ არადასავლური კაპიტალის დიდი ოდენობით შემოსვლას ქვეყანაში. რუსული, ყაზახური და არაბული წარმომავლობის კაპიტალის შემოსვლა, მათი აზრით, სულაც არ შეუწყობს ხელს ქვეყნის დასავლურ განვითარებას.

ქვეყანა, სადაც ინვესტიციების დაცვის სრულყოფილი მექანიზმი არსებობს, ნებისმიერი ბიზნესის, მცირე, საშუალო თუ მსხვილის, განვითარების მყარი ნიადაგია შექმნილი.

ინვესტორების სიფრთხილემ საერთაშორისო საფინანსო-ეკონომიკური კრიზისის და, გარკვეულწილად, აგვისტოს ომის გამო, გავლენა მოახდინა ახალი რეალური სექტორის წარმოებების შესაქმნელად მიმართული უცხოური ინვესტიციების მოდინების შემცირებაზე, მაგრამ უკვე არსებობს წინაძღვრები ამ მიმართულებით სიტუაციის გასაუმჯობესებლად.

თუ ჩვენ გვინდა გავხდეთ მაღალგანვითარებული ქვეყანა, ჯერ უნდა გავიაზროთ მაღალტექნოლოგიური საქონლის მწარმოებელი ქვეყნების უპირატესობები. საქმე ისაა, რომ უახლესი ტექნოლოგიები ხელმისაწვდომი არ არის ნებისმიერი მეწარმისათვის და იგი თავიდან რომელიმე მსხვილი ფირმის საიდუმლოს წარმოადგენს. თუ გადავხედავთ მდიდარი ქვეყნების სიას, დავრწმუნდებით, რომ სწორედ ის ქვეყნებია მდიდარი, რომლებიც მაღალტექნოლოგიურ საქონელს აწარმოებენ. მაღალი ტექნოლო-

გიების ფლობა დიდ უპირატესობას აძლევს როგორც ამ ტექნოლოგიების მფლობელ ფირმას, ასევე იმ ქვეყანას, სადაც ეს ფირმა მოღვაწეობს.

გასული საუკუნის 80-იან წლებში ბრიტანელმა მეცნიერებმა, კოლუმბიის უნივერსიტეტის ეკონომისტებმა ბრენდერმა და სპენსერმა განავითარეს თეორია, რომლის მიხედვითაც, საერთაშორისო ვაჭრობაში ჩართულ ფირმებს, რომლებსაც არასრულყოფილი კონკურენციის ბაზრებზე უხდებათ მოღვაწეობა, დიდი მოგება ექნებათ. მათი აზრით, ხელისუფლება ასეთ ფირმებს უნდა დაეხმაროს სუბსიდიებით, რათა ქვეყანამ მაქსიმალური მოგება ნახოს საერთაშორისო ვაჭრობიდან.

საქართველოში საჭიროა ისეთი დარგების განვითარება, რომელიც იყენებს ისეთ ტექნოლოგიებს, სადაც შრომის ნაყოფიერება მაღალია. ასეთია კაპიტალტევადი დარგები. ეკონომისტებისათვის ცნობილია, რომ მაღალი შრომის ნაყოფიერება არის ქვეყანაში მაღალი ხელფასების დონის საფუძველი და მაღალი ცხოვრების დონის მიღწევის საშუალება.

დაბალ მოგებას იძლევა დარგები, რომლებიც იდეალურ ბაზართან მიახლოებულ ბაზარზე მოქმედებენ, მაგალითად, სოფლის მეურნეობა. ასევე დარგები, რომლებშიც დაბალია შრომის ნაყოფიერება. ასეთია მომსახურების დარგების დიდი ნაწილი [7, გვ. 183], მათში შედის ტურიზმიც. შრომატევადი დარგია მშენებლობაც, მაგრამ მას სხვა უპირატესობები გააჩნია, კერძოდ, მშენებლობის ბუთთან არის დაკავშირებული ეკონომიკური ბუმის პერიოდები. მშენებლობის შემცირებასთან არის დაკავშირებული ემიგრაციის ტალღები და ქვეყნის მოსახლეობის კლება. აქ სპეციალურად გაავამახვილეთ ყურადღება ტურიზმსა და სოფლის მეურნეობაზე, რადგანაც საქართველოში ფეხმოკიდებულია აზრი, რომ ჩვენ აგრარული და ტურიზმის ქვეყანა უნდა გავხდეთ. ეს აუცილებლად მიგვიყვანს ცხოვრების დაბალ დონესთან. არც ერთი აგრარული ქვეყანა არ არის მაღალგანვითარებული. თითქმის ყველა ქვეყანაში სოფლის მეურნეობაა პრობლემური და

დოტაციური დარგი. მაღალგანვითარებულ ქვეყნებში სოფლის მეურნეობაში დასაქმებულია მოსახლეობის 3%.

სახელმწიფომ აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს მსხვილი საწარმოებისა და მაღალტექნოლოგიური დარგების განვითარებაში, რადგანაც ასეთი დარგები ქვეყნის რეალურად გამდიდრების საშუალებას იძლევა. ჩვენთან ნებისმიერ ბიზნესმენს გაუჭირდება საკმარისი კაპიტალისა და ტექნოლოგიების მოპოვება, ასეთი დარგები კონკურენტუნარიანი რომ გახდნენ საერთაშორისო ბაზარზე. მსხვილი ფირმებისათვის საქართველოს ბაზარი ძალიან მცირე იქნება და მათ ექსპორტზე უნდა აიღონ ორიენტაცია. ამიტომ სახელმწიფოს როლი ჩვენისთანა პატარა ქვეყნისათვის შეუცვლელი იქნება. იგი უნდა გამოვიდეს ბაზარზე, როგორც მსხვილი მეწარმე და მსხვილი და მაღალტექნოლოგიური საწარმოების აქციების საკონტროლო პაკეტის მფლობელი.

საქართველოს მსგავს პატარა ქვეყნებში, სადაც ბიზნესი ახლა იდგამს ფეხს და მეწარმეებს არ აქვთ საკმარისი კაპიტალი, გამოცდილება და ტექნოლოგიები, ზემოთ ხსენებული საწარმოების ასამუშავებლად საჭირო კაპიტალის და ტექნოლოგიების მოპოვებას მხოლოდ სახელმწიფო თუ შეძლებს.

ეკონომიკაში ნობელის პრემიის ლაურეატებმა შევედმა მეცნიერებმა ე. ჰეკსქერმა და ბ. ოჰლინმა დაამუშავეს თეორია, რომლის მიხედვითაც, „ქვეყნები მიმართავენ იმ საქონლის ექსპორტს, რომლის წარმოებაც საჭიროებს იმ ინტენსიურ საწარმოო ფაქტორებს, რითაც ისინი უხვად არიან უზრუნველყოფილნი [4, გვ. 51]. ე. ი. თუ დავადგენთ რა საწარმოო ფაქტორებს ვფლობთ ჭარბად, მაშინ შევძლებთ დავადგინოთ, თუ რა დარგების განვითარებას უნდა შეუწყოს ხელი ხელისუფლებამ, რომ ამ დარგებში შედარებით იაფად ნაწარმოები საქონელი უფრო მომგებიანად გავცვალოთ ჩვენთვის საჭირო უცხოურ იმპორტულ საქონელზე.

სამწუხაროდ, ჩვენ ბუნებრივი რესურსებით განსაკუთრებით მდიდარი ქვეყანა არ ვართ, თუ არ ჩავთვლით ჰიდრორესურსებს. მიწითაც მცირემიწიან ქვეყანად ვითვლებით, რომ სოფლის მეურნეობაში გვქონდეს ბუნებრივი უპირატესობა და სასოფლო-

სამეურნეო საქონლის ექსპორტით ვირჩინოთ თავი. მაგრამ ეს არ არის საშიში, რადგანაც იაპონია ჩვენზე უფრო ღარიბია ბუნებრივი რესურსებით, მაგრამ ერთ-ერთი ყველაზე უფრო წარმატებული ქვეყანაა, რადგანაც ძირითადად მაღალტექნოლოგიური საქონლის წარმოებითაა დაკავებული.

ქვეყნის ეკონომიკური სტაბილიზაციის ღერძი მრეწველობაზე გადის. თუმცა პოლიტიკოსთა და ეკონომისტთა ნაწილი თვლის, რომ რამდენადაც მსოფლიო პოსტინდუსტრიული საზოგადოების აშენების გზით მიდის (აშშ-ს გამოცდილება), არ არის აუცილებელი საქართველოში განვითარდეს მრეწველობა. მათ მიზანშეწონილად მიაჩნიათ სხვა ქვეყნებიდან იქნეს შემოტანილი აუცილებელი პროდუქცია, ქვეყანაში კი უპირატესად მომსახურების სფერო (პოსტინდუსტრიული საზოგადოების უმთავრესი მახასიათებელი) გაფართოვდეს, მის ბაზაზე გადაწყდეს დასაქმების პრობლემები.

ამჟამად ისეთ პერიოდში ვიმყოფებით, როცა მკაცრი აუცილებლობა გვაიძულებს, ვეძებოთ ქვეყანაში არსებული ეკონომიკური კრიზისით დაზარალებული საწარმოების სწრაფად აღდგენისა და აღორძინების საშუალებები და გზები.

საქართველოს ჯერჯერობით არ აქვს დაგროვილი საკმარისი კაპიტალი, ამიტომ ხელისუფლებამ, რომელსაც მისი მობილიზების ყველაზე კარგი საშუალება აქვს, ეკონომიკური ზრდის ტემპის დასაჩქარებლად თვითონ უნდა დაიწყოს მსხვილი საწარმოების რეაბილიტაცია და, პირველ რიგში, უნდა აღადგინოს ის საწარმოები, რომელთაც ყველაზე ნაკლები კაპიტალით, ყველაზე მცირე დროში შეუძლია მაქსიმალური მოგების მიღება. ეს დააჩქარებს ქვეყანაში კაპიტალის დაგროვების პროცესს, რის შემდეგაც შესაძლებელი იქნება სხვა უფრო ამბიციური გეგმების განხორციელება.

ბამოყენებული ლიტერატურა

1. **აბესაძე რ., კაკულია ე.** მცირე და საშუალო ბიზნესის სახელმწიფო რეგულირების თავისებურებები და არსებული მდგომარეობა საქართველოში. პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული. ტ. I, თბილისი, 2008.
2. **ბურდული ვ.** საქართველოს რეგიონებში საერთო დანიშნულების მეწარმეობის განვითარების ტერიტორიული რეგულირების და საბაზრო კოორდინაციის მექანიზმის სრულყოფის გზები. პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული, ტ. I, თბილისი, 2008.
3. **დვალიშვილი ლ.** ეკონომიკური რეფორმა და შრომითი რესურსების დასაქმების პრობლემები საქართველოს მრეწველობაში. ჟ. "ეკონომიკა", №11-12, 2004.
4. **კრუგმანი პ., ოფსვილდი მ.** საერთაშორისო ეკონომიკა. თბილისი, „ცისარტყელა“, 2000.
5. **მაცაბერიძე მ.** ინვესტიციები სამხრეთ კავკასიაში: სამი განსხვავებული მოდელი. ჟ. "ეკონომიკა და პოლიტიკა", №9, 2007.
6. **მენქიუ გ.** ეკონომიკის პრინციპები. თბილისი, „დიოგენე“, 2000.
7. **პინდაიკი რ., რუბინფელდი დ.** მიკროეკონომიკა, თბილისი, „ლამპარი“, 1998.

Dvalishvili Lia

SUPREME TRENDS OF DEVELOPMENT OF GEORGIAN INDUSTRY

SUMMARY

According to the experience of countries with developed market economy it is stated that a successful realization of economic, social and political problems as well, is impossible without the acceleration of

rehabilitation and further development of enterprises having vital importance for the country.

Now we are in the period when urgent need makes us to seek the means and ways to reconstruct and rehabilitate quickly the enterprises damaged by economic crisis existed in the country.

In small countries as Georgia, where business is just appearing and producers do not possess enough capital, only government is able to obtain experience and technologies.

The government should actively participate in the development of large enterprises and high technological sectors, because such sectors give possibility to really enrich the country.

გეოგრაფიული მდებარეობა

აბრტუბირიზმი და მისი მნიშვნელობა

ტურიზმი ერთ-ერთი სტრატეგიული დარგია როგორც მსოფლიო, ისე ცალკეული ქვეყნების მასშტაბით. ანალიტიკური კვლევებით ცნობილია რომ, ეკონომიკური ზრდის პირობებში, მოსახლეობის შემოსავლების ზრდასთან ერთად, შესაბამისად მაღალია ქვეყნის ეკონომიკის ტურისტული სექტორის ზრდის ტემპი. ექსპერტების მონაცემებითა და გათვლებით, თუ მსოფლიო ეკონომიკა საშუალოდ 4-5%-ით იზრდება, მაშინ ეს ტურიზმის სფეროს 6-7%-იან ზრდას იწვევს და პირიქით – ეკონომიკის ზრდის ტემპის შენელება ანალოგიურ ჯაჭვურ რეაქციას იწვევს ტურიზმის სექტორისთვისაც. მოგზაურობისა და ტურიზმის მსოფლიო საბჭოს (WTTC) მონაცემებით, ტურიზმისა და მოგზაურობის სექტორზე მოდის ერთობლივი მშპ-ის – 9%, მსოფლიო ექსპორტის – 10,7% და მსოფლიო ინვესტიციების – 9,4%.

ჯერ კიდევ 1998 წელს, საქართველოს მთავრობამ განიხილა ტურიზმის განვითარების სტრატეგიული გეგმა, რომელიც მიზნად ისახავდა ქვეყანაში 1 მლნ ტურისტის მიღებას. ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის მონაცემებით, ამ მაჩვენებლებმა ნახევარ მილიონს 2005 წელს გადააჭარბა. იმ წელს საქართველოს 560021 უცხოელი ესტუმრა. 2006 წელს მათი რიცხვი 76%-ით გაიზარდა და 983114-ს მიაღწია, მილიონიან ზღვარს კი 2007 წელს გადააჭარბა. 2008 წლის აგვისტოს მოვლენების შემდეგ სურათი რადიკალურად შეიცვალა. ტურისტული კომპანიების მონაცემებით, შარშან ტურისტული სეზონი ფაქტობრივად ჩავარდა. მიუხედავად იმისა, რომ წლევიანდელი (2009) ტურისტული სეზონი არ დასრულებულა, არსებული მონაცემები (განსაკუთრებით შავი ზღვის რეკრეაციულ ზონაში) სამომავლო პროგნოზისათვის ოპტიმიზმის საფუძველს იძლევა.

ტურისტული სისტემის ერთ-ერთი რგოლია საკურორტო-რეკრეაციული რაიონი. საქართველო მდიდარია უნიკალური საკურორტო და ტურისტული რესურსებით. მის ტერიტორიაზე შესაძლებელია ჩამოყალიბდეს საკურორტო რეკრეაციული და ტურისტული რაიონების მწყობრი სისტემა. მთლინად ქვეყნის მასშტაბით გათვალისწინებულია 38 საკურორტო-რეკრეაციული რაიონის ფორმირება, მათი საერთო ფართობი შეადგენს დაახლოებით 15,4 ათ. კმ²-ს, ანუ ქვეყნის ტერიტორიის დაახლოებით 22%-ს.

აგროტურიზმის განვითარების იდეა მოდის ევროპიდან, კერძოდ კი იტალია-საფრანგეთი-ესპანეთიდან, სადაც დღესაც ვხვდებით ფერმერული მეურნეობის ისტორიულ ტიპებს, ძირითადად განაპირა პროვინციების კულტურულ-ისტორიულ ადგილებში. პროდუქციის წარმოების ტრადიციული წესი და ტექნოლოგიები, სივრცე, ლანდშაფტი, პეიზაჟი, განვითარებული ინფრასტრუქტურა, ერთად მიმზიდველ გარემოს ქმნის. ადგილობრივი წარმოების პროდუქტების უნიკალურობა (ნატურალური გემო და ხარისხი), შინარეწვისა და ხელოვნების ნიმუშები აგროტურიზმის პოპულარობას ყოველწლიურად ზრდის. ამ სახეობით დაინტერესებული ტურისტების მოტივაციაა: ბუნებასთან განმარტოება,

კლიმატი, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქცია, ცხოვრების წესის და სტილის შეცვლა.

მსოფლიოს ბევრი ქვეყნისათვის ტურიზმი იმ დასახლებებსა და რაიონებში, რომლებსაც ისტორიული ღირსშესანიშნაობანი აქვთ, შემოსავლებისა და ეროვნული ეკონომიკის ზრდის მნიშვნელოვან წყაროდ გადაიქცა. აგროტურიზმი ზოგადად მოიცავს განსაკუთრებულ გეოგრაფიულ ლანდშაფტებს, ისტორიულ ქალაქებსა და სოფლებს, არქიტექტურულ ძეგლებს, ხალხურ რეწვასა და ხელოსნობას, დღესასწაულებს, ტრადიციულ ხალხურ სამზარეულოს. ყველაფერი ეს ჭარბად არის საქართველოს სოფლებსა და ქალაქებში, რომელსაც მდიდარი ისტორია და კულტურული ტრადიციები გააჩნია. აგროტურიზმი ტურისტული ინდუსტრიის ახალი სექტორია, რომელიც ზოგადად ითვალისწინებს ტურისტული ჯგუფების მოგზაურობას დასვენების, რეკრეაციის მიზნით, ხშირ შემთხვევაში კი ცენტრიდან მოშორებულ ტრადიციულ დასახლებებში ადგილობრივი ტრადიციებისა და სოფლის ცხოვრების გაცნობას. ტურიზმის ეს სახე საქართველოში დღეს განვითარების საწყის ეტაპზეა ტურისტული ინფრასტრუქტურის, კადრების და პროგრამის არარსებობის გამო. ტურიზმის ამ სახეობის მხრივ საქართველოს თითოეული რეგიონი დიდი პოტენციალის მატარებელია. იგი ორიენტირებულია საშუალო და საშუალოზე დაბალი ფინანსური შესაძლებლობების მქონე ადამიანების მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე, ვინაიდან გამოირჩევა იმით, რომ დასვენება შეიძლება შედარებით მცირე დანახარჯებით (ეს აგროტურიზმის ძირითადი მოტივაციაა – იაფად, შედარებით ნაკლები კომფორტით, მაგრამ ეკოლოგიურად სუფთა სასიამოვნო გარემოში დასვენება). იზრდება სოფლად მცხოვრებთა შემოსავლები (საცხოვრებლის ქირაობა, მომსახურება, კვების პროდუქტების, ეროვნული სამზარეულოს წარმოჩინება, ხალხური რეწვის ნაწარმის გაყიდვა) და დასაქმება.

აგროტურიზმი ახალ იმპულსს აძლევს რეგიონის განვითარებას, მცირე და საშუალო ზომის ტურსაწარმოებში შეიძლება გაერთიანდნენ სოფლის თვითმმართველობა, კულტურული ობიექ-

ტის წარმომადგენლები, მცხოვრებნი, რომლებიც ადგილზე მზად არიან ტურბიზნესისათვის.

საზღვარგარეთის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ აგროტურიზმის წარმატებული განვითარებისათვის ევროპის მრავალ ქვეყანაში შემუშავებულია სპეციალური პროგრამა. მისი მიხედვით ყოველწლიურად ხდება სოფლის სახლების რესტავრაცია ეროვნულ სტილთან მისადაგებით, ასევე კომფორტისა და სიმყუდროვის შენარჩუნებით. ასეთი ტურისტული პროდუქტი პასუხობს გადახდისუნარიანი მომხმარებლის მოთხოვნებს. ტურპროდუქტის კონკურენტუნარიანობამ მრავალ ქვეყანას მისცა შესაძლებლობა, ადგილი დაეკავებინა მსოფლიო ტურიზმის ტურინდუსტრიაში.

საქართველოში ბიოპროდუქტების წარმოება ახლა იკიდებს ფეხს. ასოციაცია “ელკანას“ ხელშეწყობით შეიქმნა ბიომეურნეობები, რომლებიც ძირითადად კახეთს მოიცავს, თუმცა აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა იმერეთსა და რაჭაში. ბიოპროდუქტების სერტიფიცირებას ახორციელებს ორგანიზაცია “კავკასსერდი”, რომელიც სერტიფიკატს მხოლოდ ბიოპროდუქტებზე გასცემს. ტურისტებისათვის ძალზე საინტერესოა სოფლის ტრადიციულ ცხოვრებაში მონაწილეობა, ფერმერული მეურნეობების ტექნოლოგიების შესწავლა და სხვა. აღსანიშნავია ღვინისა და ბიოღვინის წარმოება, რომელიც ხელს შეუწყობს ღვინის ტურიზმის – აგროტურიზმის ერთ-ერთი მიმართულების – განვითარებას.

აგროტურიზმის პროგრამები რეგიონის მაკროეკონომიკური გეგმის ნაწილი უნდა გახდეს, რაც ტერიტორიის ეკონომიკური განახლებისა და აგროტურიზმის სწრაფი აღმავლობის ინსტრუმენტი იქნება. მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ საქართველოს აგროტურისტული საქმიანობა განხორციელდეს ინდივიდუალური მოთხოვნით, ანუ მოხდეს ერთიანი ტურისტული პაკეტის რეალიზაცია სპეციალური ტურების მიხედვით და ეს ყველაფერი აისახოს სოფელში რეგისტრირებულ ოჯახებთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში.

აგროტურიზმი, როგორც ერთ-ერთი პერსპექტიული მიმართულება, არა მარტო ტურიზმის სფეროს განვითარების ხელშემწყობია, არამედ ერთგვარი მულტიპლიკატორი როგორც რეგიონის, ისე ქვეყნის ეკონომიკისათვის. იგი შეიძლება მივიჩნიოთ სოფლის მდგრადი განვითარების ერთ-ერთ ფაქტორად.

აგროტურიზმის სწრაფი განვითარებისათვის აუცილებელია:

- აგროტურიზმის პრიორიტეტულ მიმართულებად გამოცხადება;

- ლიბერალური საგადასახადო პოლიტიკა;

- ტურისტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება;

- ტურიზმის საინფორმაციო ცენტრების ფართო ქსელის შექმნა;

- ტურისტების უსაფრთხოების დაცვა, მოწესრიგებული საბანკო და სადაზღვევო სისტემის შექმნა;

- მუნიციპალურ და სასოფლო ადგილებში სემინარებისა და ტრენინგების მოწყობა;

- თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების აქტიური გაოყენება, მონაცემთა ელექტრონული ბაზისა და ინტერაქტიული ტურისტული პორტალების შექმნა ცალკეული რეგიონის დონეზე, სადაც თავს მოიყრის სრული ინფორმაცია მარშრუტების, ისტორიული ადგილების, კერძო სახლების შესახებ და სხვა;

- ინვესტიციები ბიოპროდუქტების წარმოებისათვის;

- რეგიონების ტურისტული ბრენდის შექმნა და სტუმარ-მასპინძლობის სტანდარტების დაცვა;

- სახელმწიფოს მხრიდან მოსახლეობის უზრუნველყოფა მცირე ტექნიკითა და ტექსერვისით.

ეკოლოგიურად სუფთა გარემოში დასვენება და ეროვნული სამზარეულოს პროდუქტებზე მოთხოვნა ტურისტულ ბაზარზე თანდათან იზრდება. ტურინდუსტრიაში სწორი ეკონომიკური პოლიტიკა უზრუნველყოფს სოფლის და, საერთოდ, რეგიონის სტაბილურ განვითარებას.

ბამოყენებული ლიტერატურა

1. მეტრეველი მ. ტურიზმი. თბილისი, 2001.
2. შუბლაძე ვ. საქართველო და ტურიზმი. თბილისი, 1999.
3. Быстров С.А, Воронцова М.Г. Туризм. Макроэкономика и Микроэкономика. М., 2007.
4. Freyer W. Tourism – Marketing. J, 2000.

Maisuradze Giga

AGROTOURISM AND ITS MEANING

SUMMARY

Agrotourism represents significant direction in the world tourism market. In the article it is discussed the essence and the meaning of agrotourism. It is necessary to employ original inhabitants, to regulate the cultural life of local territory, developing the infrastructure, to re-establish the old tradition of Georgian hospitality – creates the best preconditions for developing agro-tourism.

Biologically to prepare the pure products, to establish tourism experience of leading countries in this sphere and to carry out purposeful policy create the best perspectives for the developing of agrotourism in our country.

დოდო კურტიანიძე

კომერციული ბანკების კაპიტალის ფორმირება და ფასიანი ქაღალდები საქართველოს საზონდო ბაზარზე

კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, კომერციული ბანკი სამეწარმეო ლიცენზიის მოსაპოვებლად, სხვა დოკუმენტებთან ერთად, წარადგენს ცნობას განცხადებული საწესდებო კაპიტალისა და მისი განადგებული ნაწილის შესახებ, აგრეთვე ინფორმაციას, რომელიც შეიცავს მონაცემებს შესაბამისი კომერციული ბანკის განცხადებული საწესდებო კაპიტალის და საზედამხებდებლო კაპიტალის საკუთრებისა და წარმოშობის შესახებ. ამავე კანონით, კომერციული

ბანკი ვალდებულია, დაიცვას ზედამხედველობის სააგენტოს მიერ დაწესებული ეკონომიკური ლიმიტები, მათ შორის, საწესდებო და საზედამხედველო კაპიტალის მინიმალური ოდენობის შესახებ.

კაპიტალის აღნიშნული კრიტერიუმები წარმოადგენს სებ-ის საზედამხედველო კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების საფუძველს. ბანკების პირველადი კაპიტალი და საზედამხედველო კაპიტალი რისკით შეწონილი აქტივების შესაბამისად უნდა იყოს არანაკლებ 8%-ისა და 12%-ის ტოლი, როგორც ეს დადგენილია „კომერციული ბანკების კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების შესახებ დებულების“ მიხედვით.³

საქართველოში კაპიტალის მინიმალური ოდენობის მოთხოვნა შეადგენს 12 მლნ ლარს⁴. უნდა აღინიშნოს, რომ 2008 წლის აგვისტოს ომმა ბანკებიდან მნიშვნელოვანი სადეპოზიტო სახსრების გადინება გამოიწვია, რამაც საფრთხის წინაშე დააყენა საბანკო სისტემის ლიკვიდობა. საკმარისი ლიკვიდობის უზრუნველყოფის მიზნით, კომერციული ბანკები ჯერ სრულად გათავისუფლდნენ სარეზერვო მოთხოვნების დაცვის აუცილებელი ვალდებულებისაგან, ხოლო შემდგომ, მინიმალური სარეზერვო მოთხოვნის დასარეზერვებელი თანხა განისაზღვრა დადგენილი ნორმის შესაბამისი თანხის 25 პროცენტის ოდენობით. იმავე წლის 2 ოქტომბრიდან მინიმალური სარეზერვო მოთხოვნის ნორმა კი 13%-დან 5%-მდე შემცირდა.

2009 წლისათვის, ეროვნული ბაჟის მონაცემებით, საქართველოში მოქმედი 20 ბანკიდან 16-ს გააჩნდა 10 მლნ ლარზე მეტი განადღებული საწესდებო კაპიტალი და მხოლოდ 4-ს – 10 მლნზე ნაკლები. საერთო ჯამში, 2009 წლის შუაში კომერციული ბან-

³ დებულება “კომერციული ბანკების კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების შესახებ”. დებულების შესახებ საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს უფროსის ბრძანება №9. 2008 წლის 30 სექტემბერი, ქ. თბილისი.

⁴ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2006 წლის 23 მაისის №144 ბრძანება “კომერციული ბანკებისათვის კაპიტალის მინიმალური ოდენობის განსაზღვრის შესახებ”.

კების გაცხადებულმა საწესდებო კაპიტალმა 654.7 მლნ ლარი შეადგინა (იხ. ცხრილი 1)

ცხრილი 1

საქართველოს კომერციული ბანკების საწესდებო და სააქციო კაპიტალი 2006-2009 წლებში⁵

	2006	2007	2008	2009 ივნისი
კომერციული ბანკები, სულ	17	19	20	20
გაცხადებული საწესდებო ფონდი, ათასი ლარი	344 844	524 576	625 616	654 702
სააქციო კაპიტალი, ათასი ლარი	898 373	1 471 046	1 517 250	1 534 236

მსოფლიო პრაქტიკის თანახმად, ნორმალური კვლავწარმოების პროცესის მომსახურებისთვის საკმარისი საბანკო სისტემის კაპიტალი უნდა შეადგენდეს მთლიანი შიდა პროდუქტის 6–7%-ს. 2007 წლის მონაცემებით, საქართველოში ეს მაჩვენებელი 11%-ს შეადგენდა, რაც ჩვენს ეკონომიკაში ქართული საბანკო სექტორის წამყვან როლზე მეტყველებს (2007 წელს მთლიანმა შიდა პროდუქტმა შეადგინა 17 მლრდ ლარი, ხოლო კომერციული ბანკების საწესდებო და სააქციო კაპიტალმა – 2 მლრდ ლარი).

საბანკო სექტორის სტაბილურობა ხელს უწყობს ნდობის განმტკიცებას მოქალაქეების მხრიდან, რაც დადებითად აისახება ბანკების რესურსების მოცულობის ზრდაზე. ამ პროცესს თან ახლავს კონკურენციის გამძაფრება ბანკებს შორის კლიენტების მოზიდვაზე, რასაც ბანკები ახორციელებენ სხვადასხვა მიმზიდველი პაკეტების, პროდუქტებისა და მომსახურებების შეთავაზების გზით.

საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით, კომერციული ბანკების რესურსებში მოსახლეობის დეპოზიტების წილი

⁵ წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი. მონეტარული და საბანკო სტატისტიკის ბიულეტენი №(4)118. იანვარი-დეკემბერი, 2008.

39-40%-ის ფარგლებში მერყეობს, ამას ადატურებს ქვემოთ მოყვანილი ცხრილი 2.

ცხრილი 2

კომერციული ბანკების სადეპოზიტო ვალდებულებების მოცულობა და სტრუქტურა 2005-2009 წლებში⁶

	2005		2006		2007		2008		2009 იენისი	
	ათასი ლარი	%	ათასი ლარი	%	ათასი ლარი	%	ათასი ლარი	%	ათასი ლარი	%
სადეპოზიტო ვალდებულებები	1174896	100.0	1859075	100.0	2863060	100.0	3221187	100.0	2617708	100.0
მიმდინარე ანგარიშები	546801	46.5	884490	47.6	1271052	44.4	1346816	41.8	942260	36.0
ვადიანი დეპოზიტები	263254	22.4	949827	51.1	1557510	54.4	1828992	56.8	1631679	62.3
სახელმწიფო არასაფინანსო კორპორაციები	47067	4.0	44413	2.4	62981	2.2	25813	0.8	19170	0.7
სხვა არასაფინანსო კორპორაციები	23289	2.0	127197	6.8	424722	14.8	521617	16.2	397792	15.2
ფიზიკური პირები	841285	71.6	778217	41.9	1069807	37.4	1281562	39.8	1214717	46.4
გალასხადე	283546	24.1	24758	1.3	34499	1.2	45379	1.4	43770	1.7
ლი პროცენტები	53443	4.5	1189	0.1	281	0.0	347	0.0	707	0.0
ცენტები	504296	42.9	23569	1.3	34218	1.2	45032	1.4	43062	1.6

რაც შეეხება იურიდიული პირების დეპოზიტებს, მათი წილი შედარებით მოკრძალებულია და 15-16%-ს შეადგენს. თუმცა ეს არც უნდა იყოს გასაკვირი, ვინაიდან იურიდიულ პირებს, რომლებიც სამეწარმეო კომერციული საქმიანობით არიან დაკავებულნი, ურჩევნიათ საკუთარი სახსრები მიმდინარე ანგარიშებზე ჰქონდეთ განთავსებული და ბიზნესის საწარმოებლად გამოიყენონ.


2008 წლის 1 აგვისტოსათვის მთლიანმა სადეპოზიტო ვალდებულებებმა 3,1 მლრდ ლარს მიაღწია, რაც 22.3%-ით მეტი იყო

⁶ წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი. მონეტარული და საბანკო სტატისტიკის ბიულეტენი 2005-2009.

წინა წლის შესაბამისი თარიღისთვის არსებულ მონაცემებთან შედარებით. აღნიშნულ პერიოდში ღარში განთავსებული დეპოზიტები 40.2%-ით, ხოლო უცხოური ვალუტით განთავსებული დეპოზიტები 12.7%-ით გაიზარდა, რაც მეტწილად ეროვნული ვალუტისადმი ნდობის შემდგომი განმტკიცებით აიხსნება, ამავდროულად, დასაქმებული კლიენტების უმეტესობა, რომელთაც რეგულარული შემოსავლები ჰქონდათ ხელფასების სახით, თანდათანობით მიეზვივნენ ყოველთვიური დანაზოგების გაკეთებას. ამის შემდგომ, 2008 წლის მეორე ნახევარში, ტენდენცია ცალსახად შეიცვალა: ეროვნული ვალუტით განთავსებული დეპოზიტების ოდენობამ საგრძნობლად იკლო. მხოლოდ აგვისტოს 5 დღეში, ომის პერიოდში, დეპოზიტების მოცულობა 10%-ით შემცირდა, თუმცა მდგომარეობის დასტაბილურებისთანავე დეპოზიტების მნიშვნელოვანი ნაწილი კვლავ დაუბრუნდა საბანკო სექტორს.

ქვემოთ მოცემული დიაგრამიდან ჩანს თუ როგორ იზრდებოდა მოსახლეობის ვადიანი ანაბრები 2006 წლიდან. მართალია, 2008 წლის აგვისტოს მოვლენებმა ამ ზრდას თავისი კვალი დააჩნია, მაგრამ 2009 წლის ზაფხულის ბოლოს, მოსახლეობის სადეპოზიტო ანგარიშებზე განთავსებულმა თანხებმა საკმაოდ დიდ მოცულობებს მიაღწია და უნდა ვივარაუდოთ, რომ 2009 წლის დასასრულისთვის ეს დინამიკა უკვე დადებითი იქნება. ყოველივე ზემოაღნიშნული ადასტურებს საქართველოს საბანკო სისტემის მდგრადობას, რომელმაც შეძლო თავი დაეღწია ფინანსური კრიზისისათვის და კვლავ განიმტკიცა ნდობა ქვეყნის სამეურნეო სუბიექტებს შორის.

ვადიანი დეპოზიტების დინამიკა 2005-2009 წლებში



საერთო ჯამში, საქართველოს საბანკო სექტორმა გაუძლო 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად დამძიმებულ ეკონომიკურ ვითარებას, რასაც ასევე თან ერთვოდა მსოფლიო ფინანსური კრიზისიც. თავისი როლი ითამაშა ეროვნული ბანკის პოლიტიკამ და საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების დახმარებამაც⁷, რამაც შესაძლებელი გახადა თავიდან აგვეცილებინა საფინანსო სექტორში მდგომარეობის მკვეთრი გაუარესება.

⁷ 2008 წლის ბოლოს ქართული კომერციული ბანკების მიერ მიღწეულ იქნა შეთანხმება საერთაშორისო საფინანსო კორპორაციასთან (IFC), ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან (EBRD), აშშ-ს კერძო უცხოური ინვესტიციების კორპორაციასთან (OPIC), გერმანულ სარეკონსტრუქციო საკრედიტო ინსტიტუტთან (KfW), ნიდერლანდების მეწარმეობის განვითარების ბანკთან (FMO) დამატებითი სახსრების გამოყოფის თაობაზე. შედეგად, ქართულმა ბანკებმა მიიღეს თანხები სესხის, სუბორდინირებული სესხის და კაპიტალში უშუალო მონაწილეობის ფორმით. ჯამურად, აღნიშნული სახსრები საკმარისი იყო ბანკების მიერ 2009 წლის ვალდებულებების გასასტუმრებლად სესხების შემცირების საჭიროების გარეშე.

ბანკების მზარდი როლი საქართველოს ფასიანი ქაღალდების ბაზარზე გვიჩვენებს, რომ საქართველოშიც, სხვა ქვეყნების მსგავსად, სადაც ბანკები უმსხვილესი ინვესტორები არიან განსაკუთრებით სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების სეგმენტებში, ისინი თანდათანობით იქცნენ ბაზრის ინფრასტრუქტურის მნიშვნელოვან მოთამაშეებად. ბაზარზე ბანკები ახორციელებენ ყველანაირ პროფესიულ საქმიანობას და გვევლინებიან თვითრეგულირებადი ორგანიზაციების აქტიურ მონაწილეებად.

კომერციული ბანკები წარმოადგენენ საკრედიტო დაწესებულებებს, რომლებიც ასრულებენ მრავალრიცხოვან მოკლევადიან და გრძელვადიან ოპერაციებს, ფასიანი ქაღალდების ოპერაციების მთელ კომპლექსს. თუ ადრე ბანკები სპეციალიზებულნი იყვნენ პირდაპირ დაკრედიტებასა და ოპერაციებზე ფულად ბაზარზე, დღეისათვის ისინი უკვე აქტიურად ნერგავენ ფასიანი ქაღალდებისა და სესხების ოპერაციებს. შედეგად, თანდათანობით ითავსებენ საინვესტიციო ბანკების ფუნქციებს და საფონდო ბირჟებზე წამყვან ადგილებს იკავებენ. საინტერესოა, რომ ამჟამად საქართველოს საფონდო ბაზარზე ოპერაციებს 8 საბროკერო კომპანია ასრულებს და მათ შორის 3 საბანკო ფილიალია.⁸

საქართველოს ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარების სპეციფიკა იმაში მდგომარეობს, რომ ბანკებისათვის შედარებით შემოსავლიან და ნაკლებრისკიან ფასიან ქაღალდებად მიჩნეულია სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების – ობლიგაციების პორტფელები.

გარდა ამისა, ქართული საბანკო სექტორის განვითარებამ და უძრავი ქონების ლიკვიდურობის ზრდამ ახალი ათასწლეულის დასაწყისში სამშენებლო სფეროს ბუმი გამოიწვია, რაც გამოიხატა ბანკების მიერ შესაბამის საკრედიტო ხაზების გამოყოფაში.

⁸

http://www.investgroup.ge/padmin/ge/research_main_page/files/saqartvelos_safondo_bazari_2008_weli.pdf გვ. 2.

სახელმწიფოს აქტივობა საქართველოს საფონდო ბაზარზე წლების მანძილზე გამოიხატება სახელმწიფო ობლიგაციების გაყიდვით. სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები სახაზინო ვალდებულებების სახით საქართველოში პირველად 1997 წელს გამოუშვეს და ისინი ძირითადად ბიუჯეტის დეფიციტის დაფინანსების წყაროდ გამოიყენებოდა. სახაზინო ვალდებულებების ემისიებმა იმოქმედა არა მხოლოდ საბიუჯეტო მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე, არამედ დადებითად აისახა საფონდო ბაზრის აუქციონებზე დაფიქსირებულ პროცენტებზეც, რაც მათ შემცირებაში გამოიხატა.

სახაზინო ვალდებულებების განთავსება მოხდა აუქციონის გზით, ეროვნული ბანკის მიერ. მიუხედავად იმისა, რომ ამ ინსტრუმენტის როლი სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის დაფარვაში დიდი არ იყო, მას მაინც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქვეყნისთვის, ვინაიდან სტიმული მისცა მთავრობის საფინანსო ვალდებულებების მიმართ ნდობის ამაღლებას, რომელსაც მომავალში გრძელვადიანი სასესხო ფასიანი ქაღალდების – სახელმწიფო ობლიგაციების გამოშვებაზე გადასვლასა და ქვეყანაში კომერციული აქტივობის ზრდისთვის უნდა შეეწყო ხელი.

2009 წელს, აგვისტოს ომის, მსოფლიო ფინანსური კრიზისის და შიდაპოლიტიკური კონფრონტაციის ფონზე, საქართველო კვლავ დადგა სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის წინაშე. ამ პრობლემის გადასაჭრელად მთავრობა გეგმავდა ბიუჯეტის გაზრდას 312 მლნ ლარით, სადაც 260 მლნ ლარი სახელმწიფო ობლიგაციებზე უნდა მოსულიყო, თუმცა, საბოლოოდ, ეს მოცულობა 95 მლნ ლარამდე დავიდა.

მასშტაბურობის მხრივ, ამ რაოდენობის სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები აჭარბებს საქართველოში ემიტირებულ სხვა ფასიან ქაღალდებს. თუ გავითვალისწინებთ, რომ სახელმწიფო ფასიანი ქაღალდებში დაბანდება ნაკლებობისკენია სხვა ემიტენტებთან შედარებით (ვინაიდან მათ გააჩნია საკმაოდ მაღალი შემოსავლიანობა და თითქმის აბსოლუტური ლიკვიდურობა), სავარაუდოდ, მთავრობას არ გაუჭირდება ბიუჯეტის დეფიციტის შევ-

სება. რეალურად, ბანკები თავს აღარ შეიწუხებენ იმაზე ფიქრით, რომელ კომერციულ სტრუქტურას და რა რისკის ფასად ასესხონ ფული, რადგან შეუძლიათ სახელმწიფოსგან გარანტირებულად მიიღონ არცთუ მცირე მოგება.

სახელმწიფოს გვერდით, საქართველოს ფასიანი ქაღალდების ბაზარზე ძირითად მოქმედ პირებად გვევლინება სააქციო საზოგადოებები და ბანკები. სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ ამ ინფრასტრუქტურაში საერთოდ არ არის წარმოდგენილი ადგილობრივი თვითმმართველობები, რაც, სავარაუდოდ, გამოწვეულია ქვეყანაში არსებული შიდა პოლიტიკური საფრთხეებით. თუმცადა, პოლიტიკური სისტემის დასტაბილურების შემდეგ, მიზანშეწონილი და აუცილებელიც კი გახდება იმ გამოუყენებელი პოტენციალის ამოქმედება, რომელსაც შეიტანენ ადგილობრივი თვითმმართველობები საფონდო ბაზარზე. დღეისათვის კი ამგვარი აქტივობა ნულის ტოლია, რაც, ბუნებრივია, დაბრკოლებას უქმნის ლოკალური ინფრასტრუქტურის განვითარებას. ამის მიზეზი კი, გარდა პოლიტიკური სტაბილურობისა, მდგომარეობს საკანონმდებლო ბაზაში, სადაც ადგილობრივ თვითმმართველობებს არ აქვთ განსაზღვრული ფასიანი ქაღალდებით ოპერირების უფლება. თავის მხრივ, ეს მეტყველებს სახელმწიფო დეცენტრალიზაციის დაბალ ხარისხზე, რაც ბაზრის თავისუფლად ფუნქციონირების მთავარი დაბრკოლებაა.

რაც შეეხება საქართველოში ფასიანი ქაღალდების ბაზარზე პორტფელურ ინვესტიციებს, მათი აქტივობა არ შეიმჩნევა რისკის მაღალი დონის გამო. კონკურენტულ ბაზარზე, საქონელგასაღებასთან დაკავშირებული სიძნელეების გამო, პოტენციური ინვესტორები ერიდებიან საწარმოების აქციების შესყიდვას, რაც საკმაოდ დიდ დაბრკოლებებს უქმნის მცირე ბიზნესის წარმატებულ განვითარებას.

ფასიანი ქაღალდების ბაზრის აქტივობაზე კვლავ ძალზე უარყოფითად მოქმედებს საქართველოს ემიგრენტების საინფორმაციო ვაკუუმი. აქციების საბაზრო ღირებულების განმსაზღვრელია მოსალოდნელი შემოსავალი (დივიდენდი) აქციაზე, რომელიც, თა-

ვის მხრივ, დამოკიდებულია ემიტენტის მიმდინარე და პროგნოზირებად რენტაბელობაზე. ემიტენტის შესახებ სარწმუნო ფინანსური ინფორმაციის არარსებობა ზრდის შესაბამის ფასიან ქაღალდებში დაბანდებების რისკს და ამგვარად ამცირებს მათ საკურსო ღირებულებას, ზრდის განსხვავებას აქციის ყიდვა-გაყიდვას შორის, რაც უარყოფითად აისახება აქციების ლიკვიდურობაზე.

მართალია, სიტუაცია აქციების ბრუნვის მხრივ არ იძლევა ნათელ სურათს, მაგრამ საქართველოს საინვესტიციო ჯგუფის ანალიტიკურ მასალებზე დაყრდნობით მაინც შესაძლებელია მასზე გარკვეული წარმოდგენის შექმნა.

2007 წელს 10 უმსხვილესი ემიტენტისა და საფონდო ბაზრის მონაწილის სია შემდეგნაირად გამოიყურება:

ცხრილი 3

1.	სს “საქართველოს ბანკი” – 43,030,509.24 ლარი, ანუ ფულადი ბრუნვის 25.70%
2.	სს “თელიანი ღვინო” – 33,324,737.00 ლარი, ანუ ფულადი ბრუნვის 19.90%
3.	სს “უნივერსალი თბილისი” – 18,291,460.80 ლარი, ანუ ფულადი ბრუნვის 10.90%
4.	სს “გალთენდთავართ კაპიტალი” – 17,902,073.62 ლარი, ანუ ფულადი ბრუნვის 10.60%
5.	სს “ლაგუნა ვერე” – 14,581,374.92 ლარი, ანუ ფულადი ბრუნვის 8.70%
6.	სს “ვითიბი ბანკი საქართველო” – 11,822,594.60 ლარი, ანუ ფულადი ბრუნვის 7.00%
7.	სს “ფოთის გემთმშენებელი” – 7,731,000.00 ლარი, ანუ ფულადი ბრუნვის 4.60%
8.	სს „საქართველოს სახალხო ბანკი“ 5,204,463.43 ლარი, ანუ ფულადი ბრუნვის 3.10%
9.	სს “კრწანისი 99” – 4,420,840.73 ლარი, ანუ ფულადი ბრუნვის 2.60%
10.	სს“ცენტრალური სუპერმარკეტი – 2,538,123.00 ლარი, ანუ ფულადი ბრუნვის 1.50%

2006 წელს საფონდო ბირჟის აქციების ბრუნვის 73% მოდიოდა სს “საქართველოს გაერთიანებულ სატელეკომუნიკაციო კომპანიაზე, ხოლო ფულადი ბრუნვა შემდეგი სტრუქტურის იყო: 57% მოდიოდა კვლავ სს “საქართველოს გაერთიანებულ სატელეკო-

მუნიკაციო კომპანიაზე” და 31.7% – სს “საქართველოს ბანკი”-ს აქციებზე.

ჯამურად ამ 10 სააქციო საზოგადოებაზე მოდის 2007 წლის ფულადი ბრუნვის 94.60%.⁹

მიუხედავად იმისა, რომ პორტფელური ინვესტიციები ფინანსურ ბაზარზე დამატებითი ფულადი მასის შემოდინების შესანიშნავი ინსტრუმენტია, ზემოთ დასახელებული მიზეზების გამო საქართველოში ჯერ კიდევ ვერ მოხერხდა სათანადო ფინანსური აქტივობის მიღწევა.

ბამოყენებული ლიტერატურა

1. მონეტარული და საბანკო სტატისტიკის ბიულეტენი. საქართველოს ეროვნული ბანკი. 2005-2009.
2. დებულება “კომერციული ბანკების კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების შესახებ”, 2008.
3. **ლორენს გიტმანი.** “ინვესტირების საფუძვლები”, 2001.
4. **ხურცია ლ.** “საინვესტიციო საქმიანობის რეგულირება საქართველოში”, 2007.
5. **Киселев В. В.** Комерческие банки: настоящее и будущее. М., 2005.
6. Банковское дело: Учебник / Под. ред. Г.Н. Белоглазовой, Л.П. Кроливецкой. - 5-е изд. перераб. и доп. - М., Финансы и статистика, 2003.
7. **Шарп У., Александер Г., Бейли Дж.** Инвестиции. - М.: Инфра-М, 2003.
8. **Busch A.** “Managing Innovation: Regulation the banking sector in a rapidly changing environment ” 2001.
9. http://www.investgroup.ge/padmin/ge/research_main_page/files/saqartvelos_safondo_bazari_2008weli.pdf

⁹ http://www.investgroup.ge/padmin/ge/research_main_page/files/2007_wlis_saqartvelos_safondo_bazris_mimoxilva.pdf გვ. 3.

**FORMATION OF COMMERCIAL BANKS ' CAPITAL AND
SECURITIES IN STOCK MARKET OF GEORGIA**

SUMMARY

In order to get an entrepreneur license in Georgia a commercial bank is required to submit a certificate on its declared charter capital and the paid up part of the capital; a commercial bank is required to meet minimum charter and supervisory requirements (12 MM Gel) imposed by the Supervisory Agency.

Liquidity of the banking system became endangered due to 2008 August war and the financial crisis; therefore commercial banks got exempted from the responsibility to meet their reserve requirements. In the summer of 2009 the situation became stable again.

Share of the banking system in Georgia's GDP is 11% - the fact which shows the leading position of the banking sector in Georgian economy. Banks are the biggest investors in Georgia especially in the part of government securities. They have eventually become most significant players of the market.

Joint stock companies and banks, together with the government, are basic acting persons on Georgian government securities market. Local governments do not participate in this infrastructure.

Activity of portfolio investments in Georgian government securities market is not intense due to the increased level of risk; information vacuum in respect of issuers is a hindering factor as well as the absence of reliable financial information about the issuers increases the investment risk in relevant securities hence devalue them.

Portfolio investments are the best instruments for attracting additional inflows in the financial market however adequate financial activities have not been reached in Georgia yet due to the abovementioned reasons.

**ეკოლოგიური პოლიტიკის რეალიზაციის თეორიული
ასპექტები საზოგადოებრივი ურთიერთობის პირობებში**

საქართველოში ეკოლოგიური პოლიტიკის არსი მიზანშეწონილია, განისაზღვროს ეროვნული მიზნების სისტემის შერჩევით, იგი გულისხმობს, ერთი მხრივ, ალტერნატივების შემუშავებას, ხოლო მეორე მხრივ, საუკეთესო ვარიანტის ამორჩევას, რომელსაც ეროვნული პროგრამის სტატუსი მიეცემა.

ეროვნული მიზნების სისტემის შესარჩევად არსებობს ორი მიდგომა: ნორმატიული და პრობლემური. ნორმატიული მიდგომის ძირითადი მომენტებია საზოგადოებრივი წარმოების განვითარების სოციალური მოტივის დახასიათება. ეს სოციალური მოტივები განისაზღვრება, როგორც საზოგადოების ყველა წევრის კეთილდღეობის ზრდა და ყოველმხრივი განვითარება, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ცხოვრების დონის ამაღლება მიზნობრივი ფუნქციაა, რომლის მაქსიმალიზაცია საზოგადოების საბოლოო მიზნად უნდა გამოხატავს. უნდა გავითვალისწინოთ, რომ ყველა შეზღუდული დროით ინტერვალში ცხოვრების დონის ამაღლება მიიღწევა სისტემის პროდუქტიულობის ან მისი ეკოლოგიური მდგომარეობის დაზუსტების ხარჯზე, ამიტომ როდესაც საზოგადოებრივი წარმოების სოციალური მოტივის დახასიათებას ძირითად მომენტად ვიღებთ, შემდგომ, ბიოსოციალური სისტემების ფარგლებში, უნდა განისაზღვროს ეროვნული მიზნები. ბიოსოციალური სისტემების დონეზე ადამიანის საქმიანობის უმაღლეს მიზნად უნდა ჩაითვალოს ცხოვრების დონის ამაღლება შეუზღუდავად ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე.

ეს უკანანსკნელი გულისხმობს:

– მდგრადი ბუნებრივი სისტემების შენარჩუნებას; საზოგადოებრივი წარმოების პროდუქტიულობის ზრდას;

– მიმდინარე სოციალური მოთხოვნების უზრუნველყოფას იმ ფარგლებში, რომლებიც საფრთხის ქვეშ არ აყენებს მომავალი განვითარების შესაძლებლობებს.

ეროვნული მიზნების სისტემის შერჩევის მეორე მიმართულებაა პრობლემური მიდგომა. პრობლემათა ერთობლიობა, რომელსაც აწყდება საზოგადოება განვითარების თანამედროვე ეტაპზე, პირობითად შეიძლება დაიყოს 3 ჯგუფად.

1. ეკოლოგიური. ბუნებრივი სისტემების მდგრადობისათვის ძირის გამოთხრა და ბუნებრივი ფაქტორების პროდუქტიულობის დაცემა ეკოლოგიურ რესურსებზე დატვირთვის უკონტროლო ზრდის გამო. მათი გადაწყვეტის ძირითადი გზაა ბუნებრივი სისტემების კონტროლის განხორციელებაზე გადასვლა ლოკალურ, რეგიონულ და ეროვნულ დონეებზე.

2. ეკონომიკური. ზრდის რეზერვების ამოწურვა ინდუსტრიული სტრუქტურის ფარგლებში, სადაც ტექნიკური ცვლილებები მიიღწევა წარმოების დანახარჯების უწყვეტი ზრდით, რესურს-დამზოგ წარმოებაზე გადასვლის აუცილებლობით.

3. სოციალური. დანახარჯების გაზრდა იმ პროგრამების სარეალიზაციოდ, რომლებზეც დამოკიდებულია საზოგადოების მომავალი ცხოვრების დონის ამაღლების ამოცანების გადაწყვეტა რესურსების სამობილიზაციოდ. ამ ამოცანის წარმოების ეფექტიანობის ამაღლება და ისეთი დისპროპორციების აღმოფხვრა, როგორცაა ხელფასის შრომის მწარმოებლურობასთან შედარებით უფრო სწრაფი ტემპით ზრდა. პრობლემათა ყოველი ჯგუფის მიმართ ფორმირდება გენერალური ამოცანა. გენერალური ეკოლოგიური ამოცანა არის იმ მდგომარეობის მიღწევა, როდესაც ბუნებრივი რესურსების დატვირთვა არ აღემატება მათ თვითაღდგენით პოტენციალს.

ეკოლოგიური პოლიტიკის უზრუნველყოფის სისტემის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რგოლია გარემოს დაცვის მართვის სამეცნიერო ბაზა. ამ პრობლემასთან დაკავშირებით სამეცნიერო

კვლევითი სამუშაოების განვითარებაში წამყვანი როლი ეკუთვნის სახელმწიფოს, რომელიც პერმანენტულად აფართოებს ამ სამუშაოების დაფინანსების მასშტაბებს, სახელმწიფო თავის თავზე იღებს ყველაზე რთულ, მნიშვნელოვან და ძვირადღირებულ მიმართულებათა დაფინანსებას, ხოლო კერძო ფირმები და სტრუქტურები მუშაობენ გამოყენებითი ხასიათის პრობლემებზე.

ეკოლოგიური პოლიტიკის უზრუნველყოფის მეორე რგოლია მონიტორინგი, ანუ ადამიანის ზემოქმედებით გარემოს მდგომარეობის ცვლილებების კონტროლის, შეფასების და მეთვალყურეობის სისტემა. მონიტორინგის პროცესი შესაძლებელია გარემოს მდგომარეობის დამახასიათებელი პარამეტრების ცვლილებებზე დაკვირვების სტაციონარული სადგურების, ავიაკოსმოსური და კონტროლის სხვა ფორმების გამოყენებით.

ეკოლოგიური პოლიტიკის უზრუნველყოფაში მნიშვნელოვანია გარემოს დაცვისათვის კადრების მომზადების სისტემა. ამ სფეროში განათლების გაუმჯობესება ეროვნული ეკოლოგიური პროგრამის უპირველეს ამოცანად ითვლება.

ბოლო პერიოდში სულ უფრო მეტი ყურადღება ეთმობა გარემოს დაცვის საგარეო პოლიტიკურ ასპექტებს. ქვეყნის ეკოლოგიურ პოლიტიკაში წამყვანი როლი ეკუთვნის გარემოს დაცვის ოპერატიული მართვის სისტემას. განსაკუთრებით გავრცელებულია მეთოდი, რომელიც დაფუძნებულია სტიმულირების და იძულებითი ხასიათის წმინდა ეკონომიკური ბერკეტებისა და ადმინისტრაციული რეგულირების შეთანაწყობაზე. სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია ეკოლოგიური რეგლამენტაცია. მის მრავალფეროვან ფორმებს შორის ჭარბობს ეკოლოგიური ნორმები, რომლებიც ადგენენ:

- გარემოს დაბინძურების ზედა ზღვარს;
- მანევ ნივთიერებების გამოყოფის დონეს;
- ნაკეთობებისა და პროდუქტების ხარისხს გარემოსათვის

უსაფრთხოებისა და უვნებლობის თვალსაზრისით.

ადმინისტრაციული ეკოლოგიური კონტროლის საშუალებები მოიცავს აგრეთვე, აკრძალვებსა და შეზღუდვებს სხვადასხვა

მასალების და ნივთიერებების წარმოებაზე ან მათ გამოყენებაზე მზა ნაკეთობების კომპონენტების სახით; ბუნებრივი რესურსების ექსპლუატაციის რაციონალიზაციას; ადმინისტრაციული სანქციების გამოყენებას ეკოლოგიური რეგულირების ნორმების დარღვევისათვის.

ბოლო ხანებში ბუნების დაცვის მართვაში დიდი მნიშვნელობა შეიძინა ეკოლოგიური პრობლემების გადაჭრის პროგრამულ-მიზნობრივმა მეთოდებმა. ეს საშუალებას იძლევა, უზრუნველყოფილ იქნეს ეკოლოგიური პრობლემებისადმი კომპლექსური მიდგომა და გაერთიანდეს ეკოლოგიური პოლიტიკის ყველა ფორმა და რგოლი.

გარემოს დაცვის რეგულირების ეკონომიკური ბერკეტები კერძო კაპიტალზე ზემოქმედებენ, ძირითადად, მისი ბუნების დაცვის საქმეში მოსახიდად. ეკონომიკური რეგულირების ძირითადი ფორმებია: მიზნობრივი სუბსიდიები, კრედიტები, რომლებსაც იძლევა სახელმწიფო შეღავათიანი პირობებით გამწმენდი ნაგებობების გასაფართოებლად და რესურსების უფრო სრულად გამოსაყენებლად. დამატებით შეღავათებს იღებს კერძო კაპიტალი გამწმენდი ნაგებობის ამოქმედების ვადების დაჩქარების შემთხვევაში. ბუნებისდაცვითი ღონისძიებების სტიმულირების ეკონომიკურ ინსტრუმენტს წარმოადგენს სამრეწველო ჩადინებების გაწმენდაზე შეღავათიანი ტარიფები მუნიციპალური წყლის გამწმენდ დანადგარებზე.

დიდძალი თანხები იზოგება შეღავათიანი დაბეგვრის ხარჯზე, რომელსაც სახელმწიფო იყენებს ბუნებისდაცვითი ღონისძიებების გამტარებელ საწარმოებზე.

ბამოყენებული ლიტერატურა

1. **Гирсов Д. В., Бобылев С. Н., Новоселов А. Л., Чепурных Н. В.** Экология и экономика природопользования. Москва, “Единство”, 2003.

2. **Москаленко Д. П.** Экономика природопользования и охраны окружающей среды. Москва, издательский центр “Нарт”, 2003.
3. **Рявчиков А. К.** Экономика природопользования. Москва, изд. “Элит-2000”, 2002.

Nozadze Zurab

**THE THEORETICAL ASPECTS OF ECOLOGICAL POLICY
REALIZATION IN THE CONDITIONS OF MARKET
RELATIONSHIP**

SUMMARY

The essence of ecological policy in Georgia should be determined by the selection of national goal system. It implies, first, the elaboration of alternatives, second, the selection of the best variant, which will be given the status of national program.

The propositions discussed in the article will help to increase the effectiveness of nature protection activities in Georgia; elaborate and realize ecological policy.

გიორგი ბრეგვაძე

**მცირე მეწარმეობის განვითარების პრობლემები
საქართველოში**

მცირე მეწარმეობა განვითარებულ ქვეყნებში რიგ მნიშვნელოვან სოციალურ-ეკონომიკურ ფუნქციას ასრულებს. კერძოდ, დასაქმების უზრუნველყოფა, სოციალური უთანაბრობის შერბილება, კონკურენტული გარემოს ფორმირება და სხვა. მცირე მეწარმეობის პრიორიტეტულობა ნათლად ვლინდება იმ გარემოში, რომელიც უზრუნველყოფს მის კონკურენტუნარიან არსებობას. მცირე მეწარმეობაში გადაწყვეტილებების მიღება უფრო ადვილია, დანახარჯებიც, დიდ ბიზნესთან შედარებით, ნაკლებია, უფრო დიდია მეწარმეობრივი შემართება, მაღალია ლიკვიდურობა. მცირე საწარმოებს ასევე უადვილდებათ ახალ იდეებთან შეგუება. სწორედ მცირე მეწარმეობიდან იწყება ის ინტერესები, რომლებიც შემდგომ უკვე საშუალო და მსხვილ მეწარმეობას უჩნდება. აქედან გამომდინარე, მცირე მეწარმეობის სრულფასოვან ფუნქციონირებას დიდი სოციალურ-ეკონომიკური დატვირთვა გააჩნია.

მცირე მეწარმეობას საქართველოს მსგავსი ქვეყნებისათვის განსაკუთრებულად დიდი მნიშვნელობა აქვს. მის სრულფასოვან ფუნქციონირებას შესაბამისი სამეწარმეო გარემო ესაჭიროება. საქართველოში არსებულ სამეწარმეო გარემოს კი რიგი პრობლემები ახასიათებს.

საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებით, მცირე საწარმოებს მიეკუთვნება ყველა ორგანი-

ზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმო, რომელშიც დასაქმებულითა წლიური რაოდენობა და წლიური ბრუნვა არ აღემატება 20 დასაქმებულსა და ხუთასი ათას ლარს. ბრუნვა კი საანგარიშო პერიოდში ეკონომიკური საქმიანობის მაჩვენებელია.

ოფიციალური დეკლარირებული სტატისტიკის მონაცემებით, 2008 წელს მცირე საწარმოთა ბრუნვამ 997,6 მლნ ლარი შეადგინა, რაც, 2007 წელთან შედარებით, 3,6 პროცენტით მეტია, მაგრამ, 2005 წელთან შედარებით, 16,3 პროცენტითაა შემცირებული.

პროდუქციის გამოშვებამ 2008 წელს მცირე საწარმოებში შეადგინა 527 მლნ ლარი, რაც 2007 წელთან შედარებით 4,1 მლნ ლარით მეტია.

დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობა 2008 წელს, წინა წელთან შედარებით, 2401 კაცით შემცირდა. შრომის ანაზღაურება (საშუალოდ) 44,9 ლარით გაიზარდა. თუ დავაკვირდებით, დავინახავთ, რომ მცირე საწარმოთა განვითარება მეტად არასტაბილურად მიმდინარეობს. 2001 წლამდე ეკონომიკური მაჩვენებლები იზრდებოდა, 2002 წელს იყო ყველაზე ცუდი მონაცემები, 2003 წლიდან შედარებით გაუმჯობესდა, მაგრამ 2007 წლიდან ისევ დაეცა. მცირე ბიზნესის ასე არასტაბილურ განვითარებას ბევრი მიზეზი აქვს.

დღეს მოქმედი საგადასახადო სისტემა მცირე მეწარმეობის განვითარების ერთ-ერთი შემაფერხებელი ფაქტორია. დღესდღეობით ქვეყანაში არ არის არც ერთი ნორმატიული აქტი მცირე მეწარმეობის შესახებ. ის ფაქტი, რომ საქართველოს კანონმდებლობაში არ არის განსხვავებული მცირე და საშუალო მეწარმეობა, მრავალ სირთულეს იწვევს. საქართველოში მცირე მეწარმეთა რიცხვი დაახლოებით 85 ათასია, აქედან მხოლოდ 35 ათასი იხდის გადასახადს. რიცხვებს შორის ასეთი განსხვავების ერთ-ერთი მიზეზი ე.წ. “წრდილოვანი ეკონომიკის” არსებობაა. ამ პრობლემის მოგვარება გონივრული საგადასახადო პოლიტიკის წარმოებით შეიძლება. გადასახადები, რომლებიც მეწარმეების 40% შეიცავს, “გონივრულის” კატეგორიაში ნამდვილად არ ჯდება. შედეგად კი ვიღებთ გადასახადების სახელმწიფოსაგან და-

მალვის მცდელობას და შეწყვეტილ სამეწარმეო საქმიანობას. აღნიშნული კი, თავის მხრივ, იწვევს უმუშევრად დარჩენილ პირთა რიცხვის ზრდას, რომლებიც ძირითადად საშუალო ფენის მოსახლეობას წარმოადგენენ.

კარგი იქნება, თუ სახელმწიფო იზრუნებს ისეთი საგადასახადო კანონის შექმნაზე რომელიც მსხვილ, საშუალო და მცირე მეწარმეობის დიფერენციაციას მოახდენდა და შედავათიან პირობებს დააწესებდა მცირე მეწარმეობისათვის საქმიანობის საწყის ეტაპზე მაინც. უფრო უკეთესი იქნება, თუ მცირე მეწარმეთა გარკვეული კატეგორია (საქმიანობის სახეობიდან გამომდინარე) ფიქსირებულ გადასახადს გადაიხდიდა გარკვეული პერიოდის მანძილზე მაინც.

საქართველოში არ არსებობს მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის სახელმწიფო ორგანო, თუმცა ფუნქციონირებს არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც უშუალოდ მცირე მეწარმეობის ხელშეწყობით არიან დაკავებულები, ესენია: მცირე საწარმოთა განვითარებისა და ხელშეწყობის ცენტრი; საქართველოს ექსპორტის ხელშეწყობის სააგენტო; ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი, საქართველოს საწარმოთა ხელშეწყობის პროექტი; საერთაშორისო თანამეგობრობის დახმარების ფონდი; დია საზოგადოება საქართველოს ფონდი და სხვა. მაგრამ მცირე საწარმოები ამის შესახებ ნაკლებად არიან ინფორმირებულები.

ისეთ ქვეყნებში, რომლებსაც ჩვენ წარმატებულად ვთვლით, მცირე მეწარმეობას დიდი ყურადღება ექცევა. აღსანიშნავია მათ მიერ კონკურენტული გარემოს შექმნა, რის შედეგადაც უფრო სამართლიანი ფასები ფორმირდება და შემოთავაზებული პროდუქტის ხარისხიც იზრდება. ასევე, ისინი ხელს უწყობენ უმუშევრობის დონის შემცირებას. ევროპის ქვეყნებში მცირე ბიზნესში დასაქმებულთა 60-70% მუშაობს. იმ უდიდეს სოციალურ ფუნქციასთან ერთად, რომელიც საზოგადოების ამ სეგმენტს აკისრია, დიდია მცირე მეწარმეთა წვლილი სახელმწიფო ბიუჯეტის ფორმირებაშიც. გაერთიანებულ სამეფოში, გერმანიაში, საფრანგეთსა და სხვა ქვეყნებში არსებობს სახელმწიფო მნიშვნელობის ლო-

ბისტური ორგანიზაციები, რომლებიც მცირე ბიზნესის საქმიანობას სხვადასხვა ფორმით უწყობენ ხელს. საქართველოს მთავრობა კი თვლის რომ, ნებისმიერი სამეწარმეო საქმიანობისათვის სახელმწიფო ხელშეწყობა და პრიორიტეტის მინიჭება თავისუფალი ბაზრის პრინციპს არღვევს. ეს მოსაზრება ალბათ სამარტლიანია და მისაღებაც იქნებოდა, რომ არა ერთი გარემოება. ესაა თავისუფალი კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნა. ჩვენთან კი ფაქტობრივად სამეწარმეო საქმიანობის თითქმის ყველა სფეროში ბაზარი მონოპოლიზებულია. გაუქმებული ანტიმონოპოლისტური სამსახური, რომელიც ვალდებული იქნებოდა, ეზრუნა მონოპოლიების შექმნისა და მონოპოლიური ფასების წინააღმდეგ. ამიტომ ის მოსაზრება, რომ სახელმწიფო არ უნდა ერეოდეს სამეწარმეო საქმიანობაში, არ ამართლებს, ვინაიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში, წარმოიქმნება მონოპოლიები. ამას ადასტურებს განვითარებული ქვეყნების ეკონომიკური განვითარების ისტორია. უკვე მე-19 საუკუნის ბოლოდან ამერიკაში და მე-20 საუკუნის დასაწყისიდან ევროპაში, მოქმედებს ანტიმონოპოლისტური კანონები. ხოლო “დიდი დეპრესიის” წლების შემდეგ უკვე განვითარებულ ქვეყნებში სახელმწიფო სხვადასხვა ფორმით აქტიურად ერევა ამ ქვეყნების ეკონომიკაში. ჩვენთან ამის უზულებელყოფამ იქამდე მიგვიყვანა რომ 2006 წლიდან მცირე მეწარმეობის მდგომარეობა გაუარესდა და არამარტო მათი. 2007-2008 წლებში ასევე გაუარესდა საშუალო და მსხვილ მეწარმეთა მდგომარეობაც. ამას დაემატა მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი, ინფლაცია და არაპროგნოზირებადი ლარის კურსი. გაიზარდა უმუშევრობა. ამჟამად, ოფიციალური მონაცემებით, 280 ათასი უმუშევარია, რაც რეალური ციფრი ნამდვილად არ არის. განსაკუთრებით გაუარესდა მცირე მეწარმეთა მდგომარეობა 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ.

გაუარესდა ბიზნესგარემო ისეთ დარგებში, როგორიცაა მშენებლობა, ჯანდაცვა და სოციალური დახმარების სფერო, განათლების, დამამუშავებელი მრეწველობის, ვაჭრობის დარგში, ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლებისათვის

მომსახურების გაწევის დარგში. ეს კი იმაში გამოიხატა, რომ შემცირდა მყიდველთა რიცხვი, ბანკებში შეწყდა სესხების გაცემა და გაიზარდა საპროცენტო განაკვეთი.

მრავალი ფაქტორი არსებობს, რომელიც ხელს უშლის ან აფერხებს მცირე ბიზნესის განვითარებას. მათ შორის აღსანიშნავია:

- ფინანსური ბაზრის განუვითარებლობა და საწარმოთა აქტივების დაბალი ლიკვიდურობა.

- საბანკო კრედიტების ძნელად მისაწვდომლობა და კრედიტების მაღალი საპროცენტო განაკვეთი.

- საგადასახადო სისტემის მოუწესრიგებლობა, მისი ხშირი ცვლილება.

- მაღალი საგადასახადო განაკვეთები.

- შიდა ბაზრის კონტრაბანდისაგან დაუცველობა.

- ბაზრის დაუცველობა ფალსიფიცირებული პროდუქციისაგან.

- მმართველობისა და მაკონტროლებელი ორგანოების ბიზნესში ზედმეტად ჩარევა.

- წარმოებული საქონლის (მომსახურების) დაბალი კონკურენტუნარიანობა.

- ჯერ კიდევ არსებული კორუფცია.

- ხელისუფლების მხრიდან ბიზნესის ინტერესების დაუცველობა.

- საქონელსა და მომსახურებაზე ფასების მატება.

ყველა ამ პრობლემის მოსაგვარებლად საჭიროა მიზანმიმართული სახელმწიფო პოლიტიკის გატარება, რასაც ეტაპობრივად ახორციელებს კიდევ მთავრობა. ამის მაგალითია 2009 წელს მთავრობის მიერ მიღებული მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები, რამაც ხელი შეუწყო ბიზნესის გამოცოცხლებას. ბანკები უკვე გავიდნენ (მთელი 1 წლის შემდეგ) მოგებაზე. დაიწყეს კრედიტების გაცემა. სახელმწიფო პროგრამა, რომელიც მშენებლობის კრიზისიდან გამოსვლას ითვალისწინებს, უკვე იწყებს მოქმედებას. თითქმის ყველა სფეროში შეინიშნება გამოცოცხლება, რაც

უდავოდ კარგია, რადგან მთლიანად ეკონომიკის განვითარება და, მათ შორის, მცირე მეწარმეობის აღორძინება ხელს შეუწყობს დასაქმებულთა რაოდენობის ზრდას და შეამცირებს უმუშევრობას.

ასევე კარგი იქნებოდა თუ სახელმწიფოს ხელშეწყობით შეიქმნებოდა მცირე ბიზნესის განვითარების პროგრამა, რომელიც მოიცავდა არა მარტო დაბალპროცენტიანი სესხების გაცემას, არამედ შექმნიდა მცირე მეწარმეობის და არა მარტო მათი, არამედ, საშუალო მეწარმეთა განათლების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და სწავლების უფასო ცენტრებს, სადაც დაინტერესებულ მეწარმეებს შესაძლებლობა ექნებოდათ, გასცნობოდნენ ბიზნეს-გეგმების შედგენის, საგადასახადო კიდექსის, საგადასახადო და სამეწარმეო სამართლის საკითხებს, ასევე, ეკონომიკაში მიმდინარე პროცესებს და მოსალოდნელ ცვლილებებს (საფრთხეებს). ეს მცირე მეწარმეებს ბევრ პრობლემას ააცილებდა, დაიცავდა მათ არასწორი ნაბიჯების გადადგმის, გადასახადების დამალვისა და, რაც მთავარია, გაკოტრებისგან.

დასასრულ, უნდა აღვნიშნოთ, რომ მცირე მეწარმეობის და, საერთოდ, ეკონომიკის გადარჩენა მიზანმიმართული სახელმწიფო პოლიტიკის გარეშე შეუძლებელია. სტრუქტურული რეფორმები მრეწველობასა და ექსპორტში ასეთი პროგრამის აუცილებელი კომპონენტებია. მათი დაწყება ახლავეა მიზანშეწონილი, რადგან მოგვიანებით ეკონომიკის ვარდნის პროცესი შეიძლება განმეორდეს და შეუქცევადი გახდეს.

კარგი იქნებოდა, თუ მცირე მეწარმეები შექმნიდნენ თავიანთ საზოგადოებრივ პოლიტიკურ ორგანიზაციას, რომელიც მათი ლობი გახდებოდა და ყველა დონის საკანონმდებლო ორგანოში გაატარებდა მათი ინტერესების დამცველ პოლიტიკას.

ასევე, სასურველი იქნებოდა, თუ მცირე ბიზნესში დასაქმებულები და დაქირავებულები ჩამოაყალიბებდნენ და გაერთიანდებოდნენ თანამედროვე ტიპის პროფკავშირებში, რომელიც დაიცავდა მათ შრომის, სოციალურ და ეკონომიკურ ინტერესებს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. **აბესაძე რ., კაკულია ე.** მცირე და საშუალო ბიზნესის სახელმწიფო რეგულირების თავისებურებები და არსებული მდგომარეობა საქართველოში. პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული. ტ.1, თბილისი, 2008.
2. **თამაზაშვილი ნ.** მცირე მეწარმეობის მნიშვნელობა კრიზისის დროსაც იგივეა. გაზ. “ბანკები და ფინანსები”, №185, 2009. გვ. 16.
3. **კაკაბაძე ვ., ხუსკივაძე მ.** საქართველოს ეკონომიკა საგარეო ვაჭრობის ჭრილში. თბილისი, 2004.
4. „მცირე და საშუალო ბიზნესი საქართველოში“, 2009.

Bregvadze Giorgi

PROBLEMS OF SMALL BUSINESS DEVELOPMENT IN GEORGIA

SUMMARY

The problems of development of small business in Georgia are discussed in the work. There are shown the reasons which prevent to develop fully small business. Are also pointed out the ways which will help to develop small business and play an important part in cutting down the unemployment.

ახალი მსოფლიო სარეზერვო ვალუტის შესახებ

მსოფლიო ეკონომიკის უახლეს ისტორიაზე წერა ძალიან ძნელია. ძნელია იმის გამოცნობა, თუ მიმდინარე მოვლენებიდან რომელი აღმოჩნდება მომავლის საძირკველში და რომელი გაქრება უკვალოდ უთვალავი ინფორმაციის ნაკადში.

მაგრამ უდავოა, რომ დოლარის გარშემო ატეხილი ვნებათაღელვა უახლოეს მომავალს მაინც თავის მნიშვნელოვან კვალს დაამჩნევს.

დოლარზე მსოფლიო ეკონომიკის განსაკუთრებულად დიდი დამოკიდებულებით უკმაყოფილო ჩინეთსა და რუსეთს გლობალურმა ფინანსურმა კრიზისმა ამ ვალუტის წინააღმდეგ ბრძოლის გააქტიურების საბაბი მისცა.

1944 წელს საკურორტო ქალაქ ბრეტონ-ვუდსში (აშშ, ნიუ-ჰემპშირის შტატი) ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია, სადაც გამოცხადდა “ოქროს სტანდარტი” – ერთი უნცია ოქროს ფასად მიღებულ იქნა 35 დოლარი, დოლარი აღიარეს ძირითად ვალუტად და შემოიღეს მონაწილე ქვეყნების ვალუტების მყარი გაცვლითი კურსები ძირითადი ვალუტის მიმართ. ფულადი ურთიერთობისა და სავაჭრო გადახდების ამ ახალ სისტემას “ბრეტონ-ვუდსის” სისტემა [1; 2] ეწოდა; აშშ-ს ოქროს მარაგისა და დო-

ლარის მასის თანაფარდობის შეცვლამ ამ უკანასკნელის სასარგებლოდ გამოიწვია მყარი სავალუტო კურსებიდან თავისუფლად კონვერტირებად, მოთხოვნასა და მიწოდებაზე დამყარებულ კურსებზე გადასვლა (იამაიკის 1973 და 1976 წლების კონფერენციები), მაგრამ დოლარი ისევ დარჩა ძირითად მსოფლიო ვალუტად. ბოლო 10 წლის განმავლობაში მსოფლიოს ქვეყნების ოქრო-სავალუტო რეზერვების 60%-ზე მეტი აშშ დოლარებშია.

2009 წლის მარტში ჩინეთმა მოამზადა თავისი წინადადებები მსოფლიო საფინანსო სისტემის რეფორმირების შესახებ. ჩინეთის ცენტრალური ბანკის მეთაურმა ჯოუ სიაოჩუანმა (Zhou Xiaochuan) დასვა ახალი ზეეროვნული ვალუტის შემოტანის საკითხი; მისი აზრით, ეს შეიძლება იყოს საერთაშორისო სავალუტო ფონდის (სსფ) მიერ ჯერ კიდევ 1969 წელს შემოტანილი სესხების სპეციალური უფლებები (SDR – Special Drawing Rights), რომელიც მიბმულია დოლარით, ევროთი, ბრიტანული ფუნტით და იაპონური იენით შედგენილ სავალუტო კალათაზე და რომელიც არცთუ ისე აქტიურად გამოიყენება. ჩინეთი საჭიროდ თვლის, გაფართოვდეს იმ ვალუტათა ბაზა, რომელზეც SDR არის მიბმული [3; 4].

ჩინეთამდე, რამდენიმე დღით ადრე, დიდი ოცეულის (20) აპრილის სხდომასთან დაკავშირებით, მსგავსი წინადადებები წამოაყენეს [3] რუსმა ჩინოვნიკებმა – რომ აუცილებელია მსოფლიოში შეიქმნას რამდენიმე რეგიონული საფინანსო ცენტრი ან ზეეროვნული სარეზერვო ვალუტა. რუსეთის პრეზიდენტი დმიტრი მედვედევი დოლარს “საერთაშორისო პრობლემად” თვლის.

2008 წლის ზაფხულში, როდესაც ამერიკული ვალუტა ევროსთან შედარებით ისტორიულ მინიმუმამდე გაიფლდა (დაახლ. 1,6 დოლარი ევროში), განვითარებულ ქვეყნებში აღნიშნავდნენ, რომ დოლარის სისუსტე გლობალური საფინანსო სისტემისთვის რისკებს შეიცავს.

ახალი მსოფლიო ვალუტის შემოტანის მომხრეა ყაზახეთის პრეზიდენტი ნურსულთან ნაზარბაევიც [5]. რასაკვირველია, ყაზახეთიც მნიშვნელოვნად დაზარალდა კრიზისის გამო. 2009 წლის

11 მარტს ნაზარბაევმა წამოაყენა წინადადება, შექმნილიყო ევრაზიის კავშირის (ყაზახეთი, რუსეთი, ბელორუსია, ყირგიზეთი და ტაჯიკეთი) ფარგლებში საერთო ფულადი ერთეული “ევრაზი” ან “ევრაზია”. მისი ჩანაფიქრით, ევრაზი იქნებოდა ანგარიშსწორების საშუალება ევრაზიის კავშირში: მისით ისარგებლებდნენ როგორც სახელმწიფო სტრუქტურები, ასევე იურიდიული და ფიზიკური პირები. ყაზახეთის პრეზიდენტმა ასევე განაცხადა, რომ ევრაზის კურსი “არ უნდა იყოს დამოკიდებული მსოფლიო ვალუტების რყევაზე”, თუმცა როგორ იქნებოდა შესაძლებელი ამ კურსის შენარჩუნება, მას არ დაუზუსტებია, რაც მისი წინადადებების უტოპიურობაზე მიუთითებს. შემდეგ მან შემოიტანა ზეეროვნული სავალუტო-საანგარიშსწორებო ერთეულთა სისტემის შექმნის იდეა, რომელიც, მისი აზრით, შუალედური ნაბიჯი იქნებოდა ეკონომიკური კრიზისის დაძლევის გზაზე.

ახალი მსოფლიო ვალუტის შემოტანის მომხრე აღმოჩნდა ნობელის პრემიის ლაურეატი რობერტ მანდელიც [6], რომელსაც ევროპის საერთო ვალუტის – ევროს იდეურ არქიტექტორს ეძახიან (თუმცა აქამდე მანდელი ამტკიცებდა, რომ საერთო ვალუტა გამოსადეგია მხოლოდ მსგავსმანგებლიანი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისთვის); მისი პოზიცია იმითაც შეიძლება აიხსნას, რომ მანდელი უარს არ იტყოდა ახალი მსოფლიო ვალუტის არქიტექტორობაზეც.

იმავედროულად საერთაშორისო ორგანიზაციებმაც გამოთქვეს მსგავსი მოსაზრებანი. ჯეიმს ჯოინერი, აშშ-ს ერთ-ერთი წამყვანი “ტვინების ბანკის” – Talantic Council-ის – მმართველი რედაქტორი, თავის სტატიაში [7] აანალიზებს გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციის (UNCTAD) განცხადებას, რომ “წესების ის სისტემა, რომელიც ეხება ვალუტასა და კაპიტალს და რომელიც აერთიანებს მსოფლიო ეკონომიკას, არ მუშაობს სწორად და მნიშვნელოვნად პასუხისმგებელია ფინანსურ და ეკონომიკურ კრიზისებზე, და ამიტომ არსებული სისტემა, რომელშიც დოლარი მოქმედებს როგორც მსოფლიო სარეზერვო ვალუტა, საჭიროებს სრულ რეორგანიზაციას”. არსებითად, ეს

განცხადება მოუწოდებს, შეიქმნას ახალი ბრეტონ-ვუდსის სისტემა, რომელიც დაარეგულირებს საერთაშორისო გაცვლით კურსებს, რაც ნიშნავს, რომ ცენტრალურ ბანკებს აიძულებენ დაწიონ ან აწიონ მათი გაცვლითი კურსები იმის მიხედვით, თუ რა ხდება დანარჩენი მსოფლიოს ეკონომიკაში. ჯეიმს ჯონინერი მართალია აღნიშნავს, რომ “ფაქტი, რომ მთავარი მოთამაშენი ღიადაც კი განიხილავენ დოლარის შეცვლის შესაძლებლობას, ინტრიგის შემცველია”, იქვე ამბობს, მიუხედავად იმისა, რომ CTAD გაეროს სტრუქტურის ნაწილია, გაეროსა და UNCTAD-ს შორის ტოლობის დასმა არ შეიძლება; თანაც იხსენებს, რომ 1970-1980 წლებში UNCTAD იყო მთავარი ადვოკატი “ახალი საერთაშორისო ეკონომიკური წესრიგისა”, წესრიგისა, რომელსაც თითქოსდა უნდა გაეთვალისწინებინა განვითარებადი ქვეყნების ინტერესები და რომელიც არაფრად არ გამოდგა.

საერთოდ, ეს ორი მაგალითი გვიჩვენებს, რომ UNCTAD უფრო განვითარებადი ქვეყნების ტრიბუნა უნდა იყოს.

მეორე საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელმაც აზრი გამოთქვა ახალი მსოფლიო სარეზერვო ვალუტის სასარგებლოდ, იყო სსფ მისი დირექტორის დომინიკ სტროსკანის სახით. იგი ა.წ. 25 მარტს აცხადებდა [8], რომ აშშ დოლარის ნაცვლად ახალი სარეზერვო ვალუტის შექმნა სავსებით საფუძვლიანია და მოლაპარაკებები ამ საკითხზე შესაძლოა უკვე უახლოეს თვეებში დაიწყოს. “მიმაჩნია, რომ დისკუსია ახალი სარეზერვო ვალუტის შესახებ სავსებით გამართლებულია” – ამბობდა იგი. მაგრამ სამ კვირაში, კერძოდ, 2009 წლის 17 აპრილს, იგი უკვე საპირისპირო აზრს გამოთქვამს [9]: “ახლანდელ პირობებში ადამიანების უმრავლესობა აგრძელებს აშშ ეკონომიკისადმი ოპტიმისტურ ყურებას. მე ვერ ვხედავ ვერანაირ მიზეზს, თუ რატომ აღარ უნდა იყოს დოლარი მსოფლიო სარეზერვო ვალუტა მომავალში” – აცხადებს იგი ვაშინგტონში, ბეჭდვის ნაციონალურ კლუბში გამართულ პრესკონფერენციაზე. “არსებობს ბევრი ნიშანი, რომლებიც უფლებას გვაძლევენ ჩავთვალოთ, რომ კრიზისის დამთავრების შემდეგაც ამერიკული დოლარის პოზიციები შენარჩუნ-

დება თანამედროვე დონეზე”, – აღნიშნავს დ. სტროსკანი. “ცოტა ხნის წინ რომ დასმულიყო კითხვა დოლარის პერსპექტიულობის შესახებ, უმრავლესობა მის გარდაუვალ კრახს იწინასწარმეტყველებდა”, შენიშნავს სსფ-ს მეთაური, “მაგრამ დღეს დოლარის კურსი ევროსთან შედარებით უფრო მაღალ დონეზეა, ვიდრე ერთი წლის წინ. მე არ ვთვლი, რომ დოლარი მსოფლიო ეკონომიკისათვის ყველაზე ცუდი არჩევანია”.

აშშ დოლარის, როგორც მსოფლიო სარეზერვო ვალუტის მოწინააღმდეგეებს სერიოზული კრიტიკოსები საკუთარ ქვეყნებშიც ჰყავთ, მაგ., რუსეთში გარდამავალი ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორი იგორ გაიდარი. მისი თქმით, იქნება დოლარის რყევა სხვა ვალუტების მიმართ, იგი გაიზრდება, დაიწვეს, მაგრამ აშშ დოლარზე არასდროს უარს არ იტყვის და მისი “ჩამოშლა”, “დანგრევა” არ იქნება [10].

მაგრამ მთავარი ისაა, რომ დოლარის მოწინააღმდეგეებს, რომლებსაც პოლიტიკური და ეკონომიკური მოტივები ამოძრავებთ, არ შესწევთ ძალა, თავისი მიზნები განახორციელონ. უფრო მეტიც, გამომდინარე ობიექტური მდგომარეობიდან, ისინი იძულებულნი არიან, თვითონ შეუწყონ ხელი დოლარის გამყარებას. მაგალითისთვის ჩინეთიც კმარა – მისი ოქრო-სავალუტო რეზერვები დოლარის აქტივებშია განთავსებული და 1 ტრილიონ დოლარს შეადგენს; იგივე ითქმის რუსეთის ფედერაციაზეც.

ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ იმავე დღეს (ე.ი. 25 მარტს), როდესაც სსფ-ს დირექტორი დოლარის წინააღმდეგ გამოდიოდა, აშშ პრეზიდენტი ბარაკ ობამა აცხადებდა თეთრ სახლში გამართულ პრესკონფერენციაზე, რომ ერთიანი მსოფლიო ვალუტის შექმნაში აზრს ვერ ხედავს: “მე არ მიმაჩნია, რომ გლობალური ვალუტის შექმნა საჭიროა. ჩვენ რეცესიას დავამარცხებთ. ამისათვის ჩვენ კომპლექსური სტრატეგია შევიმუშავეთ, რომელიც ყველა ფრონტზე კრიზისთან ბრძოლისკენ არის მიმართული და უკვე პროგრესის ნიშნებსაც ვხედავთ” [3]. აშშ ადმინისტრაციის პოზიცია დღესაც არ შეცვლილა.

ამერიკის პრეზიდენტი აცხადებს, რომ აშშ არის ქვეყანა ყველაზე ძლიერი ეკონომიკით და ყველაზე მტკიცე პოლიტიკური სისტემით, ხოლო დოლარი მყარია, როგორც არასდროს. თუმცა იგი არ ივიწყებს გაწეულ “დახმარებასაც” – ჩინეთში ახლანდელი ვიზიტის დროს აშშ პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ “ჩინეთთან პარტნიორობა აღმოჩნდა გადამწყვეტი ფაქტორი, რომელმაც საშუალება მოგვცა ჩვენ, გამოვსულიყავით რეცესიიდან”. ამ დახმარების მნიშვნელობას ისიც ადასტურებს, რომ აშშ-ს ახალი გეგმების მიხედვით [11], დიდი შედეგული დიდმა ოთხეულმა უნდა შეცვალოს, რომელშიც შეველენ თავად აშშ, ევროზონის ქვეყნები, ჩინეთი და იაპონია (საგულისხმოა, რომ 4-ში დიდი ბრიტანეთი არ იგულისხმება, რადგან იგი ევროზონას არ ეკუთვნის).

ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოში მოვლენები სწრაფად და მოულოდნელად იცვლება, ჩვენ ვფიქრობთ, რომ აშშ დოლარი მსოფლიო ფინანსური კრიზისის შემდეგაც დარჩება ფაქტობრივ მსოფლიო სარეზერვო ვალუტად.

ბამოყენებული ლიტერატურა

1. Bretton-woods system. http://en.wikipedia.org/wiki/Bretton_Woods_system
2. Бреттон-Вудская система. [http://ru.wikipedia.org/wiki/ Бреттон-Вудская_система](http://ru.wikipedia.org/wiki/Бреттон-Вудская_система)
3. *Deutsche Welle*: 25.03.2009: US and Europe Reject Chinese Bid for New Global Currency, <http://www.dw-world.de/dw/article/0,,4126017,00.html>
4. *Lenta.ru*, 24.03.2009: Китай предложил заменить доллар новой валютой <http://www.lenta.ru/news/2009/03/24/currency/>.
5. *Lenta.ru*, 11.03.2009: Назарбаев придумал специальную валюту для ЕвразЭС, <http://www.lenta.ru/news/2009/03/11/nazarbaev/>
6. *Lenta.ru*, 11.03.2009: Идею Назарбаева о создании мировой валюты поддержал “отец” евро., <http://www.lenta.ru/news/2009/03/11/currency/>

7. *James Joiner*. UN Agency proposes dollar alternative. Atlantic Council, 08.09.2009, http://www.acus.org/new_atlanticist/un-proposes-dollar-alternative
8. *Lenta.ru*, 25.03.2009: Директор МВФ поддержал идею создания новой резервной валюты, <http://lenta.ru/news/2009/03/25/legit/>
9. *The Financial Express*, 17.04.2009: [Strauss-Kahn backs dollar, says yuan 'undervalued'](http://www.thefinancialexpress-bd.com/2009/04/18/64162.html), <http://www.thefinancialexpress-bd.com/2009/04/18/64162.html>.
10. *Павел Арабов*. “Интервью с Егором Гайдаром”. Финансовые Известия, 10.02.2009, <http://www.finiz.ru/economic/article1253357>
11. *Daily Mail Reporter*. 23.11.2009: No seat for Britain of Obama’s top table of super economies, <http://www.dailymail.co.uk/news/article-1217984/Humiliation-Gordon-Brown-U-S-plan-G4-elite-Britain.html>

Pipia Ketevan

ABOUT A NEW WORLD RESERVE CURRENCY

SUMMARY

In the article we consider an information of electric media about a problem of a new world reserve currency, in the context of the current global world financial crisis. A study of this information shows that the existing political and economical reasons are insufficient for replacement of the American dollar, and therefore after the ending of global world financial crisis the US dollar will still remain a main world reserve currency.

რევაზ ლორთქიფანიძე

**ეკონომიკური კონკურენციის კანონის შესახებ
(კონკურენციის კანონის განსახილველი მემორი)**

ეკონომიკურ კონკურენციას (შეჯიბრება ეკონომიკურ სუბიექტებს შორის) ეკონომიკური ზრდისათვის განმსაზღვრელი მნიშვნელობა აქვს. თუ ბაზარი მაღალკონკურენტულია, ანუ კონკურენცია იმდენად სრულყოფილია, რომ ცალკეული მყიდველი და გამყიდველი საბაზრო ფასზე გავლენას ფაქტობრივად ვერ ახდენს (რეალურად, გავლენას ახდენს ძალზე უმნიშვნელოდ), მაშინ მოთხოვნა-მიწოდების წონასწორობის ყველაზე ხელსაყრელი პირობები იქმნება. ასეთი შემთხვევა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა ერთგვაროვანი პროდუქციის მყიდველებისა და გამყიდველების რაოდენობა ბაზარზე ძალიან დიდია [1, გვ. 85].

სპორტული შეჯიბრებისგან განსხვავებით, როცა ერთი იგებს, ხოლო მეორე მარცხდება, სრულყოფილ ეკონომიკურ კონ-

კურენციაში ორივე მხარე მოგებულა. ბაზარს იმდენი პროდუქცია მიეწოდება, რამდენიც მომხმარებელს უნდა და მიმწოდებელი მაქსიმალურად შესაძლო შემოსავალს იღებს, ხოლო მყიდველი ნაკლებს იხდის იმასთან შედარებით, რაც მას მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად სხვა გზით მოუწევდა.

ტექნიკური დონის თვალსაზრისითაც კი, რაც არ უნდა განვითარებული იყოს ბაზარი, თუ კონკურენცია არ არის სრულყოფილებასთან მიახლოებული, ეკონომიკური ეფექტიანობის ნაცვლად, შესაძლოა, დიდ დანაკარგებთან გვექონდეს საქმე. განსაკუთრებით სავალალოა შედეგი, როცა ბაზარს თავის სასარგებლოდ “ერთმმართველი” აკონტროლებს (მონოპოლია, როცა გამყიდველი ერთია და მონოფსონია, როცა მყიდველია ერთი) ან ეკონომიკური სუბიექტების რიცხვი შეზღუდულია (ოლიგოპოლია, ანუ ჯგუფური მონოპოლია, მათ შორის დუოპოლია, როცა ორი მიმწოდებელია ბაზარზე) და ხსენებულ სუბიექტებს შესაძლებლობა ეძლევათ ფარულ შეთანხმებაში შევიდნენ. კონკურენციის ხარისხისა და ეფექტიანობის მიხედვით, შესაბამისად, განასხვავებენ თავისუფალ ბაზარს სრულყოფილი კონკურენციით, ოლიგოპოლიურ კონკურენციას (როცა რამდენიმე გამყიდველი ყიდის მსგავს, მაგრამ არაიდენტურ პროდუქციას), მონოპოლისტურ კონკურენციას (როცა მრავალი გამყიდველი ყიდის მსგავს, მაგრამ არაიდენტურ პროდუქციას) და აბსოლუტურად მონოპოლიზებულ ბაზარს.

ბუნებრივია, რაც უფრო მეტია კონკურენტთა (მეწარმეთა) რაოდენობა ეკონომიკურ გარემოში და მეტია მათ მიერ გამოშვებული პროდუქციის მოცულობა, მით უფრო ქმედითია (ძლიერია) კონკურენცია და თავისუფალია კონკრეტული პროდუქციის (მომსახურების) წარმოების მიკრობაზარი. შესაბამისად, გარკვეული მიკროსეგმენტის მომძღაერების კვალობაზე, მით უფრო ეფექტიანი ხდება (მ.შ. ხარისხობრივი თვალსაზრისითაც) სულ უფრო კონკურენტული მაკროგარემოც. ყველაფერს ზომიერება უნდა და არც სახელმწიფო და კერძო სექტორების თანაფარდლო-

ბაში უნდა დაირღვეს კონკურენციისთვის სასურველი წონასწორობა.

ეკონომიკაში პოლიტიკის უხეში ჩარევისა და კონკურენციის არასასურველად შეზღუდვის პრობლემა განსაკუთრებით მწვავე ხასიათს პოსტსაბჭოთა სივრცეში ავლენს [3;4]. არასასურველი კომუნისტური გადმონაშთების რევოლუციური რეფორმირების პოლიტიკა სწორედ “პოლიტიკური მონოპოლიების” გავლენის საწინააღმდეგოდაა მიმართული, რომლებიც, თავის მხრივ, დაწყებული ბრძოლის კვალობაზე, მაფიურ კლანებთან შეზრდის მიდრეკილებას ავლენენ.

ფიზიკის ცნობილ ომის კანონში ($I = U/R$) დენის ძალის განსაზღვრის მსგავსად, შესაძლებელია შევაფასოთ კონკურენციის ძალა, რომელიც, ბუნებრივია, უფრო ძლიერია, თუ გამოშვებულ პროდუქციაში (მომსახურებაში) ნაკლებია ყველაზე მსხვილი მწარმოებლის (შესაძლოა, მონოპოლისტის) პროდუქციის წილი. ასევე, უფრო ძლიერი და შედეგიანია კონკურენცია, თუ იზრდება წარმოებული პროდუქცია (ოპტიმალურ დონემდე), ხოლო მისი არარეალიზებული ნაწილი, საპირისპიროდ, იკლებს. აღნიშნულ მიდგომაში, მსხვილი მწარმოებლის (შესაძლოა, მონოპოლისტის) პროდუქცია და საერთო გამოშვების არარეალიზებული ნაწილი ომის კანონის ერთგვარი წინაღობების როლს ასრულებს, ხოლო მთლიანი პროდუქცია (მომსახურება) – ძაბვისას.

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, კონკურენციის ძალას ვსაზღვრავ [2, გვ. 27-32] ორი ინდექსით: $I_1 = U/R_1$, სადაც I_1 კონკურენციის პირველი ინდექსია, U – ერთგვაროვანი პროდუქციის მთლიანი გამოშვება, ხოლო R_1 – ერთგვაროვანი პროდუქციის ყველაზე მსხვილი მწარმოებლის გამოშვება; მეორე ინდექსი $I_2 = U/R_0$, სადაც R_0 შესაბამისად, არარეალიზებული პროდუქციაა. ანალიზისათვის, ასევე სასურველია, შემოვიტანოთ კონკურენციის ინტეგრალური კოეფიციენტი $K = N \times I_1 \times I_2$, სადაც N – ერთგვაროვანი პროდუქციის მწარმოებელ ფირმათა რიცხვია ბაზაარზე. I_1 , სავარაუდოდ, სასურველია, რომ 3-ზე ნაკლები არ იყოს, I_2

– შესაბამისად, 5-ზე ნაკლები, ხოლო N, კარგია, რომ არ იყოს 10-ზე ნაკლები, მაშასადამე, ინტეგრალურ ნამრავლში, სასურველია, რომ 150-ზე ნაკლები არ იყოს.

რაც უფრო ძლიერი (თავისუფალი) იქნება კონკურენცია მიკროდონეზე, მით უფრო სრულყოფილი იქნება ბაზარი, შესაბამისად დარგთაშორის კონკურენციაში მონაწილეობა აიძულებს ფირმებს, უფრო რაციონალურად გადაანაწილონ რესურსები, ხოლო საერთაშორისო კონკურენციაში მონაწილეობა ქვეყნის მთავრობებს სტიმულს აძლევს, სრულყოფონ საკანონმდებლო ბაზა. კონკურენციული გარემოს ზემოაღნიშნული სრულყოფილი ანალიზი საშუალებას მოგვცემს, შესაბამისად სრულყოფით საკანონმდებლო ბაზა, რაც, თავის მხრივ, ბაზრის ეფექტიანობის ამაღლებისა და წარმოების ოპტიმიზების წინაპირობაა.

როცა კონკურენტულობის ხარისხის შეფასების სხვადასხვა მაჩვენებელი არასასურველ დონეებზე ფიქსირდება, ზოგიერთ განვითარებულ ქვეყანაში ანტიმონოპოლიური განგაშიც ტყდება. ერთ-ერთი ასეთი მაჩვენებელი შემოთავაზებულია განისაზღვროს, როგორც ყველა ფირმის წილების კვადრატების ჯამი, რამაც 1000-ს არ უნდა გადააჭარბოს. ჩემი გაანგარიშებით, ასეთი სიტუაცია შეიძლება მაშინ შეიქმნას, როცა ერთ-ერთი ფირმის წილი 31 პროცენტს გადააჭარბებს. კონკურენციის შეფასების შემოთავაზებული ჩვენი მიდგომით შესაძლებელია, ეკონომიკურად მაღალგანვითარებული ქვეყნების ბაზრების თავისუფლების ხარისხიც შევაფასოთ.

ბუნებრივია, მსოფლიოში კონკურენციის (შესაბამისად, მონოპოლიზმის) შეფასების მრავალი საინტერესო მეთოდი არსებობს, თუმცა ისინი სრულად ვერ გაითვალისწინებენ როგორც საკუთარ, ასევე ჩვენს სპეციფიკას. ფიზიკის ომის კანონის ანალოგიურად, კონკურენციის ძალის განსაზღვრის წარმოდგენილი, ჩვენი აზრით, ძალზე საჭირო მიდგომა ე.წ. “პოლიტიკური მონოპოლიების” აღმომჩენი მონიტორინგის (ასე იმ მსხვილ “არაბუნებრივ” ფირმებს ვუწოდებ, რომელთა გამო კონკურენციის ძალის ინდექსი 3-ზე ნაკლებია, არადა სასურველია, 5-ზე მეტი მაინც

იყოს), ასევე, მტაცებლური დემპინგისა (მოჩვენებით დაბალ-ფასიანი იმპორტის) და მყიდველის ჯერ კიდევ მცირე შემოსავლების (დაბალი მსყიდველობითუნარიანობის) გამო არარეალიზებული ნამატის (ე.წ. ჭარბწარმოების) არსებობის საშუალებას იძლევა.

ბამოყენებული ლიტერატურა

1. **მენქიუ გრეგორი.** ეკონომიკის პრინციპები. თბილისი, 2000.
2. **ლორთქიფანიძე რ.** ეკონომიკური ზრდის ქრისტიანული, პოლიტიკური და თეორიული საფუძვლების შესახებ. თბილისი, 2005.
3. **მსოფლიო ციფრებში.** თბილისი, სიასლე, 2000.
4. Political Science Quarterly. New York, Vol. 124, Number 2, 2009.

Lordkipanidze Revaz

ABOUT THE LAW OF ECONOMIC COMPETITION

SUMMARY

For practice of optimal stimulation intermoney system and macro-economic structure marginal efficiency, I define the force of economic competition approximately as the force of electrical current. The less is output of monopoly and excess (disquality or needless) production, the more is the force of competition.

$$I_0 = U/R_0 \quad \text{and} \quad I_1 = U/R_1$$
$$K = N \times I_0 \times I_1$$

Number of firms – N;

The forces of economic competition – I_0 and I_1 ;

Total production – U;

Non-realized production – R_0 ;

Output of the largest firm (monopoly) – R_1 .

მაია სოსელია
თამარ როსტიაშვილი
**წყლის რესურსების ეფექტიანი გამოყენების პრობლემატიკა
საზოგადოების მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური
განვითარების თანამედროვე ეტაპზე**

წყლის რესურსების რაციონალურ-კომპლექსურ გამოყენებას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საქართველოს მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის.

კაცობრიობის განვითარების ახლებური ხედა პრობლემის ხარისხობრივად ახალ გადაწყვეტას საჭიროებს. XX ს-ის 70-იანი

წლებიდან დაწყებული, სულ უფრო ინტენსიურად ტარდება სამეცნიერო კვლევები მსოფლიოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კონცეფციის შესაქმნელად, რის საფუძველზეც სამეცნიერო ბრუნვაში შემოდებულ იქნა „მდგრადი განვითარების“ ცნება, რომელიც გულისხმობს საზოგადოებასა და გარემოს შორის ურთიერთობის ჰარმონიზაციას, თანამედროვე ინდუსტრიული საზოგადოებიდან ნოსფერული ცივილიზაციის დონეზე გადასვლას.

ეკონომიკურ პროგნოზში შემოვიდა ადრე გაუთვალისწინებელი ფაქტორები, როგორცაა: ბუნებრივი რესურსების ზღვრული სიდიდეები და ბუნებრივი ეკოსისტემის შეზღუდული შესაძლებლობები, ადამიანის საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი მანე ნარჩენების ნეიტრალიზაციის პრობლემები და სხვა.

მსოფლიო საზოგადოება მივიდა იმ დასკვნამდე, რომ შეუძლებელია გარემოსა და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრობლემების განცალკევებულად წარმოდგენა. მდგრადი ეკონომიკურ-ეკოლოგიური განვითარების ჩამოყალიბებისათვის აუცილებელია ეკონომიკის ეკოლოგიზაციის კონცეფციის მომზადება.

ეკოლოგიზაცია ნიშნავს ბუნებრივი გარემოს ხარისხის შენარჩუნებასა და გაუმჯობესებაზე ორიენტირებულ პროცესს, რომელიც გულისხმობს ტექნოლოგიური, მმართველობითი, იურდიული და სხვა მეთოდების დანერგვას, რაც შესაძლებელს ხდის მნიშვნელოვნად ამადლდეს ბუნებრივი რესურსების მოხმარების ეფექტიანობა და შემცირდეს ანთროპოგენური დატვირთვა ბუნებრივ გარემოზე. ეკოლოგიზაციის წინაპირობაა ძირითადი ტექნოლოგიური პროცესებისა და უშუალოდ გარემოსდაცვითი ღონისძიებების სრულყოფა მათი ეკოლოგიური ეფექტიანობის ამადლდების მიზნით.

რიო-დე-ჟანეიროს კონფერენციის შემდგომ ათწლეულში საქართველომ რთული გზა გაიარა – მბრძანებლურ-ადმინისტრაციული ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკამდე.

მთავრობის წინაშე დაისვა ამოცანა – შემუშავდეს საქართველოს მდგრადი განვითარების სახელმწიფო სტრატეგია გან-

საზღვრული კონცეფციის საფუძველზე. შემდგომ წლებში სტრატეგიის შემუშავებაში აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებმა, მეცნიერებმა და სპეციალისტებმა. მთავრობის მიერ მომზადებული მდგრადი განვითარების სახელმწიფო სტრატეგიის პროექტი ორიენტირებული უნდა იყოს რიოს კონფერენციის მიერ დასმული ამოცანების შესრულებზე, ემყარებოდეს პლანეტარულ ანალიტიკურ დასკვნებს და გამომდინარეობდეს იმ პოსტულატიდან, რომ მდგრადი განვითარება – ზოგადსაკაცობრიო კატეგორიაა და მისი რეალიზაცია ცალკეულ ქვეყნებში შესაძლებელია მხოლოდ მთელი ცივილიზაციის მდგრადი განვითარების კომპონენტის სახით. თუმცა, მოკლევადიან და საშუალოვადიან გეგმებში მდგრად განვითარებაზე გადასვლის საკითხი თითოეულმა ქვეყანამ დამოუკიდებლად უნდა გადაწყვიტოს.

მდგრადი განვითარების გზაზე გადასვლა არ შეიძლება განხორციელდეს დაჩქარებული ტემპით. დაუშვებელია ეკოლოგიური რადიკალიზმის გამოვლინება. გადასვლას უნდა ჰქონდეს ევოლუციური ხასიათი. მდგრადი განვითარების ეროვნული სტრატეგიის მიღებისას, საქართველომ უნდა მოახდინოს ზოგადი პრინციპების ტრანსფორმირება კონკრეტული პირობებისა და თავისებურებების მიხედვით.

მდგრადი განვითარების მდგომარეობის შეფასება ხორციელდება ინდიკატორთა სისტემის საშუალებით. ინდიკატორების შეფასება შეიძლება იყოს როგორც რაოდენობრივი, ასევე ხარისხობრივი.

ინდიკატორთა კლასიფიკაციისას გამოყენებული უნდა იქნეს სისტემური მიდგომა, რომლის დროსაც განსახილველი სტრუქტურა მოიცავს როგორც საზოგადოებრივ და ეკოლოგიურ სისტემებს, ასევე სოციალურ-ეკონომიკურ და ბუნებრივ ურთიერთქმედებას. თითოეული სისტემის ეფექტიანობა განისაზღვრება გარკვეული მაჩვენებლების მეშვეობით.

მდგრადი განვითარების ობიექტური შეფასებისათვის ჩვეულებრივი, ტრადიციული ეკონომიკური მაჩვენებლები არ არის

საკმარისი, ვინაიდან ცალკე აღებული ეს მაჩვენებლები არ იძლევა წარმოდგენას სისტემის მდგრადობაზე. აღნიშნული მაჩვენებლები უნდა უკავშირდებოდეს გარემოს შენარჩუნების ხარჯებს და ითვალისწინებდეს რესურსების დაზოგვის, მათი რაციონალური გამოყენებისა და ტექნოლოგიების ეფექტიანობის საკითხებს.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ცალკეული ქვეყნების რეკომენდაციების გათვალისწინებით, ეკოლოგიურ-ეკონომიკური ინდიკატორების შემუშავება და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამებში მათი ჩართვა.

მდგრადი განვითარების რეგიონული ინდიკატორების გარდა, ეკოლოგიურ-ეკონომიკური ინდიკატორების სისტემა უნდა შეიქმნას ცალკეული დარგებისა და ცალკეული საწარმოების დონეზე. ამ მიზნით უნდა განხორციელდეს კომპანიების, რეგიონებისა და დარგების პირველი ეკოლოგიური რეიტინგი, რომელშიც განმსაზღვრელ როლს შეასრულებს გარემოზე ზემოქმედების ხვედრითი მაჩვენებლები. ეკოლოგიური რეიტინგის განსაზღვრისას მიზანშეწონილად მიგვაჩნია გამოყენებულ იქნეს 7 მაჩვენებელი:

ბუნებრივი წყლის ობიექტებიდან წყლის აღება; დამაბინძურებელი ჩამდინარე წყლების ჩაშვება ზედაპირულ წყალსაცავებში; სტაციონარული წყაროებიდან მავნე ნივთიერებათა გაფრქვევა ატმოსფეროში; სატრანსპორტო საშუალებების მიერ დამაბინძურებელი ნივთიერებების გაფრქვევა ატმოსფეროში; ტოქსიკური ნარჩენების წარმოქმნა; დარღვეული და ნაგავსაყრდენებით დაკავებული მიწების ფართობი; დატბორილი მიწების ფართობი.

ზემოაღნიშნული 7 მაჩვენებლიდან თითოეულის მიხედვით საქართველოს რეგიონებისთვის უნდა განისაზღვროს ეკოლოგიური დანახარჯების ოდენობა წარმოებაში დასაქმებულ ერთ კაცზე გაანგარიშებით. შვიდი მაჩვენებლის ერთიან ინდექსში ინტეგრაციის მიზნით გამოყენებული უნდა იქნეს საერთო მნიშვნელოვანი – ქვეყნის მთელი ეკონომიკის მასშტაბით დაბინძურების

საშუალო მაჩვენებელი რეგიონში დასაქმებულ ერთ კაცზე განგარიშებით. შემდეგ იგივე გაანგარიშება განმეორდეს ძირითადი საწამო დარგებისთვის. აღნიშნული გზით მიღებული მაჩვენებლის მეშვეობით უნდა განხორციელდეს ქვეყნის კომპანიების, რეგიონებისა და დარგების შედარება იმ საშიშროების მიხედვით, რომელსაც შეიცავს მათი საქმიანობა გარემოს მდგომარეობისა და ადამიანის ჯანმრთელობისათვის. შემაჯამებელი რეიტინგები ცხადყოფს სამეურნეო საქმიანობის შედეგად მიყენებულ ეკოლოგიურ ზარალს.

საქართველოსათვის ეკოლოგიურ-ეკონომიკური ინდიკატორების სისტემის მთავარი ამოცანები ისაა, რომ, არსებული სტატისტიკური და ანალიტიკური ინფორმაციის საფუძველზე, შესაძლებელი გახდეს ინდიკატორთა საშუალებით ეკონომიკისა და ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის განვითარებაში არსებული ტენდენციების გამოვლენა, ეკოლოგიური სიტუაციის შეფასება და, აგრეთვე, ეკონომიკურ მაჩვენებლებსა და გარემოზე მოხდენილ ზემოქმედებას შორის კავშირის დადგენა.

ჩვენ მიერ განხილულ ყველა ინდიკატორთა სისტემაში გარკვეული ადგილი უჭირავს წყლის რესურსების შეფასებას და მისი გაჭუჭყიანებით გამოწვეული ეკონომიკურ-ეკოლოგიური ზარალის განსაზღვრას. აღნიშნული მონაცემების გამოთვლის გარეშე შეუძლებელია ეკოლოგიურ-ეკონომიკური აღრიცხვის სისტემის ამოქმედება, ქვეყნის მდგრადი განვითარების ინდიკატორთა სისტემის შემდგომი სრულყოფა.

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ წყლის რესურსების არსებული მარაგისა და დაბინძურების ხარისხის გათვალისწინება მაკროეკონომიკურ დონეზე მდგრადი განვითარების ინდიკატორთა ჩამოყალიბების ერთ-ერთ აუცილებელ მახასიათებელს წარმოადგენს.

ეკოსისტემურმა მიდგომამ უნდა უზრუნველყოს კომპლექსური წყალსარგებლობის და წყლის მოხმარების პრობლემების რიცხობრივი და ხარისხობრივი ასპექტების ერთობლივი გადაწყვეტა. ამ მიდგომამ უნდა გააერთიანოს ერთ მთლიანობაში წყლისა და სხვა ბუნებრივი რესურსების რაციონალური მოხმა-

რება. მის საფუძველზე წყლის რესურსი ეკონომიკურ სიმდიდრედ უნდა გამოცხადდეს და ხელი უნდა შეეწყოს ყოველგვარ ღონისძიებას, რომელიც მათი ეფექტიანი გამოყენებისაკენ იქნება მიმართული.

წყლის რესურსების ეფექტიანი გამოყენებისადმი ახალ ეკოსისტემურ მიდგომაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება არა მაკორექტირებელ, არამედ პრევენციული ხასიათის ღონისძიებებს პრობლემების აღმოცენების აღკვეთისა და არსებული რესურსების ეფექტიანად გამოყენების მიზნით. ასეთი მიდგომა წინ წამოწევს ღონისძიებებს, რომლებიც, პირველ რიგში, იმუშავებს დაბინძურების აცილებასა და არა მისი შედეგების ლიკვიდაციაზე.

ეკოსისტემური მიდგომის საფუძველზე წყლის რესურსების ეფექტიანი გამოყენების პოლიტიკა უნდა შემუშავდეს კომპლექსურად და განიხილებოდეს, როგორც სახელმწიფოს ეკონომიკურ-ეკოლოგიური პოლიტიკის ნაწილი.

გამოყენებული ლიტერატურა

1. **ახესაძე რ.** მდგრადი ეკონომიკური განვითარება – XXI საუკუნის გლობალური გამოწვევა. პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული. ტ. I. თბილისი, 2008.
2. **Папенов К.В.** Экономика природопользования. М., 2008.

Soselia Maia

Rostiashvili Tamar

ISSUES OF EFFECTIVE USE OF WATER RESOURCES AT CURRENT STAGE OF SUSTAINABLE SOCIO-ECONOMIC DEVELOPMENT OF THE SOCIETY

SUMMARY

International society faces the choice – what is the future way of development of the mankind? Currently the necessity of transition from spontaneous pattern of solving and development of global problems with joint efforts to the managed methods emerged. Water resources should be considered as the resource of substantial significance for the country’s economy, directly linked to all branches of production and actually decisive for development and movement of the production factors. Reasonable use of the hydroresources allows achievement of maximum effect in both, economic and social spheres. Reasonable-complex use of water resources plays significant role in sustainable socio-economic development of Georgia as well.

Currently, growth environmental pollution in the world conditioned necessity of transition to the sustainable development model. Special significance was added to elaboration of the new approach to economic development, taking into consideration current and prospective condition of the water resources, which should be reflected in the state policy of water resources management and mechanisms for its implement.

*თამარ როსტიაშვილი
მაია სოსელია*

**ორგანიზაციების აღმინისტრირება – პროცესები
და პროცედურები**

თანამედროვე ორგანიზაცია ჩნდება, იქმნება, არსებობს, ფუნქციონირებს, რეალიზდება, იშლება, ლიკვიდაციას განიცდის,

შემთხვევით ან მიზანმიმართულად, თანმიმდევრული ევოლუციური ცვლილებების სახით. პროცესი გამოხატავს იმის არსს, თუ რა ხდება ორგანიზაციაში და მის გარეთ.

პროცესი ორგანიზაციის გამოვლენად იქცევა, როგორც დროში რეალიზებადი ცვლილებების თანმიმდევრობა. პროცესის ქრონოლოგია წარმოადგენს ერთ-ერთ გადამწყვეტ პირობას და მის ძირითად სტრუქტურულ ფორმას კვლევების ორგანიზაციაში. ყველა დაკვირვება და შესაბამისი განხილვა კეთდება, პირველ რიგში, ქრონოლოგიურად, რაც თანმიმდევრული მიდგომის პირობას იძლევა ორგანიზაციის მდგომარეობისა და შინაარსის ანალიზის დროს. ქრონოლოგიური თანმიმდევრობა მთლიანობაში იქცევა ერთიან, უნივერსალურ საფუძვლად ორგანიზაციის ნებისმიერი გამოკვლევისას, შემდგომ კი მიზანმიმართული ზემოქმედების ორგანიზაციისას.

თანმიმდევრული მიდგომის ძირითად ინსტრუმენტად გამოკვლევის პროცესების ორგანიზაციისა და ზემოქმედებაში გვევლინება ადმინისტრირება. ნებისმიერი პროცესის დროში შემუშავების წარმოდგენის და რეალიზების უზრუნველყოფით ადმინისტრირება ხშირ შემთხვევაში განსაზღვრავს გამოკვლევების ლოგიკურ წყობას, ზემოქმედების განხორციელებასა და მათი შედეგების ასახვას.

პროცესი, როგორც ორგანიზაციის თანმიმდევრული ცვლილება, მყარდება დროში და მკაფიოდ წარმოგვიდგება, როგორც მოვლენების და შემთხვევების თანმიმდევრობა. ამასთან ერთად, ძირითადი ორგანიზაციული განსხვავებები ამ ორ გაგებას შორის მდგომარეობს შემდეგში: მოვლენა თავისი ბუნებით ობიექტურია, ხოლო შემთხვევა მოიცავს ან გულისხმობს მის ორგანიზაციაში სუბიექტურ მონაწილეობას.

მაგრამ სუბიექტური მონაწილეობის შესაძლებლობა ან აუცილებლობა მიზანმიმართული პროცესის შემუშავებასა და განხორციელებაში გულისხმობს მის დაგეგმვას ამა თუ იმ ფორმით. უფრო მეტიც, ნებისმიერი პასუხისმგებელი სუბიექტი გადაწყვეტილებას პროცესში მხოლოდ ასეთი გეგმის საფუძველზე იღებს.

ფორმალიზებული წარმოდგენა პროცესის შინაარსსა და თანმიმდევრობაზე, მიუხედავად იმისა, აქვს თუ არა მას საფუძველი და როგორ არის ის შემუშავებული და ა.შ. მიღებულია, იწოდებოდეს პროცედურად.

დინამიური ორგანიზაცია, როგორც პროცესი, მიღებულია წარმოვადგინოთ როგორც პროცედურა, რომელიც განისაზღვრება მომხდარი ცვლილებების თანმიმდევრობით. ეს ცვლილებები მათი წარმოშობის ბუნების ან მიხეხების მიხედვით შეიძლება დავყოთ შემდგენაირად: ობიექტური, სუბიექტური და შერეული. ორგანიზაციის ადმინისტრირების მიერ ცვლილებების ეს უკანასკნელი ფორმა განიხილება.

პრაქტიკაში განვითარებულია ორგანიზაციის პროცესის სამი ძირითადი ფორმა: ევოლუციური, პრეცედენტული და ინოვაციური.

ყოველ კონკრეტულ ორგანიზაციაში, ყოველი მისი მონაწილე წარმოადგენს ამ სამივე საწყისის შედეგს, მატარებელს და მოსარგებლეს. ამიტომაც აუცილებელია, კარგად გვესმოდეს ევოლუციური, პრეცედენტული და ინოვაციური ორგანიზაციის არსი, მისი შემადგენლობა, შინაარსი და როლი პროცესის შემუშავებაში, წყობასა და განხორციელებაში პროცედურის წარმოდგენის საფუძველზე.

ევოლუციურად აწყობილი და განვითარებული პროცესები გამოხატავს შემთხვევითობების თანმიმდევრული ურთიერთზემოქმედების არსს და შედეგს, ამის გამო ისინი აღიქმება, როგორც ნაწილობრივ შემთხვევითი ორგანიზაციები.

სუბიექტური ორგანიზაცია, რომელიც ხელს უწყობს ევოლუციურ მიდგომას, ფორმირდება თანმიმდევრულად აწყობილი საპროცესო ცვლილებების აღქმით, გარკვევის და შესრულების საფუძველზე. ეყრდნობა თუ არა ასეთი მდგომარეობა შემსრულებლების იდეალისტურ შეხედულებებს, თუ იგი რეალიზდება დამოუკიდებლად და შეგნებულად? ამ მიდგომის არსი მდგომარეობს ინდივიდების ან ჯგუფის ადაპტაციაში ნებისმიერი მომხდარი ან მოსალოდნელი ცვლილებების მიმართ. მიუხედავად ამისა, ის მაინც ადმინისტრირებულ პროცედურას წარმოადგენს.

განსხვავებით ევოლუციურისაგან, პრეცედენტული ორგანიზაცია ფორმირდება პრაგმატულად, ყურადღებით ითვისებს და, აუცილებლობის შემთხვევაში, იმეორებს უკვე არსებული ორგანიზაციების ფორმებს.

პრეცედენტული პროცედურა, როგორც წესი, დეტალურად და კომპლექსურად წარმოადგენს კონკრეტულ გამოცდილებას, რომელიც გაცილებით ადრე, ანალოგიური სიტუაციის დროს, წარმატებით განხორციელდა. ამგვარი მიდგომის გამოყენების მაგალითი შეიძლება იყოს ადაპტაციის პრეცედენტული პროცედურები, სასამართლო გადაწყვეტილებების მიღება და შესრულება ყველაზე მრავალფეროვან მოდიფიკაციებში, ანალოგიური სიტუაციების განვითარებისას, ინოვაციური ორგანიზაციის პროცედურები ორიენტირებულია ადრე გამოყენებელი, ახალი ქმედებების შემუშავებასა და რეალიზაციაზე. მათი შემადგენლობა, კოოპერაციის პირობები და მოდელი მუშავდება და სრულდება როგორც დამოუკიდებელი პასუხი ახალ სიტუაციაზე. ამასთან ერთად, პრინციპულია, რომ მოდულით ინოვაციური პროცედურა შეიძლება ემყარებოდეს ევოლუციურ და პრეცედენტულ ორგანიზაციაზე, თუმცა, მთლიანობაში, აუცილებლად წარმოადგენს იმას, რაც ადრე არ განხორციელებულა.

პრაქტიკაში სწორედ ინოვაციური ორგანიზაცია იძლევა საშუალებას, ყველაზე ეფექტურად შემუშავდეს კრიზისების დაძლევის სტრატეგია და ტაქტიკა, ის უზრუნველყოფს კონსტრუქციული და სტაბილური განვითარების განხორციელებას. სწორედ ამიტომ უჭირავს მას წამყვანი ადგილი და კონსტრუქციულ როლს თამაშობს ორგანიზაციის განვითარების და მიზანმიმართული ცვლილებების შემუშავებაში.

ევოლუციური პროცესების გამოკვლევას, პრეცედენტული პროცესების აღქმას და ადაპტაციას, ინოვაციური პროცესების შემუშავებას და რეალიზაციას ადამიანი ახორციელებს ერთიან საფუძველზე, წარმოიდგენს რა მათ პროცედურად. პროცედურა ფორმალურად გამოხატავს პროცესის შინაარსს, თანმიმდევრობას და განხორციელების პირობებს. პროცედურა საშუ-

ალებას იძლევა, უნივერსალური სქემატური ფორმით წარმოადგინოს, გამოიკვლიოს, გააკონტროლოს და მოდერნიზება გაუკეთოს პროცესის ჩატარებას. სწორედ პროცედურა ხდება უნივერსალური კომპლექსური მოდელი, რომელიც გამოხატავს თანმიმდევრული ინტეგრაციის პირობებს და კონსტრუქციას.

პროცესისგან განსხვავებით, ადმინისტრაციული პროცედურის დამუშავებისას განიხილება სხვადასხვა ვარიანტები, რამდენადაც ამას ითხოვს სიტუაცია. პირველ რიგში გაითვალისწინება ისეთი ზომები, რომელმაც არ უნდა დაუშვას სიტუაციის ნეგატიური განვითარება. სწორედ ეს მდგომარეობა არის ყველაზე მთავარი ეროვნული მენეჯმენტისათვის.

განსაკუთრებით კონტრასტულად განსხვავდება პროცესის და პროცედურის მნიშვნელობები ეფექტური ფორმირების უზრუნველყოფისათვის, ორგანიზაციის ფუნქციონირებისა და განვითარებისათვის. ამ მხრივ მნიშვნელოვანია გამოვეყნოთ პროცედურის ძირითადი ორგანიზაციულ-მეთოდოლოგიური მნიშვნელობა, რომელიც შემდეგში მდგომარეობს:

1. პროცესის განვითარების ყველაზე მრავალფეროვანი ვარიანტების შემუშავებას, ანალიზისათვის წარმოდგენასა და შედარებაში.

2. პროცესის განხორციელების ვარიანტის ადაპტაციას, მირებასა და რეალიზებაში.

3. განხორციელებული ვარიანტის შედეგებსა და შინაარსის ანალიზში დასკვნების და რეკომენდაციების გამოტანაში.

ადმინისტრაციული პროცედურის წარდგენისა და გამოყენების ინფორმაციული ბუნებისა და ხასიათისგან განსხვავებით, პროცესი ორგანიზდება და გამოიყენება უშუალოდ მისი გატარებისას.

ყველაფერი ეს ადასტურებს ადმინისტრაციული მიდგომის გამოყენების აუცილებლობას ორგანიზაციის პროცედურასთან. ბუნებრივია, ეს, პირველ რიგში, განსაზღვრავს საპროცესო და საპროცედურო მიდგომების დამოუკიდებელი პოზიციონირების კონსტრუქციულობას, რომელიც გარდაუვალია და მჭიდრო ურთი-

ერთქმედების პირობას იძლევა პროცედურის განხორციელების მსვლელობისას.

მობილიზაციის თვისებურებები და ამ პოტენციალის გამოყენება ისეთი მეცნიერების ფუნდამენტური გამოკვლევების შესაბამის განყოფილებებს ემყარება, როგორც არის კომბინატორიკა. ისინი უფრო დეტალურად არის დამუშავებული და შესწავლის დამოუკიდებელ ობიექტს წარმოადგენს. ჩვენ კი აქ გამოყოფთ მას, როგორც ადმინისტრაციული პროცედურის დამუშავების და გამოყენების უმთავრეს კონსტრუქციულ-კომპოზიციურ რესურსს.

ადმინისტრაციული პროცედურის მეთოდის პირვანდელი ანალიზი კი იძლევა საშუალებას, გაკეთდეს დასკვნა, რომ ადმინისტრაციული პროცედურის დამუშავება და წყობა საშუალებას იძლევა, გამყარდეს გზების მრავალფეროვნების არჩეული ვარიანტი და ადმინისტრირების მთავარი ამოცანის კონკრეტული საშუალებები.

გასაგებია, რომ ამ ამოცანის ამოხსნის ვარიანტების რაოდენობა პირდაპირპროპორციულია მრავალი ობიექტის, სუბიექტის, რესურსების, პირობების და მისი კონკრეტიზაციის სხვა ფაქტორებისა, ე.ი ვარიანტების რაოდენობა პრაქტიკულად უსასრულოა. ასევე დიდია კონკრეტული პროცედურების ცალკეული კონფიგურაციების წყობის ვარიაციების მრავალფეროვნება, რის გამოც ეჭვქვეშ დგება ადმინისტრაციული პროცედურების ეფექტური კლასიფიკაცია. ნაწილობრივ, ეს პრობლემა წყდება წყობის მეთოდის წარმოდგენითა და დამუშავებით, ასევე ადმინისტრაციული პროცედურების გამოყენების პრაქტიკით, მაგრამ ეს ამოცანა კარდინალურად წყდება უნივერსალური მოდელირების გზით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. **ბარათაშვილი ე., თაკალანძე ლ., აბრალავა ა.** მენეჯმენტი და ადმინისტრირება. სახელმძღვანელო. თბილისი, 2007.

2. ხომერტი თ. მენეჯმენტი. თბილისი, 2006.
3. Сладкевич В. П., Чернявский А. Д. Современный менеджмент, 2001 .
4. Сладкевич В. П. Мотивационный менеджмент. Киев, 2001.

Rostiashvili Tamar
Soselia Maia

ADMINISTRATION OF ORGANIZATIONS – PROCESSES AND PROCEDURES

SUMMARY

The modern organization is formed and functioned as evaluating changes. The process forms as an organization as a sequence of realizing changes in time. The process chronology is one of the most important topic and its main structural form in organizing researches. Administration is a main tool of sequence approach in organizing and influencing processes of researches. However, opportunity or necessity of subjective participation for fulfillment of processes means planning by any responsible subject by any form. Furthermore, any responsible subject makes decision only according to this plan.

Formalized idea about process` sequence and content in spite of having it basis or not, or how it is elaborated etc, it is common to be called the procedure. In practice there are three forms of organization processes: evolutionary, accidental and innovative.

Different from the process, during the administrative procedure there is considered variety of versions as it is needed.

ს ვ ზ ო ო ე ბ ო

1. აბესაძე რამაზ – პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორი, ემდ, პროფესორი
2. არევაძე ნანული – პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე, ემკ
3. აჩელაშვილი კლიმენტი – ემდ, თსუ ასოცირებული პროფესორი
4. ბერულავა ბიორბი – პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე, ემდ, პროფესორი
5. ბიბილაშვილი ნანა – პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე, ემკ
6. ბრეგვაძე ბიორბი – პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი, ემკ
7. ბურღული ვახტანგ – პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე, ემდ
8. დავლაშვილი ნატა – პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი, ემკ
9. დათუნაშვილი ლინა – პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ემკ, დოცენტი
10. დვალისხვილი ლია – პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი
11. თაფლაძე თამარ – პაატა გუგუშვილის ეკონომიკის

- ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი
12. **თოთლაძე ლია** – პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ემკ
 13. **კაკულია ნაზირა** – პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი, ემკ
 14. **კვარაცხელია მურმან** – პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ემდ, პროფესორი
 15. **კურატაშვილი ალვრედ** – პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე, ემდ, პროფესორი
 16. **კურატაშვილი ანზორ** – ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, სტუ-ს ასოცირებული პროფესორი
 17. **კურტანიძე დოდო** – ეკონომიკის აკადემიური დოქტორი
 18. **ლაზარაშვილი თეა** – პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე, ემკ
 19. **ლორთქიფანიძე რევაზ** – ემდ
 20. **მაისურაძე ბიბა** – ემდ
 21. **მელაშვილი მელეა** – პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი
 22. **მუჩიაშვილი მარინა** – თსუ-ს ასოცირებული პროფესორი, ემკ
 23. **ნათელაური იზა** – პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე, ემკ

- 24. ნოზაძე ზურაბ – პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი
- 25. პაპავა ვლადიმერ – პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ემდ, პროფესორი
- 26. რევიშვილი ზურაბი – პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ემკ
- 27. როსტიაშვილი თამარ – ეკონომიკის აკადემიური დოქტორი
- 28. სოსელია მანია – ეკონომიკის აკადემიური დოქტორი
- 29. ფიფია ქეთევან – მაგისტრი
- 30. ქავთარაძე თენგიზ – პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ემკ
- 31. ქველამე ქეთევან – პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი
- 32. ქისტაური ნუნუ – პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი, ემკ
- 33. ქურღაძე თინათინ – პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი, ემკ
- 34. ჩხეიძე თინათინ – პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე, სმმდ, პროფესორი
- 35. ცუცქირიძე მარინე – პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი, ემკ

36. ხუსპივამე მამუკა

– პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე, ემკ

37. ჯავახიშვილი რევაზ

– პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი, ემკ

A U T H O R

1. **ABESADZE RAMAZ** – Director of P. Gugushvili Institute of Economics, Doctor of Economics, professor
2. **ACHELASHVILI KLIMENTI** – Doctor of Economics, Associated professor of TSU
3. **AREVADZE NANULI** – Candidate of Economics, Chief of dept. of P. Gugushvili Institute of Economics
4. **BERULAVA GIORGI** – Doctor of Economics, professor, Chief of dept. of P. Gugushvili Institute of Economics
5. **BIBILASHVILI NANA** – Candidate of Economics, Chief of dept. of P. Gugushvili Institute of Economics
6. **BREGVADZE GIORGI** – Candidate of Economics, scientific worker of P. Gugushvili Institute of Economics
7. **BURDULI VAKHTANG** – Doctor of Economics, Chief of dept. of P. Gugushvili Institute of Economics
8. **CHKHEIDZE TINANIN** – Doctor of Agriculture, professor, Chairman of Scientific Council of P. Gugushvili Institute of Economics
9. **DATUNASHVILI LINA** – Candidate of Economics, Docent, senior scientific worker of P. Gugushvili Institute of Economics
10. **DAVLASHERIDZE NATA** – Candidate of Economics, scientific worker of P. Gugushvili Institute of Economics
11. **DVALISHVILI LIA** – Scientific worker of P. Gugushvili

Institute of Economics

12. **JAVAKHISHVILI
REVAZ** – Candidate of Economics, senior scientific worker of P. Gugushvili Institute of Economics
13. **KAKULIA NAZIRA** – Candidate of Economics, scientific worker of P. Gugushvili Institute of Economics
14. **KAVTARADZE
TENGINZ** – Candidate of Economics, Chief of lab. of P. Gugushvili Institute of Economics
15. **KHUSKIVADZE
MAMUKA** – Candidate of Economics, Chief of dept. of P. Gugushvili Institute of Economics
16. **KISTAURI NUNU** – Candidate of Economics, scientific worker of P. Gugushvili Institute of Economics
17. **KURATASHVILI
ALFRED** – Doctor of Economics, professor, Chief of dept. of P. Gugushvili Institute of Economics
18. **KURATASHVILI
ANZOR** – Academic Doctor of Economics, Associated professor of Technical University of Georgia
19. **KURDADZE TINATIN** – Candidate of Economics, scientific worker of P. Gugushvili Institute of Economics
20. **KURTANIDZE DODO** – Academic Doctor of Economics
21. **KVARATSKHELIA
MURMAN** – Doctor of Economics, senior scientific worker of P. Gugushvili Institute of Economics
22. **KVELADZE KETEVAN** – Candidate of Economics, senior scientific worker of P. Gugushvili Institute of Economics
23. **LAZARASHVILI TEA** – Candidate of Economics, Chief of

- dept. of P. Gugushvili Institute of Economics
24. **LORDKIPANIDZE
REVAZ** – Doctor of Economics
 25. **MAISURADZE GIGA** – Doctor of Economics
 26. **MELASHVILI MEDEA** – Scientific worker of P. Gugushvili Institute of Economics
 27. **MUCHIASHVILI
MARINA** – Associated professor of TSU
 28. **NATELAURI IZA** – Candidate of Economics, Chief of dept. of P. Gugushvili Institute of Economics
 29. **NOZADZE ZURAB** – Scientific worker of P. Gugushvili Institute of Economics
 30. **PAPAVA VLADIMER** – Doctor of Economics, professor, Main scientific worker of P. Gugushvili Institute of Economics, Corresponding member of National Academy of Georgia
 31. **PIPIA KETEVAN** – Master
 32. **REVISHVILI ZURAB** – Candidate of Economics, scientific worker of P. Gugushvili Institute of Economics
 33. **ROSTIASHVILI
TAMAR** – Academic Doctor of Economics
 34. **SOSELIA MAIA** – Academic Doctor of Economics
 35. **TAPLADZE TAMAR** – Scientific worker of P. Gugushvili Institute of Economics
 36. **TOTLADZE LIA** – Candidate of Economics, senior scientific worker of P. Gugushvili Institute of Economics
 37. **TSUTSKIRIDZE
MARINE** – Candidate of Economics, scientific worker of P. Gugushvili Institute of Economics

ს ა რ ჩ ე ვ ი

<i>რამაზ აბესაძე</i> უმუშევრობასთან დაკავშირებული ზოგიერთი ბანმარტების შესახებ	5
<i>ვლადიმერ პაპაია</i> წინანსური კრიზისი და ეკონომიკის ზომბირების პრობლემა	15
<i>ვახტანგ ბურდული</i> საქართველოში მუარამეობის ბანვითარების ბზებო უმუშევრობის დონის შემცირებასთან კონტიმსტში	26
<i>გიორგი ბერულავა</i> საქართველოს შრომითი რესურსების კონკურენტუნარიანობის შესახებ	36
<i>რევაზ ჯავახიშვილი</i> უმცოური ინვსტიციები – საქართველოს ეკონომიკის ბანვითარების მნიშვნელოვანი ფაქტორი	43

კლიმენტი აგელაშვილი
ეკონომიკური ზრდის რეგიონული რეგულირება
პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის
პირობებში 51

Альфред Кураташвили
СТРАТЕГИЧЕСКИЕ НАПРАВЛЕНИЯ СОЗДАНИЯ
НАУЧНЫХ ОСНОВ СОЦИАЛЬНО-ЭКОНОМИЧЕС-
КОГО ПРОГРЕССА 59

მურმან კვარაცხელია
მსოფლიო ფინანსური კრიზისი და საქართველოს
ეკონომიკის ზოგიერთი თავისებურება 64

ნანული არევაძე
ეკონომიკური პოლიტიკა და მისი ევოლუციური
თეორია 75

იზა ნათელაური, თამარ თავლაძე
საქართველოს ექსპორტი პოსტკომუნისტურ
პერიოდში და მისი გავლენა ქვეყნის
კონკურენტუნარიანობაზე 81

თინათინ ჩხეიძე, მამუკა ხუსკივაძე, ქეთევან ქველაძე
უმუშევრობის ზოგიერთი ასპექტი საქართველოში 88

ლინა დათუნაშვილი
საქართველოს სოფლის მეურნეობის ინვესტიციური
უზრუნველყოფა 94

ზურაბ რევიშვილი
სოფლად დასაქმებისა და უმუშევრობის დაღბენის
მეთოდოლოგიური საკითხები 102

მარინა მუჩიაშვილი

სახელმწიფო ბიუჯეტიდან სოციალური სფეროს
დარბაზის დაფინანსების პრობლემები
საქართველოში

111

ნანა ბიბილაშვილი

უმუშევრობით გამოწვეული ეკონომიკური და
სოციალური შედეგების კლასიფიკაცია საქართვე-
ლოში

119

თეა ლაზარაშვილი

სახელმწიფოს როლი შრომის ბაზრის
რეგულირებაში

125

მამუკა ხუსკივაძე

ბუნებათსარბებლობის ეკონომიკური მმართველისა
და ეკოლოგიური პოლიტიკის სრულყოფის
ასპექტები საქართველოში

131

თენგიზ ქავთარაძე

წარმოების ოპტიმიზაციისა და დასაქმების დონის
ზრდის საკითხები შიდა ქართლის მენიღერების
ზონის საწარმოებში

137

ლია თოთლაძე

სახელმწიფო სექტორის როლისა და მნიშვნელობის
შესახებ

144

ნაზირა კაკულია

სახელმწიფოს მაკროეკონომიკური პოლიტიკა
ინსტიტუციური სისტემის სრულყოფისათვის

150

<i>ნუნუ ქისტაური, მედეა მელაშვილი</i> ინოვაციური განვითარების აუცილებლობა საქართველოში	156
<i>თინათინ ქურდაძე</i> საბადასახალო-საბიუჯეტო პოლიტიკის შუქჩრდილება	164
<i>Давлашеридзе Ната</i> РОБЕРТ ЛУКАС О ПРОБЛЕМАХ БЕЗРАБОТИЦЫ И ЗАНЯТОСТИ	173
<i>გიგა მაისურაძე</i> შერემრული მერჩნეობები და მათი განვითარების თავისებურებანი	178
<i>ანზორ კურატაშვილი</i> აღამიანის უფლებების დაცვის აუცილებლობა, სამართლებრივი ფაქტორი და სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკა	184
<i>ცუცქირიძე მარინე</i> ბინენსბარემოს განვითარების და უმუშევრობაზე მისი ბავლენის საკითხებისათვის	189
<i>ლია დვალიშვილი</i> საქართველოს ეკონომიკის განვითარების პრიორიტეტული მიმართულებები	196
<i>გიგა მაისურაძე</i> აბროტურიზმი და მისი მნიშვნელობა	203

<i>დოდო კურტანიძე</i> კომერციული ბანკების კაპიტალის ფორმირება და ფასიანი ქაღალდები საქართველოს საზონდო ბაზარზე	208
<i>ზურაბ ნოზაძე</i> ეკოლოგიური პოლიტიკის რეალიზაციის თეორიული ასექტები საბაზრო ურთიერთობის პირობებში	219
<i>გიორგი ბრეგვაძე</i> მცირე მწარმოების ბანკითარების პრობლემები საქართველოში	224
<i>ქეთევან ფიფია</i> ახალი მსოფლიო სარეზერვო ვალუტის შესახებ	231
<i>რევაზ ლორთქიფანიძე</i> ეკონომიკური კონკურენციის კანონის შესახებ (კონკურენციის ძალის განსაზღვრის მეთოდი)	238
<i>მაია სოსელია, თამარ როსტიაშვილი</i> წყლის რესურსების ეფექტიანი გამოყენების პრობლემები საზოგადოების მდგრადი სოციალურ- ეკონომიკური განვითარების თანამედროვე ეტაპზე	243
<i>თამარ როსტიაშვილი, მაია სოსელია</i> ორბანიზაციების აღმინისტრირება – პროცესები და პროცედურები	249
ავტორები	255

CONTENTS

<i>Abesadze Ramaz</i> ON SOME DEFINITIONS CONNECTED WITH UNEMPLOYMENT	5
<i>Papava Vladimer</i> FINANCIAL CRISIS AND THE PROBLEM OF ZOMBIE- ING OF THE ECONOMY	15
<i>Burduli Vakhtang</i> THE WAYS OF DEVELOPMENT BUSINESS UNDERTAKINGS IN GEORGIA IN THE CONTEXT OF REDUCTION OF UNEMPLOYMENT LEVEL	26
<i>Berulava George</i> ON THE COMPETITIVENESS OF GEORGIA'S	

HUMAM RESOURICES	36
<i>Javakhishvili Revaz</i> FOREIGN INVESTMENT A SIGNIFICANT FACTOR OF DEVELOPMENT OF GEORGIAN ECONOMY	43
<i>Achelashvili Klimenti</i> REGIONAL REGULATION OF ECONOMIC GROWTH IN THE CONDITIONS OF POSTCOMMUNIST TRANSFORMATION	51
<i>Kuratashvili Alfred</i> STRATEGIC DIRECTIONS OF CREATION OF SCIENTIFIC BASES OF SOCIAL-ECONOMIC PROGRESS	59
<i>Kvaratskhelia Murman</i> WORLD FINANCIAL CRISIS AND SOME PECULIARITIES OF GEORGIAN ECONOMY	64
<i>Arevadze Nanuli</i> ECONOMIC POLICY AND ITS EVOLUTIONAL THEORY	75
<i>Natelaury Iza, Tapladze Tamar</i> GEORGIAN EXPORT IN POSTSOCOMMUNIST PERIOD AND ITS INFLUENCE ON COUNTRY COMPETITIVENESS	81
<i>Chkheidze Tinatin, Khuskivadze Mamuka, Kveladze Ketevan</i> PROBLEM OF SUSTAINABLE DEVELOPMENT AND UNEMPLOYMENT IN GEORGIA	88

<i>Datunashvili Lina</i> INVESTMENT PROVISIONS OF AGRICULTURE IN GEORGIA	94
<i>Revishvili Zurab</i> METHODOLOGICAL ISSUES OF DETERMINATION OF EMPLOYMENT AND UNEMPLOYMENT IN RURAL AREA	102
<i>Muchiashvili Marina</i> PROBLEMS OF FINANCING SOCIAL SPHERE SECTORS BY STATE BUDGET IN GEORGIA	111
<i>Bibilashvili Nana</i> CLASSIFICATION OF ECONOMIC AND SOCIAL RESULTS CAUSED BY UNEMPLOYMENT IN GEORGIA	119
<i>Lazarashvili Tea</i> THE ROLE OF STATE IN LABOR MARKET REGULATION	125
<i>Khuskivadze Mamuka</i> ASPECTS OF IMPROVEMENT OF ECONOMIC MECHANISM OF ECOLOGICAL POLICY AND NATURE USE	131
<i>Kavtaradze Tengiz</i> THE ISSUES OF PRODUCTION OPTIMIZATION AND GROWTH OF EMPLOYMENT LEVEL IN THE ENTER- PRISES OF GARDENING ZONE OF SHIDA KARTLI	137
<i>Totladze Lia</i>	

ON THE ROLE AND SIGNIFICANCE OF STATE SECTOR	144
<i>Kakulia Nazira</i> THE MACROECONOMIC POLICY FOR INSTITUTION SYSTEMS	150
<i>Kistauri Nunu, Melashvili Medea</i> THE ROLE OF STATE IN THE DEVELOPMENT OF INNOVATIVE ACTIVITY	156
<i>Kurdadze Tinatin</i> SHADY SIDES OF TAX-BADGETARY POLICY	164
<i>Davlasheridze Nata</i> ROBERT LUCAS ON THE PROBLEMS OF UNEMPLOYMENT AND EMPLOYMENT	173
<i>Maisuradze Giga</i> FARMS AND PECULIARITIES OF THEIR DEVELOPMENT	178
<i>Kuratashvili Anzor</i> NECESSITY OF PROTECTION OF HUMAN RIGHTS, THE LEGAL FACTOR AND SOCIALLY ORIENTED MARKET ECONOMY	184
<i>Tsutskiridze Marina</i> THE ISSUES OF DEVELOPMENT OF BUSINESS ENVIRONMENT AND INFLUENCE ON UNEMPLOYMENT	189

<i>Dvalishvili Lia</i> SUPREME TRENDS OF DEVELOPMENT OF GEORGIAN INDUSTRY	196
<i>Maisuradze Giga</i> AGROTOURISM AND ITS MEANING	203
<i>Kurtanidze Dodo</i> FORMATION OF COMMERCIAL BANKS ' CAPITAL AND SECURITIES IN STOCK MARKET OF GEORGIA	208
<i>Nozadze Zurab</i> THE THEORETICAL ASPECTS OF ECOLOGICAL POLICY REALIZATION IN THE CONDITIONS OF MARKET RELATIONSHIP	219
<i>Bregvadze Giorgi</i> PROBLEMS OF SMALL BUSINESS DEVELOPMENT IN GEORGIA	224
<i>Pipia Ketevan</i> ABOUT A NEW WORLD RESERVE CURRENCY	231
<i>Lordkipanidze Revaz</i> ABOUT THE LAW OF ECONOMIC COMPETITION	238
<i>Soselia Maia, Rostiashvili Tamar</i> ISSUES OF EFFECTIVE USE OF WATER RESOURCES AT CURRENT STAGE OF SUSTAINABLE SOCIO- ECONOMIC DEVELOPMENT OF THE SOCIETY	243
<i>Rostiashvili Tamar, Soselia Maia</i> ADMINISTRATION OF ORGANIZATIONS –	

0 6 3 0 4 6 0 2

პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტთან არსე-
ბობს საერთაშორისო სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი
“ეკონომისტი” (მთავარი რედაქტორი ემდ, პროფ. რ. აბესაძე).

ჟურნალში ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე
ქვეყნდება სტატიები, რომლებიც შეიცავს ინფორმაციას
ეკონომიკის სფეროში არსებული თეორიული და პრაქ-
ტიკული პრობლემების კვლევების შედეგების შესახებ. პერი-

ოდულად დაიბეჭდება რეცენზიები, ეკონომიკური მიმოხილვები და სხვადასხვა სამეცნიერო-ორგანიზაციული ღონისძიებების ქრონიკები.

ავტორთათვის უურნალში სტატიების გამოსაქვეყნებლად მოქმედებს შემდეგი წესები:

1. უურნალში გამოსაქვეყნებლად განკუთვნილი სამეცნიერო ნაშრომები უნდა იყოს დამოუკიდებელი კვლევის შედეგი. ნაშრომი არ უნდა არღვევდეს საავტორო უფლებებს და არ უნდა იყოს გამოქვეყნებული რომელიმე სხვა ორგანოში.

2. რედაქციაში წარმოდგენილი სტატიის ორიგინალი ხელმოწერილი უნდა იყოს ავტორის, ხოლო თანაავტორობის შემთხვევაში ყველა თანაავტორის მიერ სახელის, გვარის, სამუშაო ადგილის, სამეცნიერო ხარისხისა და წოდების, სრული საფოსტო მისამართის, ტელეფონის, ფაქსის, ელექტრონული ფოსტის მითითებით.

3. სტატიის მოცულობა, რეზიუმე ქართულ და ინგლისურ ენებზე უნდა იყოს გონივრულ შესაბამისობაში მათთვის დამახასიათებელ მასშტაბებთან. სტატია დაბეჭდილი უნდა იყოს 1,5 ინტერვალით, 4 ფორმატზე, 12 ფონტით. რედაქციაში სტატიების წარმოდგენა აუცილებელია ერთ ნაბეჭდ ეგზემპლარად, ელექტრონულ ვერსიასთან ერთად (შ ჭ დ , ქართული ტექსტი შრიფტით ჩ შX, ხოლო ინგლისური თI შ ჭ დ).

4. უურნალში სტატიები გამოქვეყნდება რედაქციაში მათი შემოსვლის რიგის მიხედვით. რედაქციის მიერ სტატიის წარმოდგენის თარიღად ჩაითვლება რედაქციის მიერ საბოლოო ტექსტის მიღების თარიღი.

5. სტატია, რომელიც სრულად არ პასუხობს ზემოთ მოყვანილ მოთხოვნებს, რედაქციის მიერ არ მიიღება.

ინსტიტუტის ხელმძღვანელობა და ჟურნალის რედაქცია მზადაა თანამშრომლობისათვის.

* * *

პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტთან ფუნქციონირებს გამომცემლობა

პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა – ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე – გთავაზობთ ნებისმიერ საგამომცემლო საქმიანობას:

- მასალის აკრეფა, დაკაბადონება;

გამოიცემა:

- სამეცნიერო წიგნები და ნაშრომები, ენციკლოპედიები, ლექსიკონები, ცნობარები;
- პერიოდული გამოცემები (სამეცნიერო შრომათა კრებულები, სამეცნიერო ჟურნალები, კონფერენციის მასალები);
- ორიგინალური და ნათარგმნი მხატვრული ლიტერატურა, სახელმძღვანელოები, საბავშვო წიგნები, ალბომები და გზამკვლევები.
- ელექტრონული დარგობრივი ჟურნალები.

დაიბეჭდა სსიპ – პაატა გუგუშვილის ეკონომიკის
ინსტიტუტის სამეცნიერო-საგამომცემლო საბჭოს გადაწყვე-
ტილებით

გამომცემლობის რედაქტორი

სესილი ხანჯალაძე

გადაეცა წარმოებას –

ქაღალდის ზომა –

პირობითი ნაბეჭდი თაბახი –

სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი –

პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის

გამომცემლობა

თბილისი, გ. ქიქოძის № 14

93 22 60, 99 68 53, 99 74 09

ელ-ფოსტა: economist1@rambler.ru
